საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№25 (116)

13 - 19 ივლისი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net



4 დავით ბაქრაძე მრევლი დააშანტაჟა!

## ყველა მართლმადიდებლის გასაგონად!



12

მამა პეტრე: (ქვარაცხელია)

## აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ საეკლესიო კრება და «ქვაბ-ავაზაკნი» ეკლესიიდან განვდევნოთ!

ალექსანდრე აბდალაძე:

## აღმოსავლეთ საქართველო აფხაზეთის ბედს გაიზიარებს...

5

გვარგაქარ-თულებული სომხების უმრავლესობა სომხეთის დაზვერვის აგენტურაა

ვახტანგ კობახიძე:



## შსს-ში ნამდვილად ინახება კონკრეტულ სასულიერო პირებზე კომპრომატები და ეს საპატრიარქოსთვისაც ცნობილი იყო

8

ანზორ ბალუაშვილი:

## რომელი ქვეყნის პარლამენტი გაბედავდა რომის პაპის ან რაბინატის თხოვნის შეუსრულებლობას?!

18

ნოდარ ჯაჯანიშვილი:

## რას ეუბნები აფხაზს, რისთვის წამოვიდეს შენთან? ბირგვლიანივით შვილი რომ მოუკლან?!

20

## სააკაშვილმა სარკეების მსხვრევა დაიწყო?



6

...ჟურნალისტური კორპუსი ღელავს და არცთუ უსაფუძვლოდ; თუ ფოტოგრაფია სამშობლოს ღალატი შეიძლება იყოს (?!), მაშინ ტექსტი ტერორისტულ აქტად შეიძლება შეფასდეს, ტერორისტებს კი ადგილზე ანადგურებენ...




2

## ნუ გაიღიმებთ, ჩიტი არ გამოფრინდება!

## რა უნდათ ამერი-კელებს ჩვენი ეკლესიისგან?



3

ახალი თაობის და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პოლიტიკა

**ერთხელ, ბავშვობაში ნათესავთან წიგნებს ვათვალიერებდი. ერთ-ერთში უცნაურ სურათს გადავაწყდი: ჯგუფურ ფოტოებზე ზოგიერთი სახე მელნით იყო დაფარული. ამიხსნეს, რომ ეს ადამიანები „ხალხის მტრები“ აღმოჩნდნენ, ამიტომ ყველა ფოტოზე მათი სახეები ამოიშალა. უმჯობესი იყო, თავად ეს წიგნები აეკრძალათ, რადგან ზოგიერთ ფოტოზე იმდენი მელნით დაფარული სახე აღმოჩნდა, რომ სულ რამდენიმე კაციღა იცნობოდა. სიტყვამ მოიტანა და საბჭოთა რეჟიმიც კი არ ერჩოდა იმ ფოტოების გადამღებთ, რომელზეც „ხალხის მტრები“ აღმოჩნდნენ.**

**451 გრადუსი ფარენგეიტით**

**აღიარება მტკიცებულებათა დედოფალიაო, ბრძანებდა საბჭოთა პროკურორი ვიშინსკი. საბჭოთა სიმბოლიკასთან მებრძოლმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ იმ ეპოქიდან სწორედ ეს ლოზუნგი წამოიღო („გასაკეთებელი რომ კიდევ ბევრია“, იმასთან ერთად) და ქართული მართლმსაჯულების გვირგვინადაც აქცია.**




# ნუ გაიღიმებთ, ჩიტი არ გამოფრინდება!

**აღიარებათა სერიალის მორიგი ეპიზოდი შინსახკომმა სულ ახლახან შემოგვთავაზა „ფოტორეპორტიორთა საქმის“ მაგალითზე. ოთხი დაკავებულიდან ერთი შინ გაუშვეს (შაჰინ აივაზოვი), მეორე ბრალდებას უარყოფს (ზურაბ ქურციკიძე), მესამემ მშრალი შიმშილობა გამოაცხადა (გია აბდალაძე), მეოთხემ კი (ირაკლი გედენიძემ) ბრალი აღიარა. ნათია გედენიძე კი გირაოს სანაცვლოდ სასამართლომდე გაათავისუფლეს.**

ხელისუფლებას კარგიც ხომ უნდა დაუნახო — სხვა თუ არაფერი, ცოლ-ქმრის ერთად დაპატიმრებას და ბავშვების უპატრონოდ დაყრას ცოლის გამოშვება არჩიეს. ჰუმანური საქციელია, მაგრამ სამი შვილის დედა — მაია თოფურია ჯერაც ციხეშია, მიუხედავად იმისა, რომ ბრალი არც მას ულიარებია. სიმართლე უფრო მარტივი და პროზაულია; ერთადერთი აღიარება, როგორც ჩანს, სწორედ მეუღლის გათავისუფლების პირობით მიიღეს ირაკლი გედენიძისგან.

აღიარებათა უკვე ნაჩვევ კასკადში საზოგადოებას ყურადღების მიღმა დარჩა თავად სააკაშვილის კომენტარი, რომელშიც დიდი სტალინის ანალოგიით („ჯარისკაცს ფელდმარშალში არ ვცვლი!“) მისი დაბადების დღეს დაბადებული სააკაშვილი ბრძანებს: **„ჩემი შვილიც რომ დაკავდეს ამით, დაე, დააკავონ ჩემი შვილიც, მაგრამ ეს არ არის პარანოია, ეს, უბრალოდ, კანონის უზენაესობაა და ყველას თანასწორუფლებიანობაა. ისაა, რომ ჩვენ საქართველოში მერიტოკრატია შევქმენით“.**

**ვენედიქტოვმა შეიძლება არც იცოდეს საქართველოში გამეფებული „კანონის უზენაესობისა“ და „თანასწორუფლებიანობის“ შესახებ. შესაძლოა, არც იმაზე ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რა მერიტოკრატია ჰყავს დღეს საქართველოს. იქნებ სწორედ ამიტომ ურჩევნია საქართველოს პრეზიდენტს უცხოეთიდან რამდენიმე დღით ჩამოსულ ჟურნალისტებთან ხანგრძლივი ინტერვიუები, ხოლო ქართველ ჟურნალისტებთან საუბარს გაურბის. განა რომელიმე ჩვენი ჟურნალისტი გაუშვებდა შანსს ხელიდან, ჩაჰკითხვოდა იმაზე, რასაც ასე იოლად აჯერებს აქაურობის არმცოდნე სტუმრებს?**



**ჟურნალისტური კორპუსი ღელავს და არცთუ უსაფუძვლოდ; თუ ფოტოგრაფია სამშობლოს ღალატი შეიძლება იყოს (?!), მაშინ ტექსტი ტერორისტულ აქტად შეიძლება შეფასდეს, ტერორისტებს კი ადგილზე ანადგურებენ**

თუმცა, ტერმინს „მერიტოკრატია“ მეტად საგულისხმო ისტორია და აწმყო აქვს და მას მოგვიანებით მივუბრუნდეთ, ახლა კი სააკაშვილის კომენტარს ჩავუღრმავდეთ. ეს რომ „პარანოია არ არის“, ამას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ფსიქიატრის კომპეტენციაში შეჭრის უფლებას თავს ვერ მივცემ. ვერც მისი შვილის (უცნობია, ედუარდს გულისხმობდა თუ ნიკოლოზს) შესაძლო დაკავებაზე ვისაუბრებთ, მით უფრო, რომ სააკაშვილის ვერსიით, მისი ძალიან ბევრი ნათესავი უკვე მოხვდა გამოძიების ქვეშ და მათ პრობლემები შეექმნათ. ბადრი ბიწაძის გარდა, მის რომელიმე ნათესავს რომ პრობლემა შექმნოდა, ამის შესახებ უთუოდ ინფორმირებული ვიქნებოდით.

ნუ დავწვრილმანდებით, გაცილებით მნიშვნელოვანია ის აღიარებითი ჩვენება, რომელსაც ამ ინტერვიუში თავად სააკაშვილი იძლევა: **„მისი** (იგულისხმება ირაკლი გედენიძე) **დაკავების შესახებ ნახევარი საათით ადრე გავიგე. აქამდე საქმე უკვე მზად იყო და ეს საჩვენებელია. ანუ, ესე იგი, უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა საქმე ჩემს გარეშეც მომზადდეს** და ეს სწორიცაა“.

ყურადღება მიაქციეთ: საქმე უკვე მზად ყოფილა (?!) და შემდგომ ფრაზაში **ც** ნაწილაკის ხმარება „ჩემს გარეშე“-სთან სწორედ საპირისპიროზე მიგვითითებს. **გამოდის, რომ, როგორც წესი, საქმეები მის გარეშე არ მზადდება, მაგრამ ათასში ერთხელ „შესაძლოა მის გარეშეც მომზადდეს“.** ვერაფერს იტყვი, ეს, ალბათ, ქართული „კანონის უზენაესობის“ ნაციონალური თავისებურებაა.

**ჟურნალისტური კორპუსი ღელავს და არცთუ უსაფუძვლოდ; თუ ფოტოგრაფია სამშობლოს ღალატი შეიძლება იყოს (?!), მაშინ ტექსტი ტერორისტულ აქტად შეიძლება შეფასდეს, ტერორისტებს კი ადგილზე ანადგურებენ.** არაო, ბრძანა ხელისუფლებამ, ფოტოები კი არა, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების ფოტოპირები გადასცეს დაკავებულებმა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურსო.

კეთილი და პატიოსანი, ჟურნალისტები არ არიან ვალდებული, მთელი ქართული კანონმდებლობა ზეპირად იცოდნენ, მაგრამ არც ერთ იურისტს არ დაუსვამს შეკითხვა: **რატომ არ არის დაკავებული პრეზიდენტის კანცელარიის თუნდაც ერთი მუშაკი, ვისაც სამსახურეობრივად ევალება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაცვა და სათანადო რეჟიმის უზრუნველყოფა?**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, იურისტი ნინო კალანდაძე საჯაროდ აცხადებს, რომ საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებზე ხელი მიუწვდება სამინისტროს აბსოლუტურად ყველა თანამშრომელს (ე.ი. ფოტორეპორტიორსაცო!). **რატომ არ აკავებენ კალანდაძეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის საჯაროდ გადაცემისთვის?** სპეცსამსახურები ხომ გვარიან ძალისხმევას ახმარენ იმ პირთა დადგენას, ვისაც შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებაზე! და მეორეც: **პარლამენტის წევრობაგამოვლილი მინისტრის მოადგილისთვის მეტისმეტი ხომ არ არის ქართული კანონმდებლობის არცოდნა?**

იურისტ ნინო კალანდაძისთვის უცნობია, რომ საქართველოს მოქმედი კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ 28-ე მუხლით პირდაპირ მოითხოვს: **„სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვის გასაცემად პირის შემოწმებას ერთი თვის ვადაში ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო“.**

იქვე ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ **შემმოწმებელი ორგანოს დასკვნის გათვალისწინება სავალდებულოა თანამდებობის იმ პირთათვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მიიღონ გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე.**

როგორც ირკვევა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს არ ანაღვლებს და საიდუმლო დოკუმენტებს, ვისაც არ ეზარება, ყველას აცნობს. თუმცა ნინო კალანდაძისა რა უნდა გაგვიკვირდეს, როცა მთელ ამ ისტორიაში ვერც ვანო მერაბიშვილის უწყება გამოიყურება კარგად. იმავე კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის კონტროლს უშუალოდ მას ავალებს: **„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, გააკონტროლოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოში, აგრეთვე, იმ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და საწარმოში, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება“.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ ამგვარი კონტროლი განეხორციელებინა, სახელმწიფო საიდუმლოებას „ნებისმიერი თანამშრომელი“ ვერ გაეცნობოდა და, თუ ეს მაინც მოხდებოდა, შესაბამისი სახელმწიფო მოხელე, სულ მცირე, სამსახურეობრივი გულგრილობისთვის მაინც უნდა მიეცათ პასუხისგებაში.**

თუმცა თავი დავანებოთ კანონებს. ისინი თვით კანონმდებელსა და მათ აღმასრულებელს არ აინტერესებს. მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებას აღარ სჯერა ამ „ჯაშუშური სერიალების“. **თვით თეა თუთბერიძეც კი იძულებული გახდა, ეთქვა, რომ ამდენი „მგელი, მგელის“ ძახილით მოსახლეობა ნამდვილი მგლის მოსვლასაც აღარ დაიჯერებს. დიახ, მასაც სააკაშვილივით წამოსცდა, „მართლა მგელი რომ მოვიდეს, აღარავინ დაიჯერებსო“!**

ნებისმიერმა ჟურნალისტმა იცის, ფოტორეპორტიორი ისეთ რეჟიმში ცხოვრობს, მას რომ იმ ღონისძიების შინაარსი ჰკითხო, რომელსაც იღებდა, ვერ მოგიყვება. მისი მთავარი ამოცანაა, არ დაკარგოს კადრი, აკრიფოს ვიზუალი და შემდეგ ღონისძიებაზე მიასწროს. ფოტო მეხსიერების დოკუმენტია, უფრო სწორად, დოკუმენტირებული მეხსიერებაა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ბევრს ეცადნენ, ეს მეხსიერება ამოეშანთათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ერთხელ, ბავშვობაში ნათესავთან წიგნებს ვათვალიერებდი. ერთ-ერთში უცნაურ სურათს გადავაწყდი: ჯგუფურ ფოტოებზე ზოგიერთი სახე მელნით იყო დაფარული. ამიხსნეს, რომ ეს ადამიანები „ხალხის მტრები“ აღმოჩნდნენ, ამიტომ ყველა ფოტოზე მათი სახეები ამოიშალა. უმჯობესი იყო, თავად ეს წიგნები აეკრძალათ, რადგან ზოგიერთ ფოტოზე იმდენი მელნით დაფარული სახე აღმოჩნდა, რომ სულ რამდენიმე კაციღა იცნობოდა. სიტყვამ მოიტანა და საბჭოთა რეჟიმიც კი არ ერჩოდა იმ ფოტოების გადამღებთ, რომელზეც „ხალხის მტრები“ აღმოჩნდნენ.

მშრალ შიმშილობაზე მყოფმა გია აბდალაძემ სააკაშვილს მიმართა: **„ბატონო მიხეილ, მეოთხე დღეა, თქვენი უშუალო ბრძანებით პატიმრობაში ვიმყოფები. ოთხი დღეა, ვფიქრობ, რამ გაგაღიზიანათ ასე და რისთვის გადაწყვიტეთ ჩვენი დასჯა. თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად იცით, რომ არც ერთ ჩვენგანს არაფერი დაგვიშავებია და მხოლოდ ჩვენს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდით. სწორედ ამისთვის ვისჯებით?! ბატონო მიხეილ! მე ერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ – თავს გავწირავ ჩემი სიმართლისა და თავისუფალი სიტყვის დასაცავად. აქედან ან ცოცხალი და მართალი გამოვალ, ან მკვდარი, მაგრამ მართალი!**

**სწორედ ეს გამოაფხიზლებს ქართულ მედიას, საერთაშორისო საზოგადოებას და ჩვენს ხალხს. მე მართალი ვარ!!! მე ჩემი ქვეყნის საზიანო არასოდეს არაფერი გამიკეთებია!!! ეს თქვენ ყველაზე უკეთ იცით!!!“.**

ეს სულისშემძვრელი წერილი სხვა ყველაფერთან ერთად იმაზეც მეტყველებს, რომ გია აბდალაძეს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლებას სიბრძნე შერჩენია. მერიტოკრატია, რომელსაც სააკაშვილი ახსენებდა, ერთგვარად უპირისპირდება არისტოკრატიასა და დემოკრატიას. მართვის ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყველაზე ნიჭიერი ადამიანები უნდა ინიშნებოდნენ, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა და ფინანსური მდგომარეობისა.

**„საყოველთაო თანასწორობის“ მომხრენი ვარაუდობენ, რომ მერიტოკრატია ბიუროკრატიას განდევნის და საზოგადოების სტრუქტურას შეცვლის. სააკაშვილმა სწორედ ამ იდეების აპოლოგეტი ნეოკონსერვატორების გასაგონად ამცნო მსოფლიოს, რომ საქართველომ ეს ამოცანა უკვე დაძლია. ასეთი გლობალური მიზნების მიღწევის გზაზე კი რა ფასი აქვს თუნდაც ოთხი ფოტორეპორტიორის სიცოცხლეს?**

**ნანა დევდარიანი**

**P.S. პირველად ტერმინი მერიტოკრატია ინგლისელმა სოციოლოგმა მაიკლ იანგმა გამოიყენა 1958 წელს ანტიუტოპიაში „მერიტოკრატიის აღზევება 1870-2033“. მის მიერ აღწერილ ფუტურისტულ საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობას მისი ინტელექტის კოეფიციენტი განსაზღვრავს. წიგნში ეს სისტემა რევოლუციას იწვევს: ხალხი ამხობს მისგან იზოლირებულ, ცინიკურ ელიტას.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ნებისმიერი მმართველი ყოველთვის ვალდებული იქნება მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ეკლესიის პოზიცია გაითვალისწინოს. ეს გარემოება კი მუდამ შეუშლის ხელს უცხოელ მანიპულატორებს იმაში, რომ იგი „იდეალურ მარიონეტად“ გადააქციონ. აგრეთვე, მათ გაუჭირდებათ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს შორის დაპირისპირების გაღვივება და, შესაბამისად, მათი იოლი მართვა, დაახლოებით ისე, როგორც ეს ლიბანში მოხდა.**



# რა უნდათ ამერიკელებს ჩვენი ეკლესიისგან?



**აშშ-ის საელჩომ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის წინააღმდეგ ქართული ეკლესია და საზოგადოების უდიდესი ნაწილი გამოვიდა. „საელჩო მიესალმება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, შეასწოროს ბევრი რელიგიური აღმსარებლობისა და კონფესიის იურიდიული სტატუსი,“ — ნათქვამია საელჩოს ვებგვერდზე 7 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში. საინტერესოა, რომ ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე, 6 ივლისს, ამავე თემაზე სულ სხვა შინაარსის კომენტარი გაკეთდა; როგორც „პირWელს“ საელჩოში განუცხადეს: „ეს ქვეყნის შიდა საქმეა, თანაც საკმაოდ სენსიტიური საკითხი. ამდენად, ამერიკის საელჩო ამაზე კომენტარს ვერ გააკეთებს“.**

თუმცა ამ განცხადებიდან სულ რაღაც 24 საათში ამერიკელები ვერც „საკითხის სენსიტიურობამ“ დააბრკოლა, ვერც იმან, რომ ის აშკარად საქართველოს შიდა საქმეებს მიეკუთვნებოდა. რა მოხდა ასეთი ამ ერთი დღის განმავლობაში?

ეშმაკი დეტალებშია და ყურადღება, ალბათ, ერთ ნიუანსს უნდა მივაქციოთ. გადაწყვეტილება, რამაც რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება შესაძლებელი გახადა, პარლამენტმა 5 ივლისს მიიღო. შესაბამის კანონს, სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, მიხეილ სააკაშვილმა ხელი პრაქტიკულად დაუყოვნებლივ მოაწერა (ეს იმავე დღეს, ან მაქსიმუმ 6-ში, დღის პირველ ნახევარში მოხდა). თუმცა ეს მეორე ფაქტი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ 7 ივლისს გახდა. საპატრიარქო და საზოგადოების წარმომადგენლები 6-შიც და 7-შიც მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებდნენ, კანონის მიღება შეეჩერებინა (ვეტოს უფლება გამოეყენებინა); მათ არ იცოდნენ, რომ სააკაშვილს კანონზე ხელი უკვე მოწერილი ჰქონდა.

**ძნელი დასაჯერებელია, რომ საელჩო არ ფლობდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სააკაშვილმა დოკუმენტს ხელი მოაწერა ან ამის გაკეთებას რამდენიმე საათში აპირებდა. მაგრამ თუ ამერიკელები პარლამენტის გადაწყვეტილებას 6-ში მიესალმებოდნენ, ამას, ძალიან დიდი ალბათობით, საზოგადოების ისეთივე მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა, როგორიც აშშ-ის ელჩის 25 მაისის განცხადებას; მაშინ კომენტატორების დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ჯონ ბასმა სააკაშვილს მიტინგის დარბევაზე „მწვანე აუნთო“. ამგვარად, ამერიკელი დიპლომატები დაელოდნენ სააკაშვილის მიერ კანონის ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას და პოზიცია მხოლოდ ამის შემდეგ დააფიქსირეს. საბოლოო ჯამში, აბსურდული შედეგი მივიღეთ: 6 და 7 ივლისის განცხადებები ერთმანეთს აშკარად ეწინააღმდეგება.**

თუმცა ეს დეტალებია, **მთავარი კი ისაა, რომ აშშ-ის საელჩომ, სააკაშვილის პარლამენტის გადაწყვეტილებას მხარი სწორედ იმ მომენტში დაუჭირა, როდესაც საპატრიარქო და ქართველი მართლმადიდებლები მას აქტიურად აპროტესტებდნენ;** ამოსავალი წერტილი, ალბათ, სწორედ ეს არის.

საქართველოში სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა მშვიდობიანი თანაცხოვრება ათასწლეულების განმავლობაში გრძელდება. **ერთმანეთის პატივისცემა, სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა მათ შორის ურთიერთობის ნორმად გაცილებით ადრე იქცა, ვიდრე ჯორჯ ვაშინგტონი ცხენს შეაჯდა და ქრისტეფორე კოლუმბი ხიდან გადმოვარდა. საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა საქართველოს ხელისუფლებისა და ეკლესიის თანაარსებობისა და თანამშრომლობის ფორმები, ნებისმიერ გარე (თუნდაც ლამაზად შეფუთულ) ჩარევას ამ ურთიერთობებში ქართული საზოგადოება ყოველთვის ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფად განიხილავდა.**

თუ ამ სიტუაციას უცხო იმპერიის გადასახედიდან განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ის მენეჯმენტთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნის. **საქართველოს ნებისმიერი მმართველი ყოველთვის ვალდებული იქნება მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ეკლესიის პოზიცია გაითვალისწინოს. ეს გარემოება კი მუდამ შეუშლის ხელს უცხოელ მანიპულატორებს იმაში, რომ იგი „იდეალურ მარიონეტად“ გადააქციონ.** აგრეთვე, მათ გაუჭირდებათ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს შორის დაპირისპირების გაღვივება და, შესაბამისად, მათი იოლი მართვა, დაახლოებით ისე, როგორც ეს ლიბანში მოხდა.

ბოლო ორმა თვემ საქართველოში „ხიდების დაწვის“ ნიშნით ჩაიარა, დაპირისპირება ხელისუფლებასა და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის იზრდებოდა. მაგალითად, **26 მაისის შემდეგ, ბევრ ადამიანს აბსოლუტურად აღარ აინტერესებს, რას იტყვის ან გააკეთებს სააკაშვილი, რადგან მასთან სალაპარაკო აღარაფერი აქვთ; მათსა და ხელისუფლებას შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა, კომუნიკაცია შეწყვეტილია, ორმხრივი სიძულვილის გარდა სხვა გრძნობები აღარ დარჩა. 26 მაისმა მკვეთრად შეამცირა ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოებრივ აზრზე, ამომრჩევლის განწყობაზე; რადგან იმ დღეს მან პრინციპული არჩევანი გააკეთა და სამომავლო საყრდენად ხიშტები (ხელკეტები) აირჩია.**

**კიდევ ერთი (ალბათ, გაცილებით დიდი) უფსკრული ივლისის დასაწყისში გაჩნდა. ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე მართლმადიდებელს ოდესმე სააკაშვილისთვის ხმის მიცემის ან მისი მოსმენის სურვილი გაუჩნდეს მას შემდეგ, რაც მან პატრიარქის პოზიცია ასე დემონსტრაციულად უგულებელყო.**

ასეთი „უფსკრულების“ სწრაფი გაჩენა ხელისუფლების საზოგადოებისგან დისტანცირებაზე, მის იზოლირებაზე მიანიშნებს. რაც უფრო „თავისუფლდება“ სააკაშვილი საზოგადოებისგან (და მასთან ურთიერთობით გამოწვეული შეზღუდვებისგან), მით უფრო მიბმული ხდება ის უცხოურ, უპირველესად, ამერიკულ მხარდაჭერაზე, ისევე, როგორც ტოტიდან მოწყვეტილი ფოთოლი ქარზე დამოკიდებული ხდება. **დღეს სააკაშვილი, სავარაუდოდ, უკვე ისეთ მდგომარეობაშია, რომ დასავლელ პარტნიორებს შეუძლიათ ხელი ნებისმიერ, მათ შორის კატასტროფულ გადაწყვეტილებაზე მოაწერინონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკურ სანაგვეზე იოლად მოისროლონ (ერთი მეორეს არ გამორიცხავს).**

ამასთანავე, საპატრიარქო, პრაქტიკულად, ერთადერთი ინსტიტუტია ქვეყანაში, რომელზეც უცხოურმა „მენეჯმენტმა“ კონტროლის დამყარება ვერ მოახერხა; ის დღემდე „აუღებელი ციხესიმაგრეა“. ამ კონტექსტში გარკვეული ძალების მიერ სააკაშვილის პატრიარქის წინააღმდეგ „ამხედრების“ ხელშეწყობა სავსებით ლოგიკური ჩანს.

მზადება ამ შეტევისთვის (უფრო სწორედ „დიდი შეტევის“ ამ ეტაპისთვის), სავარაუდოდ, საკმაო ხნის წინათ დაიწყო. „კარნეგის ფონდის“ წამყვანი ექსპერტი თომას დე ვაალი, რომლის პუბლიკაციებში გატარებული აზრები, როგორც წესი, ოდნავ წინ უსწრებს სააკაშვილის ხელისუფლების შესაბამის პოლიტიკურ ნაბიჯებს, 27 იანვარს The National Interest-ში წერდა: **„პატრიარქმა პოლიტიკაშიც შეაბიჯა, მაგალითად მან საქართველოს განათლების სადავო მინისტრი დიმიტრი შაშკინი გააკრიტიკა. რუსეთში, მთელი მისი ძლევამოსილების მიუხედავად, წარმოუდგენელია, რომ პატრიარქი მმართველ ელიტას საკვანძო პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დაუპირისპირდეს. საქართველოში ახლა ეს შესაძლებელია და პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს აღმოაჩინა, რომ ჰყავს ერთი პოტენციური კრიტიკოსი, რომელიც თავად კრიტიკაზე მაღლა დგას“.**

დე ვაალის ეს წერილი, **„პატრიარქების გაზაფხული“,** თითქოსდა განგებ ისე იყო შედგენილი, რომ სააკაშვილზე გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა. მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ პატრიარქის **„გამაოგნებელი რეიტინგი“** ბევრად აღემატება სააკაშვილის რეიტინგს; ხაზი გაესვა იმას, რომ პოლიტიკოსებს ამ **„ძლევამოსილ სიმბოლოსთან“** (პატრიარქებთან საქართველოსა და რუსეთში) **„ასოცირება სჭირდებათ“,** ხოლო პატრიარქები **„ამ ვითარებას თავისი პოლიტიკური მიზნების გასატარებლად იყენებენ“.** ამასთანავე, დე ვაალი კიდევ ერთ, ერთობ პროვოკაციულ თემას შეეხო. მან დაწერა, რომ საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები ერთმანეთთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ და იქვე დასძინა: **„მოსკოვის პატრიარქი „ახლო საზღვარგარეთში“, ალბათ, რუსეთის რბილი ძალის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია“.**

**სააკაშვილის პროვოცირებასა და ჭკუიდან გადაყვანას მეტი რაღა უნდოდა? მაგრამ ნუ წარმოვიდგენთ, რომ თომას დე ვაალი ერთგვარი „დემონია“, რომელიც სააკაშვილს აცდუნებს, მას, უბრალოდ (ნაწილობრივ), სააშკარაოზე გამოაქვს ის აქტუალური თემები, რომლებზეც საქართველოს მმართველები და მათი ანგლო-ამერიკელი პარტნიორები, სავარაუდოდ, კულუარებში საუბრობენ.**

ივნისში კი ამავე ექსპერტმა გამოაქვეყნა მოხსენება საქართველოზე, სადაც ერთი ძალიან უცნაური პასაჟი იყო, **„ანგარიშში სპეციალური სამკუთხედი მაქვს მოცემული, სადაც საქართველოს განვითარების მოდელები მაქვს ასახული. პირველი — ეს არის ე.წ. სინგაპურის ლიბერტარიანული მოდელი; მეორეს, პირობითად, „ძველ საქართველოს“ ვუწოდებ: იდეა ის არის, რომ საქართველომ უცხო ქვეყნების გავლენის გარეშე, საკუთარი რესურსების მობილიზებით უნდა იცხოვროს. ამ მოდელს შესაძლოა კულტურული თვალსაზრისით პატივი ვცეთ; სწორედ ეს მოდელი ითვალისწინებს ქართული ეკლესიის ძლიერებასა და პატივისცემას; და მესამე, ეს არის საქართველო ევროკავშირის კონტექსტში: სწრაფვა ევროპული ღირებულებებისა და ევროპული ბაზრისკენ. ვფიქრობ, ეს სამი მოდელი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება“,** — განუცხადა დე ვაალმა „ინტერპრესნიუსს“.

გაუგებარია, რატომ გამორიცხავს მეორე ვარიანტი მესამეს: იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, საბერძნეთი და მთელი რიგი სხვა ქვეყნებისა მშვენივრად არსებობენ „ევროკავშირის კონტექსტში“ ეკლესიის „ძლიერებისა და პატივისცემის“ პირობებში. **გაუგებარია ისიც, თუ რატომ უკავშირდებს დე ვაალი „მეორე ვარიანტს“, რაღაც გაურკვეველ იზოლაციონიზმს, რომელიც საქართველოსთვის დამახასიათებელი არასოდეს ყოფილა, არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და არც კულტურული თვალსაზრისით; „ცხოვრება უცხო ქვეყნების გავლენის გარეშე“ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას ჩვენი ქვეყნისთვის არასოდეს ნიშნავდა.** თუმცა თომას დე ვაალისთვის იმ დღეს, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო (ქართველი პოლიტოლოგების წინაშე გამოდიოდა), დაეფიქსირებინა „რადიკალური სხვაობა“, შეუთავსებლობა „მეორე“ და დანარჩენ ვარიანტებს შორის. ამასთანავე, ძალზე საგულისხმოა, სიტყვა „ძველის“ გამოყენება („ძველი საქართველო“). ამ სიტყვას ანგლო-ამერიკულ პოლიტიკურ ტრადიციაში საინტერესო დატვირთვა აქვს.

პირველად პოლიტიკაში „ძველსა“ და „ახლს“ შორის მკაფიო ზღვარის გავლება საფრანგეთის რევოლუციის დროს მოხდა; Ancien Regime-ს, („ძველ რეჟიმს“, „ძველ წყობას“) ყველა უბედურების პირველწყაროდ წარმოაჩენდა. შტატებში კი იმავე ზღვარის გავლებისთვის, გილიოტინის გამოყენება საჭირო არ გამხდარა, იქ I მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო დისკუსია იმის თაობაზე, განვითარების რა გზას უნდა დაადგეს ქვეყანა; სწორედ მაშინ მედიაში შემოგდებულ იქნა სლოგანი New Era და დაფიქსირდა მიჯნა „ძველ“ და „ახალ“ ერას შორის (ამ „ახალს“ ადამიანები, ცხადია, აღიქვამდნენ როგორც „ჩვენს“ და საკუთარ მომავალს მას უკავშირებდნენ).

ლიბერალური ღირებულებები ეჭვქვეშ მაშინ არავის დაუყენებია, თუმცა საუბარი ერთბაშად სამი ტიპის ლიბერალიზმზე დაიწყო: new, old და false (ახალი, ძველი და ცრუ), მაგავსი რამ სხვა სფეროებთან დაკავშირებითაც მოხდა, მაგალითად, „ახალი დიპლომატია“, „ახალი ხელოვნება“, ეკონომიკა, მორალი და თავისუფლებაც კი. **სიტყვა „ახალი“ შენიღბვის მშვენიერ შესაძლებლობას ქმნიდა, ასე, რუზველტის „ახალი კურსის“ (New Deal, New Course) ბევრი რეფორმა არსით სოციალისტური იყო, თუმცა „სოციალისტურის“ ნაცვლად (ამ სიტყვას ტაბუ ედო), მთავრობა მას, უბრალოდ, „ახალს“ უწოდებდა. თანდათან სიტყვა „ახალი“ კარგისა და პროგრესულის სინონიმად იქცა, ხოლო „ძველი“ — დრომოჭმულისა და ცუდის, რაც პოლიტიკოსებისთვის ძალზე კომფორტული იყო.** ცხადია, რეალობასთან ამას საერთო არაფერი ჰქონდა: დაახლოებით იმავე პერიოდში ფაშიზმი სრულიად ახალი მოვლენა იყო, თუმცა „კარგს“ მას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ (ისე, თავის დროზე იგივე რუზველტი მუსოლინის „აღტაცების ღირს“ ადამიანად იხსენიებდა, თუმცა რას ვიზამთ, შეცდომა ყველას მოსვლია). New-ს მოხერხებული გამოყენება პოლიტიკურ რიტორიკაში ჩვენს დროშიც გრძელდება.

თომას დე ვაალმა კი საქართველოს მომავლის(!) ერთ-ერთ მოდელს, რომელიც „ქართული ეკლესიის ძლიერებასა და პატივისცემას ითვალისწინებს“, „ძველი საქართველო“ უწოდა. ეს, ალბათ, საკმაოდ მკაფიო სიგნალი იყო იმ პოლიტოლოგებისთვის, რომლებიც მის გამოსვლას უსმენდნენ.

**გამორიცხული არაა, რომ საკმაოდ სერიოზული ძალები აპირებენ, ხელი შეუწყონ ქართული საზოგადოების ცხოვრებაში ეკლესიის როლის მკვეთრ შეზღუდვას;** სააკაშვილის ხელისუფლების გალაშქრება საპატრიარქოს წინააღმდეგ (ძნელია, მის ბოლოდროინდელ ქცევას სხვა სახელი მოუძებნო), ალბათ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. **ვითარება, შესაძლოა, გაცილებით დრამატულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და მთელი რიგი საფრთხეებისა გამოაშკარავებული ჯერაც არ არის.**

ყოველივე მომხდარი, საკმაოდ დიდი ალბათობით, მხოლოდ დასაწყისია და შეტევის ახალი ეტაპი სულ მალე დაიწყება.



ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე მართლმადიდებელს ოდესმე სააკაშვილისთვის ხმის მიცემის ან მისი მოსმენის სურვილი გაუჩნდეს მას შემდეგ, რაც მან პატრიარქის პოზიცია ასე დემონსტრაციულად უგულებელყო.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმის შემდეგ, რაც რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტი სირბილით გაატარეს პარლამენტიდან პრეზიდენტის რეზიდენციამდე, მისთვის ხმის არმიმცემმა დავით ბაქრაძემ დაგვამშვიდა: „სანამ არსებული ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია, ქართულ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმება არ გადაიხედება და მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული უფლებები ექნება“. პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მან ისიც განაცხადა, რომ საქართველოში არსებობს ძირითადი ფუნდამენტალური ღირებულება — ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.**

# ბაქრაძემ მრევლი დააშანტაჟა!

## თუ არ გინდათ, კონსტიტუციური შეთანხმება გაუქმდეს, ჩვენ უნდა ვიყოთ ხელისუფლებაშიო!



წვრილი შრიფტით აკრეფილი სუბტიტრების ყურებით დაქანცული ჩვენი მოსახლეობა ვეღარც ფილმებს ადევნებს თვალს და ვერც იმ ტენდენციებს მიჰყვება, რომლებიც გულდაგულ შენიღბა ჩვენმა ხელისუფლებამ. ერთმანეთს მიყოლებული აბსურდული გადაწყვეტილებების სისტემაში მოქცევა იმიტომაც ჭირს, რომ შერლოკ ჰოლმსის მარტივი მეთოდია ამოქმედებული: თუ გინდა რაიმე გადამალო, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე უნდა დადო.

საზოგადოება 5 ივლისიდან ღელავს. ხელისუფლებამ არც რელიგიური ორგანიზაციებისთვის სტატუსის მინიჭების სტახანოვური გრაფიკით განხილვა შეაჩერა და არც 7 ივლისს შეუხრია წარბი, როცა პატრიარქმა პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენება სთხოვა. ნაციონალური ტელევიზიების გვარდიამ უტიფრად გვამცნო, რომ პრეზიდენტს წინა საღამოს, 6 ივლისს, სასწრაფოდ მოუწერია ხელი კანონისთვის.

მოვლენათა დინამიკა ასე გამოიყურება: **1 ივლისს, პარასკევს, საგაზაფხულო სესიის დახურვის დღეს, პარლამენტმა ისეთი სიჩქარით მიიღო ეს კანონპროექტი პირველი მოსმენით, რომ არც საკომიტეტო მოსმენები გაუმართავს და არც კვალიფიციური იურისტებისთვის უკითხავს რჩევა. კენჭი უყარეს აშკარად დისკრიმინაციულ დოკუმენტს, რომელიც მხოლოდ ხუთ რელიგიურ ორგანიზაციას აძლევდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრაციის უფლებას. პატრიარქის თხოვნის მიუხედავად, პრეზიდენტმა რიგგარეშე სესია მოიწვია და 5 ივლისს ცვლილებები მეორე-მესამე მოსმენით სასწრაფოდ მიიღეს.**

ეს რომ შემთხვევითობა არ არის, ადვილად დავრწმუნდებით, თუკი ორიოდე კვირით ადრე ასეთივე დამკვრელური გრაფიკით მიღებულ სხვა კანონპროექტს გავიხსენებთ. ოპოზიციურ „რვიანთან“ ჩიხში შესული მოლაპარაკების ფონს გასაყვანად პალიკო კუბლაშვილმა ასევე პარასკევს, საღამოს მიართვა პარტიებს ხელისუფლების საბოლოო წინადადებები და ვადა ორშაბათამდე დაუთქვა. ორშაბათს, დილით „ახალი მემარჯვენეები“ ტყვედ ჩაბარდნენ.

აქ კიდევ ერთი ანალოგია გეჩხირება თვალში: ამ შემთხვევაშიც მმართველმა პარტიამ აშკარად ანტიკონსტიტუციური და დისკრიმინაციული დოკუმენტი შექმნა. შეთანხმებით განსაზღვრული პუნქტები მხოლოდ მის ხელმომწერ სუბიექტებს უნდა შეხებოდა. ორშაბათის კაპიტულაციის შემდეგ „შეცდომა“ გაასწორეს. ცვლილებები ყველა საარჩევნო სუბიექტზე გავრცელდა.

„შეცდომა“ რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებითაც „გაასწორეს“ და თავდაპირველად 5 ორგანიზაციისთვის მიღებული ცვლილებები ყველა დანარჩენსაც შეეხო, თუმცა იმ 5 ორგანიზაციას მივუბრუნდეთ. **კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი უნდა მინიჭებოდა იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომელთაც „გააჩნიათ მჭიდრო ისტორიული კავშირი საქართველოსთან, კერძოდ: რომაულ კათოლიკურ ეკლესიას, სომხურ სამოციქულო ეკლესიას, მუსლიმანთა და იუდეველთა თემებს, ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიას“.**

**სიჩქარესა და ვნებათაღელვაში არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ ამ ჩამონათვალში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ნახსენებიც არ იყო, თუმცა ბაპტისტურ ეკლესიაზე გაცილებით უფრო ხანგრძლივი, „მჭიდრო ისტორიული კავშირი გააჩნია საქართველოსთან“.** საკანონმდებლო ბაქანალიამ ასევე გადაფარა სხვა მნიშვნელოვანი საკითხი; **შარშან, ზაფხულში** (ოჰ, ეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ნოვაციებით გაჯერებული ცხელი ზაფხულები!) **რამდენიმე რუსული სკოლა დაიხურა, მაგრამ მშობლები იმით დაამშვიდეს, რომ ბავშვები ქართულ სკოლებში სახელდახელოდ შექმნილ რუსულ სექტორზე გადაიყვანეს. ამავე დროს, გასულ სასწავლო წელს რუსულ სექტორზე პირველკლასელები უკვე აღარ მიიღეს.**

ამ ზაფხულს კი ცნობილი გახდა, რომ რუსული სექტორიც გაუქმდა და ბავშვები ქართულენოვან სწავლებაზე გადაიყვანეს. მასწავლებლებს საგნების ქართულ ენაზე სწავლება დაავალეს, ხოლო ვინც, მაგალითად, ფიზიკას ან მათემატიკას რუსულენოვან მოსწავლეებს ქართულად ვერ ასწავლის, სამსახურს დაკარგავს. ინგლისური ენა პირველი კლასიდან სავალდებულო გახდა, ხოლო რუსულ ენას, როგორც მეორე უცხო ენას, მეშვიდე კლასიდან შეისწავლიან, თუმცა არჩევანი აქაც არის: ან რუსულს ისწავლი, ან გერმანულს, ოღონდ კვირაში ორ გაკვეთილზე.

**„ჩვენ არა ვართ რუსული ენის წინააღმდეგი. თუ ხვალ რუსული ენა საყოველთაო ურთიერთობის ენა გახდება, თუ ყველასთვის — ჩინელების, ნორვეგიელების, ამერიკელებისთვის აუცილებელი იქნება რუსული ენის ცოდნა წარმატების მისაღწევად, ჩვენც ვისწავლით რუსულს. ამიტომ იმ ენაზე გადავალთ, რომელიც წარმატების მისაღწევად მეტ შესაძლებლობას მოგვცემს,“** — განაცხადა სააკაშვილმა. შემდეგ ისიც დაამატა, რომ არ უყვარდა საბჭოთა კავშირი და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სსრკ საქართველოში არ დაბრუნდეს.

**რატომ არ უყვარდა სააკაშვილს საბჭოთა კავშირი, როცა მისი ბებია-ბაბუები დღეს ეგზომ საძულველი საბჭოთა პროფესურის წარმომადგენლები იყვნენ და მაშინდელი ყველა პრივილეგიით სარგებლობდნენ, როცა დედა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი იყო, ხოლო ბიძა – საბჭოთა სუკის ჩინოსანი, როცა უკრაინის სსრ-ში საერთაშორისო ინსტიტუტში სწავლობდა, ხოლო საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარში ფიცს რუსულ ენაზე დებდა?**

თუმცა „ძაღლ იყოს მისი მკვდრისასა“, — რაღა დროს ოცი წლის წინათ გარდაცვლილი სესერეკაა, ჩვენ ჩვენს ცხვრებს მივხედოთ! უკვე მივხედეთ: ცხვარი არაბებმა გაზიდეს საქართველოდან; ღორი გაწყდა, როცა რამდენიმე წლის წინათ შემოტანილი ვაქცინებით აცრა მოსახლეობამ (ვინც ვერ აცრა, ღორები გადაურჩა!). სამაგიეროდ, შემოტანილი გაყინული ღორის ხორცით იხეირეს იმპორტიორებმა. ძროხის შენახვა გლეხს აღარ უღირს: ურჩევნია, პირდაპირ ხარკი უხადოს ცეზარ ჩოჩელს.

ქართველი ებრაელები საბჭოთა წლებშიც მხოლოდ ხახამის დაკლულ ხორცს მიირთმევდნენ. წესს არავინ არღვევდა. ვინ დანიშნა ჩოჩელი ქართველების ხახამად, გაუგებარია. ან რატომ არის მხოლოდ მის „ბოინში“ დაკლული ხორცი ჩვენთვის ქაშერი? და რატომ უნდა უხადოს კილოგრამზე 1,20 ლარი გლეხმა, როცა თავფეხს, ფაშვსა და ტყავს ისედაც ცეზარი იტოვებს? რამზესს (მისი შვილის სახელია) გაფიცებ, რა დაგიშავეს ქართველებმა?

ბიბლიური პატრიარქები რამდენიმე ასეულ წელიწადს ცოცხლობდნენ, ვიდრე წარღვნის შემდეგ უფალმა ადამიანებს ხორცით კვების უფლება არ დართო. ამბობენ, რომ ნოეს შემდეგი თაობების სიცოცხლე ამიტომ გახდა ასეთი ხანმოკლე. იქნებ ჩოჩელი ჩვენს დღეგრძელობაზე ზრუნავს? პეტრეპავლობას გახსნილდა და ხორციც ამან გამახსენა, ალბათ. თუმცა არც სულიერ საზრდელში გვაქვს საქმე უკეთ.

იმის შემდეგ, რაც რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტი სირბილით გაატარეს პარლამენტიდან პრეზიდენტის რეზიდენციამდე, მისთვის ხმის არმიმცემმა დავით ბაქრაძემ დაგვამშვიდა: **„სანამ არსებული ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია, ქართულ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმება არ გადაიხედება და მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული უფლებები ექნება“.** პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მან ისიც განაცხადა, რომ **საქართველოში არსებობს ძირითადი ფუნდამენტალური ღირებულება — ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.**

გაიხარეთ! ახლა მარტო იმათ აღარ დაუძახებენ ფუნდამენტალისტებს, ვინც მართლმადიდებლობას ბაქრაძის მეგობრებისგან იცავდა! თუმცა აქ სხვა რამ არის საყურადღებო: **ბაქრაძემ მრევლი დააშანტაჟა, — თუ არ გინდათ, კონსტიტუციური შეთანხმება გაუქმდეს, ჩვენ უნდა ვიყოთ ხელისუფლებაშიო! ალალი, ბიჭებო!**

სინოდის სხდომის გადაწყვეტილების მომლოდინე მრევლიც და წინა დღეებში საპროტესტო აქციაზე გამოსული ადამიანებიც სხვადასხვა იმედით იყვნენ, მაგრამ ყველაზე უკეთ სათქმელი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა მითხრა: **მე აქ მართლმადიდებლობის გამო კი არ მოვედი, ეროვნული გრძნობა შემიგინესო. ეროვნული და მართლმადიდებლური იმდენად შერწყმულია ქართველებში, რომ ერთი მეორეს ნიშნავს, თუმცა მხოლოდ წინა საუკუნეში გატოლერანტებულ ევროპელებს ამას ვერ აუხსნი. იქ ხომ რჯულსაც და ენასაც მორიგი ჰერცოგი „უნიშნავდა“ ხალხს. მამულს რაც შეეხება, ევროპის საზღვრები იმდენჯერ მიიჭრ-მოიჭრა გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ, რომ მათთვის არც აფხაზეთის გამო წუხილია გასაგები და არც — ოსეთის.**

ერთხელ სტრასბურგში კარგა მოზრდილი ჯგუფი ვიყავით ჩასული. გვიან საღამოს ტრამვაიში ჩავსხედით, მაგრამ გზა აგვერია. ვატმანს ხან ინგლისურად ვკითხეთ, ხან ფრანგულად, მაგრამ ჩვენკენ არც მოუხედავს, ვიდრე ერთი ახალგაზრდა არ მივიდა და ყურში რაღაც არ ჩასჩურჩულა. გახარებულმა ვატმანმა ხუთიოდე წუთში გაგვიჩერა და ჩვენი სასტუმროსკენ მიმავალი გზა აჩვენა იმ ახალგაზრდას. ჩამოვედით თუ არა, ყველამ ის ვიკითხეთ, თუ რა უთხრა ამ ბიჭმა ასეთი მანამდე სფინქსივით მდუმარე ვატმანს.

— ის ვკითხე, რაც ყველას გვაინტერესებდა, ოღონდ გერმანულადო, — გვიპასუხა მან და სიცილით დაამატა, — ასე მითხრა, რაკი ამ ჩემს გერმანულ მიწაზე გერმანულად დამელაპარაკე, ლიანდაგიდანაც რომ დამჭირდეს ტრამვაის გადაყვანა, სასტუმრომდე მაინც მიგიყვანო!

**ნურავის ჰგონია, რომ პოლიტკორექტულად დადუმებულ ევროპაში პატრიოტები ან მორწმუნეები არ არიან. არიან, მაგრამ საკუთარ გულს ასკდებიან. ერთხელაც, შარშან, თვით გერმანიის კანცლერმა თავი ვეღარ შეიკავა და მკვახე განცხადება გააკეთა: „ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გერმანულად არ ლაპარაკობს, ჩვენთვის არასასურველია“.** სტრასბურგელმა ვატმანმა მას რამდენიმე წლით დაასწრო ამის თქმა. შემდეგ მერკელმა ისიც გაიხსენა, რომ 60-იანი წლების დასაწყისში გერმანია უცხოეთიდან მუშახელს იწვევდა: **„დღეს ისინი ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ. ჩვენ თავს ვიტყუებდით, ვამბობდით, რომ ოდესმე ისინი წავლენ, მაგრამ სულ სხვანაირად გამოვიდა“.**

**ნურავინ გაღიზიანდება, თუ ქართველებსაც აღარ უნდათ თავის მოტყუება, არც ჩოჩელის დაწესებული მარხვა უნდათ და არც გარეგინ II-ს შეკვეთილი კანონები.**

პატარაობისას რომ დამაცემინებდა, ბებია მეტყოდა, — წყალობაო! კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაპრების შიშით ამ დალოცვის პირველ სიტყვას გულში ამბობდა, სრულად კი ახლა უკვე მე ვლოცავ ჩემს შვილიშვილს: **ღვთის წყალობა!**

მოკლედ

## 20 ეპისკოპოსი 17-ის წინააღმდეგ

**11 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა წმინდა სინოდის სხდომა, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უძღვებოდა.** სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოს პარლამენტის მიერ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები. არაოფიციალური ინფორმაციით, ხელისუფლების პოზიცია გაიზიარა სინოდის წევრმა 20-მა ეპისკოპოსმა. 17 ეპისკოპოსმა, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქმა არ მოიწონა ხელისუფლების მიერ სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების დაკანონება.



## თამაშდება ბავშვი

**დიდ ბრიტანეთში ივლისის ბოლოს გათამაშდება ლატარეა, გამარჯვებული ბავშვს მოიგებს. გათამაშების მესვეურებმა სახელმწიფოსგან ლიცენზია უკვე მიიღეს. ბილეთის ფასი 20 ფუნტია.** გამარჯვებულს საშუალება ექნება ბავშვი ან ხელოვნური განაყოფიერების, ან სუროგატი დედის დახმარებით გააჩინოს. მას უმაღლესი დონის სამედიცინო კლინიკა მოემსახურება. გათამაშებაში ყველა სექსუალური ორიენტაციის ადამიანს შეეძლება მონაწილეობა, მათ შორის — მარტოხელებსაც.

„საწყის ეტაპზე სომხებმა 6 ეკლესია სიმბოლურად მოითხოვეს, ისე კი, 650 ეკლესიის დაპატრონება აქვთ გადაწყვეტილი, რაც სომხური იდეოლოგიის გატარების მყარი საფუძველი იქნება. ეს არის მოსამზადებელი ნიადაგი, რომ ბოლოს საქართველო სომხურ პოლიტიკურ ერთეულად აქციონ და ბათუმში ზღვაზე გასასვლელი მოიპოვონ. ჯავახეთი სააკაშვილმა სომხებს თითქმის უკვე გადაულოცა, ახლა ჯერი თბილისზეა. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანაც“.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ალექსანდრე აბდალაძე:

# ეს მხოლოდ დასაწყისია, მალე მთელი აღმოსავლეთ საქართველო აფხაზეთის ბედს გაიზიარებს...

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე აბდალაძე რელიგიური კონფესიის შესახებ მიღებულ ახალ კანონს აპროტესტებს და საქართველოს პრეზიდენტს — მიხეილ სააკაშვილს სომხური საქმეების შემსრულებლად აცხადებს. აღნიშნული კანონის საფუძველზე იგი საქართველოს კატასტროფულ მომავალს „უწინასწარმეტყველებს“. აქვე, ალექსანდრე აბდალაძე თავის ახალ წიგნზეც „სომხების პრობლემა საქართველოსთვის“ ისაუბრებს.**






— ყველა სომხური ეკლესია საქართველოში უკანონოა. სააკაშვილმა კი მათ საუკუნეების წინანდელი ოცნება აუსრულა და სომხურ ეკლესიას დღეს პრივილეგიები მიანიჭა.

ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: არ არსებობს „ნასომხარი“, არ არსებობს არც ერთი გაქართველებული სომეხი, რომელიც ქართულ ეროვნულ საქმეს აკეთებდეს, რადგან სომეხი სომეხია და ის ყოველთვის სომხურ საქმეს აკეთებს; ყველა სომეხი, რომელიც „ქართველობს“, იღებს ქართულ გვარს, ამას აკეთებს ერთადერთი მიზნით — ავნოს და დააზიანოს ქართული საქმე. გვარშეცვლილი, ვითომ „გაქართველებული“ სომეხი არის ქართული საზოგადოების მტერი №1, რადგან ასეთი სომხების უმრავლესობა სომხეთის დაზვერვის აგენტურაა. თავიდანვე ვამბობდი, არ გვინდა ნასომხარი პრეზიდენტი, საქართველოს დაღუპავს-თქო, მაგრამ არავინ დამიჯერა, ახლა კი შედეგებზე წუწუნებენ. ერთ თანამდებობის პირს (ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ) ჩემი პოზიცია რომ მოვახსენე, მიპასუხა, კაი ერთი მოგცლია, მე გამაძღოს და სომეხს კი არა „ზანგს“ ავირჩევ საქართველოს პრეზიდენტადო. ზუსტად ასეთმა მიდგომამ დაღუპა საქართველო. ეს კიდევ დასაწყისია, წინ უარესი გველოდება. საქართველო კატასტროფული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. **ამერიკულ სომხურ წრეებსა და სომხეთის საპატრიარქოს საქართველოში ეროვნული პოზიციების დასუსტება და საკუთარი უფლებების გაზრდა აქვს მიზნად დასახული.**

**საწყის ეტაპზე სომხებმა 6 ეკლესია სიმბოლურად მოითხოვეს, ისე კი, 650 ეკლესიის დაპატრონება აქვთ გადაწყვეტილი, რაც სომხური იდეოლოგიის გატარების მყარი საფუძველი იქნება. ეს არის მოსამზადებელი ნიადაგი, რომ ბოლოს საქართველო სომხურ პოლიტიკურ ერთეულად აქციონ და ბათუმში ზღვაზე გასასვლელი მოიპოვონ.**

**ვიმეორებ, ის, რაც დღეს ხდება, მხოლოდ დასაწყისია, ახლო მომავალში მთელი აღმოსავლეთ საქართველო აფხაზეთის ბედს გაიზიარებს, თუ ქართველი ერი დროზე არ გამოფხიზლდა და სასწრაფო ზომები არ მიიღო. ჯავახეთი სააკაშვილმა სომხებს თითქმის უკვე გადაულოცა, ახლა ჯერი თბილისზეა. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანაც.**

როცა მეფის რუსეთში რევოლუცია მოხდა და საქართველო და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდა, საქართველოს დედაქალაქად თბილისის აღიარება სომხურმა წრეებმა გააპროტესტეს, თბილისი სომხური ქალაქია და საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი უნდა იყოსო. მაშინ სომხები ვერაფერს გახდნენ და ამის გაკეთება დღეს სააკიან-სააკაშვილისა და სხვა გვარგაქართულებული სომხების მეშვეობით მოინდომეს.

## ყოველთვის ვამბობდი, ნასომხარი პრეზიდენტი საქართველოს დაღუპავს-თქო, მაგრამ არავინ დამიჯერა...

**— გინდათ თქვათ, რომ სუვერენული საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი სომხური წრეების დაკვეთებს ასრულებს?**

**— სააკაშვილი ამერიკაში მყოფ სომხურ წრეებთანაა შეკრული და, რა თქმა უნდა, მათ დაკვეთებს ასრულებს. იგი საქართველოს პრეზიდენტი სწორედ ამერიკაში მყოფი სომხური გავლენიანი წრეების ხელდასმით გახდა, თუმცა ამ დაკისრებული მოვალეობების გარდა, მასში სომხური სისხლის ყივილიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.**

სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან ქართველების რისხვას ვერ ასცდება და საქართველოდან წასვლა მოუწევს, მაგრამ მას ამერიკული სომხური წრეების იმედი აქვს, რომ თავდადებას დაუფასებენ. ამ ხიბლით იგი საქართველოს საბოლოოდ დაღუპავს.

**სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის სომხობასთან დაკავშირებით თქვენთან ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა, ბევრი მოსაზრება გამოითქვა. ერთ-ერთის მიხედვით, თითქოს სააკაშვილები ნამდვილი სომხები კი არა, გასომხებული ქართველები იყვნენ, რომლებიც გრიგორიანულ სარწმუნოებაზე იწერებოდნენ, ახლა კი საკუთარ ფესვებს დაუბრუნდნენ. მინდა ამაზე ასეთი კომენტარი გავაკეთო: მსგავსი სახის განცხადებებს მხოლოდ სააკიან- სააკაშვილის ლაქიები ავრცელებენ. საქართველოში მე-19 საუკუნემდე ქართველების გასომხება არ ხდებოდა. სომხების გაქართველება კი უდავო ფაქტია. როცა სპარსეთის დახმარებით სომხეთი გაძლიერდა, სომხურმა ეკლესიამ გაქართველებული სომხების ისევ სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევა დაიწყო. რაც შეეხება თავანკარა ქართველების გასომხებას, ასეთ ფაქტებს ისტორიაში ადგილი თითქმის არ ჰქონია. იყო რამდენიმე ქართველი, რომლებსაც სომხის ქალები შეუყვარდათ და ისინი მითხოვების წინ საქმროებს გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლას სთხოვდნენ, თუმცა მსგავს ფაქტებს საქართველოს სამეფო კარი და ეკლესია კატეგორიულად კრძალავდა. ასე რომ, სააკაშვილის ქართველობა სრული აბსურდია.**

**— ბატონო ალექსანდრე, თქვენს ახალ წიგნში „სომხების პრობლემა საქართველოსთვის“ რას სთავაზობთ მკითხველს?**

— ახალი წიგნის დაწერა იმ დაპირისპირებულმა ურთიერთობებმა გადამაწყვეტინა, რომელიც მთელი 22 საუკუნის განმავლობაში, ანუ ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნიდან არსებობს მეზობელ სომხეთსა და საქართველოს შორის. წიგნი ამ ორი ერის მხოლოდ წინა საუკუნეების ურთიერთობებს კი არა, დღევანდელ დამოკიდებულებებსაც ეხება. მაგალითად, ბოლო თავის სათაური ასეთია „სომხების პრობლემა საქართველოსთვის XIX-XXI საუკუნეებში“, ხოლო მე-4 ქვეთავის სათაურია „სომხებს უნდა აელოთ თბილისი, თუ ქართველებს — ერევანი?“. აქ მოთხრობილია, 1918 წელს სომხეთმა ომის გამოუცხადებლად საქართველოს ვერაგულად რომ შემოუსია ჯარი.

**სომხების მიზანი დიდი სომხეთის ჩამოყალიბება და საქართველოს დაპყრობა იყო. მცირე პერიოდის განმავლობაში მათ საქართველოს ერთი ნაწილის მიერთება მოახერხეს კიდეც, თუმცა ქართველი ერი სომხეთზე დიდ დამპყრობლებს: სპარსეთს, რომის იმპერიას, არაბეთის იმპერიას არ ეგუებოდა და სომხეთს შეარჩენდა საკუთარ მიწა-წყალს?! ქართველებმა სომხეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები უკანვე დაიბრუნეს, რაც განხეთქილების საგნად იქცა ამ ორ ერს შორის.**

წიგნში ის რეალობა მაქვს აღწერილი მოკლედ, რაც სომხებისთვის და ჩვენი პრეზიდენტისთვისაც მეტად მტკივნეული იქნება.

**წიგნი მცირე ტირაჟით გამოვეცი, რადგან არც მე მქონდა საკმარისი ფინანსები და არც სპონსორი მყავდა. 2008 წელს კი დამასპონსორეს, მაგრამ მეორე წიგნის დაფინანსების სურვილი არავის გამოუთქვამს. ეს ჩემთვის გასაგებიცაა — სომხების მხილება იგივე ამ ხელისუფლების მხილებაა, ამიტომაც დარჩა სპონსორის გარეშე ეს წიგნი. არავის სჭირდება მთავრობასთან პრობლემები ასეთი პოზიციის მქონე ავტორის გამო.**

საკვებს ვიკლებდით, რომ წიგნის გამოსაცემი ფული შემეგროვებინა. თუ უხერხული არ იქნება, იმასაც გეტყვით, რომ მხოლოდ ოთხი კბილი მაქვს შერჩენილი და ისიც ვერ გავიკეთე, ოღონდაც ეს წიგნი გამომეშვა. ამასთან დაკავშირებით ერთ კურიოზსაც გიამბობთ, პირველი მეუღლე 73 წლის ასაკში გარდამეცვალა და გარკვეული პერიოდის შემდეგ მარტოობამ მეორე ცოლის მოყვანა გადამაწყვეტინა, ვისაც ჩემთვის საცოლე უნდა გაეცნო, მეუბნება, სანამ კბილებს არ ჩაისვამ, ეგ ამბავი არ მოხდებაო. ვუთხარი, მე ფულის შეგროვებას დავიწყებ და როცა ის ქალბატონი ჩემი მეუღლე გახდება, კეთილი ინებოს და თავად წამყვეს-წამომყვეს ექიმებთან-თქო. დიდი ვაი-ვაგლახით ეს შუამავალი ჩემს სურვილზე დავიყოლიე, ამასობაში კბილების გასაკეთებელი ფულიც შევაგროვე, თუმცა იმავე პერიოდში ბოლო წიგნზე მუშაობა დავიწყე და კბილების გაკეთების დრო ცოტათი გადავდეთ. რადგან წიგნის დასპონსორება არავინ მოინდომა და არც სხვა სახსრები გამაჩნდა საამისოდ, ავდექი და კბილების გასაკეთებელი ფული წიგნს მოვახმარე. ასე შევრჩი ჩემს მეუღლეს უკბილო „გადამგდები“. ამაზე ახლა ვხალისობთ, თორემ უნდა გენახათ, როგორი იყო ჩემი მეუღლის რეაქცია, როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ მე რომ კბილები ჩამესვა, დღეს წიგნს ვერ გამოვცემდი.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

## გვარგაქართულებული სომხების უმრავლესობა სომხეთის დაზვერვის აგენტურაა

## ლავროვი აშშ-ს პროვოკაციაში ადანაშაულებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ბათუმის პორტში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო კრეისერ „მონტერეის“ შესვლას ამერიკული მხრიდან განხორციელებულ პროვოკაციას უწოდებს.** „მონტერეი“ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მიმდინარე სწავლებებში მონაწილეობდა, ჩვენ კი ყველამ ვიცით, რომ როგორც სააკაშვილის დაუოკებელმა სწრაფვამ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხში, ისე ბუქარესტში მიღებულმა უაპელაციო გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, იმოქმედა სააკაშვილის ფსიქიკაზე“, — აცხადებს ლავროვი.



## ეუთოს კავკასიაში ახალი წარმომადგენელი დანიშნა

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზაფხულის სესიას ბელგრადში ქართული დელეგაციაც ესწრებოდა.** სესიაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ პირველად ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ისტორიაში, მომავალი წლის გაზაფხულზე ეკონომიკური კონფერენცია საქართველოში ჩატარდება. ასევე ცნობილი გახდა, რომ ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო სუარესი დაინიშნა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ წარმომადგენლად კავკასიის საკითხებში.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დემოკრატობანას“ თამაში დასრულდა, ამიერიდან სააკაშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, აბსოლუტურად შეუწყნარებელი გახდება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ობიექტურ ინფორმაციას ავრცელებენ. დღეს ბევრი კოლეგისთვის ეს ჯერ კიდევ დაუჯერებელი ჩანს, თუმცა გამორიცხულია, რეჟიმის ტრანსფორმაცია მედია-გარემოზე არ აისახოს. წარმოუდგენელია, ალვირახსნილი დიქტატურის პირობებში, რომლისკენაც სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ (შესაძლოა, უკვე მივედით კიდეც), მმართველებმა დამოუკიდებელი ან თუნდაც „ნაწილობრივ დამოუკიდებელი“ მედიის არსებობა დაუშვან**

# სააკაშვილმა სარკეების მსხვრევა დაიწყო?



**პარანოია, შიზოფრენია, რეაქტიული ფსიქოზი... სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს, როდესაც რეჟიმის მორიგი გამოხდომის შესახებ ვიგებ, დროის ეკონომიის მიზნით, მაშინვე „ფსიქიატრის ცნობარს“ ვშლი და სავარაუდო მოტივების დადგენას მისი მეშვეობით ვცდილობ. რა თქმა უნდა, შეიძლება რთულია ლოგიკური და კონსპიროლოგიური კონსტრუქციების აგება, ვარაუდების გამოთქმა, მაგრამ გამოცდილება აჩვენებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკის ნებისმიერ კვლევას, საბოლოო ჯამში, მაინც ხსენებული ცნობარის გაყვითლებულ, დამამშვიდებელი ეფექტის მქონე ფურცლებამდე მივყავართ. მაშ ასე, „ფოტოგრაფების საქმე“... შიზოფრენია, პარანოია, რეაქტიული ფსიქოზია...**

## რკინის ფარდა ეშვება

„ფოტოგრაფების საქმესთან“ დაკავშირებით ბევრი ვერსია გავრცელდა, მათგან ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი, ალბათ, ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ფოტოგრაფებს 26 მაისის დარბევის ამსახველი ფოტოების გავრცელება არ აპატია. ლოგიკა ამ ვარაუდში ნამდვილად არის და ის შეიძლება შემდეგმა ფაქტმა გაამყაროს: **26 მაისის შემდეგ შემოსავლების სამსახური „მედიაპალიტრაში“ შევიდა, რომლის ერთ-ერთმა სტრუქტურამ, PalitraTV-მ აქციის არაადამიანური დარბევის შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელებაში ერთ-ერთი საკვანძო როლი შეასრულა. რომ არა ახლახან დაპატიმრებული ფოტოგრაფების მიერ გადაღებული ფოტოები და PalitraTV-ს სანიმუშო მუშაობა ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ქართული და უცხოური საზოგადოებისთვის გაცილებით რთული იქნებოდა იმის გააზრება, თუ რა ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე.**

ამ მასალების გავრცელების შემდეგ ძალიან ბევრი ადამიანი მსოფლიოში (საქართველოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), სავარაუდოდ, სამუდამოდ დაემშვიდობა ილუზიებს იმის თაობაზე, რომ საქართველოში საქმე აქვს „დემოკრატიის შუქურასთან“, „სამაგალითო პოლიციასთან“, „პროგრესულ ლიდერთან“, მოკლედ ყველაფერ იმასთან, რაც ადრე ერთი ბანალური დიქტატურის სახეს ფარავდა. **ცნობილი ფოტოები ასახავდა სააკაშვილის საქართველოს ისეთად, როგორიც ის სინამდვილეში არის, ყოველგვარი დამახინჯების ან შელამაზების გარეშე; ფოტოებმა ერთგვარი სარკის როლი შეასრულა, რომელშიც რეალობა 100%-იანი სიზუსტით აირეკლა.**

რუსებს ერთი გენიალური ძველი ანდაზა აქვთ — Неча на зеркало пенять, коли рожа крива; შემთხვევები, როდესაც ადამიანი საკუთარ სიმახინჯეს სარკეს აბრალებს, როგორც უკვე ვთქვით, აღწერილია სპეციალურ ლიტერატურაში, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ Jahrbuch fur psychoanalytische und psychopathologische Forschungen. თუმცა, თუ განხილული ვერსიის ჩარჩოებში დავრჩებით, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ **ხელისუფლება სწორედ რომ სარკეების მსხვრევას შეუდგა; ფოტოგრაფების დაპატიმრება კი, სავარაუდოდ, შეიცავდა ძალიან მკაფიო მესიჯს მედიაში მომუშავე ყველა ადამიანის მიმართ.**

სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა მომხდარიყო: რეჟიმი იცვლება და საქართველოს მოქალაქეებს განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს. **„დემოკრატობანას“ თამაში დასრულდა, ამიერიდან სააკაშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, აბსოლუტურად შეუწყნარებელი გახდება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ობიექტურ ინფორმაციას ავრცელებენ. დღეს ბევრი კოლეგისთვის ეს ჯერ კიდევ დაუჯერებელი ჩანს, თუმცა გამორიცხულია, რეჟიმის ტრანსფორმაცია მედია-გარემოზე არ აისახოს. წარმოუდგენელია, ალვირახსნილი დიქტატურის პირობებში, რომლისკენაც სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ (შესაძლოა, უკვე მივედით კიდეც), მმართველებმა დამოუკიდებელი ან თუნდაც „ნაწილობრივ დამოუკიდებელი“ მედიის არსებობა დაუშვან** (მაგალითისთვის: „ლათინური ამერიკის ენციკლოპედია“, II ტომი; ნიკარაგუა, სალვადორი და ასე შემდეგ, ანბანის მიხედვით. უფრო ახლოს — უზბეკეთი, თურქმენეთი და სხვა).

ცხადია, XXI საუკუნეში შეუძლებელია, ყველას კამერა და კომპიუტერი ჩამოართვა და ინტერნეტი გაუთიშო. სააკაშვილს არ აქვს იმის რესურსი, რომ საქართველოს საზღვრებზე გაუმჭვირვალე „რკინის ფარდა“ აღმართოს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება „სარკეების მსხვრევას“ არ განაგრძობს. **დღევანდელი ტენდენციების გათვალისწინებით, ზეწოლა მედიაზე, სავარაუდოდ, უფრო სერიოზული გახდება; ახლო მომავალში ვერც ჟურნალისტების დაპატიმრებას, ვერც სხვა სახის რეპრესიებს გამოვრიცხავთ. თამაშის წესები შეიცვალა, უფრო სწორად, თამაშის წესები აღარ არსებობს.**

ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ორი ფოტოგრაფის სატელეფონო საუბარს საბანკო რეკვიზიტების შესახებ ჯაშუშური საქმიანობის დამადასტურებელ მნიშვნელოვან ფაქტად წარმოაჩენს, ინფორმაციის ლეგალურ შეგროვებასთან და გავრცელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა შეიძლება სერიოზულ საფრთხეს დაუკავშირდეს. სხვათა შორის, ამ თემაზე რამდენიმე კოლეგასთან საინტერესო საუბარი მქონდა, რომლის რამდენიმე დეტალი მინდა გაგიზიაროთ.

## იმპერიის უკანასკნელი სამურაი

**„ფოტოგრაფების საქმის“ კვალობაზე, კოლეგები იხსენებდნენ, თუ როდის, რომელ უცხოურ საინფორმაციო საშუალებასთან ჰქონდათ კონტაქტი და შეიძლება თუ არა ამის გამო ისინი შესაბამისი ქვეყნების ჯაშუშებად გამოაცხადონ. ყველას ქვეყნების თითქმის იდენტური ჩამონათვალი ჰქონდა: აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, საფრანგეთი, გერმანია. შედარებით იშვიათად ახსენებდნენ ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებს, აგრეთვე, ისრაელს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. პრინციპში, სულ ეს იყო, სხვა ქვეყნების მედიასაშუალებებს დიდად არ ვაინტერესებთ, მათ თავიანთი გასაჭირი ჰყოფნით.**

მაგრამ ვინაიდან ბრძნული წიგნი „ჰაგაკურე“ ჭეშმარიტ სამურაის მოუწოდებს, დროდადრო წაიტრაბახოს კიდეც, ავდექი და ვუთხარი: **„თავის დროზე კონტაქტი იაპონელ კოლეგებთან მქონდა. მაშასადამე, როდესაც თქვენ გაგასამართლებენ, როგორც იმ ჩვეულებრივი ქვეყნების ბანალურ შპიონებს, მე იაპონიის მზვერავის განსხვავებული სტატუსი მექნება, რაც ჩემს სასამართლო პროცესს განსხვავებულ, რომანტიულ ელფერს შესძენს“.**

ვაღიარებ, რომ იაპონელ კოლეგებს ინფორმაციას ვაწვდიდი, მეტიც, ტელეფონითაც კი ვესაუბრებოდი მათ. ვზივარ ახლა ჩემს მყუდრო ბაღში, საკურას ფოთლების ცვენას ვაკვირდები. წინ იმპერატორის პორტრეტი მიდევს, მარცხნივ — ერთი ფიალა საკე, მარჯვნივ — გაშიშვლებული მახვილი; ყოველი შემთხვევისთვის კიმონოც გავიხადე. **„ხარაკირის დროს მთავარია, თავიდან მახვილი მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოთ მიმართო, დანარჩენს თვითონ მიხვდები, შვილო,“** — მეუბნებოდა ხოლმე ჩემი უშუალო კურატორი, პერლ-ჰარბორის ვეტერან, მხცოვანი პოლკოვნიკი ჰაიტეხირო კობაიაში. **„ნუ ღელავთ, სენსეი,** — ვპასუხობდი ამაყად, — **მე იმპერიას არ შევარცხვენ“.**

ამომავალი მზის სხივებში წარსულის აჩრდილები მიახლოვდებიან. ვხედავ, თუ როგორ ზის მოხუცი სენსეი, მზვერავთა სკოლის ეზოში და კურსანტებს ღირსებაზე ესაუბრება. ის საუბარი ბუნდოვნად მახსოვს, ვინაიდან მაშინაც საკეთი გაბრუებული საკურას ვუყურებდი, თუმცა შემდეგ ჭკუა ვიხმარე და კონსპექტი გადავიწერე. ის საკმაოდ მოკლე იყო, რადგან სამი იაპონური იეროგლიფით გაცილებით მეტი ინფორმაციის გადმოცემა შეიძლება, ვიდრე ჩვენებური სამი ასოთი, თუ, ცხადია, გამონაკლის შემთხვევებს არ ჩავთვლით.

**„კაცი, რომელიც სულელს ემორჩილება, თვითონ ხდება სულელი,** — ჩუმი ხმით ამბობდა პოლკოვნიკი კობაიაში, — **კაცი, რომელიც ლაჩარს ემორჩილება, ღირსებას კარგავს“.** შემდეგ მან მოყვა გრძელი, ტოკუგავას სეგუნატის დროინდელი ისტორია, რომელშიც ფიგურირებდა ვიღაც თავადი, რომელსაც ყველგან მტერი ელანდებოდა, შიშისგან მიწაზე დახოხავდა და თავის კიმონოს ჭამდა. ცხადია, მასზე არ ვსაუბრობდით, რადგან ასეთ ადამიანებზე მსჯელობა თავისთავად ინტელექტის შეურაცხყოფაა და სენსეი ამას არ გვაკადრებდა. მისი ყურადღების ცენტრში იმ თავადის ვასალების ტრაგიკული ბედი მოექცა, რომელთაც ისტორიის ფინალისკენ აღარავინ თვლიდა არა მხოლოდ სამურაებად, არამედ კაცებად საერთოდ. ზოგი მათგანი ამის გამო ჩუმად იტანჯებოდა, უმრავლესობამ კი ღირსებაზე ფიქრს თავი დაანება და სინდისზე ხელი აიღო. **„მაგრამ, სენსეი,** — წამოხტა უცებ ერთ-ერთი კურსანტი, იოში ფუტიდა, — **რა უნდა ექნათ? ხარაკირი გაეკეთებინათ?“. „არავითარ შემთხვევაში,** — სწრაფად მიუგო პოლკოვნიკმა და თვალებში ჩახედა, — **ხოლო იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინათ იმ სამურაებს, ორშაბათისთვის რეფერატს დამიწერ“.**

კარგი კაცი იყო ცხონებული სენსეი, თუმცა მთავარ თემას დავუბრუნდეთ. **ბოლო მოვლენები აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, განსაკუთრებით კი მედიაში დასაქმებული ადამიანების წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენოს მათი კონტაქტი უცხოურ საინფორმაციო საშუალებებთან და უცხოელებთან. ამიტომ, ალბათ, ლოგიკური იქნება, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს ახალი მუხლი „უცხოელებთან არასანქცირებული კონტაქტების შესახებ“; მსგავსი მუხლი ადრე არაერთი ტოტალიტარული სახელმწიფოს კანონმდებლობაში არსებობდა.**

აგრეთვე, ალბათ, უმორჩილესად უნდა ვთხოვოთ ჩვენი კანონმდებლობის ბურჯს, ჩვენს სოლონს და ლიკურგეს ერთ ფლაკონში, დეპუტატ პავლე კუბლაშვილს, რომ შეადგინოს კანონპროექტი „ტელეფონით საუბრის შესახებ“, სადაც მკაფიოდ გაიწერება, რა ტიპის საუბრებია დასჯადი. არარაციონალურია, ყველა შპიონაჟისთვის დაიჭირო, ამას პროგრესული კაცობრიობა ვერ გაიგებს. ისედაც ხომ ყველა დაგვცინის, შემდეგ უარესი იქნება. **ახალ რეალობაში კი ხელისუფლება ციხეში ზოგს ტელეფონით საუბრისთვის ჩააყუდებს, ზოგს უცხოელებთან კონტაქტისთვის და ველარავინ იტყვის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას შპიონომანია და ღრმა კოგნიტურ დისონანსზე დაფუძნებული შიზოიდური ტიპის პარანოიდალური ინდუქციური ფსიქოზი სჭირს.** საქართველოს იმიჯს წაადგება, ბატონო პავლე...

გაითვალისწინეთ, ბატონო პავლე, რომ ამ საქმეში პირადი დაინტერესება არ მაქვს. მე იაპონელ ჟურნალისტებთან კონტაქტი მქონდა და საპატიმროში, სავარაუდოდ, სწორედ იაპონიის ჯაშუშის სტატუსით წავალ, სადაც სევდიანად ვიფიქრებ იმაზე, რომ სადღაც იქ, ფუძიამას მწვერვალზე, ამაყად ფრიალებს იმპერიის თეთრი ბაირაღი მასზე გამოსახული ამომავალი მზით.



**რომ არა ახლახან დაპატიმრებული ფოტოგრაფების მიერ გადაღებული ფოტოები, საზოგადოებისთვის გაცილებით რთული იქნებოდა იმის გააზრება, თუ რა ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ 26 მაისს**

## გვირაბის ბოლოს

**ჩვენ, შესაძლოა, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში, სავარაუდოდ, თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება, რომელსაც თავისი დამთრგუნველი უიმედობით მხოლოდ „ბნელ საუკუნეებს“, „ბნელ ხანას“ თუ შევადარებთ, ანტიკური სამყაროს განადგურებას რომ მოჰყვა. მუდმივი ეკონომიკური კრიზისი, ალვირახსნილი დესპოტიზმი, გაუნათლებლობა, ბარბაროსუ-** ▶

„მე ძალიან ბევრ საფრთხეს ვხედავ ამ თამაშში, რომელიც ხელისუფლებისა თუ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან ეკლესიის მიმართ, უკვე 7 წელია, მიმდინარეობს. ერთის მხრივ, საარჩევნო კლიპებში ეკლესიის გარშემო დაჩოქილი სიარული და ამით ამომრჩეველთა ხმების მოზიდვის მცდელობა; მეორე მხრივ, დასწრების მცდელობა, ვინ პირველი მივარდება ეკლესიაში, ძალიან სახიფათოა. დაასაბუთონ, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება რა უპირატესობას მოუტანს ქვეყანას?“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ახლო მომავალში ვერც ჟურნალისტების დაპატიმრებას, ვერც სხვა სახის რეპრესიებს გამოვრიცხავთ. თამაშის წესები შეიცვალა, უფრო სწორად, თამაშის წესები აღარ არსებობს

**◀ლი „ღირებულებებისა“ და ზოგადი ბარბაროსობის საყოველთაო დამკვიდრება, უუფლებობა, სოციალური კავშირების რღვევა, მედიცინისა და კულტურის დეგრადაცია და, რაც მთავარია, უიმედობა, იმის განცდა, რომ სინათლე გვირაბის ბოლოს არასოდეს გამოჩნდება.**

„ბნელი საუკუნეების“ შესახებ ერთმა ისტორიკოსმა, საკმაოდ საინტერესო რამ თქვა: **„ამ დროს გაქრნენ არა მონები** (იგულისხმა რა მონათმფლობელობის ჩანაცვლება ფეოდალიზმით), **არამედ თავისუფალი ადამიანები“.** დღევანდელი საქართველოც, სავარაუდოდ, იმ მიჯნას უახლოვდება, როდესაც მასში თავისუფალი ადამიანის გაჩერება შეუძლებელი გახდება. სისტემა მას ან დაიმორჩილებს, ან ქვეყნიდან წასვლას აიძულებს, ან, უბრალოდ, გადაუვლის. ამ ახალი ეპოქის თვალშისაცემი ნიშნების დანახვა ყოველ ნაბიჯზე, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია.

**ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საზოგადოება, ალბათ, იმაშიც დარწმუნდა, რომ ხსნას შექმნილ მდგომარეობაში არც ერთი ოპოზიციური პარტიისგან არ უნდა ელოდოს. გამორიცხული არაა, რომ მათ სათავეში პროგრესულად მოაზროვნე, კარგი ადამიანები დგანან, თუმცა ისინი ალტერნატიული პროექტების შემუშავებასა და მათ რეალიზებას ვერა და ვერ ახერხებენ.** აგერ „ექვსიანმა“ გვამცნო, რომ ეროვნული მასშტაბით იწყებს კამპანიას სახელწოდებით „მახსოვს!“, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე გასტანს და რომლის მიზანი იქნება **„უსამართლო ხელისუფლების ჭეშმარიტი სახის წარმოჩენა და იმის დემონსტრირება, თუ რისი დავიწყება არ შეიძლება“.**

ზოგადად, „მახსოვს!“ მშვენიერი სახელწოდებაა სკლეროზის (ან მარაზმის) მსხვერპლთა საზოგადოებისთვის, მაგრამ, ალბათ, აჯობებს, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ყველას ყველაფერი ახსოვს და ხელისუფლების სახესაც ყველა მშვენივრად ხედავს. დღეს, სავარაუდოდ, უფრო აქტუალური იქნებოდა საუბარი პრინციპული ხასიათის გადაწყვეტილებებზე და არა სკლეროზის ზოგად პროფილაქტიკაზე. „ექვსიანს“, ცხადია, სხვა ძლიერ პროგრესული ინიციატივებიც აქვს და მას, ალბათ, წარმატებები უნდა ვუსურვოთ, მაგრამ საზოგადოებას, სავარაუდოდ, სხვა თემები აინტერესებს; ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისთვის დღეს, ალბათ, უიმედობის დამარცხებაა.

„ბნელი საუკუნეების“ მსგავს ეპოქებს, როდესაც ერთიანი სოციალური ქსოვილი ცალკეულ დათრგუნულ ატომებად იშლება, ერთადერთი დადებითი მომენტი ახასიათებს. ადამიანები ხსნას ეძებენ და მათი ინტერესი რელიგიის მიმართ მკვეთრად იზრდება. რაღაც მომენტში მათ ახსენდებათ, რომ ქრისტე არა მხოლოდ მანუგეშებელია, არამედ გამათავისუფლებელიც და თავისუფლების მოპოვებაც სწორედ ამ ფაქტის გაცნობიერებიდან იწყება. **შუა საუკუნეების ისტორიას რომ არ ჩავუღრმავდეთ, შეგვიძლია პრაქტიკულად ჩვენს დროში ლათინურ ამერიკაში განვითარებულ მოვლენებს დავაკვირდეთ, როდესაც ყველაზე სასტიკი მარიონეტული დიქტატურების პირობებში დაიბადა „გათავისუფლების თეოლოგია“, რომელმაც ბიძგი უსერიოზულეს პოლიტიკურ პროცესებს მისცა. დღეს ლათინური ამერიკა გაცილებით თავისუფალია ადგილობრივი ტირანებისგან და მათი უცხოელი პატრონებისგან, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინ იყო და ამაში ძალიან დიდი როლი იმას მიუძღვის, რომ ყველაზე რთულ და უიმედო მომენტში ადამიანები საკუთარ რწმენაზე და მისგან გამომდინარე პრინციპებზე დაფიქრდნენ. გამორიცხული არაა, რომ გათავისუფლების თვისობრივად ახალი იდეოლოგია საქართველოშიც ქრისტიანობის მყარ ფუნდამენტზე აღმოცენდება.**

**დიმიტრი მონიავა**



**«კაცი, რომელიც სულელს ემორჩილება, თვითონ ხდება სულელი, კაცი, რომელიც ლაჩარს ემორჩილება, ღირსებას კარგავს»**

## თინა ხიდაშელი:



# დარწმუნებული ვარ, იმ ხალხის 90 პროცენტს, ვინც ახლა ისტერიკაშია, უბრალოდ, წარმოდგენა არ აქვს, რა წერია კანონში

**რას შესთავაზებს საზოგადოებას ამჟერად უკვე პოლიტიკურ კოალიციადქცეული „ექვსეული“, რატომ ფიქრობს, რომ პარლამენტის მიერ რელიგიური კონფესიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების საკითხი სახიფათო არ არის და რატომ ხედავს ქართული საზოგადოება ყველაფერს მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში, „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და დედაქალაქის საკრებულოს წევრი ТИНА ხიდაშელი უზიარებს.**

**— პარლამენტმა რელიგიურ კონფესიებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა. როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო პარლამენტმა საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად ნაჩქარევი გადაწყვეტილება?**

— მთელი ეს აჟიოტაჟი აბსურდულია. რელიგიურმა გაერთიანებებმა, იურიდიული პირის სტატუსის მიღებით, მხოლოდ ბანკში ანგარიშის გახსნის უფლება და ბეჭედი მოიპოვეს. დარწმუნებული ვარ, იმ ხალხის 90 პროცენტს, ვინც ახლა ისტერიკაშია, უბრალოდ, წარმოდგენაც არ აქვს, რა წერია კანონში. საგანგაშოა არა კანონში შესული ცვლილება, არამედ ხელისუფლების დამოკიდებულება. ისე მიიღეს გადაწყვეტილება ფორსირებულ რეჟიმში, რომ არავის არაფერი ჰკითხეს, მაგრამ გასაკვირი არც ესაა. ასე არ იქცევა ხელისუფლება, 7 წელიწადია?! თუ, რადგან ახლა ეკლესიას შეეხნენ, იმიტომ გაგვიკვირდა?! როცა 26 მაისის სპეცოპერაცია „გვაკადრეს“, ახალგაზრდა ბიჭები დაცხრილეს, როცა სანდრო გირგვლიანი მოკლეს და მხოლოდ 200-მა კაცმა გააპროტესტა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ მაშინ დაიჯერა, რომ რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს არავისგან არ უნდა ელოდოს. სანდრო გირგვლიანის მკვლელობა და 2 მაისის სპეცოპერაცია გაცილებით უფრო დიდი ტრაგედიაა, ვიდრე აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება.

**— ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ საპატრიარქოს ძლიერი გავლენა აქვს. რა მიზანი ამოძრავებს ხელისუფლებას, როცა ასე აშკარად უპირისპირდება საპატრიარქოს?**

— ხელისუფლებამ ისიც კარგად იცის, რომ პატრიარქმა როლანდ ახალაია დააჯილდოვა და ბევრი ასეთი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ. შეეშალა ხელისუფლებას, მაგრამ რატომ მოიქცა ასე, მარტივად ასახსნელია: რეაქციას არ ელოდა. ვინაიდან ამ წლების მანძილზე მრავლად იყო ისეთი უკანონობა, რომელიც ხელისუფლებამ საპატრიარქოსთან იოლად მოაგვარა.

**— „ქრისტიან-დემოკრატები“, მართლმადიდებლობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ, თუ შეუერთდება თქვენი პარტია?**

— არავითარ შემთხვევაში არ შევუერთდებით. სხვათა შორის, პატრიარქმა იმავე დღეს განაცხადა, რომ ასეთ სპეკულაციას არ დაუშვებს და საპატრიარქო „ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივის წინააღმდეგია. ვინაიდან კარგად იცის, საქართველოში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია ვერ იქნება. რელიგიის სამინისტრო შევქმნათ? XXI საუკუნეში ვართ უკვე და მართლმადიდებელ ეკლესიას ამით არაფერი შეემატება. მართლმადიდებლობას აქვს ისტორიული როლი ქვეყნის განვითარებაში, არც ერთი ფაქტორი არ ყოფილა ისტორიულად ისეთი მნიშვნელოვანი როგორც ეკლესია, რომელმაც ქვეყანა შეინახა და აქამდე გადაარჩინა, თუნდაც ერთი შედეგი მაინც დაასახელონ, რაც მოჰყვება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, გარდა გაღიზიანებისა.

**— ვის გაღიზიანებას გამოიწვევს? საქართველოში ხომ არასდროს ყოფილა ანტისემიტიზმი და ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ტოლერანტულია სხვა რელიგიების მიმართ?**

— აბა, რას ნიშნავს ამ დღეებში ინტერნეტში არმენოფობიური გამოხდომები? ლამის მთელი საქართველო დაირაზმა და არმენოფობიით განიმსჭვალა. ამ დროს „ქრისტიან დემოკრატები“ გამოვიდნენ — მოდი მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად ვაღიაროთო, — განაცხადეს. ეს არის პასუხი იმ პრობლემაზე რომელიც ქვეყანაში არსებობს? ასეთი არასერიოზული დამოკიდებულების არ მესმის.

**მე ძალიან ბევრ საფრთხეს ვხედავ ამ თამაშში, რომელიც ხელისუფლებისა თუ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან ეკლესიის მიმართ, უკვე 7 წელია, მიმდინარეობს. ერთის მხრივ, საარჩევნო კლიპებში ეკლესიის გარშემო დაჩოქილი სიარული და ამით ამომრჩეველთა ხმების მოზიდვის მცდელობა; მეორე მხრივ, დასწრების მცდელობა, ვინ პირველი მივარდება ეკლესიაში, ძალიან სახიფათოა. დაასაბუთონ, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება რა უპირატესობას მოუტანს ქვეყანას?**

**— კოალიციამ „ევროპული საქართველოსთვის“, რომელიც ქართველ ლიბერალებსა და უამრავ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, ხელისუფლების ეს ნაბიჯიც გაამართლა...**

— კოალიცია, რომელიც უამრავ საოცრებას აცხადებს და ამბობს, რომ ხორცის ფასმა იმიტომ მოიმატა, თურმე ბრისუელმა მოგვთხოვაო, არასერიოზულია. ადამიანებს, რომლებიც კერძო საკუთრების ხელყოფას ამართლებენ ლიბერალებს ვერ დავარქმევთ. ისინი იბრალებენ, რომ ლიბერალები არიან, თორემ არაფერი ლიბერალიზმთან საერთო არ აქვთ. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საპატრიარქოა ყველაფერში დამნაშავე და ფიქრობენ, რომ შენც ასეთი განწყობა უნდა გქონდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ასე არ ფიქრობ, აუცილებლად შავი და ბნელი ხარ ან პირიქით, — ყველაფერი უნდა მოგწონდეს. ცხოვრება მხოლოდ შავ-თეთრი არაა და ასეთი დამოკიდებულება მცდარია.

ან ვინ არიან მანდ ლიბერალები? ვინ თქვა, რომ გია ნოდია ლიბერალია? ის, რომ თავად ამბობენ, ვართო, არ ნიშნავს, რომ არიან. შეუძლებელია, გერქვას ლიბერალი და მიხეილ სააკაშვილის მთავრობის წევრი იყო. კახა ბენდუქიძეც ლიბერალად ითვლება საქართველოში, არადა, სწორედ მისი მინისტრობის დროს ჩამოართვეს ხალხს ქონება. ნაციონალურმა ტელევიზიებმა და პროპაგანდამ ჩამოაყალიბა ეს განწყობა, თორემ ნოდიასა და ბენდუქიძეს რამდენიც უნდა ეძახათ, ლიბერალი ვართო, ვერავინ გაიგებდა.

**— თქვენი პარტია მხარს უჭერდა ავღანეთში ნატოს სამხედრო ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობას. თუმცა ამას წინათ მოითხოვეთ, საქართველომ ჯარისკაცების რაოდენობა შეამციროს. რატომ ხდება, რომ მაშინ, როცა აშშ და ევროპის ქვეყნები ჯარისკაცების რაოდენობას ამცირებენ, საქართველო პირიქით — კონტინგენტს ზრდის?**

— მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, ამ ნაბიჯით ვაშინგტონის კეთილგანწყობა მოიპოვოს. მისი ამოცანა სრულიად ნათელია, რაც უფრო მეტი ქართველი ჯარისკაცი იქნება ავღანეთში, მისი, როგორც კოალიციაში მონაწილე ლიდერის ფასი, მით უფრო მაღალი იქნება.

**— ბოლო დღეებში ჯაშუშობის ბრალდებით ფოტორეპორტიორების დაკავება საზოგადოების ნაწილმა მედიაზე ზეწოლის კიდევ ერთ მცდელობად აღიქვა. ვინაიდან საქმეს „გრიფით საიდუმლო“ ადევს. თქვენთვის, როგორც იურუსტისთვის, რამდენად სარწმუნოა ის ინფორმაცია, რაც ბოლო დღეების მანძილზე მოვისმინეთ?**

— მედიაზე ზეწოლად ამ ფაქტს ვერ შევაფასებ, იმიტომ, რომ არ ვიცით, რა მოხდა, მაგრამ სააკაშვილს რომ სერიოზული პრობლემები აქვს, ნათელია. ყველგან აგენტების ძებნა შიზოფრენიას ჰგავს. უკვე იმდენ პიროვნებაზე აჩვენეს ფარული სატელეფონო ჩანაწერები თუ ვიდეოკადრები და ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რომ ეს ყველაფერი არადამაჯერებელია. ელემენტარულად, ირაკლი ოქრუაშვილის ამბავი გავიხსენოთ. მას ბრალი წაუყენეს დანაშაულობებზე, რომლებიც მინისტრობის დროს ჩაუდენია, მერე ქვეყნიდან გაუშვეს და მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. რატომ თავის დროზე არ აღიძრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?

ხელისუფლების მიზანი საზოგადოების დაშინებაა, ვინაიდან, როგორც სააკაშვილმა განაცხადა, საკუთარ შვილსაც დაიჭერს, თუ ის კანონს დაარღვევს, მაგრამ რატომღაც საკუთარ დედას არ იჭერს, რომელიც ამ წლების განმავლობაში მუდმივად კანონს არღვევს და სახელმწიფო ქონებას ითვისებს.

## სააკაშვილი რატომღაც საკუთარ დედას არ იჭერს, რომელიც ამ წლების განმავლობაში მუდმივად კანონს არღვევს და სახელმწიფო ქონებას ითვისებს

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარეგინ მეორეს კაპრიზად წოდებული საკითხი კი წლების განმავლობაში დგას ქართული საზოგადოების წინაშე და გადაწყვეტას საჭიროებს. ეს საკითხი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან ათასობით ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქის უფლებებს ეხება. და სულაც არაა ქართული საზოგადოებისთვის შეუძლებელი ისეთი პოზიციის ჩამოყალიბება, რომ ამ საკითხებით სპეკულირებას პერსპექტივა აღარ ჰქონდეს.**

## ვახტანგ კომახიძე:

# ხელისუფლებას სურდა პატრიარქის ჩათრევა პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რათა გაეძლიერებინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მომხრე ეპისკოპოსები



**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკური დევნილი ვახტანგ კომახიძე.**

**— ბატონო ვახტანგ, „გლობალ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა: „თუკი თქვენ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ აქ ერთი გიგანტი და ბევრი ჯუჯაა“. გიგანტში მან, სავარაუდოდ, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ იგულისხმა, ჯუჯებში კი — დანარჩენი საქართველო... სწორედ ასეთ ჯუჯად ხომ არ მიიჩნია ხელისუფლებამ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, როდესაც დაჩქარებული წესით მიიღო კანონი, რომლითაც მართლმადიდებლები „დუელში გამოიწვია“?**

— ეს ფრაზა ნამდვილად ადასტურებს, რომ პატივცემული უტიაშვილის შემოქმედებითი უნარი აშკარად ჩამორჩება პოლიციურს. პატივცემულს გრიმების ან დისნეის ესთეტიკასთან რაიმე შეხება რომ ჰქონოდა, შვიდი ჯუჯის ასოციაციას ასეთი პრიმიტიული ფორმით არ გამოიყენებდა.

**იმავე ფრაზამ გამოამჟღავნა მისი კიდევ ერთი პრობლემა სამოქალაქო ღირებულებების თვალსაზრისით. რაც უნდა მცირერიცხოვანი იყოს ესა თუ ის სოციალური ან პოლიტიკური ჯგუფები, მათი ჯუჯებად მოხსენიება საჯარო პირის მხრიდან სამოქალაქო უფლებებზე თავდასხმაა.**

თუმცა შესაძლებელია, უფრო მარტივადაც ითქვას: პატივცემული უტიაშვილი, უბრალოდ, პროპაგანდის რუპორია და უნიჭო ეპითეტებით ცდილობს თავისი დამქირავებლის — „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ოპონენტების დაკნინებას.

რაც შეეხება იმას, გულისხმობდა თუ არა უტიაშვილი მართლმადიდებელ ეკლესიას ერთ-ერთ ჯუჯად, პოლიტტექნოლოგიური ოსტატობით შექმნილი სოციალური კვლევებითაც დასტურდება, რომ მართლმადიდებლები საქართველოში მცირე ჯგუფებს არ მიეკუთვნებიან. ამას გარდა, „ნაცმოძრაობის“ გიგანტობაც პოლიტტექნოლოგიური მითია, რადგან, როგორც საარჩევნო სუბიექტი, იგი მართლაც გიგანტს რომ წარმოადგენდეს, ხელისუფლება ხელის გადაგრეხის პოლიტიკას არ მიმართავდა საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობის პროცესში.

**საქართველოში უკვე მოქმედებს მიზანმიმართული პოლიტიკური ბრძოლის გზით ჩამოყალიბებული ახალგაზრდა ავტორიტარიზმი, რამაც დროულად მოახერხა არსებული და პოტენციური პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალება და ნაკლებსავარაუდოა, რომ რაიმე ტიპის საზოგადოებრივი ვნებათაღელვა ლიბანიზაციის მსგავს პროცესში გადაიზარდოს.**

**— თუ ხელისუფლებამ შეძლო ეკლესიის მარიონეტად გადაქცევა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საბოლოოდ დამყარდება სააკაშვილის დიქტატურა?**

— არაერთი კათოლიკე ეპისკოპოსი თანამშრომლობდა ნაციზმთან. ომის შემდეგ ეს მათ თავის გადარჩენის მოტივით ახსნეს, თუმცა ამ თანამშრომლობამ ჰიტლერს ხელი შეუწყო დიქტატურის გაძლიერებაში. ნებისმიერ ავტორიტარულ რეჟიმს ესაჭიროება მასობრივი გავლენის სფეროებზე კონტროლი და ამას ხშირად გავლენის მქონე სუბიექტებთან თანამშრომლობით აღწევს.

ხელისუფლების მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაპირისპირება იმის გამოვლინებაა, რომ ეკლესია „ნაცმოძრაობამ“ მარიონეტად ჯერ ვერ აქცია. მაგრამ სააკაშვილისთვის ეს ვერ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი დიქტატურისკენ სწრაფვაში. ეკლესია არაა პოლიტიკური ინსტიტუცია, ის პირდაპირ ვერასოდეს ჩაერევა პოლიტიკურ ბრძოლაში. მან შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას რეჟიმს, მაგრამ პოლიტიკურ კონკურენციას ვერასოდეს გაუწევს, რადგან ეკლესია ხელისუფლებასთან კონფრონტაციას მხოლოდ მაშინ მიმართავს, თუ სახელმწიფო ეკლესიის რელიგიურ ღირებულებებს შელახავს.

**— ცნობილია, რომ „ნაცმოძრაობას“, უხეშად რომ ვთქვათ, ფხასავით ეჩხირება ყელში მართლმადიდებელი ეკლესიისა და უწმინდესის ავტორიტეტი და მათი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიდის ხან ღია, ხანაც ფარული დაპირისპირება ეკლესიასთან... როგორ ფიქრობთ, გარეგინ მეორეს „კაპრიზით“ მიღებული კანონით შეძლებს „ნაცმოძრაობა“ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის შელახვას?**

— თუ სამოქალაქო და ბიზნეს სფეროში გავლენის მოპოვება შესაძლებელი იყო წილების გადაფორმებითა და მმართველობითი რესურსების ჩანაცვლებით, რაც იოლად მიიღწეოდა ციხის საკნისა და შეკრული ნოტარიუსის საშუალებით, ეკლესიის მმართველობაზე გავლენის მოსაპოვებლად ციხის საკნისა და ნოტარიუსის ცნობილი პრაქტიკა ვერ გამოდგებოდა.

**შსს-ში ნამდვილად ინახება კონკრეტულ სასულიერო პირებზე კომპრომატები და ეს საპატრიარქოსთვისაც ცნობილი იყო.**

**— რა გზებით მოპოვებულ და რა ხასიათის კომპრომატებზეა საუბარი?**

—ეს მასალები შს სამინისტროს, რა თქმა უნდა, უკანონოდ აქვს მოპოვებული და ისინი მორალური სამხილებისგან შედგება და არა კრიმინალურისგან. ამ მასალას შინაგან საქმეთა სამინისტრო ტრადიციული ვიდეოსამხილების სახით ვერ გაავრცელებს „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის საშუალებით, მაგრამ ისინი შეიძლება გარკვეული ფსიქოლოგიური ზეწოლის საშუალებად ქცეულიყო.

ეკლესიის დაშანტაჟების ასეთ გზას სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიმართა და შესაძლებელია, დღეს გადაწყვიტა, რომ შეტევის უფრო აქტიურ ფაზაში გადასვლის დრო დადგა. რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის კანონის მიღების გამომწვევი ფორმა შეიძლება რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა:

1. ხელისუფლებას გათვალისწინებული ჰქონდა მართლმადიდებლების რეაქცია და ამ პროცესით დასავლეთს დაანახებდა, რომ ფუნდამენტალიზმთან უწევს გამკლავება, რაც მოითხოვს ავტორიტარული რესურსების გამოყენებას;

2. ხელისუფლებას სურდა პატრიარქის ჩათრევა პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რათა გაეძლიერებინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მომხრე ეპისკოპოსები;

3. ეკლესიის გამოწვევა პოლიტიკური ბრძოლის არენაზე და საზოგადოებისთვის იმის დამტკიცება, რომ ეკლესია არაა საიმედო დასაყრდენი პოლიტიკურ ბრძოლაში, რაც დღევანდელ რეალობაში სააკაშვილთან დაპირისპირების უპერსპექტივობის რწმენას კიდევ უფრო მეტად ამყარებს.

თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ პრობლემა სპონტანურად წარმოიშვა და შემდეგ პროცესის გასანეიტრალებლად დამუშავებული სქემები ამოქმედდა.

გარეგინ მეორეს კაპრიზად წოდებული საკითხი კი წლების განმავლობაში დგას ქართული საზოგადოების წინაშე და გადაწყვეტას საჭიროებს. ეს საკითხი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან ათასობით ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქის უფლებებს ეხება. და სულაც არაა ქართული საზოგადოებისთვის შეუძლებელი ისეთი პოზიციის ჩამოყალიბება, რომ ამ საკითხებით სპეკულირებას პერსპექტივა აღარ ჰქონდეს. ამ მიზნით, რამდენიმე ფრაგმენტს შეგახსენებთ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადიდან“:

**„ძნელი მოსათმენნი არიან ეს ხუდაბაშოვები, პატკანოვები, ქიშმიშოვები, ეზოვები, არწრუნები და ერთობ იგი ერთი გუნდი სომხებისა, რომელთაც ღმერთმა მოახმაროთ თავიანთთათვის ქებადიდება და ჩვენს მოთხრას კი — ნურას უკაცრავად! — ვერ შევარჩენთ, ვერ დავანებებთ და ამაში, იმედია, ყველა ჭკვათამყოფელი სომეხი დაგვეთანხმება. აი, სწორედ აქ არის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული იმ მწვავის განხეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსთესეს ჩვენში უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე აალურსეს ქართველი და სომეხი. ამით, სწორედ ამ პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა გაუფუჭეს გული ქართველებს სომხებზე** ▶

## ეს მასალები შს სამინისტროს, რა თქმა უნდა, უკანონოდ აქვს მოპოვებული და ისინი მორალური სამხილებისგან შედგება და არა — კრიმინალურისგან

მსოფლიო

## სამხრეთ სუდანს ახალი ვალუტა ექნება

**სულ რაღაც ერთ კვირაში საკუთარი ვალუტა ექნება სამხრეთ სუდანს, სახელმწიფოს, რომელიც ქვეყანას სულ რამდენიმე წლის წინ — 9 ივლისს მოევლინა.** ამის შესახებ ახალი სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრმა დევიდ დენგ ატორბეიმ განაცხადა. სავარაუდოდ, ფული, რომლის სახელწოდება ჯერჯერობით უცნობია, ბრიტანეთში დაიბეჭდება. თავის მხრივ, სუდანის რესპუბლიკა ნელ-ნელა ამცირებს სამხრეთ სუდანური ბანკების უფლებებს, რადგან ისინი უკვე უცხოურად ითვლება.



## აშშ პაკისტანს სამხედრო დახმარებას უმცირებს

**აშშ-ის ხელისუფლება იმ ასობით მილიონი დოლარის გაყინვას აპირებს, რომელიც პაკისტანში სამხედრო დახმარების სახით უნდა გადაერიცხა.** როგორც მედია ვარაუდობს, დაფინანსების შეწყვეტა, შესაძლოა, ისლამაბადის იმ გადაწყვეტილებას უკავშირდებოდეს, რომლის თანახმადაც პაკისტანში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების რაოდენობა მცირდება. პაკისტანმა ამერიკის „სადამსჯელო ზომებში“ სადარდელი ვერაფერი ნახა. როგორც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, გენერალ-მაიორმა ატარ აბასმა განაცხადა, პაკისტანის არმია თალიბებს ამერიკული დახმარების გარეშეც გაუმკლავდება.

ათასობით არაბი მილიონერი ცხოვრობს შვეიცარიაში და სიამოვნებით მორთავდნენ ისინი ამ პატარა შვეიცარიას მეჩეთებით, მაგრამ ვერავინ ვერც მეჩეთს, ვერც სიყვარულის ხიდს და ვერც კათოლიკურ ეკლესიას ვერ ააშენებს საზოგადოებრივი თანხმობის გარეშე და დადგენილი წესების გაუთვალისწინებლად. იქ, სადაც საზოგადოება შეთანხმებულია, მეჩეთიც დგას, ბაპტისტების ტაძარიც და იელოველების საკრებულოც.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰქონდა თუ არა ადგილი სინოდის წევრების შანტაჟს და რა კომპრომატები ინახება მათზე შსს-ს არქივში

◀ და სომხებს ქართველებზე, თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და, თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ“.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით“.

„დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად“.

„ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა...“

**— საქართველოში კუდიანებზე ნადირობის ახალი სეზონი გაიხსნა... ცოტა ხნის წინათ დააკავეს ირაკლი ოქრუაშვილის „მიმდევრები“, რომლებსაც თურმე რამდენიმე ავტომატითა და „ტროას ზილით“ უნდა დაემხოთ სააკაშვილის ხელისუფლება... რამდენად სარწმუნოდ შეფუთა ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობა?**

— თუ საქართველოში ამ ეტაპზე არსებობდა იმის პოტენციალი, რომ სააკაშვილი რამე ფორმით ჩამოეცილებინათ ხელისუფლებისგან, ოქრუაშვილის მაგივრობას ვინმე შეეცდებოდა. ყველამ ვიცით, რომ ოქრუაშვილს ჰყავდა გარკვეული მხარდამჭერები, მაგრამ ეს მხარდაჭერა სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხებას ვერ უზრუნველყოფდა. შესაბამისად, არც ოქრუაშვილს ექნებოდა იმის ილუზია, რომ „ზილის“ საშუალებით სახელმწიფო გადატრიალებას შეძლებდა და შესაბამისად, აბსურდულია ვარაუდი, რომ მან ასეთი გადატრიალება დაგეგმა. მითუმეტეს, თვალსაჩინო გახდა, თუ როგორი ძალადობით იკერება საქმის მასალები.

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მზადაა, შემოიჭრას „ზილებით“, მაშინ ის შემოიჭრება ტანკებითაც. ამ შემთხვევაში კი მას ვერც უოქრუაშვილობა შეაფერხებს და ვერც „ქართული პარტიის“ წინააღმდეგ საქმის თხზვა. ამიტომ მთელი ეს კამპანია საზოგადოების დატერორების მორიგი რაუნდი იყო.

**— რამდენიმე დღის წინ მორიგი „ჯაშუშური ქსელი გაიშიფრა“... გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ ქართველი ფოტორეპორტიორები. ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ თურმე ეს ადამიანებიც რუსეთის აგენტები ყოფილან... რას იტყვით „რეპორტიორების საქმისა“ და საერთოდ სიტყვის თავისუფლების შესახებ საქართველოში?**

— მთავარი კითხვა, რაც „რეპორტიორების საქმესთან“ დაკავშირებით ჩნდება, ისაა, რომ არც ფოტორეპორტიორებს და არც იმ საჯარო პირებს, ვინც ფოტოგრაფად მუშაობდა, არ ჰქონდათ „საიდუმლო მასალებთან დაშვების უფლება“. მაგრამ, თუ ფოტოგრაფებმა მოახერხეს საიდუმლო დოკუმენტების ფოტოგრაფირება, ეს უნდა მომხდარიყო იმ ადამიანის ხელშეწყობით, ვისაც ასეთი „დაშვება“ ჰქონდა. სადაა ასეთი ბრალდებული?

ამის გარდა, არის ერთი საინტერესო დეტალი: საერთოდ, გამოძიების დროს გამომძიებელი თითოეულ მოწმესა და ეჭვმიტანილს ცალ-ცალკე ჰკითხავს. შეადარეთ ერთმანეთს ირაკლი გედენიძისა და მისი მეუღლის ჩვენებები. ისინი ლექსიკურადაც ერთნაირი შემადგენლობისაა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ორივე ერთი და იმავე წყაროსგან მიწოდებულ ტექსტს იმეორებს.

საქმის მასალების არქონის გამო, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის შეფასება, კონკრეტულად რა ფოტომასალის გავრცელების გამო წაეყენათ ბრალი ფოტოგრაფებს, მაგრამ, თუ დადასტურდა, რომ ეს მასალები საიდუმლო გრიფით არაა დაცული, მაშინ გამოხატვის თავისუფლების პირდაპირ შელახვასთან გვაქვს საქმე.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდების სამხილებს წარმოადგენს ფოტოგრაფის კომპიუტერში აღმოჩენილი მასალები პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტზე და პრეზიდენტის რეზიდენციის ნახაზები.

მე ხშირად დამინახავს სააკაშვილის გადაადგილება და გარკვეული წარმოდგენა მქონდა მისი გადაადგილების მარშრუტზე, მაგრამ, ამის შესახებ რომ ინფორმაცია გამევრცელებინა, არ იქნებოდა დანაშაული, იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტის ესკორტირების დეტალები საიდუმლოა.

ზოგიერთი ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენციაში კი ექსკურსიაცაა დაშვებული და ფოტოგრაფის კომპიუტერში პრეზიდენტის რეზიდენციის ფოტოების აღმოჩენაც არ ნიშნავს ცალსახად საიდუმლო იფორმაციის გამჟღავნებას. ამიტომ შეფასება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც გაირკვევა, რა ინფორმაციის გავრცელებას ედავებიან ფოტოგრაფებს.

**— არსებობს ვერსია, რომ ამ ადამიანების დაპატიმრების მიზეზი მიხეილ სააკაშვილის „თანამდებობისთვის შეუფერებელი“ ფოტოები გახდა, რომლებიც მათ ობიექტივში მოხვდა... აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ მათ დაპატიმრებამდე რამდენიმე საათით ადრე ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია აღმოჩნდა ჰოსპიტალიზირებული, ხოლო პრეზიდენტის პრესსამხურის უფროსმა ნათია ბანძელაძემ და გიორგი ბარამიძემ მიიღეს სხვადასხვა სახის ტრავმები... რეპორტიორთა დაკავებას რა გაგრძელება მოჰყვება და ხომ არ მიიღებს მედიის რეპრესიული მეთოდებით გაჩუმების პრაქტიკა მასობრივ და პერმანენტულ ხასიათს?**

— იმის მიუხედავად, თუ რა ისტორიას ემსხვერპლა პოლიტიკური ბომონდის ჯანმრთელობა, საეჭვოა, რომ ასეთი მიზეზის ფოტოგრაფირების გამო დაეპატიმრებინათ ფოტოგრაფები, რადგან ბომონდის პიკანტურ თავგადასავლებზე დაშვებული ფოტოგრაფი აცნობიერებს, რომ ფოტოების გავრცელების შემთხვევაში იგი იდენტიფიცირებული იქნება, ხოლო თუ იგი შეგნებულად მიდის ამ ნაბიჯზე, საეჭვოა, ასე იოლად დათანხმდეს ნაკარნახევი ჩვენების გამეორებაზე.

დიდი ალბათობით, არც ბრალდებაში წაყენებული ფაქტებია ფოტოგრაფების დაკავების რეალური მიზეზი, რადგან ასეთ შემთხვევაში, ოპერატიული მუშაობით გაცილებით სერიოზული სამხილების მოპოვებამდე (ვიდრე გაავრცელეს) მათ არ დააპატიმრებდნენ. სხვათა შორის, არც პრეზიდენტს ეტყოდნენ დაკავებამდე მხოლოდ ნახევარი საათით ადრე, რომ მისი პირადი ფოტოგრაფი ჯაშუშობაში იყო ეჭვმიტანილი.

2006 წელს დააპატიმრეს „თბილგაზის“ დირექტორი გია გვიჩიანი. მას „თელასის“ ფინანსური მენეჯერის მკვლელობის დაკვეთაში წაუყენეს ბრალი და უვადო პატიმრობა მიუსაჯეს. იმ საქმის მასალები საიდუმლო გრიფით არ იყო დაცული და უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომ იგი ფალსიფიცირებულია. სწორედ გია გვიჩიანის დაპატიმრების დღეს გაირკვა, რომ გირგვლიანის მკვლელობაში შსს-ს მაღალჩინოსნები და ვანო მერაბიშვილის ცოლი იყვნენ გარეული.

იმავე წელს ცნობილი „ციხის ბუნტის“ დროს დააკავეს სიმონ კილაძე, რომელსაც ჯაშუშობა წაუყენეს ბრალად ისე, რომ არც საიდუმლო მასალებთან ჰქონდა დაშვება და ვერც ის დაადგინა გამოძიებამ, კონკრეტულად ვის სასარგებლოდ ჯაშუშობდა სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი.

ყველა ამ საქმეს ერთი რამ აერთიანებს, საეჭვოა მათი სამართლებრივი საფუძველი და ისინი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის პარალელურ პიარტექნოლოგიად იყო გამოყენებული.

რეპრესიული მეთოდებით მედიას, უკვე დიდი ხანია, აჩერებენ და ეს ხდება ხელისუფლებისთვის საჭირო ნებისმიერ მომენტში. თუ რეპრესიული მეთოდი ყოველდღიურად არ მოქმედებს, ეს ისევ ხელისუფლების ფასადურ დემოკრატიას სჭირდება.

**— თქვენი პოლიტიკურ დევნაში ყოფნის პერიოდი, ალბათ, საკმარისი დროა იმისთვის, კარგად გაცნობოდით ევროპულ რეალობას. თქვენი აზრით, რა რეაქცია ექნებოდა ევროპულ საზოგადოებას, თუკი ადგილობრივი ხელისუფლება დემონსტრაციულად (თუნდაც მაროკოელი მუსლიმების ან ძველევროპელი დრუიდების „საამებლად“) მიიღებდა კანონს, რომელიც დააკნინებდა ისეთი ტრადიციული კონფესიის მდგომარეობას, როგორიცაა კათოლიკური ეკლესია; აბუჩად აიგდებდა კათოლიკეთა რელიგიურ გრძნობებს და შეურაცხყოფდა, მიზანმიმართულად დამამცირებელ კონტექსტში წარმოაჩენდა რომის პაპის ავტორიტეტს?**

— ევროპაში არ არიან მხოლოდ კათოლიკეები, არიან პროტესტანტები, ლუთერანები და ასე შემდეგ. ისინი სრულიად ჰარმონიულად თანაარსებობენ ყოფით ცხოვრებაში. საზოგადოებრივი ან რელიგიური ჯგუფების ვერც ერთ წარმომადგენელს ხელისუფლება ღირსების შემლახველ პირობებში ვერ ჩააყენებს. ათასობით არაბი მილიონერი ცხოვრობს შვეიცარიაში და სიამოვნებით მორთავდნენ ისინი ამ პატარა შვეიცარიას მეჩეთებით, მაგრამ ვერავინ ვერც მეჩეთს, ვერც სიყვარულის ხიდს და ვერც კათოლიკურ ეკლესიას ვერ ააშენებს საზოგადოებრივი თანხმობის გარეშე და დადგენილი წესების გაუთვალისწინებლად. იქ, სადაც საზოგადოება შეთანხმებულია, მეჩეთიც დგას, ბაპტისტების ტაძარიც და იელოველების საკრებულოც. რომის პაპის ავტორიტეტის აღიარება სავალდებულო არავისთვის არაა, კანონებს კი პრობლემების გადასაჭრელად იღებენ და არა პრობლემების შესაქმნელად. რა თქმა უნდა, ამის ცოდნას ევროპაში ცხოვრება არ სჭირდება.

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

## ვახტანგ კომახიძე:
# შსს-ში ნამდვილად ინახება კონკრეტულ სასულიერო პირებზე კომპრომატები და ეს საპატრიარქოსთვისაც ცნობილი იყო



ამბები

## მოსკოვში ახალი ქართულ-რუსული კინოპროექტის გადაღებები დაიწყება

**როგორც ბიზნესმენმა და კინოპროდიუსერმა არჩილ გელოვანმა განაცხადა, გადაღებების მოსამზადებელი პერიოდი ორ კვირაში დასრულდება, გადაღებები კი სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება.** გადამღები ჯგუფის წევრები იქნებიან საქართველოს, რუსეთის, ჩეხეთისა და უკრაინის წარმომადგენლები. ლირიკულ კომედიაში როლებს შეასრულებენ მერაბ ნინიძე, ია სუხიტაშვილი, ნატო მურვანიძე, მიხეილ მესხი, ოლეგ ბასილაშვილი, ირინა ჩურიკოვა, მაშა მირონოვა, ალექსანდრე ციგანოვი.

## საქართველოს შეუძლია დაიბრუნოს სამხრეთ ოსეთი

**„საქართველოს აქვს გარკვეული შანსი, დაიბრუნოს სამხრეთ ოსეთი, მაგრამ აფხაზეთი თავდაჯერებულად აშენებს სუვერენულ სახელმწიფოს და თავის დამოუკიდებლობას უკვე აღარ დათმობს“,** — განაცხადა გერმანელმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე რარმა. მისი აზრით, თუ საქართველოს პოლიტიკა მიმართული იქნება იმისაკენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უკომპრომისოდ დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და არ წავა არანაირ კომპრომისზე რუსეთთან, ამ შემთხვევაში კონფლიქტი შენარჩუნდება, პრობლემები კი ვერ გადაწყდება.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლახან საქართველომ განაცხადა, რომ ავღანეთში ისევ გაზრდის სამხედრო კონტიგენტს დღეს არსებული 925-დან 1 600 სამხედრომდე. ქართველი სამხედროები ერაყშიც მსახურობენ. მიუხედავად ამისა, დასავლეთის მხრიდან სააკაშვილის მხარდაჭერა ბოლო წლებში შემცირდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ობამას ადმინისტრაციამ ყურადღება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე გაამახვილა.**

მიხეილ სააკაშვილის მიმართ ერთ დროს კეთილგანწყობილი უცხოური პრესა „ვარდების რევოლუციის“ ეიფორიიდან, დიდი ხანია, გამოვიდა. თუმცა ბოლო ხანს მათი კრიტიკა გასცდა კეთილგანწყობილი შენიშვნების ფარგლებს და „დემოკრატიის შუქურა“ პრეზიდენტისადმი მკვეთრ ეპითეტებსაც არ იშურებენ. თითქოს კორუფციასთან მებრძოლი დემოკრატის დიქტატორად ტრანსფორმირებას სულ რამდენიმე წელი დასჭირდა. ახლა კი უცხოელები არამხოლოდ სააკაშვილს აკრიტიკებენ, არამედ, მის გამო, იდენტობის კრიზისზეც კი მიგვითითებენ.

# მიხეილ სააკაშვილი

## ექიმ ჯეკილსა და მისტერ ჰაიდს შორის





**ამ კავკასიურ ერს იდენტობის კრიზისი აქვს, ის საკუთარ თავში ერთდროულად ამბიციურ-დემოკრატიულ რეფორმებსა და ხელმოცარულ ოპოზიციას აერთიანებს.**

საქართველოს პოლიტიკაში გარკვევა დაახლოებით ისეთივე პროცესია, როგორიც თერაპიის სეანსის წარმოდგენა ექიმ ჯეკილსა და მისტერ ჰაიდს შორის.

ჯერ ექიმი ჯეკილი საუბრობს იმაზე, თუ როგორ ერთმნიშვნელოვნად გაანადგურა კორუფცია, შეებრძოლა კრიმინალს და აშენებს თანამედროვე სახელმწიფოს. თქვენ მას უჯერებთ. ის შესანიშნავად საუბრობს ინგლისურად, ზის უახლეს კონდიცირებულ ოფისში და ახალგაზრდულ ენერგიას აფრქვევს.

შემდეგ მისტერ ჰაიდი მთელ დროს იმაზე საუბარს უთმობს, თუ როგორი დიქტატორია ექიმი ჯეკილი, როგორ აღკვეთა კორუფცია ქუჩიდან მხოლოდ იმისთვის, რომ ფული საკუთარ ჯიბეში ჩაედო, და ყველაფერზე მიდის, რათა მოწინააღმდეგეებს ხმები წაართვას. ისიც შესანიშნავად საუბრობს ინგლისურად, ხმაურიანი ოფისი აქვს თბილისის ცენტრში და დაზარალებულის ჟინით ბობოქრობს.

**რადგან ეს ორივე პიროვნება ერთ ადამიანშია, ორივე ერთი ქვეყნის რეალობაა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კონტრასტების ქვეყანაში – საქართველოში.**

„ეს ის ქვეყანაა, რომელიც რადიკალურად იცვლება, რაც საზოგადოებაში განხეთქილებას იწვევს,“ — ამბობს ქვეყნის შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი. ის სამინისტროს ახალ შტაბ-ბინაში ზის, ქალაქის ცენტრის მოშორებით, წაგრძელებული ფორმის შენობაში, რომელიც დიდწილად მინისგანაა აგებული — მთავრობის თქმით, ტრანსფარენტულობის პატივისცემის ნიშნად.

**რამდენიმე კვირით ადრე, შსს-ს ოფიცრებმა ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით თბილისის ცენტრში სასტიკად დაარბიეს ოპოზიციური ჯგუფის საპროტესტო აქცია. სურათი შემაშფოთებელი იყო: სროლები პარლამენტის წინ, პოლიციელები მოხუცებს თავში ხელკეტებს ურტყამდნენ. ბევრისთვის ეს იმის მორიგი დადასტურება იყო, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი განსხვავებული აზრის მიმართ შეუწყნარებელია. მათი შეფასებითაც კი, ვინც აქციის მონაწილეებს (რომლებსაც რუსეთისთვის სასურველი რადიკალური ნინო ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა) პროვოკატორებად აღიქვამდა, აქციის დაშლაზე მეტად მკაცრი იყო.**

უტიაშვილი ამბობს, რომ შიდა მოკვლევა დაწყებულია. **„კადრებიდან ჩანს, რომ ზოგიერთმა პოლიციელმა ძალას გადააამეტა,** — თქვა მან, — **ისინი დაისჯებიან, მაგრამ მთლიანობაში არ ვფიქრობ, რომ დაშლის პორცესი ძალიან უხეში იყო, მხოლოდ 37 ადამიანია ჰოსპიტალიზებული“.**

დემონსტრაცია, რომელშიც დაახლოებით 1000 ადამიანი მონაწილეობდა, ვერ შეედრებოდა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებს, როდესაც ათი ათასობით ადამიანი ქუჩაში სააკაშვილის წინააღმდეგ გამოვიდა და პოლიციის ხელკეტების პირისპირ აღმოჩნდა. **ბევრი გარედამკვირვებლისთვის ეს იმის პირველი ნიშანი იყო, რომ დასავლეთის ნებიერა, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დემოკრატიულ გმირად შერაცხული სააკაშვილი ამ რეპუტაციას ვერ ამართლებდა. ომი სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის რეგიონში ამ მოვლენებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში გაჩაღდა. მოგვიანებით ევროკავშირის საგამოძიებო ჯგუფმა დაადგინა, რომ კონფლიქტი საქართველომ დაიწყო.**

**„საქართველო არშემდგარი სახელმწიფო იყო,** – ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე, რომელიც 29 წლისაა (**საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ახალი თაობის საშუალო ასაკის), — კორუფცია ყველა ჩვენი მოქალაქის ცხოვრების წესი იყო“.**

ასე არ ფიქრობს ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ლიდერი თინა ხიდაშელი. „ამ მთავრობას ორი ტიპის პრობლემა აქვს, — ამბობს ის, — დარწმუნებული არიან, რომ თავად წარმოადგენენ ჭეშმარიტებასა და უკანასკნელ ინსტანციას და ბევრ პროგრესულ რეფორმას იმგვარად ატარებენ, რომ მათი უმეტესობა დისკრედიტირებულია“.

**ოპოზიციის მთავარ პრეტენზიებს შორისაა სახელმწიფოს მხრიდან მედიის კონტროლი, ახირებული საკონსტიტუციო ცვლილებები და გამჭვირვალობის დეფიციტი, როდესაც საქმე ეხება ინფორმაციას მოხელეთა სიმდიდრესა და სააკაშვილის გრანდიოზული პროექტების ფინანსურ მხარეს. დღემდე ზუსტად არავინ იცის, რა დაჯდა სააკაშვილის ახალი მდიდრული საპრეზიდენტო სასახლის მშენებლობა.**

ხიდაშელი „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო; როგორც ადამიანის უფლებათა დამცველმა იურისტმა მომზადება შეერთებულ შტატებში გაიარა. წარსულში სააკაშვილისთვის რამდენიმე საქმეც მოიგო. **„ის მაშინაც გიჟი იყო, როდესაც ოპოზიციის ლიდერი გახლდათ,** — თქვა მან, — **მაგრამ მაშინ ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ის პასუხისმგებელი პირი არ იყო“.**

**არსებობს რამდენიმე კადრი, რომელსაც ხალხის გონებიდან ვერ ამოშლი: სააკაშვილი, რომელიც საკუთარ ჰალსტუხს ღეჭავს; ყალბი რეპორტაჟი, ომიდან შვიდი თვის შემდეგ მოსახლეობას რუსეთის ახალი ინტერვენციის შესახებ რომ აუწყა (სააკაშვილს ბოდიში არ მოუხდია პანიკისთვის, რაც ამ რეპორტაჟს მოჰყვა, და განაცხადა, რომ „ეს რეპორტაჟი მაქსიმალურად ასახავდა რეალობას და იმას, რაც შიძლება მოხდეს“).**

ყველაზე დეზორგანიზებული ქვეყნის იუსტიციის სისტემაა, რომლის მდგომარეობასაც მთავრობის წარმომადგენლებიც სავალალოდ აფასებენ და ამბობენ, რომ ის რეფორმირებული არ არის. იუსტიციის მინისტრის 29 წლის მოადგილე ამაყად აცხადებს, რომ საქართველოს ციხეებში დღეს დაახლოებით 24 ათასი პატიმარია („ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანას 6 ათასი პატიმარი ჰყავდა). უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, შარშან საქართველოში სასამართლო საქმეების 80% გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა და ქვეყნის ყოველწლიურ 3-მილიარდიან სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით ათობით მილიონი დოლარი შეემატა. სასამართლოს ინფორმაციით, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა მხოლოდ 0,2 %-ია.

**ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ადამიანების პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებაზეც საუბრობენ – თავიდან ნარკოტიკებთან დაკავშირებული ფალსიფიცირებული ბრალდებით, ახლა კი „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის“ სავარაუდო მოტივით ბრალდება — რასაც უტიაშვილი უარყოფს და „აბსოლუტურად დაუსაბუთებელს“ უწოდებს.**

**„მთელი მსოფლიო თვალს ხუჭავს ამ მთავრობაზე,** — ამბობს ხიდაშელი, — **მანამ, სანამ სააკაშვილი ავღანეთში სამხედრო კონტიგენტს ზრდის, ყველაფერი კარგადაა“. ახლახან საქართველომ განაცხადა, რომ ავღანეთში ისევ გაზრდის სამხედრო კონტიგენტს დღეს არსებული 925-დან 1600 სამხედრომდე. ქართველი სამხედროები ერაყშიც მსახურობენ.**

მიუხედავად ამისა, დასავლეთის მხრიდან სააკაშვილის მხარდაჭერა ბოლო წლებში შემცირდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ობამას ადმინისტრაციამ ყურადღება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე გაამახვილა.

სამხრეთ ოსეთის ომის შემდეგ საქართველომ 4,5 მილიარდი დოლარის დახმარების პაკეტი მიიღო, ახლა ის უცხოელებისა და მათი ინვესტიციების მოზიდვას ცდილობს. მთავრობამ ბიზნესის დაწყებისთვის შეამცირა ბარიერები, გაზარდა ტურისტული ინსფრასტრუქტურა და საკუთარ ეკონომიკაზე ხმაურიანი ისტორია შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეკონომიკას დღემდე უზარმაზარი პრობლემები აქვს უმუშევრობისა და სიღატაკის სახით.

გადამწყვეტი ტესტი ქვეყნის მოახლოვებული არჩევნებია — 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. უკვე ატეხილია ხმაური იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილს ხელისუფლებაში დარჩენა პუტინის მსგავსად სურს და, შესაძლოა, მან პრემიერმინისტრობა მოინდომოს, პრეზიდენტად კი მისდამი ლოაიალურად განწყობილ მოკავშირეს დასვამს.

**შეზღუდული ძალაუფლებისა და უზარმაზარი სახელმწიფო რესურსის ფონზე, რომელიც სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობისკენაა“ მიმართული, ოპოზიციური პარტიები სკეპტიკურად უყურებენ იმ საარჩევნო რეფორმას, რომელიც მეტი კონკურენციისთვის თითქოს უფრო გახსნილი სისტემის შექმნისკენაა მიმართული.**

**ცხადია, რომ სააკაშვილის მთავრობის ჩინოვნიკები არსად წავლას არ აპირებენ, ისინი ხუთი და რვაწლიანი გეგმების პერსპექტივით საუბრობენ, რათა დაწყებული რეფორმები დაასრულონ...**

**„ქართული საზოგადოება პროდასავლური და პრორეფორმისტულია,** — აცხადებს უტიაშვილი, — **მმართველი პარტია მათი ინტერესების გამომხატველია“.**

იგი აღიარებს, რომ ოპოზიციურ პარტიებს „ნაციონალური მოძრაობის“ გამოწვევის არანაირი შანსი არ აქვთ: **„თუკი თქვენ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ აქ ერთი გიგანტი და ბევრი ჯუჯააა“.**

**მირიამ ელდერი**
გლობალპოსტი

**თინა ხიდაშელი:**
**ის მაშინაც გიჟი იყო, როდესაც ოპოზიციის ლიდერი გახლდათ, მაგრამ მაშინ ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ის პასუხისმგებელი პირი არ იყო**



**მირიამ ელდერი:**
**მინისტრის მოადგილე ამაყად აცხადებს, რომ საქართველოს ციხეებში 24 ათასამდე პატიმარია, «ვარდების რევოლუციამდე» კი ქვეყანას 6 ათასი პატიმარი ჰყავდა**

**შოთა უტიაშვილი:**
**თუკი ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ იქ ერთი გიგანტი და ბევრი ჯუჯაა**



კანონიერი ყოველთვის როდი ნიშნავს სამართლიანს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ექსპროპრიაციის უფლება შესაძლებელია იყოს კიდეც სამართლიანი, თუმცა ერთმნიშვნელოვნად უსამართლოა... საზოგადოება კი, რომელიც ამას დაუშვებს, ვფიქრობ, ნამდვილად არ შეიძლება მორალური და ლიბერალური ღირებულებების მატარებელ საზოგადოებად ჩაითვალოს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სოსო ცისკარიშვილი: პარლამენტის მიერ ამ კანონის გაუქმება გამორიცხულია!

### „ნაცმოძრაობას“ ჩაფიქრებული აქვს, ნებისმიერ მსურველს საჩუქრად გადასცეს ესა თუ ის ეკლესია

**კანონმა, რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ, მართლმადიდებელ საზოგადოებაში დიდი პროტესტი გამოიწვია. პარლამენტმა პატრიარქის შეთავაზებული წინადადებები და თხოვნა არ გაითვალისწინა და კანონი ძალაში უცვლელად შევიდა. საქართველოს საპატრიარქოს შეფასებით, „პარლამენტის მიერ დღეს მიღებული კანონი როგორც ქართული ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება და თავის უარყოფით შედეგებს ახლო მომავალში გამოიღებს, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“.**

**მღელვარება ამ საკითხთან დაკავშირებით არ წყდება. მართლმადიდებელი მრევლი მანამდე აპირებს მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გაგრძელებას, სანამ კანონი ან საერთოდ არ გაუქმდება, ან კიდევ მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შევა. თუ რამდენად გონივრული, სწორი და სასარგებლო იყო პარლამენტისა და პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება, შეფასება პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ვთხოვეთ.**

— ეს იყო პარლამენტის ყოვლად არაადეკვატური ნაბიჯი სახელმწიფოსა და ეკლესიის დასაპირისპირებლად, რასაც შედეგად ქართულ-სომხური ურთიერთობების დამძიმება მოჰყვება. საზოგადოებასთან და ეკლესიასთან ერთად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის გარეშე, მხოლოდ 70 კაცის მწირ გონებაზე დაყრდნობით რელიგიურ სფეროში სერიოზული ცვლილების გატარების გადაწყვეტილების მიღება — ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ უტიფრობა. პარლამენტს არანაირი კონსულტაციები, არანაირი განსხვავებული აზრის მოსმენა არ უცდია, რადგან ბრძანება ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალისგან მოდიოდა.

თუ ხელისუფლებას ეყოფა ჭკუა პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გასაუქმებლად, მაშინ შეიძლება სიტუაცია სასიკეთოდ წარიმართოს და გახდეს შეთანხმებული, გონივრული და, შესაბამისად, ნაკლები საფრთხის შემცველი ქვეყნისთვისაც და ერისთვისაც.

**— უნდა შეეთანხმებინა თუ არა პარლამენტს ამ კანონის მიღება საპატრიარქოსთან?**

— რასაკვირველია. უფრო მეტიც, საპატრიარქო უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ამ კანონის განხილვის დროს. მართლმადიდებლური ქართული ეკლესია არასოდეს ყოფილა ტირანი რელიგიურ სივრცეში. ყველაფერი გაცილებით მშვიდად და ყველასთვის სასიკეთოდ ჩაივლიდა, ქართული ეკლესია რომ ჩართულიყო ამ საქმეში, **მაგრამ ეს იყო რევანში „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ საშინლად აღიზიანებს ქართული ეკლესიის რეიტინგი ქართულ საზოგადოებაში, რომელსაც, ხელისუფლების დიდი სურვილის მიუხედავად, ვერაფრით აჯობა „გამჭვირვალე პოლიციის“ ნდობის რეიტინგმა.**

**26 მაისს, აქციის დარბევისას, ქართველების მკვლელობა დემონსტრაციულად არ მოიწონა საქართველოს ეკლესიამ; ის არ გაეკარა დამოუკიდებლობის დღეს რუსთაველის გამზირზე გამართულ ზეიმს; უარი თქვა, პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის გადაცემის ცერემონიალისთვის თუნდაც სტუმრის პოზიციიდან ეყურებინა. ეს საკმარისი აღმოჩნდა შურისძიებისთვის.**

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება შეგნებულად ხომ არ ცდილობს სახელმწიფოსა და ეკლესიის დაპირისპირებას და თუ მოჰყვება ამ ნაბიჯს განხეთქილება?**

**— სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის განხეთქილება მოხდებოდა იმ შემთხვევაში, ქართველებს რომ არ შეეძლოთ ერთმანეთისგან „ნაციონალური მოძრაობისა“ და საქართველოს გარჩევა. ეს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ჰგონიათ, რომ თვითონ არიან საქართველო.**

არ ვიცი, რით აშანტაჟებს ჩვენს ხელისუფლებას სომხეთი ან რას სთავაზობს იმის სანაცვლოდ, რომ ქართველი მართლმადიდებელი მრევლისა და სრულიად ქართველი მოსახლეობის რისხვა დაიმსახუროს. მაგრამ ფაქტი სახეზეა — „ნაციონალური მოძრაობა“ სომხების გულის გახარებას ცდილობს. ვიტყოდი, რომ ამ ხელისუფლების მოღვაწეობის ისტორიაში ეს კანონი ყველაზე სულელური, შეურაცხმყოფელი და უზრდელურია! „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩაფიქრებული აქვს, საჩუქრად, პირობით ფასად, გადასცეს ნებისმიერ მსურველს ესა თუ ის ეკლესია.

**— ბატონო სოსო, შესაძლებელია თუ არა ამ კანონის გაუქმება და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მრევლის მოთხოვნის დაკმაყოფილება? თქვენი აზრით, წავა დათმობაზე ხელისუფლება?**

**— პარლამენტის მიერ ამ კანონის გაუქმება გამორიცხულია! ეს შეეძლო გაეკეთებინა პრეზიდენტს თავისი ვეტოთი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. კანონი უკვე ძალაშია. ახლა შესაძლებელია მხოლოდ ცვლილებების შეტანა მასში რეფერენდუმის გზით.**

## მომეცი, თორემ წაგართმევ!



## ლევან კალანდაძე: ექსპროპრიაცია დანაშაულია!

### «საქართველოს რკინიგზას» ყაჩაღობის უფლება დაუკანონეს

**რამდენიმე დღის წინათ „საქართველოს რკინიგზას“ თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ზოლში მოხვედრილი, ცალკეული პირების კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ქალბატონ ვერა ქობალიას №1-1/1035 ბრძანება ითვალისწინებს. რამდენად სამართლიანია ეს გადაწყვეტილება და ირღვევა თუ არა ამით მესაკუთრის უფლებები, ეკონომიკის ექსპერტს — ლევან კალანდაძეს გავესაუბრეთ.**

— ექსპროპრიაცია არის სახელმწიფოს მიერ ე.წ. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების მოტივით მესაკუთრისათვის კუთვნილი ქონების იძულების გზით ჩამორთმევა ან გასხვისება მესაკუთრისთვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდით ან გადახდის გარეშე. მაგრამ ტერმინი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ ყოველთვის პირობითია და ყველა დროში, ყველა ხელისუფლების მიერ, როგორც წესი, საკუთარი სუბიექტური შეხედულებებისა და საჭიროებების შესაბამისად ინტერპრეტირდება. თუმცა დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ქონების კანონიერ მფლობელს საკუთრების უფლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაათმობინოს — მისგან ამ უფლების ნებაყოფლობითი შეძენის ან გამოსყიდვის გზით. ნებისმიერი სხვა ე.წ. იძულებითი მეთოდისა და ძალის გამოყენება არასამართლიანია.

ექსპროპრიაციის პრაქტიკის დანერგვით ქვეყანაში იქმნება ძალიან ცუდი პრეცედენტი, რაც უკიდურესად ნეგატიურად აისახება როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივ ინვესტიციებზე, რადგან **ინვესტორისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის განცდას, სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკას, მისი ქონების ხელშეუხებლობის უფლების უპირობო აღიარებას და არა ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში წარმატებულ პოზიციონირებას.**

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა ხელისუფლებას?**

— ქონების მესაკუთრეებს ძალიან რომ არ გაეზარდოთ „მადა“ სახელმწიფოს მიერ მათ საკუთრებაში არსებული ქონების გამოსყიდვისას, სახელმწიფო წინასწარ ქმნის ერთგვარ პრევენციულ სამართლებრივ საფუძველს აღნიშნული პროცედურების „გასამარტივებლად“, ანუ ქონების მესაკუთრემ წინასწარ უნდა იცოდეს, რომ, თუ იგი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ფასს ან პირობას არ დათანხმდება, მას ქონებას ჩამოართმევენ. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, სახელმწიფოს ბევრი „თავისტკივილი“ ეხსნება და, ასე ვთქვათ, გაცილებით „უმარტივდება“ მესაკუთრეებთან დემპინგურ ფასზე შეთანხმების პროცედურები.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის აღნიშული ბრძანების გამოსვლის შემდეგ, საზოგადოებაში აქტიურად განიხილება — არის თუ არა ანალოგიური პრაქტიკა სხვა ქვეყნებში და რამდენად კანონიერია სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების გამოყენება. **ჯერ ერთი, ამ უფლების გამოყენება და მითუმეტეს აღსრულება დემოკრატიულ საზოგადოებებში განსხვავებულ ფორმატში, თავისუფალი სასამართლო ინსტიტუტების მეშვეობით ხორციელდება და არა — შპს-ებისთვის ამ უფლების დელეგირების გზით. მეორეც, კანონიერი ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამართლიანს.**

**ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ექსპროპრიაციის უფლება შესაძლებელია იყოს კიდეც სამართლიანი, თუმცა ერთმნიშვნელოვნად უსამართლოა.**

**— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ ბრძანებულების მიხედვით საკუთრების დათმობა მოუწევთ? აქვთ თუ არა მათ რაიმე შანსი, დაიცვან საკუთარი უფლებები?**

— ექსპროპრიაციის უფლების წინააღმდეგ, რაც სახელმწიფოს კანონით აქვს მინიჭებული, სამწუხაროდ, მესაკუთრეები უძლურნი არიან. აქ საზოგადოებრივ ძალისხმევასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას აქვს მხოლოდ და მხოლოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა, რათა სახელმწიფომ უარი თქვას და საბოლოოდ ხელი აიღოს ექსპროპრიაციის, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის, გამოყენებაზე. **საზოგადოება კი, რომელიც ამას დაუშვებს, ვფიქრობ, ნამდვილად არ შეიძლება მორალური და ლიბერალური ღირებულებების მატარებელ საზოგადოებად ჩაითვალოს.**

გვერდი მოამზადა **თეო ტაბატაძემ**

ჩელიბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მთავარი ის კი არ არის, რომ ჩვენ სომხეთთან „ომს“ ვაწარმოებთ, არა ჩვენი ნებით, არამედ მათი ნებით, მთავარი ის არის, რომ ამ „ომში“ ჩვენ არ უნდა დავმარცხდეთ არა როგორც ერი, არამედ როგორც მართლმადიდებლობის დამცველი ერი, იმიტომ, რომ ჩვენ უფალი ამაზე პასუხს მოგვთხოვს, მით უფრო, რომ მონოფიზიტობა, რომლის მიმდევრებიც სომხები არიან — ეს არის დამახინჯებულად მოწოდებული ცრუ სარწმუნოება, ანუ ფსევდო-სარწმუნოება და სომხებმა ძალიან კარგად იციან, რომ ცდებიან, მაგრამ მაინც აღიარებენ, რადგან ასე სჭირდება მსოფლიო პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს გლობალიზაციასა და ინტეგრაციას“.**



## მამა პეტრე (კვარაცხელია):

# საეკლესიო კრება აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ და «ქვაბ-ავაზაკნი» დედა-ეკლესიიდან განვდევნოთ!

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი პეტრე (კვარაცხელია).**

**— მამა პეტრე, პირველ რიგში, მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ ინტერვიუსთვის. ვგრძნობ, გააზრებული გაქვთ, რა მოჰყვება ამას, რამეთუ დღეს არც პათეტიკის და არც მოჩვენებითი გულწრფელობის დროა. ახლა შეულამაზებელი სიმართლე უნდა ვთქვათ, თუმცა ამის გამო შეიძლება „ჯვარს გაცვან“. რამდენად ხართ მზად ამისთვის?**

— ეს საუბარი ჩემი სურვილიც იყო, რადგან ვიცი, სიმართლეს არასოდეს გაურბიხარ. წმინდა ილია მართალი ბრძანებს: **„ყოველი ერის გათახსირება მაშინ იწყება, როდესაც იგი თავის ისტორიას ივიწყებსო“.** თუმცა შეიძლება ჩვენი ერის ისტორია არ დავივიწყოთ, მაგრამ დამახინჯებულად გვახსოვდეს ან სულაც, გარკვეული მიზნით, არასწორად გვასწავლიდნენ. ეს კიდევ მეორე უკიდურესობაა, რამაც ძალიან სავალალო შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ერი. ჩვენ შეულამაზებელი, ნამდვილი ისტორია უნდა ვიცოდეთ, იმის მიუხედავად, როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს იგი. მე დღეს სიმართლე ბოლომდე მინდა ვთქვა, რაც არა მხოლოდ მე, არამედ თითქმის მთელს ერს აწუხებს და სტკივა და ზუსტად ვიცი, ჩემს ამ ინტერვიუს რაც მოჰყვება. თქვენ მკითხეთ, ვარ თუ არა მზად შერისხვისთვის, სიმართლის გამო ჯვარცმისთვის? ყველა ქრისტიანი მოწოდებულია, რომ ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს. სახარებაში მაცხოვარი ბრძანებს: „სასუფეველი იიძულებისო“. ჩვენ შეიძლება ამ ჯვარცმას, ტანჯვას, წამებას ვერ გავუძლოთ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე წინასწარ დავფიქრდებით. ქრისტიანობა მარტვილობაზე და მოწამეობაზე გადის; ქრისტეს რჯული არა მხოლოდ სიტყვით, ამბიონიდან ქადაგებითა და მოწოდებით, არამედ ჩვენი ცხოვრების წესით უნდა დავამოწმოთ.

შირაზს წამებული ქეთევან დედოფალი მახსენდება, რომელმაც წამების წინ განმარტოება სთხოვა ჯალათებს. ეს განმარტოება მას ისევ უფალთან და არა საკუთარ თავთან მყოფობისთვის უნდოდა და, ვიდრე აწამებდნენ, უფალს შეავედრა საკუთარი ბედკრული ქვეყანა, სული. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „სამშობლო, ქრისტე!“.

**ყველა ქართველის მეხსიერებაში, აზროვნებაში, გენეტიკაში არის კოდი, რომელსაც ვერანაირი ძალა ვერასოდეს აღმოფხვრის. ეს არის მემკვიდრეობით გადმოცემული კოდი, რომელიც ძველი აღთქმიდან მოდის და ამ ძველ აღთქმას — საფუძველთა საფუძველს ახალი აღთქმისა, უერთდება ქართველი ერის ისტორია, მოწამეთა და წმინდა მამათა სისხლითა და ცრემლით ნაწერი! წმინდა გრიგოლი ღვთისმეტყველი ბრძანებდა: „უფალი ჩემი სამშობლოაო“! ყველა ქრისტიანისთვის, მით უფრო ქართველისთვის, სამშობლო ქრისტეა!**

დღეს ერთადერთი იმედი, რაც ქართველ ერს აქვს უფალთან ერთად, ეს არის ქართული სამოციქულო ეკლესიის ცხოველი სიტყვა, სიტყვა, რომელიც გატარდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სიტყვა, რომელიც უნდა წარმოსთქვან იმ ადამიანებმა, ვისი იმედიც გვაქვს. დღეს თითქოს სასოწარკვეთილებაში ვართ, მაგრამ ასეც არ არის! ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ხდება ჩვენს გამოსაფხიზლებლად, ხდება იმისათვის, რომ წამოვდგეთ ფეხზე და ეს წამოდგომა უდრიდეს ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას.

**— მამა პეტრე, თქვენ თქვენი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი გაატარეთ ბოლნისის ეპარქიაში, სადაც ქართული მოსახლეობის სიმცირის გამო ქართულ სულს, ქართულ სიტყვას უჭირს და ტკივილი, რომელიც ახლა გალაპარაკებთ, თქვენთვის ახლობელია, ორგანულია. ჩვენი წინაპრების დაშვებულ შეცდომებს ახლა ვიმკით ბოლნისში და არა მხოლოდ იქ. თქვენ პროფესიით ისტორიკოსი ხართ და უპრიანიც არის დღევანდელი რეალობის არა მხოლოდ სულიერ, არამედ ისტორიულ ჭრილში განხილვაც. თქვენ წეღან აღნიშნეთ, ერმა თავისი ნამდვილი, და არა დამახინჯებული, ისტორია უნდა იცოდეს, სავალალო შედეგამდე რომ არ მივიდესო (ალბათ, ამიტომაც ცდილობენ ისტორიის შელამაზება-გადაკეთებას!).**

— დღეს უმძიმესი ჟამი დგას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, ნამდვილად არ დაწყებულა რამდენიმე წლის წინ, გუშინ თუ გუშინწინ. ამას საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც (ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი) ქართველი ერი გამოცხადდა საზეპურო ერად, რაც დედა ღვთისმშობელმა მიირქვა იგი, ისევე, როგორც ჩვილი მაცხოვარი და დედა ღვთისმშობლის მადლითა და უშრეტი უკვდავებით იკვებებოდა ჟამითი ჟამად და ასე იქნება ყოველთვის, განა იმიტომ, რომ ეს ჩვენ გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ღვთის ნება და ჩვენ ამ ნებას ვერასოდეს შევეწინააღმდეგებით. გაჩნდა შური, გაჩნდა ბოღმა ჩვენი ერის მიმართ და ეს შური იქიდან წამოვიდა, საიდანაც ყველაზე მეტად ადვილი შესაძლებელი იყო, რომ წამოსულიყო. ძალიან ბევრია სათქმელი და ძალიან ძნელია ამ ყველაფრის ერთად თავმოყრა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ ან, ყოველ შემთხვევაში, შევეცადოთ მაინც, რისი თქმაც აუცილებელია. **ის, რომ სომეხი ბუნებით მოღალატე და მზაკვარია, ამის შესახებ ჩემი სიტყვებით არ მინდა ვთქვა — მე მინდა მოვიშველიო წმინდა გრიგოლი ღვთისმეტყველი: „და მერმე იქმნა ესევითარცა, რამეთუ ვითარც არს ნათესავი იგი სომეხთა, არა წრფელი, არამედ მზაკვარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღვასა შინა და ვერ იხილავენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხვაზე იტყვიან იგინი და სხვაი უდს გულისა და სიწრფოებაი მათ თანა არა არს. და რაი საკვირველ არს, უკეთუ კაცსა იცრუენით, ვინაითგან თავადისა ღვთისა მიმართ სრულ არიან და მზაკვარ და ბოროტად აღმსაარებელ“, ანუ ბოროტი აღმსარებლებიო.** ეს ძალიან გულსატკენია, როდესაც ჩვენ ასე ერზე ვსაუბრობთ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. სიმართლეს შელამაზება არ სჭირდება, იმიტომ, რომ უფრო მეტად დამახინჯდება და უფრო მეტად დავზარალდებით და უფრო მეტად დავასხამთ მათ წისქვილზე წყალს. **აქამდე ვცდილობდით, რომ ამაზე ასეთი ყურადღება არ გაგვემახვილებინა, მაგრამ სომხეთის წინააღმდეგ „ომი“ — ეს ქართველი ერის სურვილის საწინააღმდეგოდ გახდა მისი ორგანული ნაწილი, რაც, ალბათ, არასოდეს დასრულდება, ვიდრე მეორედ მოსვლამდე.** მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ჩვენ სომხეთთან „ომს“ ვაწარმოებთ, არა ჩვენი ნებით, არამედ მათი ნებით, მთავარი ის არის, რომ ამ „ომში“ **ჩვენ არ უნდა დავმარცხდეთ არა როგორც ერი, არამედ როგორც მართლმადიდებლობის დამცველი ერი, იმიტომ, რომ ჩვენ უფალი ამაზე პასუხს მოგვთხოვს, მით უფრო, რომ მონოფიზიტობა, რომლის მიმდევრებიც სომხები არიან — ეს არის დამახინჯებულად მოწოდებული ცრუ სარწმუნოება, ანუ ფსევდო-სარწმუნოება და სომხებმა ძალიან კარგად იციან, რომ ცდებიან, მაგრამ მაინც აღიარებენ, რადგან ასე სჭირდება მსოფლიო პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს გლობალიზაციასა და ინტეგრაციას.**

ეს ყველაფერი წამოიწყო სასანიდურმა ირანმა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, მაშინ, როდესაც მან გადაწყვიტა ამიერკავკასიის სამი ძირითადი სახელმწიფოს დაპყრობა, დამონება და დამორჩილება, მაგრამ იგი ვერაფერს გახდა, რამეთუ ამიერკავკასიის წამყვანი სახელმწიფო იყო ქართლი, რომელსაც წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ანდერძად დაუტოვა: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა!“. აქედან გამომდინარე, იგი კარგად მიხვდა, რომ ქართლთან ვერც ხმლით და ვერც მუქარით ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ შორსგამიზნულად გადაწყვიტა, ქართველების წინააღმდეგ იდეოლოგიური ომი ეწარმოებინა. ამისათვის, როგორც უდიდესი წმინდანი, გრიგოლ ღვთისმეტყველი აღნიშნავს, „მზაკვარი“ სომხები გამოიყენა. მართლაც დაიწყო ბრძოლა ქართლისთვის, ქართლმა კი — ბრძოლა სარწმუნოებისთვის! სომხეთი ამ დროს „დამოუკიდებლობას“ ინარჩუნებდა. **როგორ შეიძლება ერმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნო, როცა თვითმყოფადობას კარგავ, როცა საკუთარ თავზე ამბობ უარს, როცა სარწმუნოებას ღალატობ. იმის გამო, რომ ირანთან ფეხმორთხმული მჯდარიყო, ქართლს დაუპირისპირდა, სომხეთმა ქრისტეს მხოლოდ ერთბუნებრიობა აღიარა და ამისკენ მოუწოდა აღმოსავლეთ საქართველოს და შემდეგ უკვე მთელს ამიერკავკასიას.** მოხდა რა? მოხდა ის, რომ დაიწყო ძალიან დიდი, ძლიერი რელიგიური შუღლი, თუმცა იმაზეც უნდა ვისაუბროთ, რომ ქართველებსა და სომხებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა ამ ორი თანამოძმე ერის ინტერესი, ამაში ყოველთვის იღებდა მონაწილეობას მესამე მხარე და ეს მესამე მხარე ამ შემთხვევაში ირანი გახლდათ. ბუნებრივია, მას ჰქონდა საყრდენი ქართლშიც გამყიდველების სახით, მაგრამ ეს საყრდენი შეიძლებოდა მას გამოცლოდა, თუმცა მან ერისა და ქვეყნის გამყიდველები კარგად გამოიყენა ქართლის წინააღმდეგ და ისევ სომხების წინააღმდეგაც, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, სომხები ვერ ხვდებოდნენ. **მოხდა ისე, რომ მოსე, სომეხთა ეპისკოპოსი, რომელსაც საეპისკოპოსო კათედრა ცურტავში ჰქონდა, დაუპირისპირდა ქართლის კათალიკოს კირიონს. ჩვენ ვიცით მათი მიმოწერის შესახებ მეშვიდე საუკუნეში, რასაც ეპისტოლარული ნაშრომები ქვია.**

ცურტავის საეპისკოპოსო, რომელიც, თავის მხრივ, იტევდა ორ დიდ სამწყსოს — ქართულსაც და სომხურსაც, ყოველთვის იდგა მოწოდების სიმაღლეზე (მაშინ სომხები მართლმადიდებლები იყვნენ) და ერთ-ერთი ძლიერი იყო, რამეთუ სწორედ ის იყო ჩვენთვის სამხრეთის კარიბჭე, საიდანაც მტერი საქართველოში და მის გულში ადვილად ვერ შემოაღწევდა და სწორედ ეს სამხრეთის კარიბჭე ჩამოგვიხსნა ირანმა სომხების მეშვეობით და ამით ადვილად დაეპატრონა არა მხოლოდ ჩვენს ტერიტორიას, არამედ პირველ რიგში — ჩვენს იდეოლოგიას და ეს იდეოლოგია ჩვენთვის იყო ქართველობა, როგორც წმინდა ილია მართალი აღნიშნავს, რელიგიაში გადაზრდილი. **ჩვენ არ ვიცით, სად მთავრდება მართლმადიდებლობა და სად იწყება ქართველობა — ეს არის ჩვენთვის ერთი განუყოფელი მთლიანობა.**

დაიწყო ბრძოლა სარწმუნოებისათვის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობა მაშინ მოწოდების სიმაღლეზე იყო და ამ ყველაფრის თავი და თავი წარმოშობით სომეხი წმინდა შუშანიკი ბრძანდებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ცურტავის ეპარქიაში სწორედ მან შემოიღო ორენოვანი მსახურება, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები მაშინ მართლმადიდებლები იყვნენ. ამ ორენოვანი მსახურებით ორივე (ქართველი და სომეხი) ერი ერთობლივი ლოცვით ადიდებდა უფალს. **ამაზე ლამაზი სანახაობა, ალბათ, არაფერი იქნებოდა! ეს იყო ქართველი და სომეხი მოძმე ერების ერთიანობის სიმბოლოც, თუმცა VI-VII საუკუნეების მიჯნა ალტერნატივის წინაშე აყენებს ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებს, ქალკედონიელობის აღიარება ბიზანტიის იმპერიაზე კურსის აღებას ნიშნავს, მონოფიზიტობა — სპარსეთის ქვეშევრდომობის აღიარებას.** მალე მესამე ძალაც — ისლამი ჩაერევა საქმეში, ასეთ ვითარებში სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკა დიდ როლს ითამაშებს ქვეყნის შემდგომ ბედზე — აღმოსავლეთის ქრისტიან ქვეყნებს შორის ერთადერთია ქართლი, რომელიც ბიზანტიის მხარეზე გადაჭრით დგას, სწორედ მაშინ, როცა სპარსების უპირატესობა სავსებით აშკარაა. VII საუკუნის დამდეგს აღებული კურსი — ქალკედონური მრწამსის ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება და ამ გეზის განუხრელი გატარება საშუალებას აძლევს ქართლს, ძლიერების ზენიტში თავი ბიზანტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მემკვიდრედ გამოაცხადოს. **V საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ბრძოლა დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის 608 წელს (ქალკედონის კრებაზე) ამიერკავკასიაში დიდი საეკლესიო განხეთქილებით დამთავრდა, რაც ყველაზე მეტად შეეხო ქვემო ქართლს, სადაც სომხებიც სახლობდნენ. უკვე მონოფიზიტ სომხებს იქიდან უნდა ებრძოლათ დანარჩენი საქართველოსათვის, რათა თავიანთი ცრუ რელიგია — მონოფიზიტობა მათთვისაც მოეხვიათ. მოხდა ძალიან დიდი დაპირისპირება — სომხეთის პატრიარქი აბრაამი სწორედ მოსეს, სომეხი ცურტაველი ეპისკოპოსის, მეშვეობით ცდილობდა ქართლისა და ქართლის მაშინდელი კათალიკოსის, კირიონის წინააღმდეგ ბრძოლას და იქ მონოფიზიტობის დამკვიდრებას. ამისთვის იყო შემოგზავნილი მოსე ეპისკოპოსი, რომელიც უკვე აშკარად გადადიოდა შეტევაზე, ცდილობდა, რომ მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე მოექცია არა მხოლოდ სომხები (მაშინ, როცა ის სომხებიც მართლმადიდებლები იყვნენ), არამედ ქართველებიც კი. მაგრამ სომხეთის ეს მზაკვრული პოლიტიკა მაშინ კრახით დამთავრდა, რადგან იმ დროს ჩვენი ეკლესია მოწოდების სიმაღლეზე დადგა.** ▶

**მამა პეტრე:**

## კანონი რელიგიური კონფესიების შესახებ საუკუნის შეცდომაა, დანაშაულია, ღალატია!

„სარწმუნოება მხოლოდ ის კი არაა, დავდგეთ და წირვა-ლოცვა ჩავატაროთ ან მოვისმინოთ! მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას უჭირდა, ათონის ივერთა მონასტერი მიატოვა ბერად შემდგარმა თორნიკე ერისთავმა, ისევ აბჯარი აისხა და საბრძოლველად გაემართა. ქვეყანას უჭირდა მაშინაც, როდესაც კირიონ ქართლის კათალიკოსმა იდეოლოგიური, რელიგიური ბრძოლა დაუწყო სომეხთა კათალიკოსს — აბრაამს. აბრაამის წინააღმდეგ ეს ბრძოლა კირიონს არ გაუმართავს სომხების მიმართ შურის, ანგარების ან სიძულვილის გამო. იგი ჭეშმარიტ რწმენას, ანუ ქვეყანას მტკიცედ იცავდა“.

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა პეტრე: უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს არა ტერიტორიას, არამედ სარწმუნოებას გვართმევენ და გვართმევენ თბილისში, იქ, სადაც ამდენი სასულიერო პირი ვდგავართ!

როცა თანამედროვეობაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია ვიყოთ გულწრფელნი, თუ პარალელს წარსულთან არ გავავლებთ და ისეთ დიად წარსულთან, როგორიც არის VII-VIII-IX საუკუნეების საქართველოს ისტორია, რამეთუ სწორედ იქიდან იწყება აშკარა დაპირისპირება სომხეთსა და საქართველოს შორის.

**— მამა პეტრე, მოდი დავაკონკრეტოთ — სომხებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება, გნებავთ მტრობა, სომხების მიერ მონოფიზიტობის აღიარებით, ანუ მათ მიერ მართლმადიდებლობის უარყოფით დაიწყო? მერე როგორ განვითარდა მოვლენები?**

**— დიახ, როგორც კი დაშორდა სომხეთი მართლმადიდებლობას, იგი დაუპირისპირდა საქართველოს; მალე ეს რელიგიური უთანხმოება აშკარა პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.**

**დღეს, როცა მავანნი ფიქრობენ, როგორ შეიძლება სასულიერო პირი იყოს პოლიტიზებული, მე მხოლოდ იმას ვეტყვი — ხომ ხედავთ, რომ რელიგია ცალკე ორგანიზმი არ არის, რელიგია არის სახელმწიფოში და, თუ ჩვენ რელიგია, როგორც იდეოლოგია, სახელმწიფოსთვის, სახელმწიფოებრივი მოწყობისთვის, მისი ფეხზე დაყენებისთვის არ გამოვიყენეთ, მაშინ წარმატებას ვერასოდეს მივაღწევთ. სარწმუნოება მხოლოდ ის კი არაა, დავდგეთ და წირვა-ლოცვა ჩავატაროთ ან მოვისმინოთ! მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას უჭირდა, ათონის ივერთა მონასტერი მიატოვა ბერად შემდგარმა თორნიკე ერისთავმა, ისევ აბჯარი აისხა და საბრძოლველად გაემართა. ქვეყანას უჭირდა მაშინაც, როდესაც კირიონ ქართლის კათალიკოსმა იდეოლოგიური, რელიგიური ბრძოლა დაუწყო სომეხთა კათალიკოსს — აბრაამს. აბრაამის წინააღმდეგ ეს ბრძოლა კირიონს არ გაუმართავს სომხების მიმართ შურის, ანგარების ან სიძულვილის გამო. იგი ჭეშმარიტ რწმენას, ანუ ქვეყანას მტკიცედ იცავდა.** არა მგონია, ეს რომელიმე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში სომხეთის, მიმართ წარმოებული მტრობის პოლიტიკა იყოს! როცა თავს გესხმიან და სარწმუნოების წართმევას გიპირებენ, თავი უნდა დაიცვა ერმა! კირიონ კათალიკოსმა გააკეთა ის, რისთვისაც იგი ქრისტესგან იყო მოწოდებული, რასაც ნებისმიერი კათალიკოს-პატრიარქი გააკეთებდა ასეთ დროს. **ამიტომ მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ დღეს გულანთებული ქართველი, რომელიც მხოლოდ პატრიარქის იმედად არის, დედამიწაზე პატრიარქის აჩრდილს ადევნებული, ელოდება მის გონიერ გადაწყვეტილებას. მე ღრმად მწამს, ჩვენი პატრიარქი სწორედ ასე მოიქცევა, რამეთუ იგი კირიონის შთამომავალია და იმას, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ბოლო მოეღება.**

**ის კანონი რელიგიური კონფესიების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე ასე დაჩქარებული წესით მიიღო, საუკუნის შეცდომაა, დანაშაულია, ღალატია და ამისთვის მომავალი თაობა პასუხს აუცილებლად მოგვთხოვს (თუ კიდევ დარჩა ქართველი). ეს არ არის მხოლოდ აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ტაო-კლარჯეთის, ჰერეთის ტრაგედია, ეს უფრო მეტია, ხალხო! დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ და გულწრფელად ვთქვათ, რომ დღეს, ფაქტობრივად, არა ტერიტორიას, არამედ სარწმუნოებას გვართმევენ და გვართმევენ თბილისში, იქ, სადაც ამდენი სასულიერო პირი ვდგავართ. რისთვის ვდგავართ? სად არიან მესაზღვრე ბერები? სად არიან დიდი თუ პატარა იერარქები?**

როდესაც XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა საქართველოში რვაგზის ილაშქრა, მას ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი მიზანი — დაემარცხებინა და პირისაგან მიწისა აღეგავა მართლმადიდებლობა. იმ დროს ჩვენ ძალიან ბევრი წმინდანი გვყავს — გავიხსენოთ ქვათახევის ისტორია, ბირთვისის ციხე, ხუთასი ბოლნელის ისტორია. მაგრამ ზოგიერთმა ვაიპოლიტიკოსმა გიორგი VII-ს პოლიტიკა უარყოფითად შეაფასა, რამეთუ მის დროს ქვეყანამ ძალიან დიდი ზარალი განიცადაო. შეიძლება ქვეყანამ ტერიტორიულად მართლაც ძალიან დიდი ზარალი განიცადა, ამას მოჰყვა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნასახლარი, ნასოფლარი“, „ნაქალაქარი“, მაგრამ რომ არა გიორგი VII, ქართველი ერი მართლმადიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა. **როდესაც 1403 წელს უკანასკნელი ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და თემურ-ლენგს შორის, თემურ-ლენგმა ქართველი ერი მართლმადიდებლად აღიარა! ეს იყო ამ ბრძოლაში ქართველებისა და მისი მეფის უდიდესი გამარჯვება. თვით პირსისხლიანმა თემურ-ლენგმაც კი, რომელიც ქართველი ერის წინააღმდეგ არა მხოლოდ ტერიტორიისთვის, მისი დაპყრობისთვის, დამონებისა და დამორჩილებისთვის, არამედ იდეოლოგიურად იბრძოდა, საქართველოს სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობა აღიარა!..**

**— მამაო, აგვიხსენით, სინამდვილეში რას წარმოადგენს პარლამენტის მიერ მიღებული ეს კანონი და გულწრფელად გვითხარით, ამ კანონის მიღებით, სომხებმა თექვსმეტსაუკუნოვანი იდეოლოგიური ბრძოლა „მოგვიგეს“?**

**— ამ ეტაპზე სომხებმა მოგვიგეს. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ეს კანონი სომხების საამებლად მიიღო! ჩვენ ამის აღიარება გვიჭირს, არ გვინდა. იცით, რა არის? მოდი ხმამაღლა ვთქვათ — ეს კანონი ისევ ჩვენს ქვეყანაში მიიღეს, მაგრამ მიიღეს სომხური ლობის ზეწოლით და მიიღეს ისევ ნახევრად თუ მთლიანად სომხებმა! ეს თაობა წავა, ეს ხელისუფლება გადაეგება, მაგრამ ეს კანონი არ უნდა დარჩეს ძალაში. და თუ ჩვენ ხმას კიდევ არ ამოვიღებთ, თუ ამასაც ისე შევეგუებით, როგორც აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ტაო-კლარჯეთის, ჰერეთის ტრაგედიას, მაშინ არ გაგვიკვირდეს, თუ ერთ დღეს სომეხი მოგვადგა „ჰავლაბარში“, სამების ეზოში და გვითხრა — ეს ჩემი წინაპრების მიწაა, ძვალთშესანახია (ისედაც ამას ამბობენ სულ და სამების ტაძარი გულზე ლოდად აწევბათ) და თქვენს გვერდით ჩვენც ტაძარი უნდა ავაშენოთ, სამების ეზოში ერთი სომხური ტაძარი აუცილებლად უნდა არსებობდესო! ეს აუცილებლად მოხდება! ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ და უფრო მეტიც — ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა, მასზე მზაკვრული რა შეიძლება მოხდეს?** მან გააკეთა არა იმიტომ, რომ გული ძალიან შესტკიოდა სომხებზე, არამედ იმიტომ, რომ ქართველ ერს დაანახოს, რომ ეკლესიის მესვეურები არიან ლაჩრები! რომ ეკლესიის მესვეურები სააკაშვილისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ ხმას ვერ ამოიღებენ. და ამის დემონსტრირება დღეს უკვე მოხდა! რასთან გვაქვს საქმე? **სააკაშვილმა ქართულ სამოციქულო ეკლესიას ავტორიტეტი ვერ აპატია და უნდა, ეს ავტორიტეტი ქართველი ერის თვალში შეუბღალოს და მიწასთან გაასწოროს! ის თავის თავს, მის თანამედროვეებსა და ქვეშევრდომებს არასოდეს აპატიებს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მასზე უფრო დიდი ავტორიტეტია! ეს ადამიანი აბსოლუტურად არაფრით განსხვავდება ტირანისაგან! ამ** კანონთან შეგუება უკვე ძალიან დიდი შეცდომა, ძალიან დიდი დანაშაული იქნება! ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება მასობრივი გამოსვლები, რაც სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს — ერთი მხარე გავიდეს ქუჩაში და აქციები მოაწყოს, მეორე მხარემ დაუცადოს პატრიარქს, როდის მიიღებს ლოცვა-კურთხევას, რომ მერე გავიდეს! ეს ყველაფერი შორს გამიზნული ბოროტებაა! ის, რაც ვერ განახორციელა მოსე სომეხმა ეპისკოპოსმა VII საუკუნეში, გავაკეთეთ ჩვენ XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, მაშინ, როდესაც დედამიწა, ყოველ შემთხვევაში ასე მგონია, რომ ჩალით არ არის დაფარული! ეს არის შორს გამიზნული პოლიტიკა! არ არის პათეტიკების დრო, ჩვენ სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ და არ უნდა შეგვეშინდეს იმის, რა შეიძლება ამას მოჰყვეს!

**სომხების პატრიარქი გარეგინი იყო ჩამოსული და თითქოს „დამარცხებული“ გაბრუნდა სომხეთში, მაგრამ მან თავისი „იუდას კუდი“ საქართველოში მაინც მოიქნია და მისი ეს მოქნეული კუდი ასწლეულებს გადასწვდება! თუ ჩვენ დღეს მოწოდების სიმაღლეზე არ დავდექით, აღვიგვებით პირისაგან მიწისა და დაიწყება მართლაც განუკითხაობა, ანარქია და მეორედ მოსვლა იმაზე ადრე დადგება, ვიდრე ჩვენ გვგონია!** მართალია, ეკლესიაში ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, ძალიან ბევრი ნაკლი აქვთ სასულიერო პირებს, მაგრამ საქართველო მაინც არის მართლმადიდებლობის კუნძული, საქართველოში მაინც ვინახავთ ქრისტეს სახელს, მაინც გვწამს, მაინც გვჯერა და მაინც გვქვია მორწმუნეები. **მე არა ერთხელ ვყოფილვარ წმინდა მიწაზე, მაცხოვრის აღდგომის ტაძარში შევსულვარ და გული მტკენია — ისტორიულად იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და მაცხოვრის აღდგომის ტაძრის გასაღები მემკვიდრეობით ქართველს ეკუთვნოდა! დღეს იქ ერთი ტაძარიც კი აღარ გვაქვს! ყველა დავკარგეთ! წმინდა იაკობის ტაძარი კი XVII საუკუნეში სომხებმა წაგვართვეს!**

კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ჩვენ დღეს მიღებულ ამ კანონს შევეგუეთ, მაშინ უარესის ღირსი ვიქნებით, თუმცა ვფიქრობ — უარესი რა შეიძლება მოხდეს? ამაზე უარესი, უბრალოდ, აღარ არსებობს! ამაზე გაჩუმება არაფრით შეიძლება! წმინდა ილია მართალი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში წერდა „ქვათა ღაღადში“, — **ყოველთვის ცდილობს, სომეხი ერი, რომ ქართველები დააკნინოს და ქართველების ჩაგვრით მან საკუთარი უპირატესობა დაამტკიცოსო. უფრო მეტიც — ვინც კი ჩვენ წმინდანი გვყავს, ვინც კი გამორჩეული მამულიშვილი გვყავს, მათი აზრით, წარმოშობით ყველა სომეხია! მეტი რაღა უნდა მოხდეს! საერთაშორისო კონფერენციებზე სომხები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ სვეტიცხოველი და ჯვარი სომხური წარმოშობისაა! მეტი რაღა შეიძლება წაგვართვან! მაგრამ აქ მხოლოდ სომხეთზე არ არის აქცენტი, მოდი ესეც ვთქვათ და ბოლომდე გულწრფელნი ვიყოთ! მართალია, ასეთია მათი ბუნება, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს? თუ ის მე მიპყრობს, თუ ის ჩემ წინააღმდეგ გამოდის, მჩაგრავს, გასდის და იმიტომ. ამ შემთხვევაში მე — ეკლესია, ანუ ოფიციალური მხარე, რას ვაკეთებ?** ურთიერთსაპირისპირო აზრზე ვართ ქართველი ერი, თითქოს იმედიც დავკარგეთ და ერთმანეთთან გამუდმებით ვსვამთ კითხვას: „რა გავაკეთოთ? ვის მივყვეთ? რა გზას დავადგეთ, ვის მივენდოთ?“ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“, მაგრამ სალათას ძილს მიცემული ქართველი ერი, ასე თუ ისე, ილიას მკვლელობის დღეს გამოფხიზლდა! დღეს ილიას სიკვდილზე უფრო მეტი გვჭირს ქართველებს! მაშინ ილია მოკლეს, მაგრამ იდეა — ვერა; **კირიონ II მოკლეს, მაგრამ მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე კიდიაო, დაგვიბარა მან. დღეს კი იმას გვართმევენ, რისთვისაც ილია და კირიონი მოკლეს! ესაა უბედურება! ამას ჩვენ არასოდეს არ უნდა შევეგუოთ. ილია წმინდანია, კირიონი წმინდანია, ამბროსი ხელაია წმინდანია, რომელმაც გენუის კონფერენციას მიმართა — გული ჩემი ეკუთვნის სამშობლოს, სული — ღმერთს, მძორს კი, რაც გინდათ, ის უქენით, ჯალათებო!** და სწორედ რომ გული სამშობლოს ეკუთვნის და სული ღმერთს, იმ მიზანს გვართმევენ, რისთვისაც ჩვენ გავჩნდით დედამიწაზე!

...სულს გვართმევენ, რომ გვაქციონ უსიცოცხლო, „N“და „X“ ადამიანებად.

**ჩვენ დღეს ბრძოლისთვის უნდა მოვემზადოთ — ეს არის იდეოლოგიური ბრძოლა, ეს არის რელიგიური ომი! ამ კანონით მხოლოდ სომხეთის ეკლესია კი არა, ისლამიც მართლმადიდებლობას გაუთანაბრდა! ბოლნისი, აჭარა მეჩეთებით „დამშვენდება“. ახალქალაქი და კუმურდოს ეპარქია სომხებით გაივსება და თბილისშიც ისინი მოგვადგებიან და რა დარჩება დასაცავი? აღარაფერი! რა უნდა წაგვართვან? აღარაფერი! ჩვენ დღეს თუ მშვიდად შევეგუეთ იმას, რასაც გვართმევენ, მაშინ ხვალ და ზეგ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში ვიქნებით უცხოტომელები! და ამის პრეტენზია აქვთ სომხებს! სომხები უკვე ხმამაღლა აცხადებენ, რომ ჩვენ ბასკების შთამომავლები ვართ და ესპანეთში უნდა დავბრუნდეთ — ამას „მეცნიერულად“ ამტკიცებენ. და საქართველო არის მათი კუთვნილი ტერიტორია! ძალიან მაინტერესებს, ამ სახის ხელშეკრულებას ან სომხეთი, ან აზერბაიჯანი თუ მოაწერდა ხელს?! პასუხი ერთია — არა!**

მაშინ, როდესაც მე ბოლნისშიც კი თავისუფლად არ მაქვს იმის უფლება, რომ ელიას მთასთან ახლოს აღვმართო ჯვარი იმიტომ, რომ აზერბაიჯანელების რისხვა არ დავიმსახურო, მაშინ, როცა სომხეთში ერთი ქართული ტაძრის გახსნის უფლებასაც არ გვაძლევენ, რაც ჩვენია, იმასაც გვეცილებიან, როგორ შეიძლება, ჩემს ქვეყანაში ისლამის მიმდევრები, სომხეთის ეკლესია აქციო საჯარო სამართლის იური- ▶

«ეს კანონი ჩვენს ქვეყანაში მიიღეს, მაგრამ მიიღეს სომხური ლობის ზეწოლით და მიიღეს ნახევრად თუ მთლიანად სომხებმა!»



«ღმერთმა არ ქნას, ეკლესიის მესვეურთა შორის გვეგულებოდეს მოსე, სომეხი ეპისკოპოსი»

ჩემიმბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეკლესია ქრისტეს სხეულია და მისი დაჯიჯგნის უფლებას არავის მისცემს ქართველი! დღეს მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ერთიანად მოვიკრებთ ძალებს, ერთად დავდგებით იქ, სადაც ქარიშხალია, იქ, სადაც ასი ათასი მოწამის სისხლი დაღვრილა! იქ, სადაც ჩვენ სიონს გვედავებიან, იქ, სადაც სვეტიცხოველს გვედავებიან! რა გვინდა ხელისუფლებასთან? ხელისუფლება და სახელმწიფო პიროვნებები წარმოსდგებიან ერიდან, წარმოსდგებიან ჩვენი სულიერი-იდეოლოგიური მდგომარეობიდან! ჩვენ თუ სულიერად არ ვდგავართ მოწოდების სიმაღლეზე, ჩვენ თუ ეს გაგვიბედეს, იმიტომ, რომ ამის ღირსები ვართ! იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვამხელთ, სწორად არ ვცხოვრობთ!“**



ჩვენ ვცდილობთ, ყველასთან გვქონდეს მეგობრული დამოკიდებულება, მაგრამ როცა ეკლესიას ეხებიან, ამას ვერ მოვითმენთ, რადგან ეკლესია შეუვალია! პიროვნული ჰუმანურობა და კაცთმოყვარეობა ეკლესიის დაცვაში არ გამოგვადგება იმიტომ, რომ ეკლესია სახელმწიფოზე მეტია! ნუ ვიქნებით დაბრმავებულები და ისიც ვთქვათ — მართლმადიდებლობას ნუ მივიჩნევთ მხოლოდ ქართველებისთვის მემკვიდრეობით გადაცემულ რელიგიად. მართლმადიდებლობა ისეთივეა სომეხისთვის, არაბისთვის, როგორც ჩემთვის, მაგრამ თუ იმის პრეტრენზია და ამბიცია მაქვს,

მამა პეტრე:

# ნამდვილი ისტორია უნდა ვიცოდეთ, იმის მიუხედავად, როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს იგი

◀ დიულ პირად? ამაზე მეტი უბედურება რაღა უნდა მოხდეს?!

**— აგვიხსენით, რა განსხვავებაა დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის, ანუ ჩვენსა და სომხების რწმენას შორის?**

— მონოფიზიტობა აღიარებს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას ქრისტესას, დიოფიზიტობა კი — ღვთაებრივსაც და ადამიანურსაც, ანუ სინამდვილეში იმას, რითაც ბრძანდებოდა ჩვენთან მიწაზე უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ქრისტე რომ მხოლოდ ღვთაებრივი ბუნებისა ყოფილიყო, დედამიწაზე ადამიანთა შორის ვერ იქნებოდა, ადამიანურად ვერ გაიგებდა ადამიანის ტკივილსა და სიხარულს, და თუ ადამიანურად ადამიანის ტკივილი ვერ გაიგე და თუ ადამიანის დაცემის ფასი არ იცი, მისი წამოდგომის ფასი ვერასოდეს გეცოდინება, ანუ, სომხების აზრით, გამოვდივართ ფარისევლები, რომლებიც სარწმუნოებას ბრმად მივუყვებით.

...როდესაც ყოველწლიურად ძალიან ბევრი მომლოცველი ჩადის მაცხოვრის ტაძარში, იქ მხოლოდ მართლმადიდებელ პატრიარქს აქვს უფლება, შევიდეს კუვუკლიაში და გამოაბრძანოს ღვთაებრივი ცეცხლი. სომხებს ყოველთვის ჰქონდათ იმის ამბიცია, რომ თვითონ შესულიყვნენ და გამოებრძანებინათ ღვთაებრივი ცეცხლი — შევიდნენ კუვუკლიაში და რა? ცეცხლმა გახეთქა და გადმოვიდა იმ სვეტიდან, რომელთანაც მართლმადიდებლები იდგნენ — ამის კლასიკური მაგალითია ის გახლეჩილი ლოდი! ამის მერე, ფაქტობრივად, სომხებს სათქმელი აღარაფერი აქვთ! მაგრამ ისინი მაინც ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, იმიტომ, რომ გასდით! აღარ უნდა გაუვიდეთ ის, რასაც ამბობენ! ესე იგი ჩვენ არ ვართ მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენ სიმართლეს ვერ ვიცავთ და ისინი ტყუილს იცავენ, წარმოიდგინეთ, ისინი ტყუილებით გამოდიან მართალნი და ჩვენ სიმართლით ვცდებით და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამ სიმართლეს ვერ ვიცავთ და კარგი აპოლოგეტები და სარწმუნოების დამცველები არ ვართ. ქრისტეს დაცვა არ სჭირდება, ქრისტე მარადიულად მეფობს, უფალი მეფობს! მაგრამ ქრისტეს დაცვა ისევ ჩვენ გვჭირდება იმ დამოკიდებულებისათვის, რა დამოკიდებულებაც უნდა გვქონდეს ჭეშმარიტ უფალთან. უფალთან მისასვლელი გზა ზოგისთვის ფართოა, ზოგისთვის — ვიწრო ლაბირინთია, მაგრამ ის გზა ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ. ქართველმა ერმა უფალთან თავისი მისასვლელი გზა აღმოაჩინა, ამ გზას გვედავებიან სომხები და ამაზეც ამბობენ — ჩვენი არისო, მაგრამ ეს ქართველებისაა, სულ რომ წაგვართვან ის გზა, ის მაინც ჩვენია, იმიტომ, რომ იმ გზაზე მხოლოდ ქართველი ერი გაივლის, სომეხი ვერასოდეს გაივლის და ეს გზა არის საქართველო! ეს გზა არის ქართველობა და სომეხმა რაც გინდა იძახონ ქართულ მიწაზე, რომ ეს ტერიტორია სომხური წარმოშობისააო, რაც თავისთავად მცდარია და ამის ხმამაღლა გამეორებაც კი დიდი დანაშაულია, ქართველი ერი მაინც იარსებებს, როგორც საზეპურო ერი. და ეს არც სომხეთის გადასაწყვეტია და არც აზერბაიჯანის და არც გლობალიზაციის. ეს უფალთან წყდება. ამიტომ ის გზა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ უფალთან მისასვლელი — ვრცელია თუ ფართოა, ვიწროა, მოკლეა თუ გრძელია, ეს ჩვენ მიერ არჩეული გზაა და ამ გზაზე ძალიან ბევრი მოწამის სისხლი დაღვრილა, ამ მოწამეთა სისხლით მივდივართ უფლამდე.

**— მამაო, შოვინიზმში, ანტისომხურ პროპაგანდაში დაგვდებენ ბრალს. გარკვევით მინდა აგვიხსნათ — ჩვენ ახლა მონოფიზიტი სომხეთი გვებრძვის და არა ის სომხები, რომლებიც უფალს ქართველების მხარდამხარ ადიდებენ ერთადერთი ჭეშმარიტებით?**

— არავის ეგონოს, რომ ეროვნულ სიძულვილზე ვსაუბრობდეთ. ჩვენ სომხებთან ტკივილი გვაერთიანებს. მე ის სომხეთი მტკივა, რომელიც სასანიდურმა ირანმა წამართვა, მე ის სომხეთი მტკივა, რომელიც ქართული ცის ქვეშ შუშანიკთან ერთად ლოცულობდა და ჭეშმარიტი რწმენით ადიდებდა უფალს. მე ის სომხეთი მტკივა, რომელიც ცურტავის საეპისკოპოსოში არსებობდა. ამაზე ამბობს სწორედ წმინდა ილია მართალი: „განა ჩვენთვის კი სანატრელია ასეთი დაქსაქსულობა სომხებისა? ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი, ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან და აქაიქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან. ჩვენი სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ, თავიანთი სახელის კეთებას და შემკობას. ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. მტერისა შინა ყოლასა, ლომისა ზედა წოლა სჯობიაო. ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი!“... თუკი გონიერია სომეხი!

რომ ჩემი უფროა, მაშინ მე უფრო მეტად უნდა დავიცვა!

**— მამაო, აუცილებლად მინდა გკითხოთ და ეს მხოლოდ ჩემი შეკითხვა არ არის: ის სამოცდაათი კაცი, პარლამენტარი, რომელთაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ კანონპროექტს, არიან თუ არა მოღალატეები?**

**— მე პირდაპირ და დაუფარავად გეტყვით: ეს სამოცდაათი ადამიანი, ვინც ამ კანონს მოაწერა ხელი, იმ ფარისევლებისა და მწიგნობრების შთამომავლები არიან, ვინც მაცხოვარი გააკრა ჯვარზე! და მინდა მჯეროდეს, რომ ზოგიერთი მათგანი მაინც შეინანებს!**

ჩინური შეგონება გვეუბნება — ეცადე, შენში შენზე ადრე სული არ მოკვდესო!. საუკუნეების განმავლობაში ქართული სული იყო დაჭრილი, მაგრამ ის არ მომკვდარა, ის ვერასოდეს წაგვართვეს, რადგან მყარად და მტკიცედ ვიცავდით, ვიცავდით, ვინ იცის, რის ფასად, მაგრამ დღეს ამას გვართმევენ და, როდესაც ამას წაგვართმევენ, მერე ადვილად წაგვართმევენ ეროვნულობას და სახელმწიფოებრიობას!

**— მამა პეტრე, თქვენ თქვით, რომ ამ კანონით სააკაშვილს ქართული ეკლესიის მასხრად აგდება და მისი „რეალური, ლაჩრული“ სახის ჩვენება უნდოდა ხალხისთვისო... მაგრამ სინოდის ასეთი პასიურობა რას ნიშნავს? რატომ ჰქონდა სააკაშვილს იმედი, რომ სინოდი ხმას ვერ ამოიღებდა? რატომ მიიჩნევს, რომ სინოდის ზოგიერთი მღვდელმთავარი „ხელში ჰყავს“? ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მათი წარმომავლობის იმედი აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ ზოგიერთი მათგანის ცხოვრების წესზე, რასაც ადვილად წამოსძახებენ?**

— ქვათა ღაღადი რუსთაველის სიტყვებით იწყება: „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს...“, **ანუ სომხებმა ციხე შიგნიდან გატეხეს! ჩვენს ეკლესიაში და ეკლესიის მესვეურთა შორის ღმერთმა არ ქნას (ყოველ შემთხვევაში, აქამდე მჯეროდა გულწრფელად და მინდა კვლავაც მჯეროდეს, მაგრამ არ მინდა, ვიყო მიამიტი), გვეგულებოდეს მოსე, სომეხი ეპისკოპოსი. ეკლესია საქართველოში დღიდან დაარსებისა ერთიანია, განუყოფელია ისევე, როგორც მაცხოვრის ხელთუქმნელი კვართი! ის არასოდეს დაიშლება! „ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა, ვინც ამ ქვაზე დაეცემა, დაიმსხვრევა, ხოლო ვისაც ეს ქვა დაეცემა — გასრესს!“.**

ქრისტიანობა რწმენაა და არა რიტუალი. არ შეიძლება ერთი ხელით პირჯვარს იწერდე და მეორე ხელი მოყვასის ჯიბეში გქონდეს ჩაცურებული. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ქრისტიანიც იყო და კერპთაყვანისმცემლობასაც ქადაგებდე. ვიდრე გულში სიძულვილი გვიდგას, მანამ ქრისტიანები ვერ ვიქნებით. არ შეიძლება ეკლესია გწამდეს, ღმერთი კი — არა! მე პირად საუბრებშიც მითქვამს თქვენთვის და არა მარტო თქვენთვის და ხმამაღლაც ვიტყვი — ამ ადამიანთა კატეგორიას ქრისტე გამოქვაბულში დაწერილი მითიური ზღაპრის გმირი, ლეგენდა ჰგონია და არ უნდა, ეს „ლეგენდა“ რეალობად იქცეს, იმიტომ, რომ, როდესაც ქრისტე რეალობად იქცევა, იქ აღმოჩნდებიან, ჯოჯოხეთის გეენაში, სადაც არის „ტირილი და კბილთა ღრჭენა“.

**— ანუ იქ, სადაც ეპისკოპოსების მხრებზე დგანან უბრალო ადამიანები, მათზე უფრო ნაკლებ ცოდვილნი?**

— დიახ. და ამა ქვეყნის დიდებულნი ამას ვერ ეგუებიან, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ მოძღვრობა, ეპისკოპოსობა და სასულიერო პირობა არ არის პატივი და დიდება. უფალი გვეუბნება — იმისთვის მოვედი, რომ გემსახუროთ და არა მემსახუროთო! ჩვენ რას ვაკეთებთ? ვის ვემსახურებით? ჩვენ სასულიერო პირობა კარგი თანამდებობა გვგონია, მემკვიდრეობით მიღებული. იცით, რა? ხმას ის ვერ ამოიღებს, ვისაც არაფერი ეთქმის, ვისაც ეშინია ზურგს უკან მის მიერ ჩადენილი საქმეებისა, რომელთაც წინ დაულაგებენ ერთ მშვენიერ დღეს!..

**— მთავრობა დაულაგებს ამ „მაკომპრომეტირებელ მასალებს“, მამაო? პიროვნულ ცოდვებში ამხელს სასულიერო პირებს?**

**— რა თქმა უნდა! ჩვენი ეკლესიის მესვეურებმა რაც გინდა ილაპარაკონ ან თუნდაც ხმა საერთოდ არ ამოიღონ და დადუმდნენ, ერთ მშვენიერ დღეს ეს ხელისუფლება ყველას ნამოქმედარს მაინც სააშკარაოზე გამოიტანს, რათა საზოგადოებას დაანახოს, „ვინ ვინ არის“! ამიტომ ჯობია, სიმართლე მაინც ითქვას! ჩვენ ისედაც ვიცით, ვინ ვინ არის, მაგრამ თვალებს ვხუჭავთ არა იმიტომ, რომ გვებრალებიან, არამედ იმიტომ, რომ გამოსწორების შანსი მივცეთ და ვიფიქროთ იმაზე, რომ ისინიც ადამიანები არიან და ადამიანურად შესცოდეს, მაგრამ ადამიანურად შეინანებენ!** თუკი მათ ეს შეცდომები დააკანონეს, ეს იქნება არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ქვეყნის, ერის ღალატი! ჩვენი უწმინდესის ღალატი! ადამიანის, რომელიც არის ჩვენს ქვეყანას შეწირული ტარიგი! ადამიანი, რომელსაც არა ერთი ქვა და ტალახი ესროლეს, და არა მარტო ერმა, ბერმა უფრო მეტად! შეიძლება ვიღაც სასულიერო პირი არ დგას და უწმინდესს ქვებს არ ესვრის, მაგრამ მისი ცხოვრების წესი შეიძლება ქვის სროლაზე უარესი იყოს პატრიარქისთვის!

**— რადგან თითოეული ღირსი სასულიერო პირის გამო ყოველთვის მას განიკითხავენ — რატომ არ განკვეთაო...**

— დიახ, ასეა. რაც ჩვენ დღეს გვჭირს, მაპატიეთ, მაგრამ ეს არც სომხეთის და არც აზერბაიჯანის და არც სხვა ერის ბრალია! ეს, პირველ რიგში, ჩვენი ცოდვების ბრალია და ამ ყველაფერს ქრისტიანული თვალით უნდა შევხედოთ და თეოლოგიურად უნდა ავხსნათ, მით უფრო მოვლენა, რასაც სომხეთი ჰქვია! **იცით, ჩვენ რა გვჭირს? სომხეთი გვჭირს! ეს სომხეთი შეიჭრა ქრისტეს წიაღშიც და ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა! მაგრამ მინდა ისევ გავიხსენო შეუპოვარი კირიონი, ქართლის კათალიკოსი, რომელიც VII საუკუნეში მედგრად დახვდა სომეხ მოსე ეპისკოპოსს და გააძევა საქართველოდან!** ამით ქართველობა და მართლმადიდებლობა შევინარჩუნეთ! ეკლესია ქრისტეს სხეულია და მისი დაჯიჯგნის უფლებას არავის მისცემს ქართველი! დღეს მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ერთიანად მოვიკრებთ ძალებს, ერთად დავდგებით იქ, სადაც ქარიშხალია, იქ, სადაც ასი ათასი მოწამის სისხლი დაღვრილა! იქ, სადაც ჩვენ სიონს გვედავებიან, იქ, სადაც სვეტიცხოველს გვედავებიან! რა გვინდა ხელისუფლებასთან? ხელისუფლება და სახელმწიფო პიროვნებები წარმოსდგებიან ერიდან, წარმოსდგებიან ჩვენი სულიერი-იდეოლოგიური მდგომარეობიდან! ჩვენ თუ სულიერად არ ვდგავართ მოწოდების სიმაღლეზე, ჩვენ თუ ეს გაგვიბედეს, იმიტომ, რომ ამის ღირსები ვართ! იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვამხელთ, სწორად არ ვცხოვრობთ!

**— მამაო, თქვენ აღნიშნეთ, რომ ეკლესია ყოველთვის ერთიანი იყო და ეს ყველაფერი მზაკვრულად განახორციელა სომხურმა მთავრობამ ეკლესიის გასახლეჩადო. ამას სხვა კუთხით შევხედოთ — როდემდე უნდა ვიყოთ სირაქლემის მდგომარეობაში? იცით, მე, როგორც ერთ რიგით ქართველს, ნაკლებად წარმომიდგენია, რომ 1103 წელს, როცა დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია, ეკლესიაში ამაზე უარესი მდგომარეობა იყო! მაშინ შეიძლება სასულიერო პირთა უზნეობამ მწვერვალს მიაღწია, მძლავრობდა ზნედაცემულობა, ვერცხლისმოყვარეობა, მაგრამ მაშინ ასეთი კანონი, მგონი, არავის შემოუღია. არის თუ არა დღეს დრო, რომ კიდევ ერთი რუის-ურბნისის დონის საეკლესიო კრება ჩატარდეს? ანუ უნდა გაიწმინდოს თუ არა ეკლესია და ყველას დაერქვას თავისი სახელი — ვინ არის „მოსე სომეხი“ და ვინ არის კირიონი? თუ მეტყვით, რომ არა, კითხვას ისევ შეგიბრუნებთ — მაშ, რაღა უნდა მოხდეს?**

— ამის დრო აქამდეც იყო! და თუ ვინმე დღეს იმაზე ფიქრობს, ამის დრო არის თუ არა, ის უკვე დამნაშავეა! ამაზე საუბარიც კი არ შეიძლება, უნდა ვიმოქმედოთ და ეს ცალსახად და დაბეჯითებით უნდა გავაკეთოთ. **საეკლესიო კრება აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ, მაგრამ საეკლესიო კრების მოწვევისთვის მხოლოდ სურვილი კი არა, პირველ რიგში, იმ ადამიანთა ერთობლიობაა საჭირო და აუცილებელი, რომელთა აზრიც, შეხედულებაც და მიზნებიც განხორციელდება, ანუ — ქრისტეს მხედრების! დღეს ყველაზე ნაკლებად არის ეკლესია ერთსულოვანი! ერთი მოძღვარი ერთს ქადაგებს, მეორე მეორეს და ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ გარდა პიროვნული შეხედულებებისა, ხანდახან საეკლესიო დოგმებსაც კი ცვლიან, ანუ ეკლესიის კანონების მორგებაც კი პიროვნულ თვისებებზე უნდათ.** ქრისტიანობა ის კი არაა, რომ ის შენზე მოირგო. ქრისტიანობა ისაა, შენ მოერგო მას. აბა, რა არის ვნებებთან ბრძოლა? შეიძლება ვიღაცას ქალის მიმართ ჰქონდეს ვნება, ვიღაცას — კაცის, ეს არ არის ტრაგედია! ჩვენ ამ ვნებასთან ბრძოლაში უნდა გამოვიდეთ გამარჯვებულნი! ჩვენ ამას არ უნდა გადავაყოლოთ ეკლესიის ავტორიტეტი! არ უნდა შევბღალოთ ეკლესიის სახე და ღირსება. იმან, რომ მე შეიძლება ლექსი დავწერო და ამის გამო გიჟი, სულელი, შეურაცხადი და ეკლესიისთვის შეუფერებელი მიწოდონ, არა მგონია, ვიღაცის ცოდვები დაჩრდილოს! **მაგრამ მე საკუთარ თავს არასოდეს იმის უფლებას არ მივცემ, რომ თითი ვიღაცისკენ გავიშვირო, თუმცა ადამიანურად გული მტკივა. დაუსჯელობის სინდრომია. ეს მათი ბრალი არაა, სათავიდან მოდის! თევზი თავიდან ყარს! ამიტომ, თუ სათავეში არ იქნება იმის სურვილი, რომ საეკლესიო კრება მოვიწვიოთ და „ქვაბ-ავაზაკნი“ ეკლესიიდან განვდევნოთ, მანამდე მე რაც არ უნდა ვიფართხალო, ჩემს აზრს შედეგი არ ექნება!** ვერანაირ მიზნამდე ვერ მივალთ. მაგრამ დღეს ჩვენს სინოდში არიან მართლმკვეთელი და სუფთა მღდელმთავრები, ვისიც მწამს და მჯერა, სწორედ მათ ეძახიან ფანატიკოსებს, გიჟებს, სულელებსა და ეკლესიისა და სინოდის მტრებს! მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მტრად ქრისტე გამოაცხადეს — მე ეს არ მიკვირს, მაგრამ მე მათ ვთხოვ პირველ რიგში პასუხს, ვისიც მწამს და ვისიც მჯერა და ვინც მიყვარს, ვისაც ვენდობი და ვის გამოც მე ამ გზას დავადექი. ჩვენ, ყველა სულიერი ცხოვრების დასაწყისში ვიღაცის ხიბლში ვართ, ვიღაცის და რაღაცის გამო მივდივართ ტაძარში! **პირველი თავისთავად უწმინდესი იყო, მერე მეუფე იობი — ჩემი ხელდამსხმელი, მერე კი ჩემი მოძღვარი, მეუფე ეფრემი. სწორედ მათი იმედი მაქვს, იმ ადამიანების, ვინც მე ქრისტე დამანახა, ვისთვისაც ლოცვა დღესასწაულია, ვინც მართლმკვეთელია, ვინც თავი-** ▶

მამა პეტრე:

# ამ ეტაპზე სომხებმა მოგვიგეს. ფაქტია, ხელისუფლებამ ეს კანონი სომხების საამებლად მიიღო!

**„და თუ ჩვენ ჩვენს მიზანს — უფალს დავუბრუნდით, ერთი კი არა, ათი სააკაშვილი ვერაფერს დაგვაკლებს. მაგრამ, თუ იმ ერთ სააკაშვილთან ათი თუ ოცი სასულიერო პირი, ათი თუ ოცი დიდი იერარქია გარიგებული და ქვეყანას მზაკვრულად ებრძვიან, ღალატობენ, ეს კიდევ არაა დასასრული. ტრაგედია ისაა, რომ ამ მოღალატეთა გამოვლენა და მხილება არ გვინდა! მაგრამ ჩვენ რაც უნდა ვაფაროთ ხელი, ჭირი თავს ვერ დამალავს — სიმართლე აუცილებლად გამოაშკარავდება: „არა არს დაფარულ, რომელი არა გაცხადდეს!“**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სი ცხოვრების წესით ჩვილი ბავშვივით უმანკოა. დღეს ეს ადამიანები მაინტერესებს. მე ვიცი, ისინი რას ფიქრობენ, მაგრამ მე მაინტერესებს, ისინი რას გააკეთებენ! მე მათ ველოდები.** მე სამშობლოსა და ეკლესიის სამსხვერპლოზე ჩემი წილი სისხლი უნდა გავიღო, მე ჩემი წილი თევდორე მღვდელი უნდა ვიყო, მაგრამ მე რომ თევდორე მღვდელი ვიყო, ამის საფუძველი შენ უნდა მომცე! ის, რომ ვიღაცას ქვეყანა და ქრისტე ტკივილამდე უყვარს და ამბობს სიმართლეს, შეიძლება უფრო დასაჯონ, ვიდრე ის გაუკულმართებული სასულიერო პირები, ვინც თავიანთი საქციელით ყოველდღიურად ქრისტეს ათასგზის აკრავენ ჯვარზე! სად არის სამართალი?

**— ანუ უნდა გადაირჩეს „მწყემსი კეთილი“ და „სასყიდლით დადგინებული“? ...**

— მათ ყველას ისტორია თავის სახელს დაარქმევს. და დღეს ყველაზე დიდი ასპარეზია, თუ ვინმეს უნდა, გამოავლინოს თავისი ქართველობა, ღვთისა და ერის სიყვარული. ქართველობა ურაპატრიოტიზმი და გულზე ხელების ბრაგუნი არ არის! ჩვენ ჩვენი მანკიერი მხარეები უნდა დავინახოთ, სწორად შევაფასოთ და მერე გამოსავალს უფრო ადვილად ვიპოვით!

**ჩვენს სამღვდელოებას დღევანდელ დღეს არაფერი უშველის, გარდა მოწამეობრივი სისხლისა. ჩვენ იმდენად შევტოპეთ ცოდვაში და უფრო მეტიც — ამ ცოდვით ტკბობაში ვართ, იქიდან გამოსვლა აღარ გვინდა. უფალმა კი სწორედ ამიტომ, როგორც გამოსაფხიზლებელი მათრახი, ხან სომხეთი მოგვიქნია, ხან თათრები, ხან უზნეო ხელისუფალი.** ჩვენი ყველაზე დიდი ტკივილი არის ის, რომ ჩვენ, სასულიერო პირები, არ ვცხოვრობთ სუფთა ცხოვრების წესით. ჩვენ ჩვენს მიზანს, ღმერთს ავცდით, ღმერთსაცდენილი ადამიანი კი ძალიან საშიშია, ვიდრე უღმერთო, რაც უნდა განათლებული იყოს იგი; მეტიც, ღმერთს აცდენილი განათლებული ადამიანი კიდევ უფრო მეტად საშიშია. ამიტომ დავუბრუნდეთ უფალს! ჩვენ უკვე უძღები შვილის პოზიციაშიც კი არ ვართ. უძღები შვილი მამის წიაღში დაბრუნდა იმიტომ, რომ მას სინანული ქონდა. ჩვენ სინანულიც კი არ გაგვაჩნია. ჩვენ დღეს იმის სინანული გვაქვს, რომ ცოდვა, რომელიც ტკბილი გახდა ჩვენთვის, არ კანონდება. ეს არის უბედურება. კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, რომ ვცდილობთ სარწმუნოების შეცვლას, „გადაკეთებას“ და რაღაც „მოდერნიზებული“ სარწმუნოების დამკვიდრებას. ამას, გინდათ, ეკუმენიზმი დაარქვით ან, რაც გნებავთ, მაგრამ ჩვენ დღეს ჩვენი ცხოვრების წესით არ ვართ მართლმადიდებლები. ჭეშმარიტი ღმერთის წვდომა პიროვნების თავისუფლებაში ვლინდება, რადგან პიროვნების თავისუფლება არის ის სხივი, რომლითაც ადამიანი ღმერთს შეიცნობს (ჯემალ ქარჩხაძე ამბობს, ჩემი უსაყვარლესი მწერალი), იცით, რა არის? თუ ჩვენ პიროვნულად არ ვართ თავისუფალნი და ვართ შეზღუდულები და დაკომპლექსებულები და რაღაცას ვემონებით, ბუნებრივია, ღმერთთან ვერასოდეს მივალთ. გაუაზრებელი კოპლექსები ადამიანს ყოველთვის განაშორებს სწორ გზას. კომპლექსი არ უნდა გვქონდეს იმისა, რომ ვიღაც რაღაცით მეტია ჩვენზე, გვჯობნის! ერთმანეთს ღვთის სიყვარულში, მართლმადიდებლობაში შევეჯიბროთ! და კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ქრისტიანობა და ღმერთი მათ მითის და ლეგენდის გმირი ჰგონიათ და იქიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან, თუ სასულიერო პირები მოწოდების სიმაღლეზე არ დავდექით, ბუნებრივია, ამ მდგომარეობიდან ვერასოდეს გამოვალთ. **და თუ ჩვენ ჩვენს მიზანს — უფალს დავუბრუნდით, ერთი კი არა, ათი სააკაშვილი ვერაფერს დაგვაკლებს. მაგრამ, თუ იმ ერთ სააკაშვილთან ათი თუ ოცი სასულიერო პირი, ათი თუ ოცი დიდი იერარქია გარიგებული და ქვეყანას მზაკვრულად ებრძვიან, ღალატობენ, ეს კიდევ არაა დასასრული. ტრაგედია ისაა, რომ ამ მოღალატეთა გამოვლენა და მხილება არ გვინდა! მაგრამ ჩვენ რაც უნდა ვაფაროთ ხელი, ჭირი თავს ვერ დამალავს — სიმართლე აუცილებლად გამოაშკარავდება: „არა არს დაფარულ, რომელი არა გაცხადდეს!“** ცოდვის აღიარების გვეშინია, ამ დროს კი იმის უნდა გვეშინოდეს, რომ ჩვენ ამ ცოდვებით ღვთის წინაშე წარვსდგებით და ჩვენს პიროვნულ ცოდვებს ერის, უფლის ღალატს ნუღარ დავამატებთ. ერს ადამიანთა ერთობლიობა ქმნის! სახელმწიფო ზუსტად ისეთი პროგრესული და წარმატებული იქნება, ადამიანები როგორებიც არიან! და თუ ის ადამიანები არიან მგლების ხროვის მიერ მოწყობილი საზოგადოება, ბუნებრივია, იქ არც ქრისტეს სიყვარული იქნება, ღვთის მცნებებსაც არავინ დაიცავს!

თუ ჩვენ, სასულიერო პირები არ გამოვსწორდით, თუ უფალს არ დავუბრუნდით და თუ ისევ სირაქლემას მდგომარეობაში ვიქნებით, მრევლი ჩვენი და ეკლესიის ნდობასაც დაკარგავს და სულ მალე ტაძრები დაცარიელდება! დღეს ვინც ბრმა არ არის ან ძალით არ იბრმავებს თვალს, შეუძლებელია, ვერ ხედავდეს, რომ ქვეყნის მაგივრად ხელთ ავგიას თავლა შეგვრჩა. ძალიან მინდა, დღეს ჩვენ შორის იყოს ღვთისმშობლის მადლი და სიყვარული, მაგრამ დედა ღვთისამ თუ თავის ქვეყნის ხილვა მოისურვა, რას ნახავს? ნახავს

მამა პეტრე:

# სამოცდაათი ადამიანი, ვინც ამ კანონს მოაწერა ხელი, იმ ფარისევლებისა და მწიგნობრების შთამომავლები არიან, ვინც მაცხოვარი გააკრა ჯვარზე

მონობის კერპით შეპყრობილ კერპთაყვანისმცემლებს, ნახავს მდიდარ ფარისევლებს, რომლებიც საჩვენებელ და გამოყენებით ქველმოქმედებას ეწევიან იმ დროს, როდესაც მათ გვერდით ნამდვილი ადამიანები, ნამდვილი სიკვდილით ნამდვილად იხოცებიან. ნახავს სიხარბისაგან სახედაკარგულ კაცუნებს, რომ შეეძლოთ ორ-ორ საფლავში ჩაწვებიან, ნახავს ცრუ ადამიანებს, რომლებიც რელიგიურობანას თამაშობენ და რწმენაც ალებ-მიცემობის საგნად უქცევიათ (ჯემალ ქარჩხაძე).

**შორენა, ახლა შენს მაგიდაზე დავინახე გოდერძი ჩოხელის წიგნი — „მღვდლის ცოდვა“. ამით ყველაფერია ნათქვამი. სანამ მღვდელი თავის ცოდვას არ შეინანებს და არ გამოვა იმ სამოცდაათწლიანი ბურუსიდან და იმ შეხედულებიდან, რომ მღვდლობა არ არის მხოლოდ საცეცხლურის ქნევა და უშინაარსოდ წამოძახილი „ალილუია“, მანამდე არაფერი შეიცვლება! ჩემთვის მოძღვრობა არის თევდორე მღვდელი, ჩემთვის მოძღვრობა არის ყველაზე საპატივსაცემო და „ხელიხელ საგოგმანები“ წოდება და არა მხოლოდ წოდება, არამედ — ცხოვრების წესი! ქრისტიანობა ტრადიცია არ არის! ქრისტიანობა არის გზა ცხოვრებისა. ეს ყველას უნდა გვახსოვდეს — ერსაც და ბერსაც!**

**— მამა პეტრე, მე და თქვენ იმ დროიდან ვიცნობთ ერთმანეთს, როცა ჯერ კიდევ სასულიერო პირი არ იყავით. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და იცით, რომ სიმართლეს არასოდეს გავურბივარ და არ ვალამაზებ, რის გამოც მუდმივად განმიკითხავენ. ამას მივეჩვიე. მეუფე ეფრემთან ინტერვიუს გამო კინაღამ შემაჩვენეს, რადგან 26 მაისის ტრაგედიას შევეხე. ალბათ, ამ ინტერვიუს გამო ისეთს დამწამებენ, ფანტასტიკის სფეროსაც რომ სცილდება, მაგრამ მაინც ვიტყვი — მე მიმაჩნია, რომ მაშინ წმინდა სინოდს ხმა უნდა აემაღლებინა ამ ბოროტებაზე. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

**— ხმამაღლა გეტყვით, რომ 26 მაისის ღამეზე ეკლესიის დუმილის პასუხია დღევანდელი დღე! 26 მაისის დანაშაულზე, ცოდვაზე, ბოროტებაზე მხოლოდ ორს — მეუფე იობს და მეუფე ეფრემს კი არა, სინოდის ყველა მღვდელმთავარს რომ ხმა ამოეღო და ამ საზარელი დანაშაულისთვის, მართლაც კაენის ცოდვისთვის, თავისი სახელი ეწოდებინა, დღევანდელ დღეს არ მივიღებდით! ესაა სიმართლე!**

**— მაშინ სინოდის დუმილი მეუფე იობმა დაარღვია, მას მეუფე ეფრემი მოჰყვა და თან უფრო ხმამაღლა, ახლა კი თქვენ — დაუჯერებელი გულწრფელობით! ჩვენ ის ერი ვართ, ძალიან ბევრი რომ დაგვაკარგვინა ამ ხელისუფლებამ, მაგრამ ახლა ყველაზე საკრალურს შეეხო. როგორ ფიქრობთ, ბევრი სასულიერო პირი აგყვებათ? ახლა მაინც თუ ჩამოკრავს მრისხანების ზარებს ეკლესია?**

— როცა ჩვენმა პარლამენტარებმა ამ კანონის მიღების შესახებ განაცხადეს, თანაც ძალიან მზაკვრულად და, შეიძლება ითქვას, ძალიან სომხურადაც, მე სახლში შესვლა არ მინდოდა! არ მინდოდა, მენახა ჩემი ცოლ-შვილი — რა პასუხი უნდა გამეცა მათთვის? შინაგანად ვგრძნობ, რომ რაღაცას მართმევენ, მე მართმევენ ყველაზე მთავარს, ყველაზე სუფთას, ყველაზე წმინდას, რითაც ქართველი ერი, აგერ უკვე ოცი საუკუნეა, ამაყობს. დღეს კი ჩვენ საამაყოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ქართველს, თუნდაც მიძინებულს, შეიძლება წაართვა სახლი, კარი, ქონება, თუნდაც სიცოცხლე, და ის ამას შეეგუოს, მაგრამ თუ მის სულს — ქრისტეს შეეხები, ყველა ქართველში ის გენეტიკური კოდი გაიღვიძებს, რომელმაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა! მე მჯერა, დღესაც ასე მოხდება! ჩვენ დღეს ვდგავართ გზაჯვარედინთან და ამ გზაჯვარედინს ძალიან დიდი ასოებით აწერია „ყოფნა-არყოფნა“ და ამ ყოფნა-არყოფნისთვის უნდა ვიბრძოლოთ! არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მრავალრიცხოვანი არმია ვიქნებით თუ მხოლოდ ერთი თევდორე მღვდელი. იმ ერთმა თევდორე მღვდელმა ქვეყნის ბედი ჩვენს სასიკეთოდ გადაწყვიტა, მაგრამ ძალიან ბევრ მოღალატე ქართველს შეიძლება ერთმა თევდორე მღვდელმა აჯობოს, თუკი ის ერთი თევდორე მღვდელი გამოგვერია!.. მე ჩემშიც და სხვაშიც თევდორე მღვდელს ვეძებ და ღმერთმა ქნას, ეს თევდორე მღვდლები გაბევდრდნენ და ღმერთმა ქნას, რომ ჩვენ დავირაზმოთ ღვთის მადლითა და წყალობით. მგონი, დღეს იმდენი ერისკაცი არ არის საქართველოში, რამდენი სასულიერო პირიცაა, ჩვენ რომ დავირაზმოთ, ჩვენ რომ ჩვენი სათქმელი ვთქვათ და ერს წარვუძღვეთ წინ, დამერწმუნეთ, შემოსილები უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ერის ადამიანები. ეს სანახაობრივადაც უფრო ლამაზი, შთამბეჭდავი იქნება — ხმაც რომ არ ამოვიღოთ და რუსთაველზე ჩავიაროთ, ამით ბოროტება დაითრგუნება. თუნდაც ყველამ, ერთდროულად გულწრფელად ერთხელ მაინც წარმოვთქვათ: „უფალო, შემიწყალენ!“ უფალი აუცილებლად შეგვიწყალებს!

... წუხელ ღამის თორმეტ საათზე განათებულ სამების ტაძარს შევყურებდი და ჩემ თვალწინ ერთი კადრივით გაირბინა ჩვენი ქვეყნის ისტორიამ და ვიფიქრე — რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა ვახტანგ გორგასალს, რას გააკეთებდა გრიგოლ ხანძთელი, როგორ დააჩოქა მან მის წინაშე აშოტ კურაპალატი — მაშინ ეკლესიას ეთქმოდა, ახლა კი სათქმელს გვედავებიან, სათქმელს გვართმევენ. და სწორედ გუშინ, სამების საკათედრო ტაძართან მდგომს ყველა მიყვარდა, ყველა სასულიერო პირი, თავისი საქციელით ჩემთვის ყველაზე მიუღებელიც კი, და მის გვერდითაც კი დავდგებოდი, მათთანაც გავერთიანდებოდი ჩვენი ქვეყნის, ეკლესიის მტრების წინააღმდეგ! ჩვენ ტკივილი გვაერთიანებს, ჩვენ ტკივილი გვზრდის, ჩვენ ტკივილი გვწვრთნის. **ადამიანს შეიძლება რაღაცას ართმევდე, მაგრამ, თუკი ეს მისთვის უმნიშვნელოა, პასუხს არ მოგთხოვს, შეიძლება წაიწუწუნოს, მაგრამ თუ ყველაზე მთავარს წაართმევ, ამას ძალიან დიდი ტკივილი მოჰყვება და ეს დიდი ტკივილი გუბდება ადამიანის შიგნით და, თუ ხმასაც ვერ იღებ, ეს ტკივილი აუცილებლად კალაპოტს გაარღვევს და ქვეყნიერებას წალეკავს! და ამ ხელისუფლებას და არა მარტო ხელისუფლებას, იმ ადამიანებს, რომლებიც კრავის ფორმით არის შემოპარული ეკლესიაში, ისტორია თავის სახელს დაარქმევს!**

**— მამაო, თქვენ აღნიშნეთ, რომ, თუ მაღალმა იერარქებმა ხმა არ ამოიღეს, მე, უბრალო მღვდელმა, რაც უნდა ვთქვა, ამას მნიშვნელობა არ აქვსო! მე კი პირიქით მგონია — ხალხს ახლა უბრალო მღვდლის იმედი შეიძლება უფრო ჰქონდეს, იმ მღვდლისა თუ ბერისა, რომელიც ზოგჯერ გახუნებული კაბით ლოცვად დგას და ღმერთსა და ერს ემსახურება, ცდილობს, უფალი არც თავად დაკარგოს და არც ჩვენ დაგვაკარგვინოს. თქვით, რუსთაველის გამზირზე (სადაც 26 მაისს დაღვრილი სისხლი ჯერაც არ გამშრალა) სასულიერო პირებმა რომ ერთად გავიაროთ, ერისკაცებზე მეტნი ვიქნებითო. ერისა და ბერის ერთად ლოცვას უფრო მეტი ძალა მიეცემა. მე კი მინდა, თუნდაც სინოდის რამდენიმე წევრთან ერთად, წინ მხცოვანი, დაღლილი პატრიარქი მიგვიძღოდეს და ლოცავდეს ერს, სრულიად საქართველოს... მის გვერდით მინდა ვიყოთ — ერიც და ბერიც.**

— მე მჯერა ჩემი პატრიარქის! ერთ დღეს, თუ ეს საჭირო იქნა, ის, ალბათ, ყველას მოგვიწოდებს და ყველა დავირაზმებით და საკუთარი სისხლით დავიცავთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ეკლესიას, ჩვენს მამულს, ენას, სარწმუნოებას. ის, რაც XIX საუკუნეში რუსეთმა ავტოკეფალიის გაუქმებით ვერ განახორციელა, ჩვენ არ უნდა შევუწყოთ ხელი ამის გაკეთებაში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაგრძელებაა ის, რაც დღეს ხდება. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ახალქალაქში, ახალციხესა და ისტორიულ სამცხე-საათაბაგოში სომხების ჩასახლება ეს იყო შორს გამიზნული პოლიტიკა, რომლის შედეგსაც ჩვენ დღეს ვიმკით, ამიტომ დღეს მიღებული კანონით შეიძლება ჩვენი თაობა უფრო არ დაზარალდეს, ვიდრე ჩვენი მომდევნო თაობა, როგორც ახლა ჩვენ ვიმკით საუკუნისწინანდელი ცარიზმის პოლიტიკის შედეგებს, ისე იმათ გადასწვდება ჩვენი დღევანდელი დანაშაული! ამიტომ, თუ საჭირო გახდა, მე ჩემს ოჯახთან ერთად შევეწირები ჩემი ქვეყნისა და ეკლესიის დაცვას და ამის მაგალითი მინდა ჩვენმა იერარქებმა მომცენ, განა იმიტომ, რომ მე ვინმეს მაგალითი მჭირდება, არამედ იმიტომ, რომ მე ამით კურთხევა ავიღო მათგან, მდუმარე კურთხევა და მდუმარედ გავაკეთო, რასაც ისინი გააკეთებენ!

**— დაგვლოცე, მამა პეტრე.**

— დასასრულ, მინდა ვთქვა ისევ ილია მართლის სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი“!

ესაუბრა
შორენა სიხარულიძე



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მეუფე იობი

**«ჩვენ დღეს ვდგავართ გზაჯვარედინთან და ამ გზაჯვარედინს ძალიან დიდი ასოებით აწერია «ყოფნა-არყოფნა» და ამ ყოფნა-არყოფნისთვის უნდა ვიბრძოლოთ! არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მრავალრიცხოვანი არმია ვიქნებით თუ მხოლოდ ერთი თევდორე მღვდელი»**



მეუფე ეფრემი და მამა პეტრე

ლევან ლვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნუთუ საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემებს ვერ ხედავს? თუ ფიქრობთ, რომ ეს საკითხები ქვეყნის პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს არ ეხებათ? რაკი ესენი ხმას არ იღებენ, შესაბამისად სამთავრობო ტელეარხებიც („საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „რუსთავი 2“ და ა.შ.) გატრუნულ-გაყურსულები არიან. არადა, იერიში ქართულ სალიტერატურო ენაზე სწორედ ამ კომპანიებში უნდა ნახოთ**

# ასე უფლებააყრილი და დასახიჩრებული სახელმწიფო ენა რომელ «ემერჯენსში» მოვათავსოთ?


ვანო ჯავახიშვილი

## «ხელისუფლების ჯამბაზები» ტელემაყურებლებს მასხრობებით ართობენ, ქართული ენა კი გაივსო კონტრაბანდული უცხოური ლექსიკით, რომელთა შემოტევამ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა

სიტყვა **„ხუმრობა“** განიმარტება, როგორც **„ენამახვილობა მსმენელთა გასამხიარულებლად; ოხუნჯობა“** (ქეგლ, ტ. VIII). მისი ამოსავალი ფორმაა არაბულიდან ნასესხები **„ხუმარ(ი)“**, ხოლო ამ უკანასკნელიდანაა ნაწარმოები **„ხუმარა“ — ენამოსწრებული, ოხუნჯი. „ხუმარა“** და **„მასხარა“** სინონიმებია — **„ეს არის სიტყვაკეთილი და გამაცინებელი კაცთა“** (საბა), მაგრამ **„მასხარას“** ქართულში უფრო ფართო მნიშვნელობითაც იყენებენ; ესენია: **1. ოხუნჯი, ხუმარა; 2. ლაზღანდარა, სასაცილო, უმსგავსი, უხამსი; 3. კლოუნი;** 4. (ისტ.) **მეფის კარზე ან დიდებულის სასახლეში მსახური, რომელიც პატრონსა და სტუმრებს ართობდა ენაწყლიანი ოხუნჯობით, — ხუმარა** (ქეგლ. ტ. VIII). მასხარას უფლება ჰქონდა, ხმამაღლა ეთქვა ისეთი რამ, რასაც სხვები, ჩვეულებრივ, ვერ გაბედავდნენ, რაც კარგად ჩანს **აკაკის** ერთი პოეტური სტრიქონიდანაც: **„ნეტავი შენ, რომ, როგორც მასხარას, რაც რომ გულში გაქვს, გათქმევინებენ“.**

როგორც ჩანს, **„მასხარაც“** რომელიღაც აღმოსავლური ენიდანაა ნასესხები, მაგრამ, კერძოდ რომლიდან, მთლად ნათელი არ არის. **სულხან-საბა „მასხარას“** სპარსულ სიტყვად მიიჩნევდა — ქართულად **„ნაღვინევს“** ნიშნავსო. მაგრამ, ეტყობა, დიდი ლექსიკოგრაფი ამაში მთლად დარწმუნებული არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც სხვაგან უწერია — **„თათართა ენაა, ქართულად გამღივარი ეწოდებისო“. ერთგან ამბობს — „თურქთა ენააო“. „მასხარის“** წარმომავლობის ახსნის ასეთი ნაირგვარობა კი უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ **„სიტყვის კონის“** ავტორმა იგი ყველა მის მიერ დასახელებულ ენაში დააფიქსირა, რაც მოულოდნელი სულაც არ არის; ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ, ვთქვათ, ერთი რომელიმე ენიდან (**არაბულიდან** ან **სპარსულიდან...**) ისესხეს იგი სხვა ენებმა და, მათ შორის, **ქართულმაც,** რომელშიც **„მასხარამ“** დაიკავა **„ნაღვინევისა“** და **„გამღივარის“** ადგილები. ამ ბოლო დროს კი **„მასხარის“** მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში ერთობ გააქტიურდა ოდესღაც ასევე **სპარსულიდან ნასესხები** სიტყვა **„ჯამბაზი“.** მკითხველი უთუოდ მიმიხვდა, რომ მხედველობაში მაქვს ტელეკომპანია **„რუსთავი 2“**-ის ყოველკვირეული იუმორისტული გადაცემის წამყვანის — **ვანო ჯავახიშვილის** მიერ საკუთარი თავის ხშირად მოხსენიება, როგორც **„მთავრობის (ხელისუფლების) ჯამბაზისა“.** ასეთივე წარმატებით უწოდებს იგი თავის თავს **„დემოკრატიის შუქურას“** და **ორივე ეს ზეწოდება, გარდა იმისა, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წამყვანის სტატუსის გამიზნული, თვითირონიული შეფასება, მიზნად ისახავს ტელემაყურებლის მხრიდან მოსალოდნელი ანალოგიური დამოკიდებულების წინასწარვე განეიტრალებას.** მიუხედავად იმისა, რომ **„ჯამბაზი“** ამ შემთხვევაში არასწორადაა გამოყენებული, წამყვანი მას სრულიად შეგნებულად ხმარობს და ამით, თითქოს შეუმჩნევლად, გვერდს უვლის სიტყვა **„მასხარას“**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა ზედმიწევნით ზუსტად მიესადაგება ტელეწამყვანის მიერვე მოგონილ საკუთარ სტატუსს (იხ. ზემოთ, მნიშვნ. 4), იმ განსხვავებით, რომ **„მეფის კარის ან დიდებულის სასახლის“** ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ **„პრეზიდენტის სასახლე ან მთავრობის სახლი** (განებავთ, — **პარლამენტი**). საქმე ისაა, რომ **„ჯამბაზი“ არის თოკზე მოსიარულე, მუშაითი, რომელიც, როგორც წესი, არ ლაპარაკობს,** მაგრამ მოგვიანებით ამ სიტყვამ **„მასხარის“** მნიშვნელობაც შეითავსა და ამან ტელეწამყვანის არჩევანის გამართლებას ერთგვარი საფუძველიც შეუქმნა. ამიერიდან, **„მასხარის“** (ანუ რამდენადმე ნეგატიური მახასიათებლებით შემკული პერსონაჟის) ნაცვლად ტელეწამყვანმა აირჩია შედარებით უფრო დადებითი თვისებებით გამორჩეული **„ჯამბაზი“**, თუმცა ეს ყველაფერი უმნიშვნელო დეტალებია იმასთან შედარებით, რასაც ასეთი **„აღიარება“** ისახავს მიზნად. **ცნობილია, რომ საკუთარი თავისადმი თვითირონიული დამოკიდებულება, ჩადენილი საძრახი საქციელის საჯაროდ „დაგმობა“, ერთგვარად ამსუბუქებს და ანეიტრალებს ტელემაყურებლისგან მოსალოდნელ აგრესიას. მიზანი მარტივია: იმისათვის, რომ ქვეყნის ხელისუფალთა (**მათ შორის და უწინარესად — **პრეზიდენტის) მიერ განხორციელებული ესა თუ ის ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება, „მთავრობის ჯამბაზის“ მიერ უნდა იქნეს საჯაროდ გაკრიტიკებული და დაგმობილი, თანაც, რაც შეიძლება, „მკაცრად“ და „საფუძვლიანად“, რაც იწვევს ამ ფაქტების მიმართ ქვეყნის მოქალაქეთა დამოკიდებულების „დარბილებას“. თუ კარგად დავაკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ ამ „გამოცდილ მეთოდს“ წარმატებით იყენებს სამივე სამთავრობო ტელეარხი; განსაკუთრებული ადგილი ამ „სახელისუფლო პიარაქციებში“ უკავიათ იუმორისტულ გადაცემებს, რომლებიც შენიღბულად ეწევიან ბევრი სხვა მანკიერი მოვლენის პროპაგანდასაც, რითაც ადვილად ახერხებენ გამოუცდელ ტელემაყურებელთა მიმხრობასა და „გაბრიყვებული აუდიტორიის“ ზომბირებას. ნიშანდობლივია, რომ ამ ე.წ. იუმორისტული იარაღის გამოყენება მეტწილად ხდება შენიღბულად და განსაკუთრებული აქცენტირებების გარეშე.**

მაყურებელი უთუოდ შეამჩნევდა, რომ **„ტელემასხრობათა“**, განებავთ, **„ტელეჯამბაზობათა“** ავტორები, როგორც წესი, თითქოს გმობენ და საჯაროდ აკრიტიკებენ, ვთქვათ, **ქვეყნის პრეზიდენტის** ან სხვა რომელიმე **ოფიციალური პირის** საქციელს, იქნება ეს მისი პიროვნული თვისებები (**ჟესტიკულაცია, ლაპარაკის ან სიარულის მანერა, ხელქვეითებისადმი დამოკიდებულება...)** თუ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა შედეგებმა შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის უკმაყოფილება. ასეთი თემები კი აურაცხელია: **პარლამენტის გადატანა ქუთაისში, მილიონობით ტურისტის მოზიდვა, გზების მშენებლობა, დამეწყრილი ტერიტორიები, რუსეთის ჯაშუშები, პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა თუ სხვა. „მთავრობის ჯამბაზი“** და მისი სხვა კოლეგები ფხიზლად დგანან ხელისუფლების სადარაჯოზე და წარმატებით ახორციელებენ **„ნეიტრალიზაციის რეაქციას“** (იმედია, სასკოლო ქიმიიდან გახსოვთ!).

სანიმუშოდ მოვიყვან ერთ მაგალითს: ამას წინათ **„მთავრობის ჯამბაზმა“** ინგლისურენოვან ენციკლოპედია **„ბრიტანიკაში“** დაფიქსირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ასე იმასხრა: **„ბრიტანულ ენციკლოპედიაში აღმოაჩინეს სომეხი მკვლევარების მიერ გაკეთებული ჩანაწერები, სადაც ქართული დამწერლობა სომხების შექმნილიაო, ესეთი რაღაც წერია. გამორიცხულია ეს ამბავი, გამორიცხულია, ეხლა, ქართულ ანბანში არის 33 ასო. 33 და, სომხების შექმნილი რომ იყოს, ეხლა, იქნებოდა ჰა-ჰა — 20-22“** („ვანოს შოუ“, 8/07-2011). დამოწმებულ მონაკვეთში **„ჯამბაზს“** რამდენიმე უზუსტობა გაეპარა: 1) რას ნიშნავს — **„აღმოაჩინეს სომეხი მკვლევარების მიერ გაკეთებული ჩანაწერები?“** ენციკლოპედიაში შეტანილ ინფორმაციას (თუნდაც იგი მცდარი იყოს) რაღა აღმოჩენა უნდა ან ვინ აღმოაჩინა? 2) **სომეხმა მკვლევარებმა როგორ გააკეთეს ჩანაწერები ენციკლოპედიაში? იმედია, „ჯამბაზს“** ენციკლოპედია **უბის წიგნაკი** ან **რვეული** არ ჰგონია. თუ იმას გულისხმობს, რომ **„ბრიტანიკის“** ავტორებმა ასეთი ინფორმაცია შეიტანეს ხსენებულ გამოცემაში, ეს სხვა საქმეა. 3) იქ არ წერია **„ქართული დამწერლობა სომხების შექმნილიაო“.** ერთ კონკრეტულ სომეხზე — **მესროპ მაშტოცზეა** საუბარი და არა — ზოგადად სომხებზე.

ერთია, რომ ეს უსერიოზულესი საკითხი „ჯამბაზმა“ მასხრობის საგნად აქცია და ამით თითქოს ცივი წყალი აპკურა ამ — **მანამდეც არაერთგზის გახმაურებული** — უმსგავსობით გაღიზიანებულ ქართველთა მღელვარებას, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, პატივცემულმა **„ჯამბაზმა“** თვალსა და ხელს შუა აგვაცალა ქართული ანბანის 5 ასო: **დიახ! ბატონო ვანო, ასომთავრული 38 ასონიშნისგან შედგება, ხოლო ის 33, რომელიც თქვენ გახსოვთ, თანამედროვე მხედრული ანბანის ასოებია;** ის, რომ სომეხი **მესროპ მაშტოცი** ჩვენთვის 20-22 ასონიშანზე მეტს ვერ გაიმეტებდა **(იმიტომ, რომ ძუნწი სომეხია, როგორც თქვენ გულისხმობთ)**, მე ამ ხუმრობის „კბი- ▶

















# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ლვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლების გასინჯვას“ არ ვაპირებ, მაგრამ დასანანია, თუ **ქართველმა ტელეწამყვანმა არ იცის, რამდენი ასოა მისი ენის ანბანში — ასომთავრულში, ნუსხურში ან, თუნდაც, მხედრულში.** ამ უკანასკნელშიც ხომ XIX საუკუნის მე-2 ნახევრამდე, აგრეთვე, 38 ასონიშანი გვქონდა, რომლებსაც ძველ ქართულ ტექსტებში ან დიალექტური მასალების ჩაწერისას დღესაც ვიყენებთ. სასურველია, **ასეთ თემებზე მასხრობისას მეტი წინდახედულება გამოვიჩინოთ (!).**

სანამ **„ხელისუფლების ჯამბაზები“** ტელემაყურებლებს ამგვარი მასხრობებით ართობენ, **ქართული ენა გაივსო კონტრაბანდული უცხოური ლექსიკით, რომელთა შემოტევამ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.** აღნიშნულის საილუსტრაციოდ შემიძლია აურაცხელი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ამჯერად უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია მკითხველის ყურადღების გამახვილება ამ ყოვლად უკანონო ლექსიკის ენაში შემოტანისა და დამკვიდრების პროცესებზე. თავის დროზე არაერთი მძაფრი შენიშვნა გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგარემონტებული **„რესპუბლიკური საავადმყოფოს“** ფასადზე გაჩნდა ინგლისურენოვანი წარწერა — **EMERGENCY.** თითქოს საავადმყოფოზე მისაწერი ქართული სიტყვა მანამდე არ გვქონოდეს. **მას მერე ჯანდაცვის მინისტრი ორჯერ შეიცვალა,** მაგრამ **EMERGENCY** — ისევ ისე — ამერიკულად გვიმზერს. გაინტერესებთ, რას ნიშნავს **EMERGENCY?** — კონტექსტს გააჩნია, მას ბევრი მნიშვნელობა აქვს: **„საგანგებო“, „სასწრაფო“, „გადაუდებელი“, „ავარიული“...** როგორც ხედავთ, ყველა მათგანი ზედსართავი სახელია, ეტყობა ამიტომაც ვერ „გარისკეს“ ქართული მედიცინის თანამედროვე მამებმა ამ ქართული შესატყვისებიდან რომელიმეს არჩევა. უფრო მეტიც: **როგორც ჩანს, სადღაც ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ, დროა, სიტყვა „ემერჯენსი“ ამ სახით ქართულ სალიტერატურო ენაშიც დავამკვიდროთ და ამ გზით კიდევ უფრო მეტად დავუახლოვდეთ დასავლურ** (ალბათ, — ამერიკულ!) **სამყაროს.** ასე რატომ ვფიქრობ? — თავად განსაჯეთ: მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიის გამძვინვარების შედეგად რა ტრაგედიაც დატრიალდა, რასაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. იმისთვისაც მოგიკრავთ, ალბათ, ყური, რომ მძღოლთა უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის გამო ხსენებულ ტერიტორიაზე ხშირია ავტოსაგზაო კატასტროფები, რასაც, როგორც ჩანს, მომავალშიც უნდა ველოდეთ, რისთვისაც საქართველოს მთავრობა აქედანვე იჭერს თადარიგს; **სიტყვა „თადარიგის“ ხსენებაზე უთუოდ მოგაგონდებოდათ პრეზიდენტ სააკაშვილის „წინდახედული“ გამონათქვამი, გმირთა მოედანზე აღმართული ობელისკის გახსნაზე რომ ბრძანა: საქართველოსთვის დაღუპული ბიჭების სახელებია ზედ ამოტვიფრული, მაგრამ სამომავლოდ ცარიელი ადგილებიც ბევრი გვაქვსო დატოვებული (!). აი, ამას ჰქვია თადარიგიანი კაცის ნააზრევი.** კინაღამ სიტყვა გამექცა. ისევ რიკოთს დავუბრუნდეთ; ჰოდა, უღელტეხილის მისადგომებთან ჩვენი მთავრობა აშენებს სამედიცინო ობიექტს, რათა მოსალოდნელი კატასტროფის დროს დაშავებულთა თუ დასახიჩრებულთა მოთავსება მალევე მოხერხდეს საავადმყოფოში... უკაცრავად! — **EMERGENCY**-ში. 5 ივლისს, ამ ობიექტის დათვალიერებისას, იმერეთის გუბერნატორმა — **ლაშა მაქაცარიამ** ბრძანა: **„აქ აშენდება „ემერჯენსის“ თანამედროვე ცენტრი“**-ო („კურიერი“, 18.00). **„ემერჯენსის ცენტრი“ როგორ მოგწონთ?**

ამიერიდან **„ემერჯენსები“** გვექნება არამხოლოდ დედაქალაქში. **იქნებ ვინმემ ის მაინც მითხრას, ასე დამახინჯებული, დაბინძურებული, უფლებააყრილი და დასახიჩრებული სახელმწიფო ენა რომელ „ემერჯენსში“ მოვათავსოთ? ნუთუ საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემებს ვერ ხედავს?** ეტყობა, წერა-კითხვაზეც მწყრალად ვართ, თორემ, ამდენი მასალა რომ ქვეყნდება (ბეჭდურ პრესაში თუ ელექტრონულ მედიაში), ერთხელ მაინც არავის არაფერი გსმენიათ ამის შესახებ? **თუ ფიქრობთ, რომ ეს საკითხები ქვეყნის პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს არ ეხება?** რაკი ესენი ხმას არ იღებენ, შესაბამისად, სამთავრობო ტელეარხებიც **(„საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „რუსთავი 2“** და ა.შ.) გატრუნულ-გაყურსულები არიან. არადა, იერიში ქართულ სალიტერატურო ენაზე სწორედ ამ კომპანიებში უნდა ნახოთ, მაგრამ ამათი თავკაცებიც (**გიორგი ჭანტურია, გიორგი არველაძე, გიორგი გეგეშიძე**) უთავოები, ბრმები და ყრუები გამოდგნენ, რაც ჩემთვის გაუგებარი სულაც არაა: **ესენი იქცევიან ზუსტად ისე, როგორც მათ პატრონებს ნებავთ და სიამოვნებთ.**

ზემოთ მედიცინის სფეროს შევეხეთ და ამან პირველი არხის ყოველკვირეული გადაცემა **„მედ-INFO“** გამახსენა. აი, კიდევ ერთი ნიმუში ტელეგადაცემათა სათაურების „თანამედროვე“ დაწერილობისა. შდრ.: **FACE კონტროლი, თბილისი LIVE, ART ბულვარი, COMEDY შოუ;** იხილეთ, ასევე — **ტაბულა ART** (ჟურნალი), **ART გენი** (ფესტივალი), **ART სალონი** და მრავალი სხვა.

**„მედ-INFO“**-ს წამყვანმა, **ბატონმა ზაზა სინაურიძემ** ერთ-ერთი ამასწინანდელი გადაცემის დასასრულს გვითხრა: „მე მინდა დავემშვიდობო ჩვენს ტელემაყურებლებს და ვთხოვო, რომ აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა ჩვენ ბლოკში (**რაში, ბატონო ზაზა, — რომელ „თქვენს ბლოკში“?** — ლ.ლ.). ჩვენ აუცილებლად ვუპასუხებთ ყველა თქვენს კითხვას. დიდი მადლობა“ (23.06.2011 წ.).







მადლობა თქვენ, **ბატონო წამყვანო**, რომ საჯაროდ კითხვების დასმის ნება დაგვრთეთ, რითაც მე აუცილებლად ვისარგებლებ და აქვე პირობას გაძლევთ, რომ თქვენს პასუხებს (თუკი ამას ისურვებთ) უსათუოდ გამოვაქვეყნებ ჩვენს გაზეთში. მაშ ასე:

1. **ბატონო ზაზა!** მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მაინტერესებს, თქვენი აზრით, **მაქვს თუ არა უფლება, საჯარო მოხმარებისთვის გამიზნული ყველა ინფორმაცია** (მათ შორის თქვენი გადაცემის სათაური) **წავიკითხო სახელმწიფო ენაზე?**

2. **რატომ გიწერიათ თქვენი გადაცემის სათაურის („მედ-info“)** ნახევარი (3 ასო) **ქართულად**, მეორე ნახევარი (4 ასო) **კი — ინგლისურად** (ანუ — **ლათინური ასოებით**)?

3. როგორ ფიქრობთ, **საჭიროა თუ არა, რომ „რესპუბლიკურ საავადმყოფოს“ საქართველოს დედაქალაქში ჰქონდეს ქართული წარწერა და რამდენად აუცილებელია ინგლისური EMERGENCY-ის, როგორც ტერმინის, შემოტანა ქართულ ენაში?**

4. თქვენ, **ბატონო ზაზა**, როგორც თბილისის საკრებულოს წევრი, **ხართ თუ არა ვალდებული, ყურადღება გაამახვილოთ დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოსა და მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ კანონდარღვევებზე?**

**5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეგევე ვალდებულება აკისრიათ საკრებულოს თავმჯდომარესა და ქალაქის მერს?**

6. როგორ შეაფასებდით მართლმეტყველების თვალსაზრისით თქვენი ერთ-ერთი გადაცემიდან ამოღებული ტექსტის ფრაგმენტს **(მკითხველს აქვე განვუმარტავ, რომ ეს ტექსტი არ ეკუთვნის გადაცემის წამყვანს)?**

**„თვითონ მედიცინა განვითარდა, მისი მიყოლა მედიცინას თანამედროვე დონეზე, ცოტა, არც ისეთი მარტივია. დიაგნოსტიკა წინ გარბის, საკმარისად აქტიურად მიდის დიაგნოსტიკა და ამ დიაგნოსტიკას, ყველაფერს მიყოლა არც ისეთი ადვილია; გარდა იმისა, არ მინდა, რა თქმა უნდა, ძველი დრო მე ვაქო, იყო გარკვეული სკოლები, რომელიც პასუხისმგებელი იყვნენ, კლინიკა პასუხისმგებელი იყო თავის ექიმის საქმიანობაზე. დღევანდელ დღეს ეს ცოტა მოშლილია იმ თვალსაზრისით, თუმცა, რა თქმა უნდა, „მოშლილი“, არ შეიძლება იხმარო ეს სიტყვა, იმ თვალსაზრისით, რომ კაცი, რომელიც საექიმო უფლებას ან ლიცენზიას ფლობს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს და სინამდვილეში მაინც ესე... ესე არ არის, იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში კლინიკაა გადამწყვეტი და კლინიკამ უნდა, დაწესებულებამ, განყოფილებამ, საავადმყოფომ უნდა გააკონტროლოს, ესე ვთქვათ, ნებისმიერი ექიმის საქმიანობა“.**

7. **ბატონო ზაზა!** ამ რამდენიმე წლის წინ თქვენ ბრძანდებოდით ერთ-ერთი ცნობილი **საავადმყოფოს მთავარი ექიმი.** საკრებულოს წევრად თქვენი „მოცდენა“ ან, მით უმეტეს, ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩართვა, ჩემი აზრით, გაუმართლებელია, ისევე როგორც **ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის** მოვლინება გასართობი გადაცემის (**„შუადღის“** — რომლის სათაურიც არასწორად — ორ სიტყვად — უწერიათ) წამყვანის ამპლუაში.

**რას მეტყვით?**

მანამდე კი ერთ სახალისო კომენტარს გაგაცნობთ — თქვენცა და ჩემს მკითხველებსაც: რამდენიმე კვირის წინ ბათუმში გაიმართა ფესტივალ **„გოლდენ ტალანტის“** შესარჩევი ტური (ვინც არ იცის, განვუმარტავ, რომ **„გოლდ“ ინგლისურად** ოქროა — ლ.ლ.). ერთ-ერთ ინტერვიუში მისმა ორგანიზატორმა, ბატონმა დავით ოქიტაშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე: — **„რამდენად გრანდიოზული იქნება დღევანდელი გალა კონცერტი“? —** ასეთი რამ უპასუხა: **„მე,** (სტილი დაცულია სტენოგრაფიული სიზუსტით) **ჩემგან უხერხული იქნება, მაგრამ ხუთი საათი დარჩა** (ხომ არ იცით, რა არის ამაში საუხერხულო? — ლ.ლ.) **იმ კონცერტამდე, იმ ტურამდე, სადაც უნდა გამოვლინდეს ქართველი გამარჯვებული, ვინც მონაწილეობას მიიღებს „გოლდენ ტალანტზე“**. ძაან ვნერვიულობ! (აქ ტექსტი გამოვტოვე! — ლ.ლ.) **... ეხლა დაგვირეკეს, სუპრიზს (!) გვიმზადებენ** აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, აპირებენ ჩამოსვლას ის კონკურსანტები **საბალელშიკოდ**, **უფრო სწორად, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის** (მე მეგონა, რუსული სიტყვის გამო მოგვიბოდიშა — ლ.ლ.) **უბალელშიკონ იმ ქართველ კონკურსანტს, რომელიც მათი კოლეგა გახდება ზუსტად ხუთ საათში“.**

როგორც გაირკვა, ბატონმა დავითმა ბოდიში მოგვიხადა მხოლოდ იმის გამო, რომ წამოსცდა — **„საბალელშიკოდ“**, როცა უნდოდა ეთქვა — **„უბალელშიკონ“**... ანუ გრამატიკულად ასე უფრო გამართულად მიიჩნია.

როგორც რუსები იტყვიან: **„и что хлеб“!** 

სამაგიეროდ, ბატონმა **ლადო ვარძელაშვილმა** ასე მიმართა ტელეშოუს წამყვან **ოთარ ტატიშვილს: „აი, ფეხბურთი შენ ძალიან გიყვარს, ერთ-ერთი ქვეყანასაც ბალელშიკობ... გულშემატკივრობ, უფრო სწორად“** („ღამის შოუ“, 1/07-2011).

იციან ბიჭებმა, რომ **„ბალელშიკობა“ „უფრო სწორად“** არის — **„გულშემატკივრობა“,** მაგრამ რა ქნან, თუ ეს **„ბალელშიკობა“** ვერ იქნა და ვერ დაივიწყეს?

ამასობაში მეც გავერთე და კინაღამ წერტილის დასმა დამავიწყდა.


ლადო ვარძელაშვილი


დავით ოქიტაშვილი


ლაშა მაქაცარია

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თურმე არაფერი ვიცოდი, რაც ჩემს ქვეყანაში ხდებოდა. მხოლოდ იქ გავიგე. ერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ მითხრა მაშინ: — თქვენ ისეთ მდგომარეობაში ხართ, როგორშიც ისრაელი იყო 1950 წელს. ან ჩვენს მსგავსად გამოასწორებთ ვითარებას, ან დაიღუპებით.

# ანზორ ბალუაშვილი: რომელი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო გაბედავდა რომის პაპის ან რაბინატის თხოვნის შეუსრულებლობას?!



**თბილისში, ფეთხაინის უბანში — ქართულ იერუსალიმში დაბადებული და გაზრდილი, შემდეგ ისრაელში ასული, ბოლოს ამერიკაში დაფუძნებული მწერალი და ფილოსოფოსი ნოდარ ჯინჯიხაშვილი (ჯინი) თავის წიგნში „ჩემი თვითმკვლელობის ისტორია“ ერთ ასეთ სენტენციას გვთავაზობს:**
**„ჯალათი ჯარისკაცზე უკეთესია: იგი კლავს არამზადებს, ჯარისკაცი კი უდანაშაულოებს ხოცავს, კანონმორჩილებს“.**
**— ეთანხმებით ამ აზრს, ბატონო ანზორ? — ვეკითხები ცნობილ იურისტსა და დიპლომატს — ანზორ ბალუაშვილს, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ მუშაობდა, იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარგზავნილი ისრაელში, ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტ-კონსულტანტია.**

— ამ დოქტრინას გაცნობილი ვარ და ყოველთვის ვცდილობდი, მომეძებნა ოპტიმალური ვარიანტი და გადავსულიყავი ნოდარ ჯინჯიხაშვილის მხარეს, მაგრამ არ გამომივიდა. ჯარისკაცი არის სიმბოლო ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლების, თანამოქალაქეების დაცვის უფლებითა და მოვალეობით აღჭურვილი ადამიანია. თუ ჯარისკაცი მტერს არ დაასწრებს და არ ესვრის, მაშინ, მისი სიცოცხლის გარდა, საფრთხის წინაშე დადგება ქვეყნის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მისი თანამოქალაქეების ნორმალური ცხოვრების პერსპექტივა.

ჯალათი დაქირავებული მკვლელია. თავის საქმიანობას რაიმე ზოგადსაკაცობრიო და ზნეობრივი სუბსტანციით კი არ წარმართავს, არამედ მოქმედებს როგორც მკვლელი, ჩვეულებრივი მკვლელი. მან არ იცის, სიკვდილმისჯილი მართლა არის დამნაშავე თუ უდანაშაულოა: რამდენი გვინახავს სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც უდანაშაულო ადამიანის დასჯის საფუძველი გამხდარა!

ჯარისკაცი მშვიდობიან მოსახლეობას არ ესვრის. თუ ამას მოიმოქმედებს, მაშინ ჯალათად იქცევა.

**— ჩრდილოეთ აფრიკისა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში არმია მოსახლეობის წინააღმდეგ რომ გამოჰყავთ, თუნდაც ამბოხებულების წინააღმდეგ, მაშინაც?**

— მაშინაც, რა თქმა უნდა! უეჭველად! თუ აქციების მონაწილენი იარაღს არ იყენებენ.

**— ძალოვან სტრუქტურაში მომუშავე პროფესიონალს, უპირველესად, პროკურატურაში, ისეთი მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობა აწევს და აკისრია, როგორიცაა ადამიანის ბედის გადაწყვეტა. ამას მთელი თქვენი საქმიანობაც ადასტურებს. ვერდიქტი ახსენეთ. ხომ არ გაწუხებთ დღესაც თქვენი რომელიმე ბრალდება, რომელიც უსამართლო იყო? და საერთოდ, როგორ შეიძლება მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელება?**

— სამართალდაცვითი სტრუქტურები განსაკუთრებული ფენომენია. ამოსავალი წერტილი აქ მომუშავე პროფესიონალისთვის არის პატიოსნად, უშეცდომოდ, გამოწვლილვით გამოკვლევა საქმის, რომლის გამოძიება ანდეს და დააკისრეს. ზოგჯერ ხდება ისე, რომ მიუკერძოებლობა გადადის პროფესიულ თავმოყვარეობაში. ეს ავადმყოფობაა. ამიტომ უნდა მოქმედებდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ასეთ შემთხვევებს. არ დავმალავ, მქონია შემთხვევა, როცა წინ წამოწეულა საბრალდებო მიმართულება და მიცდია მისი გამყარება. ეს უკვე მცდარი გზაა. მაგრამ საკითხის დაყენებაც კი, რომ აღმოიფხვრას ამგვარი ცალმხრივობა, უტოპია იქნება. მას, ამ ადამიანს, უნდა ჰყავდეს აბსოლუტურად მიუკერძოებელი ზემდგომი, რომელიც დაარწმუნებს, რომ ასეთი საბრალდებო გადახრა მცდარია. ასეთ შემთხვევაში განიცდი კაცი სინდისის ქენჯნას.

მართლმსაჯულების სისტემის ზნეობრიობას მისი აბსოლუტური დამოუკიდებლობა განაპირობებს.

ჩემს პრაქტიკაში იყო საქმეები, რომელთა შესწავლის დროს ჯიქურად ვცდილობდი, მივწოლოდი საქმეს; იყო შემთხვევები, როცა ვითვალისწინებდი გარკვეული ელიტის მოსაზრებებს. აი, ეს უნდა იყოს გამორიცხული.

მე და ალე შუშანაშვილი, ყოფილი გენერალური პროკურორის მოადგილე, ხშირად ვდაობდით, რა გამოასწორებდა სიტუაციას და როგორი უნდა იყოს სამართლიანი მართლმსაჯულება. მიმაჩნდა და მიმაჩნია და ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს, რომ **მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფო ძალაუფლების დამოუკიდებელი შტოა, სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული კორპუსით უნდა დაკომპლექტდეს, ეფექტიანად მოქმედებდეს დამოუკიდებელი იუსტიციის საბჭო! აი, მაშინ არ იქნება მართლმსაჯულება ყოველგვარი უკეთურების მიერ შერყვნილი.**

**— თქვენს კონკრეტულ შეცდომაზე რას იტყვით?**

— დავუშვი შეცდომა და დღესაც ვერ მომინელებია... მაშინ უდიდეს საქმეთა გამომძიებლად ვმუშაობდი. დეტექტიური ისტორიაა, ძალიან საინტერესო, მაგრამ შორს წაგვიყვანს, და ამიტომ მოკლედ გეტყვით. დღესაც მახსოვს, 12 ივლისი იყო, როცა გენერალურმა პროკურორმა არონ ტაკიძემ ერთი უცნაური მკვლელობის გამოძიება დამავალა.

მსხვერპლი ახალგაზრდა ქალი იყო, რომლის გვამი, ტახტში ჩადებული შემთხვევით აღმოაჩინეს გლდანის მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს პირადი მოხმარებისთვის დასამუშავებლად ჰქონდათ სახელმწიფოს მიერ განაწილებული. ხელმოსაკიდი პრაქტიკულად არაფერი იყო, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყევით, ფაქტობრივი წვრილმანები ლოგიკურად ავკინძეთ და გამოიკვეთა სავარაუდო მკვლელი — ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ ქალის ქმარი იყო. წინასწარი პატიმრობა მოვითხოვე და პროკურორმაც ბრალდებას მხარი დაუჭირა.

წინასწარი პატიმრობა ხუმრობა საქმე არ არის.

გავაგრძელეთ გამოძიება და გაირკვა, რომ მოკლული აღმოჩნდა აბსოლუტური ორეული ჩვენ მიერ მკვლელობაში ეჭვმიტანილის ცოლის, რომელიც რაღაც ოჯახური კონფლიქტის გამო სახლიდან იყო გაქცეული.

რა თქმა უნდა, სამართალმა პური ჭამა: აღმოვაჩინეთ ნამდვილი მკვლელი, რომელსაც სრულად მიეზღო, რაც ეკუთვნოდა. ის უდანაშაულო ახალგაზრდა, ცხადია, გამართლდა. მაგრამ, ორი კვირა კაგებეს იზოლატორში რომ დაჰყო, არასრულყოფილი გამოძიების მიზეზით, სწორედ ეს ვერ მომინელებია.

**— აღარ შეხვედრიხართ იმ ყოფილ ეჭვმიტანილს?**

— არა.

**— თქვენ ეს-ესაა თქვით, რომ გამომძიებელში ერთმანეთს უპირისპირდება პროფესიონალი და ადამიანი, ხოლო გადახრამ ბრალდებისკენ შეიძლება მცდარი გზით წაიყვანოს გამოძიება. მაგრამ ხომ არ გამორიცხავთ, რომ გარკვეულ შემთხვევაში წინასწარი განწყობის გარეშე საქმეში ჩართვა, უბრალოდ, გამორიცხულია, რადგან გაქვთ ინფორმაცია, იცნობთ ფაქტებს, გარემოებას, პროცესებს, რომლებიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქვეყანაში. აფხაზეთის ომისკენ მიმყავს საუბარი. თქვენ ხელმძღვანელობდით საქართველოს პროკურატურის საგამომძიებლო ჯგუფს, რომელიც შეისწავლიდა ომის გამომწვევ მიზეზებს. ძნელი წარმოსადგენია ამ შემთხვევაში მიუკერძოებლობის შენარჩუნება — წაგვგლიჯეს აფხაზეთი ბოლოსდაბოლოს!**

— ამ შემთხვევაში ადამიანური და პროფესიული ფაქტორები ერთმანეთს დაემთხვა. ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც ჩამომართვით, გითხარით, რომ აფხაზეთის ომი იყო შავი ფურცელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. უბედურება მოხდა.

**— ახლა თავიდან რომ ჩადგომოდით იმ ჯგუფს სათავეში, წლების შემდეგ გადასახედიდან შეცვლიდით რამეს, ბატონო ანზორ?**

— ჩვენ ვმუშაობდით ეთნიკური წმენდის პრობლემაზე. სხვა დანაშაულობანი არ შეგვისწავლია... პირდაპირ გეტყვით: არა, არაფერს არ შევცვლიდი.

**— რას იტყვით საქართველოში პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ეჭვებზე — ეს ტრაგედია თვითმკვლელობა იყო თუ მკვლელობა?**

— ამ საკითხზე ჩემი ვრცელი ინტერვიუები გამოაქვეყნა „ასავალ-დასავალმა“. პირველი ეტაპი ჩავატარეთ და აბსოლუტურად ვერავინ — ვერც პარლამენტის კომისიამ შეცვალა ის გარემოებები, რომლებიც დამყარებული იყო ფაქტოლოგიურ მასალებზე.

**— ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს, შეიძლება ითქვას, თქვენ იყავით მოვლენების ეპიცენტრში, მუშაობდით სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივნად. რა მოხდა მაშინ, ბატონო ანზორ?**

— მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მე ველოდი, რომ მოხდებოდა.

**— იყო ეს რევოლუცია თუ სახელმწიფო გადატრიალება?**

— რასაკვირველია, ეს იყო გადატრიალება, კლასიკური ფორმა სახელმწიფო გადატრიალების, მაგრამ, რაგინდ სამწუხარო იყოს, აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

პროკურატურაში მუშაობისას არაერთხელ განმიცხადებია, რომ, თუ ასე გაგრძელდებოდა, რევოლუცია გარდაუვალი იქნებოდა. 2001 წლის დასაწყისში პროკურატურის ორგანოებიდან დიპლომატიურ სამსახურში გადავედი. ისრაელში, საქართველოს საელჩოში რომ ჩავედი, ▶

**როცა ქვეყნის სულიერების საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი გთხოვთ, ნაჩქარევად ნუ მიიღებთო გადაწყვეტილებას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვუწონებ პარლამენტარებს, ან ვინც გინდა იყოს, ამ თხოვნის იგნორირებას. ასეთი რამ დაუშვებელია!**

მსოფლიო

## პენტაგონს ლიბიელი ამბოხებულების დახმარება აუკრძალეს

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც პენტაგონს ეკრძალება ლიბიელი ამბოხებულების დახმარება, მათთვის იარაღის მიწოდება, წვრთნების ჩატარება და კონსულტაციები.** კონგრესის წარმომადგენლებმა ასევე აკრძალეს ლიბიელი ოპოზიციის პირდაპირი ფინანსური დახმარება. ამერიკელი კონგრესმენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების ლიბიის კონფლიქტში მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგია. ბარაკ ობამას მოწინააღმდეგეების თქმით, ის ვალდებული იყო, გადაწყვეტილება ლიბიის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ კონგრესთან შეეთანხმებინა.

## ფუკუსიმა-1 კვლავ ევაკუირებულია

**იაპონიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა 1“-ზე მომუშავე პერსონალის ევაკუაცია დაიწყო.** 7.0 მაგნიტუდის მიწისძვრა 10 ივლისს იაპონიის დროით დილის 10:57 წუთზე დაფიქსირდა ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ეპიცენტრი კი კუნძულ ხონსიუზე, 34,9 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა და ატომური ელექტროსადგურიდან 250 კილომეტრით, ხოლო ტოკიოდან 411 კილომეტრით იყო დაშორებული.

**ათი ათასობით კორუმპირებული დავითხოვეთო, რომ ამბობენ, გული მტკივა, რადგან ეს ადამიანები აღმოჩნდნენ კორუმპირებული სისტემის მსხვერპლნი, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობამ დააყენა ამ გზაზე. თვეში 60 ლარსაც რომ ვერ მისცემ მილიციელს თუ პოლიციელს, მათგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.**

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა აღთქმულ ქვეყანაში ჩვენს პრეზიდენტს მისი დამსახურებისა გამო ებრაელების წინაშე. ყოველნაირად ცდილობდნენ დაგვხმარებოდნენ და აბსოლუტურად გულწრფელები იყვნენ ჩვენთან ურთიერთობის დროს. სწორედ მაშინ ვიგრძენი ჩემი უსუსურობა: თურმე არაფერი ვიცოდი, რაც ჩემს ქვეყანაში ხდებოდა. მხოლოდ იქ გავიგე. ერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ მითხრა მაშინ: — თქვენ ისეთ მდგომარეობაში ხართ, როგორშიც ისრაელი იყო 1950 წელს. ან ჩვენს მსგავსად გამოასწორებთ ვითარებას, ან დაიღუპებით.

**— რატომ გაავლო ასეთი პარალელი?**

— 1949 წლის ბოლოს ისრაელის პრემიერ-მინისტრთან ბენ გურიონთან შედის ისი ჰარელი, მოსადის — ისრაელის საიდუმლო სამსახურის ახლად დანიშნული დირექტორი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 37 წელიწადს იმსახურა. ვიტებსკელი იყო. მინახავს კიდეც იგი 84-85 წლისა, როცა თელ-ავივის ბაღნარში ისვენებდა. შედის და ეუბნება პრემიერს: — როგორც ჩანს, ღმერთი სამართლიანი იყო, როცა მთელ მსოფლიოში მიმოგვაბნია. მტანჯავს ფიქრი, ღმერთის წინააღმდეგ ხომ არ წავედით? შევქმენით ჩვენი სახელმწიფო. შევქმენით კი? ვფიქრობ, რომ რაღაც კონგლომერატი შევაკოწიწეთ კორუფციონერებისა და მკვლელების, სისასტიკითა და ქვენა გრძნობებით გამორჩეული ადამიანების. გაგიგიათ, დევიდ, მსგავსი რამ — 16 ქვეყანაში 16 რეზიდენტი მყავს, მსოფლიოში არ მოიძებნება მათნაირი პროფესიონალები, და ექვსი თვეა, არც ერთ მათგანს ხელფასი არ მიუღია. შემხვდა მეგობარი, რომელსაც ისევ ფიზიკოსი ვგონივარ. გაჭირვებული კაცი თევზის რეწვითაა დაკავებული. მან მითხრა, რომ ნაარიიდან 1200 შეკელის ღირებულების თევზს იაფაში დამკვეთს რომ გაუგზავნის (თელ-ავივის მისადგომებთან) 200 შეკელი რჩება, რადგან დანარჩენი ათასი შეკელი ჩვენს სამართალდამცავებს, ბანდიტებსა და მკვლელებს მიაქვთ. ჩვენი მოსამართლეები მხოლოდ შეკელზე ფიქრობენ, ასევე — სხვები. შევქმენით კი სახელმწიფო?

ბენ გურიონს უპასუხია: — კი, ბევრი გვყავს ნაძირალა, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს ავაშენებთო.

აი, ეს მითხრა ისრაელის ერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ: — თუ ჩვენსავით თქვენც გადამჭრელად არ იმოქმედეთ, თქვენგან აღარაფერი დარჩება.

2001 წლისთვის ჩვენი ეკონომიკა კოლაფსში აღმოჩნდა, ზნეობის აბსოლუტური დევალვირება მოხდა, საგადასახადო სისტემამ 600 თუ 700 მილიონი ლარი ვერ ამოიღო, მაშინ, როცა გადამხდელებიდან 3,5-4 მილიარდი ლარი გადიოდა.

ათი ათასობით კორუმპირებული დავითხოვეთო, რომ ამბობენ, გული მტკივა, რადგან ეს ადამიანები აღმოჩნდნენ კორუმპირებული სისტემის მსხვერპლნი, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობამ დააყენა ამ გზაზე. თვეში 60 ლარსაც რომ ვერ მისცემ მილიციელს თუ პოლიციელს, მათგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

**— გაიგეთ ეს ამბავი და გულში ჩაიხვიეთ?**

— არა. ჯერ კიდევ 2002 წლის თებერვალში ისრაელიდან წერილები გამოვუგზავნე ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას, სადაც ვასაბუთებდი, რომ ეკონომიკური დანაშაულობანი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით საშიშ ქმედებებს გაუტოლდა. გადამჭრელი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, ისინი თავიანთი ორგანიზებულობით დივერსიისა და საბოტაჟის კლასიკურ ფორმად ჩამოყალიბდებოდა. ხაზგასმით ვამბობდი, რომ **საჯარო მოხელეთა ზღვარგადასული თვითნებობა, ზნეობის არნახული მასშტაბით დევალვაცია, ტოტალური სიცრუე, დროული და სწორი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა, ზოგჯერ წინასწარი განზრახვით ბლოკირება განაპირობებდა ქვეყანაში კატასტროფული მოვლენების განვითარებას.** წერილები გამოვუგზავნე ქვეყნის ხელმძღვანელობას, სადაც ეს ყველაფერი გადმოვეცი და ჩემი წინადადებებიც წამოვაყენე.

**— თქვენი დაბრუნება ქვეყნის მართვის უმაღლეს ეშელონში ამან ხომ არ განაპირობა?**

— ზუსტად ეს იყო.

**— მაგრამ ვერ მოასწარით?**

— რას მოვასწრებდი, როცა აგვისტოში ჩამოვედი. ორისამი მწვავე თათბირი კი ჩავატარეთ, მაგრამ ეს წყლის ნაყვა იყო, რაც ვუთხარი კიდეც ბატონ პრეზიდენტს მთავრობის სხდომაზე. საჭირო იყო კარდინალური ღონისძიებების განხორციელება.

ქვეყანაში ყველა რესურსი არსებობდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მითხრა, რომ უნდა შევდგომოდით კორუფციის აღმოფხვრას და არ დაგვცალდაო.**

— დიახ. არც დრომ, არც სიტუაციამ ჩვენთვის არ იმუშავა.

თქვენ მითხარით, რომ 2003 წლის ნოემბერში მოვლენების ეპიცენტრში ვტრიალებდი. დიახ, ასე იყო და, მაშინ უსისხლოდ რომ დამთავრდა სახელმწიფო გადატრიალება, ეს კიდევ ერთი დასტურია იმდროინდელი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის ჰუმანიზმისა და დემოკრატიულობის. როცა ძალის გამოყენებაზე დაიწყეს ლაპარაკი, მაშინ მან თქვა, რომ არც ერთი ჩვენგანის არა თუ თანამდებობა, სიცოცხლეც კი არ ღირს ჩვენი მოქალაქის სისხლის წვეთადაც კი. **საშინელებაა იმის წარმოდგენა, რა დატრიალდებოდა, რამდენიმე თავზეხელაღებული რომ გამოჩენილიყო და ცეცხლი გაეხსნა. ამ ჩვენი ძლევამოსილი „რევოლუციონერების“ კვალი და სახსენებელი ისე გაქრებოდა, როგორც ცხელ ქვიშაზე დასხმული ჭიქა წყალი.**


საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ანალიზი ცხადყოფს, თუ რამდენად დამღუპველია სახელმწიფო ინტერესების და ხალხის კეთილდღეობისათვის მწვავე პრობლემების მიჩუმათება.

პრობლემებისა, რომლებმაც შვა საჯარო მოხელეთა ზღვარსგადასული თვითნებობა, ზნეობის არნახული მასშტაბებით დევალვაცია, ტოტალური სიცრუე, თქვენი დროული და სწორი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა, ზოგჯერ წინასწარი განზრახვით ბლოკირება.

კორუფციის კატასტროფული აღზევების ფონზე შედეგები არაფრისმთქმელია, რადგანაც ვისაც მათი გადაწყვეტა ხელს ეწიფება და ევალება, ჯიუტად არ ამჟღავნებს პოლიტიკურ ნებას, მოგონილი მოტივით და ინსინუაციით ცდილობს ფონს გაუიდეს, მოქმედებს პრინციპებით: "არავის ვაწყენინო, არ შევარყიო პირადი კეთილდღეობა".

აორთქლდებოდნენ.

იცოდნენ, რომ შევარდნაძე სისხლს არ დაღვრიდა და მათი „გულადობაც“ ამით აიხსნება.

**— რა თქმა უნდა, დამერწმუნებით, რომ ისრაელის ხელისუფლება, მოქალაქეები ყოველთვის კეთილგანწყობილი ყურადღებით ეკიდებოდნენ საქართველოს. საუკუნეებში გამოვატარეთ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა... მაგრამ ფაქტია, რომ, ერთი ხანია, ბზარი გაჩნდა ჩვენს ურთიერთობაში. ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. ფუქსის საქმეში უნდა ვეძებოთ. მე არ გკითხავთ ამ სკანდალის სამართლებრივი ასპექტის თაობაზე, მაგრამ ადამიანურად როგორ აფასებთ იმ რეზონანსს, რომელიც ამ სისხლის სამართლის საქმემ გამოიწვია?**

— საქმის მასალებს არ ვიცნობ და თავს ვერ მივცემ ისეთი ფუფუნების უფლებას, რასაც ზოგიერთი პოლიტიკოსი ან ჟურნალისტი თავის თავს აძლევს. მაგრამ, როცა ისრაელში ვესაუბრებოდი გარკვეული წრეების წარმომადგენლებს, ისინი კი ყურადსაღები პიროვნებები არიან, ვერაფერი ვუთხარი მათ მიერ წამოყენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რაც ამ სკანდალის ფორმას შეეხებოდა — ეს ადამიანები უმაღლეს დონეზე ოფიციალურად მიიწვიეს, ჩამოიყვანეს, დააპატიმრეს. თავიდან კი არ აიცილეს დანაშაული, სპეციალურად ჩაადენინეს.

ამჟამინდელი დაძაბულობა კი, დარწმუნებული ვარ, დაცხრება.

**— იმედი ვიქონიოთ, მაგრამ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის რომელიღაც გუნდის მიერ წამოყრანტალებული იდიოტური პასუხი კითხვაზე ჰიტლერმა კარგი რა გააკეთა და — ყველა ებრაული ოჯახი უფასო გაზით უზრუნველყოო, ეს მარტო იუმორთან მწყრალად ყოფნით ვერ აიხსნება. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ „ხალისიანთა“ შორის ჩვენი მთავრობის ორი მინისტრი აღმოჩნდა, რომლებიც იქ ესწრებოდნენ და პროტესტი არანაირი ფორმით არ გამოუხატავთ. შემდეგ კი მოიხადეს ბოდიში, მაგრამ — დაგვიანებით, როცა მთელი ამბავი ატყდა ამ იუდოფიური ფრაზის გამო.**

— ამ კერძო შემთხვევის ახსნა გაუნათლებლობით თუ შეიძლება. ამის მთქმელსაც და ტაშის დამკვრელსაც, ეტყობა, არაფერი გაუგია ჰოლოკოსტის შესახებ, წარმოდგენა არ აქვთ ფაშიზმის კაცთმოძულეობაზე და ა.შ. 26 საუკუნის მანძილზე ვერავითარმა ქარტეხილმა ვერ შეარყია ჩვენი მეგობრობა და, არა მგონია, ამ სულელურმა გამოხდომამ რაიმე ავნოს.

ისე კი ნიშანდობლივია: რაღაც დავაკელით ახალგაზრდების აღზრდას და, რაც უარესია, მთავრობის წევრთა შერჩევაშიც ყველაფერი რიგზე არ გვაქვს.

**— რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით პარლამენტის საგანგებო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება გთხოვოთ კომენტარი?**

— კონფესიებთან დაკავშირებით პრობლემების მოწესრიგება რთული არ არის. მაგრამ, როცა ქვეყნის სულიერების საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი გთხოვთ, ნაჩქარევად ნუ მიიღებთო გადაწყვეტილებას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვუწონებ პარლამენტარებს, ან ვინც გინდა იყოს, ამ თხოვნის იგნორირებას. ასეთი რამ დაუშვებელია!

რომელი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო გაბედავდა რომის პაპის ან რაბინატის თხოვნის შეუსრულებლობას?!

ამ საკითხში თავს კომპეტენტურად ვერ მივიჩნევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ნაცვალგების პრინციპი. უმჯობესი იქნება, რომ ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ.

**— აქეთ მართლმადიდებლურ ეკლესიას უპირისპირდება ჩვენი ხელისუფლება, იქით რუსეთთან სულ უფრო ღრმავდება უფსკრული, ჩვენ კი ვდგავართ ერთ ნაპირზე და ვიყეფებით. გაუგებარი და (თავს უფლებას მივცემ, ვთქვა) მავნე დიპლომატიაა.**

— რაგინდ მტკივნეული და მიუღებელი შეიძლება მოგეჩვენოთ ის, რის თქმასაც ვაპირებ, მაინც ვიტყვი: **იმაზე უფრო საშიში ვითარება შეიძლება შეიქმნას საქართველოში, როგორზეც უკვე ვილაპარაკეთ, თუ რუსეთთან ურთიერთობა არ აღდგება.**

**— ამჟამად რასა იქმთ, ბატონო ანზორ?**

— როგორც თავისუფალი მოქალაქე, სამართალსა და მოკრძალებული დიპლომატიური გამოცდილების საფუძველზე კონსულტირებას ვუწევ დიპლომატიური და სამართლებრივი კვლევით დაინტერესებულ პირებს, დანარჩენ დროს ვკითხულობ წიგნებს და შვილიშვილებთან ვერთობი.

ღმერთი სამართლიანია, ქართველი ხალხი იმსახურებს მშვიდობას, კეთილდღეობასა და უკეთეს მომავალს. ვნატრობ, რომ აღდგეს საქართველოს ერთიანობა, რომელიც მეზობლების კბენითა და, როგორც თქვენ თქვით, ყეფით ვერასოდეს აღდგება.

**— ხომ არ აპირებთ მემუარების დაწერას?**

— არა. იმიტომ, რომ ბევრს გული დასწყდება, იმიტომაც, რომ სიმართლეს ბოლომდე მაინც ვერ ვიტყვი... ჩემი მწირი მონაცემების საფუძველზე კი გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ჩემს ამ პოზიციას ზუსტად მიესადაგება ასეთი სენტენცია: „სანამ შეგიძლია, დელიკატურად თქვი „არა“. მაგრამ თუ „ხო“ თქვი, ბოლომდე მიჰყევი“.

**— ვინმეს თუ დაუძალებია თქვენთვის — ელიტას, ხელმძღვანელობას — გამოძიების ისე წარმართვა, რომ ვინმესთვის, სლენგს თუ ვიხმართ, „შეგეტენათ“ დანაშაული?**

— ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა მსგავსი რამ. არც გაუბედავს ვინმეს, არც მე გამიბედავს ჩემი თანამშრომლებისთვის. მადლობა ღმერთს, ცოცხლები არიან და დაინტერესებულ ადამიანებს დაუდასტურებენ.

თუმცა პროფესიული დავა და კამათი ყოველთვის გვქონდა.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

**საშინელებაა იმის წარმოდგენა, რა დატრიალდებოდა, რამდენიმე თავზეხელაღებული რომ გამოჩენილიყო და ცეცხლი გაეხსნა. ამ ჩვენი ძლევამოსილი «რევოლუციონერების» კვალი და სახსენებელი ისე გაქრებოდა, როგორც ცხელ ქვიშაზე დასხმული ჭიქა წყალი**

**P.S. კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი, რაც და რაც ითქვა, იმაზე მეტი ნაგულისხმევი იყო, ქვეტექსტში მოცემული და მისახვედრი. და, ღმერთო ჩემო, რა მართალი ყოფილა ამ პუბლიკაციის დასაწყისში ნახსენები ნოდარ ჯინჯიხაშვილი (ჯინი), რომელიც ამბობდა: „ადამიანები, რომლებიც იგებენ მხოლოდ იმას, რისი გაგებაც შეიძლება, ცოტას იგებენ“.**

მოკლედ

## ბაქტერია «ე-კოლი» ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა



**გერმანელი ექიმების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საშიში ნაწლავური ბაქტერია „ე-კოლი“ შეიძლება ადამიანიდან ადამიანს გადაეცეს.** აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გერმანიის ჯანდაცვის მინისტრ დანიელ ბაჰრის განცხადებაზე დაყრდნობით ვრცელდება. მისი თქმით, ექიმებმა დაამტკიცეს, რომ გესეში 20 ადამიანი კუჭ-ნაწლავის ინფექციით რესტორნის თანამშრომლისგან დაავადდა. თავად მას კი „ე-კოლი“ ინფიცირებული პროდუქტის მიღების შემდეგ დაემართა.

## სირია აშშ-ს ადანაშაულებს

**სირიის ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებული შტატები იმ ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ორგანიზებაში დაადანაშაულა, რომელიც სირიაში, უკვე ოთხი თვეა, მიმდინარეობს.** სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი წაყენებულ ბრალდებებს ემატება ისიც, რომ აშშ-ის ელჩის ვიზიტი ქალაქ ჰამაში სირიის ხელისუფლებასთან არ იყო შეთანხმებული. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, აშშ-ის ელჩი სირიაში, რობერტ ფორდი გაემგზავრა ქალაქ ჰამაში, რათა მასობრივი გამოსვლები საკუთარი თვალით ენახა.

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ევროკავშირმა მოგთხოვა, ხორცზე ხარისხის კონტროლი გააძლიერეო, შე მამაძაღლის ტიალო, 60-ზე მეტი პროცენტი იმპორტირებული ხორცი და ხორცპროდუქტები რომ გაქვს, იქიდან დაიწყე! იმას ხელს არ ჰკიდებ და ქართველ გლეხს ფრცქვნი, შენ რომ დიდი ფული აკეთო იმისთვის?**

ნოდარ ჯავახიშვილი:

# რას ეუბნები აფხაზს, რისთვის წამოვიდეს შენთან? გირგვლიანივით შვილი რომ მოუკლან, ბიზნესი დაუტერორონ, ციხეში ჩასვან და ფული «აახიონ»?!

**ექსპერტი ნოდარ ჯავახიშვილი „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია.**

**— ბატონო ნოდარ, ჩვენს მკითხველებს კარგად ახსოვთ, თქვენი მწვავე კრიტიკა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის, თუ არსებობს ასეთი რამ ბუნებაში. საქართველოს სინგაპურიზაციის თვალსაზრისით, ხელისუფლების უმაღლესი დაპირებებიც არ დავიწყებია. შეიცვალა რამე?**

— არაფერი შეცვლილა. ჩვენი საზოგადოება კი სწორედ იმას აშავებს, რომ საქართველოს სინგაპურიზაციას დაპირებად ღებულობს და არა შეშინებად. ეგ იყო მუქარა...

**— რომ რაო?**

— რომ მიგვიყვანს სინგაპურამდე. ოღონდ იმ ნაწილში კი არა, რომ სინგაპურში მთლიანი შიდა პროდუქტი რამდენიმე ასეულჯერ უფრო მეტია, ვიდრე ჩვენთან და, შესაბამისად, ადამიანების ცხოვრების დონეც მაღალია, არამედ იმ მიმართულებით, რომ საქართველოში აღარაფერს ვაწარმოებთ, ზუსტად ისე, როგორც სინგაპურში.

**სურვილის შემთხვევაშიც კი ძნელი იქნებოდა, ეკონომიკას რამე დატყობოდა, მით უფრო, როცა სურვილის ნატამალიც არ ჩანს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან.**

**ახლა ჩვენ ვიმყოფებით სააკაშვილისა და მისი პიარკამპანიის წნეხის ქვეშ: რასაც უნდათ, იმას ამბობენ და მათ ნათქვამს საერთო არაფერი აქვს რეალობასთან.**

**— ამბობთ, რომ არაფერი შეცვლილაო... ხალხი კი გრძნობს სერიოზულ ცვლილებებს, ოღონდ — უარესობისკენ.**

**— მე ვთქვი, რომ არაფერი შეცვლილა მათი ტლიკინის თვალსაზრისით, პიარკამპანიის კუთხით.**

**ახლა უფრო გასაგებად გეტყვით — მათი ბჟუტურის კუთხით.**

ბჟუტურია, აბა, რა, როცა გვიმტკიცებენ, რომ თურმე ევროკავშირის მოთხოვნა ყოფილა საქართველოში ხორცის გაძვირება. ხომ გვითხრეს ასე?

**— გვითხრეს.**

— მაგრამ მე ვერ ვნახე აღშფოთებული ხალხის მასები ამის გამო ქუჩებში გამოსული. ამათი ინტერპრეტაციით და, რაც მთავარია, მოქმედებით გამოდის, რომ ევროკავშირს ის კი არ მოუთხოვია, აღადგინეთ და გააძლიერეთ ხარისხის კონტროლიო, არამედ — ქართველ გლეხს ეცით ყელში და ქართველ მომხმარებელს ჩაუძვერით ჯიბეშიო.

**თუ ევროკავშირმა მოგთხოვა, ხორცზე ხარისხის კონტროლი გააძლიერეო, შე მამაძაღლის ტიალო, 60-ზე მეტი პროცენტი იმპორტირებული ხორცი და ხორცპროდუქტები რომ გაქვს, იქიდან დაიწყე! იმას ხელს არ ჰკიდებ და ქართველ გლეხს ფრცქვნი, შენ რომ დიდი ფული აკეთო იმისთვის?**

როგორც ჩვეულებრივ ხდება, რაც უნდათ და რაც ხელს აძლევთ, ისე აკეთებენ და ასაღებენ.

ჩვენ კი სააღდგომო ბატკნებივით გატრუნულები ვართ. ფეხებსაც არ ვაბაკუნებთ...

**— ეს ინფლაცია რომ იზრდება და სახრჩობელის თოკივით ყელზე რომ გვიჭერს, ალბათ, მალე სულსაც გაგვაფრთხობინებს, ფეხის ბაკუნი უშველის?**

— პირიქით, ბატონო, პირიქით! ხომ გვითხრეს, ოთხი პროცენტული პუნქტით შემცირდა ინფლაციაო...

**— კი, მაგრამ ეს ხომ უნდა აისახოს ჩვენს მატერიალურ მდგომარეობაზე?**

— რატომ, ბატონო, რატომ?! შვიდი წელიწადია არ ასახულა და რატომ უნდა აისახოს მაინცდამაინც ახლა?! რომ გვეუბნებოდნენ, 12-პროცენტიანი ზრდა გვაქვსო, აკეთებდით საწინააღმდეგო განცხადებებს? არა!

ახლა ისე ნუ ვილაპარაკებთ, თითქოს სააკაშვილი გუშინ გახდა ხელისუფლების პირველი პირი.

**— გადავაგორებთ ზაფხულის „მკვდარ სეზონს“ და მოვა შემოდგომა.**

— მოვა, ალბათ.

**— ჯონ სტეინბეკს, მოგეხსენებათ, აქვს ბრწყინვალე ნაწარმოები „მრისხანების მტევნები“ გაჭირვებული არენდატორი-ფერმერების ცხოვრებაზე ამერიკის დიდი დეპრესიის დროს. მეტაფორა ბიბლიიდან, ახალი აღთქმიდან მოდის, რომელსაც ავტორი ასეთ დატვირთვას აძლევს: „ადამიანების სულებში ივსება და მწიფდება მრისხანების მტევნები — მძიმე მტევნები, და დამწიფებამდე ბევრი არ აკლია“. როგორ ფიქრობთ, გვექნება მრისხანების მტევნების რთველი?**

— ვფიქრობ, რომ ამის შანსი არის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მივიტანთ საღ აზრს საზოგადოებამდე, რაც ყოველთვის გვიჭირს ხოლმე. რამდენად მოვახერხებთ ამის გაკეთებას.

**— ეკონომიკაში?**

— არაფერ სასიკეთოს არ უნდა ველოდოთ. ამათ რა უნდა მოჰკითხო, შეცდომა არ მოსდით. არ ფიქრობენ, რომ შეეშალათ და გამოასწორებენ. ესენი შეგნებულად ანგრევენ ქართულ ეკონომიკას, ქართველი კაცის ფსიქიკას, ცდილობენ, ძირშივე მოკვეთონ მისი ფესვები... არაფერი ეშლებათ! შეიძლება, პიარკამპანიის მიმართულება შეცვალონ, გადაფარონ სხვა, უფრო ძლიერი პიარით და გააგრძელებენ თავიანთ „გენერალურ ხაზს“, სანამ ჩვენ ამის საშუალებას მივცემთ.

**ნებისმიერი ხელისუფლების თავხედობის დონე განისაზღვრება ხალხის დაბეჩავების დონით, სანამდე ჩვენი მოთმინების დონე წინ არ გაუსწრებს მათი თავხედობის დონეს, ესენი თავისას არ მოეშვებიან. გააგრძელებენ, სანამ თავიდან არ მოვიშორებთ! დღეს გაიმართა პოლიტიკოსებისა და ქართული საზოგადოებრიობის შეხვედრა და, ვფიქრობ, რომ შევძელით საზოგადოებრიობის ჯანსაღი ნაწილის დარაზმვა ამ მიზნის მისაღწევად. უნდა მოვაცილოთ ეს თვითმარქვიები ქართული ხომალდის საჭეს, თუ არა — უფსკრული გარანტირებული გვაქვს.**

ქართველები ერთად დგებიან და უმეტესად ერთნაირად ესმით თავიანთი სამშობლოს პრობლემები.

**— გაზაფხულ-ზაფხულის სტიქიურმა შემოტევებმა თითქმის სულ გაგვინადგურა მოსავალი.**

— რა გვქონდა და რა განადგურდა?! ჩაიხედეთ სტატისტიკაში — რამდენი ჰექტარი გვქონდა ნათესი ფართობი? რა მოსავალი უნდა მოგვეწია? ისედაც განადგურებულები ვიყავით. დიდი ტკივილია იმის თუნდაც ნაწილობრივი დაკარგვა, რისი მოყვანაც განსაზღვრული გვქონდა, მაგრამ საერთო პრობლემების უარყოფით სურათს ეს მაინცდამაინც ვერ დაამძიმებს.

ყველაზე დიდ სტიქიურ უბედურებად ქართულ სოფელს სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ჰყავს მოვლენილი.

**— გინდა, არ გინდა, ბიბლიურ პასაჟთან გაავლებ პარალელს: „და ჩააგდო ანგელოზმა თავისი ნამგალი დედამიწაზე და მოაგროვა დედამიწის ვაზებიდან და ჩაყარა ღმერთის მძვინვარების დიდ საწნახელში“ (გამოცხ. 14, 19).**

— სხვა პარალელის გახსენებაც შეიძლება: როცა მატიანე დავით აღმაშენებლის გამეფების წინა პერიოდს აღწერს, იმდროინდელი სურათი ერთი-ერთზე ემთხვევა დღევანდელ ჩვენს ყოფას. მშიშრები, გაუტანლები, შურიანები, ფეხებზე მკიდია ხალხი... ლამის ნახევარი საქართველო დაკარგული გვაქვს და ჩვენს ხალხს ვერ შეატყობ, რომ ძალიან აწუხებს ეს ამბავი.

ამას რომ დაივიწყებს ერი და ყოველ დღე მზად არის, უფასო კონცერტზე ერთი ადგილი აქნიოს, მისი პერსპექტივა რთულად ისახება.

**— ძალიან ხომ არ დავცილდით აფხაზებს?**

— მართლაც ასეა. რას ეუბნები აფხაზს, რისთვის უნდა წამოვიდეს შენთან? გირგვლიანივით შვილი რომ მოუკლან? ბიზნესი რომ დაუტერორონ? ციხეში ჩასვან და ფული აახიონ?

შეიძლება ჭორია, მაგრამ გაიგებდით, რომ ე.წ. საპროცესო შეთანხმებებში ბანკები არიან ჩარეული. არ გაქვს „შეწერილი“ ფული? უცებ მოგცემენ და მერე ბანკები დაგდევენ ფულის ამოსაღებად.

რომელი ერთი ვთქვა?

**შევარცხვინე ყველა ქართველი, ვისაც უხარია სამხედრო აღლუმი მთავარსარდლისა, რომელიც ცხვირით ხნავდა მიწას მაშინ, როცა უნდა ეომა. ეს ხომ ნიშნავს, რომ ღირსების სერიოზული პრობლემები გვაქვს.**

— მარკესის მოთხრობას გაგახსენებთ — „პოლკოვნიკს არავინ წერს“, უფრო ზუსტად მის ფინალს. 75 წლის პოლკოვნიკსა და მის ცოლს შინ საჭმელი არ აქვთ. დეკემბერია. ცივა და პოლკოვნიკს ის იმედილა აცოცხლებს, რომ მებრძოლი მამლების საწვრთნელი ბრძოლები უკვე დაიწყო. მათ მამალს, რომელიც გარდაცვლილი შვილისგან დარჩათ, ბადალი არ ჰყავს. 45 დღეში დაიწყება მამლების ბრძოლები და მათაც გაუჩნდებათ შემოსავლის წყარო.

— მანამდე რა ვჭამოთო? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— ნეხვი! — გადაჭრით უპასუხებს პოლკოვნიკი.

ჩვენც ასეთი პერსპექტივა ხომ არ გველოდება, ბატონო ნოდარ?

**— ნეხვს, კარგა ხანია, რაც ვჭამთ; ნაწილი — ნებით, ნაწილი — უნებლიედ; ზოგი — ძალდატანებით და ზოგი — „იფ, იფს“ იძახის მოწონების ნიშნად.**

**— გადავიტანთ ამ ზამთარს?**

— უარესიც გადაგვიტანია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ გაძლებამდე არ მივიყვანთ ამ ზამთარს. თუ მოვახერხეთ და ერთად დავდექით, შიმშილიც ადვილი გადასატანი იქნება და სიცივეც!

**— საერთაშორისო ვალებიც?**

— ათი მილიარდი ჩვენთვისაა ბევრი. თუ ნორმალური ხელისუფლება გვეყოლება, ეს საშიში არ არის, თუ გავიმარჯვებთ არჩევნებში — სამართლიანად და არა სისხლისღვრით. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დემოკრატიული გზით მიმავალი სახელმწიფო ვინმეს დაეხრჩო ვალების გამო.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**





**როცა მატიანე დავით აღმაშენებლის გამეფების წინა პერიოდს აღწერს, იმდროინდელი სურათი ერთი-ერთზე ემთხვევა დღევანდელ ჩვენს ყოფას. მშიშრები, გაუტანლები, შურიანები, ფეხებზე მკიდია ხალხი... ლამის ნახევარი საქართველო დაკარგული გვაქვს და ჩვენს ხალხს ვერ შეატყობ, რომ ძალიან აწუხებს ეს ამბავი**

მოკლედ

## სამხრეთ სუდანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა

**9 ივლისს სამხრეთ სუდანმა სუვერენიტეტი მოიპოვა. ახალი სახელმწიფოს დედაქალაქ ჯუბას ქუჩებში ხალხი დამოუკიდებლობას ზეიმობდა. იანვარში ჩატარებულ რეფერენდუმზე სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობას მხარი მოსახლეობის უმრავლესობამ დაუჭირა.** დამოუკიდებლობის მოპოვებით სუდანმა აფრიკის უდიდესი სახელმწიფოს სტატუსი დაკარგა და პირველობა ალჟირს გადაულოცა. ხართუმი სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას არ დაელოდა და ახალი სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაუყოვნებლივ აღიარა.



## სტროს-კანმა გარიგებაზე უარი თქვა

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი დომენიკ სტროს-კანი მართლმსაჯულებასთან გარიგების დადებასა** და მეორეხარისხოვანი ბრალდებების აღიარებას არ აპირებს. დომენიკ სტროს-კანის საქმესთან დაკავშირებულ საბრალდებო დოკუმენტებში საუბარია სექსუალური დანაშაულის, პირველი ხარისხის გაუპატიურების მცდელობის, პირველი და მეორე ხარისხის სექსუალური აგრესიის, მეორე ხარისხის გატაცებისა და ს**აპასუხო თანხმობის გარეშე სექსუალური შეხების შესახებ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ იმედით გაბრწყინებულ, ქრისტეში გაერთიანებულ საქართველოში. იხარეთ, იბედნიერეთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!**

რელიგია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### მეუფე ეფრემი (ბოლნელი ეპისკოპოსი):

# უკან მტრობა და სიძულვილია, ამიტომ წინ — სიყვარულისკენ!

„საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს ბოლნელ ეპისკოპოსთან, მეუფე ეფრემთან (გამრეკელიძე) საუბრების ციკლს, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №22-24

**— მეუფე ეფრემ, სომხეთის პატრიარქის ვიზიტის თაობაზე მინდა გკითხოთ. თავდაპირველად გამოცხადდა, რომ რა სტატუსიც ექნება ქართულ ეკლესიას სომხეთში, ის სტატუსი ექნება სომხურ ეკლესიას საქართველოშიო. უწმინდესმა მაშინ საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად, არაორაზროვნად განაცხადა, რომ საქართველოს ინტერესები არ შეილახებაო. რამდენად შესაძლებელია ეს განხორციელდეს დღევანდელ ვითარებაში?**

— ვფიქრობ, ეს პირობები სომხური მხარისთვის იყო მიუღებელი, რამეთუ მათ ბუნებაში არ ზის, ვინმეს რამე დაუთმონ, ან ვინმესთან თანაბარ პირობებში იყვნენ. მათი დევიზი ყოველთვის იყო და ახლაც არის — მხოლოდ მე, ჩემი! ამიტომაც ისინი ყოველთვის ცალმხრივ პირობებს აყენებენ — ჩამოვიდნენ ამაყად, თავაწეულნი, დარწმუნებულნი იმაში, რომ, ჩვენ რასაც ვიტყვით, ისე განხორციელდება ყველაფერიო. რატომ იყვნენ ასე დარწმუნებულნი? ისევ ჩვენი ზედმეტად სტუმართმოყვარე, დამთმობი ბუნების გამო. მათ პირდაპირ, დაუფარავად თქვეს, რაც უნდოდათ: ხუთასი თუ ექვსასი ეკლესია არის ჩვენი და ამას წყალი არ გაუვაო! რახან ჩვენ ვთქვით, ასეაო! ჩვენ არაფერს გვეკითხებოდნენ, უნდოდათ, სომხეთის ეკლესიის საქართველოს ეპარქია დაეფუძნებინათ იურიდიული სტატუსით და ჯავახეთში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის სიმრავლე მოყავდათ...არგუმენტად და არა მხოლოდ ჯავახეთში. თითქოს ჩვენ ვალი გვქონდეს სომხების! ისტორიულად — არც შორეულ და არც ახლო ისტორიის მანძილზე, არ ახალია, ძველია მათი ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება! მათ შესაბამისი პასუხი პატრიარქისაგან კი გაეცათ: **ეს არის საქართველო და ქართველი ერია მისი პატრონი და სხვას როგორც სურს, ისე ვერ იქნება! ბუნებრივია, სომხები ცხოვრობენ ჩვენს მიწაზე და მათ არავინ უკრძალავს აქ ცხოვრებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერზე წამსვლელები ვართ. ჩვენ გვაქვს გამოცდილება აფხაზეთის, სამაჩაბლოსი — ეს საკმარისზე მეტი ტკივილია, ამას რომ ჯავახეთიც არ დაემატოს.**

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართული მიწა, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, ღვთივკურთხეული მიწაა, სადაც უფლის კვართია დამარხული. ეს დედა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწაა, უამრავი მადლით დაჯილდოებული, და ამ მიწას რომ ნებისმიერი თაობა, როგორც ღვთაებრივ საუნჯეს, ისე არ მოუფრთხილდება, არ მოუვლის და უდიერად გაფლანგავს, არ დააფასებს, პასუხს აგებს უფლის წინაშე. როგორც ილია მართალი ბრძანებს, სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა — მამული, ენა, სარწმუნოება — თუ მათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებითო? კაცობის და ღირსების საკითხი დგება. უნდა გაიაზროს თითოეულმა ქართველმა, რომ ეს მიწა მარტო მისი მამა-პაპის კუთვნილი, ნივთიერი საკუთრება კი არა, ღვთაებრივი საუნჯეა. შენ იცავ ღვთაებრივს და, თუ მას არ მოუვლი, ღვთის წინაშე, დედა ღვთისმშობლის წინაშე ხარ დამნაშავე. სანამ ამის ეროვნული გააზრება არ მოხდება, სანამ ადამიანები მიწას პირად საკუთრებად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ვისზეც უნდათ, იმაზე გაყიდიან, მანამდე არაფერი გამოვა. სამწუხაროდ, დღეს მავანნი საქართველოს ისე უყურებენ, როგორც პირად საკუთრებას, რომელიც შეუძლიათ ისე განკარგონ, როგორც თავად უნდათ!

**ერი უნდა იდგეს თავისი მოწოდების სიმაღლეზე. ერიც და ბერიც, სახელმწიფოც და ეკლესიაც. ეს ცალმხრივად არ გამოვა. რაც არ არის დასათმობი, უნდა ითქვას მკაცრად და მორჩა! უნდა ითქვას მკაცრად — ეს არის საქართველო, ქართული ტრადიცია, ქართული კულტურა, ქართული ცხოვრების წესი. იზიარებ ამას? იცხოვრე, ბატონო, არავინ გიშლის, არავინ გაგდებს. არ მოგწონს? მაშინ გამოსავალი თავად უნდა ნახო. არავის ვუშლით საკუთარ ენაზე საუბარს, არც ლოცვას, არც რწმენას, არც სწავლა-განათლებას. სხვა რომელ ქვეყანაში აქვთ ასეთი უფლებები? მაგრამ, მათთვის გარკვეული უფლებების მინიჭებით, საკუთარს ნუ შევილახავთ.**

**— რა გამოდის, მეუფე, იქ აზერბაიჯანელების ინტერესები არ ილახება, აქ — სომხებისა. არავის გვინდა, ვაწყენინოთ, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ საკუთარ ქვეყანაში დაჩაგრულები და ინტერესშელახულები ისევ ჩვენ გამოვდივართ.**

— ჩვენ ყველანი — ერიც და ბერიც პროქართულები უნდა ვიყოთ! ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენელი დაჩაგრო, მაგრამ არა შენი საკუთარი ქართველის დაჩაგვრის ხარჯზე. მიწის გაყიდვა ისე, რომ მერე იქ ქართველს პერსპექტივაში აღარანაირი უფლება აღარ ჰქონდეს, არ შეიძლება. ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. მიწა შეიძლება დროებით სარგებლობაში გადაეცეს ისე, რომ მასზე კონტროლის უფლება ისევ სახელმწიფომ დაიტოვოს. ამაზეა აქ საუბარი. **ამ ქვეყნის, ამ მიწის ბატონ-პატრონი არის ქართველი ერი, მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს, და სხვა დანარჩენი, მის ირგვლივ შემოკრებილი. ცენტრში სწორედ უნდა იდგეს საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული ინტერესები.** მე მგონი, ეს დემოკრატიას ხელს არ უშლის და ყველა ერი ასე იქცევა, დაწყებული ამერიკიდან, დამთავრებული იაპონიით. აბა, ნებისმიერ ქვეყანაში ჩადი და ადგილობრივს უთხარი, რომ გაიწიე, მე უნდა ვიყო აქ მმართველი და ბატონიო. აბსურდულ ვითარებაში ვართ და ეს მაკვირვებს სწორედ — ჩვენთან არის მაინცდამაინც უნიკალური დემოკრატია? რაღაც ახალი ჯიშის „დემოკრატები“ ხომ არ ვართ, ყველასგან განსხვავებული?

**— ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბება სკოლიდან იწყება. თქვენ ბრძანდებოდით ქარელის გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი, რომელიც საქართველოში დღეს ერთ-ერთი გამორჩეულია. ბოლნისშიც გაქვთ იოანე ბოლნელის სახელობის სასულიერო გიმნაზია... საჯარო სკოლებში სალოცავი კუთხის არსებობა ძალიან აღიზიანებდა მავანს, მაგრამ სამაგიეროდ დღეს მათი ადგილი ე. წ. „ნატოს“ კუთხემ დაიკავა — თითქოს, უფალი კი არა, „ნატოა“ ჩვენი ერთადერთი მხსნელი. ამ ყველაფერზე ეკლესიას თავისი პოზიცია არ უნდა დაეფიქსირებინა?**

— გეთანხმებით. ბევრი რამ უნდა ითქვას ხმამაღლა, მაგრამ რატომღაც ყოველთვის არ აღწევს ჩვენი ხმა ხალხამდე. რაც შეეხება სკოლებს, ამ საზოგადოების გარდაქმნა რომ უნდათ, სწორედ ამიტომაც დაიწყეს მოზარდი თაობის, ბავშვების ცნობიერების შეცვლა. ბავშვობიდან დაიწყეს „ახალი ადამიანის“ — ევროპული, თუ „ნატოს“ სტანდარტების, თუ დასავლური ღირებულებების შესაბამისი ადამიანის ჩამოყალიბება და სკოლა ერთი ხელის მოსმით გადაიქცა ამ ახალი „ტიპის“ ადამიანის „ჩამოსასხმელ დანადგარად“. ჩვენ თურმე არც ისტორია გვქონია, არც ტრადიციები, ახლიდან, ახალ ადამიანებად დავიბადეთ თითქოს. ერთბაშად მოჭრილი ხე და ჩაარჭე ჯოხი მიწაში — უფესვო ჯოხი ნაყოფს გამოიღებს?

ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით — უარვყავით რუსული და სამაგიეროდ უცებ ყველანი ინგლისურენოვანნი გავხდით. ფილმების ყურებასაც კი ინგლისური სუბტიტრებით აიძულებენ ხალხს. უკვე ეს სასაცილო კი არა, სატირალია. საიდან მოდის ასეთი იდეები, მე არ ვიცი. გადავხედოთ სხვა ქვეყნებს — ინგლისელისთვის ჯერ ინგლისურია პრიორიტეტი და მერე სწავლობს სხვა ენას. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში და ეს ხალხი ამაყობს ამით. ჩვენ ვაჟკაცური ბუნების ერიდან ყველასთვის გუნდრუკისმკმეველ ერად გადავიქეცით. ყველას ვეფერებით, ყველას ანგარიშს ვუწევთ და ამასობაში საკუთარ თავს ვკარგავთ. ეს არასოდეს იდო ქართველის ხასიათში — ჩვენ გვიბრძოლია ათჯერ და ასჯერ მეტი მტრის წინააღმდეგ და იქ ქართველ კაცს ყველაზე უთანასწორო ბრძოლაშიც კი არ „აულოკავს მტრის ფეხი“.

**ახლა კი უსისხლო ომი მიდის — ამას ასე დავარქმევდი! რუსეთის სახით თითქოს ხილული მტერი გვყავს, რომელიც ტერიტორიებს გვართმევს, მაგრამ ეს ნაკლები საფრთხეა იმასთან შედარებით, რაც ამ უსისხლო ომის შედეგად შეიძლება მივიღოთ! ერის სულიერი ოკუპაცია მიდის. ეს კი საშინელ შედეგს გამოიღებს, რადგან ადამიანთა სულებს ვკარგავთ, ადამიანის სული კი ტერიტორიაზე უფრო მეტია! გადაგვარებული, სულდაკარგული ქართველი კი მკვდარი ქართველია. სულამოგლეჯილი თაობა რომელი აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამბრუნებელია?!**

თუმცა მხოლოდ ქართული სახელი და გვარი არ არის ქართველობა, მაგრამ მალე შეიძლება ესეც სანატრელი გაგვიხდეს — ახალ, ბიომეტრიულ პასპორტებში სახელს და გვარს შეამოკლებენო, ამბობენ, და გავხდებით ვიღაც „მისტერX“ ან „N“ადამიანი. რახან ადამიანს ცოცხალ სულად არ განიხილავენ, მათთვის იგი მხოლოდ რაღაც ბიოლოგიური არსებაა და არა ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი. ბიოლოგიური არსებები კი მხოლოდ ინსტინქტების დონეზე მოქმედებენ — ჭამენ, სვამენ, სძინავთ, კვდებიან.

**— ახლახან ერთი პატიმრის წერილი წავიკითხე, რომელიც ამბობს, რომ საკანში საეკლესიო კუთხე მოუშალეს და სასტიკად უკრძალავენ ხატების დაბრძანებას. მე არ ვაპირებ, განვიკითხო ეს პატიმარი — დიდი დანაშაული ჩაიდინა მან თუ პატარა. ამ ადამიანს უნდა ლოცვა და ამის უფლებას არ აძლევენ. ამაზე ვინ უნდა ამოიღოს ხმა?**

— ლოცვა და მრწამსი ადამიანის ხელშეუხებელი ნებაა და არავის აქვს უფლება, ადამიანს, მით უმეტეს პატიმარს, ეს აუკრძალოს. მას ისიც ეყოფა, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის საკანშია გამოკეტილი, მოწყვეტილია გარე სამყაროს. მაგრამ სულიერ თავისუფლებას რომ ართმევ, ეს არანაირ ჩარჩოში აღარ ჯდება — არც მორალურში, არც ზნეობრივში. უნდათ ადამიანის სულიერი გატეხვა, იმიტომ, რომ, როცა ის იქიდან გამოვა, უკვე სხვა ადამიანი უნდა იყოს, ისე აღარ აზროვნებდეს. ვინ უნდა უპატრონოს ამ ადამიანს? — ყველამ ერთად და არა ცალ-ცალკე, მთელმა ეკლესიამ, მთელმა ერმა, მთელმა საზოგადოებამ. ამიტომ ვართ ამ დღეში — **ყველა ფიქრობს, სანამ მე არ გამიჭირდება, ხმას არ ამოვიღებო. სანამ მთელი ერი ერთის ტკივილს არ იგრძნობს, არ გაითავისებს, სანამ გულგრილობის სენისგან არ განვიკურნებით, ასეთი ფაქტები კი არა, ხომ ხედავთ, ამაზე ბევრად უარესები ხდება და, თუ დროზე არ გამოვფხიზლდით, კიდევ რამდენი მოხდება, უფალმა იცის. ეს აქლემი ყველას ჭიშკართან დაიჩოქებს და მერე უკვე გვიან იქნება, ძალიან გვიან!** გათითოკაცება, ილიასი არ იყოს, ყველაზე დიდ მტრად მოგვიბრუნდება და ფიქრი, რომ მე ჯერჯერობით ლუკმა მაქვს და მეშინია, ისიც არ დავკარგოო, გადაგვარებამდე მიგვიყვანს. რაღა გვაქვს იმაზე მეტი დასაკარგი, ვიდრე დავკარგეთ?

**— მეუფე ეფრემ, დღევანდელი ვითარებით ხალხი ძალიან დათრგუნულია. წარმოიდგინეთ, თქვენ ახლა თქვენი სიტყვა უნდა მიაწვდინოთ ერს და როგორც სინოდის ერთ-ერთი წევრი, ქრისტეს ერთი მხედარი რას ეტყვით იმ ადამიანებს, რომელნიც ამ რამდენიმე წელიწადმა და განსაკუთრებით კი ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა უიმედობაში, ნიჰილიზმში, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და რომელნიც ეკლესიისგან მართალ სიტყვას ასე ცხელი თვალებით ელოდებიან? არ შეიძლება, ხსნა არ იყოს...**

— ამ რთულ ვითარებაში ადამიანმა უნდა იპოვოს ერთი ჭეშმარიტი გზა — ეს არის გზა უფლისკენ! რისთვის ატარა უფალმა ებრაელი ერი ორმოცი წელი ეგვიპტის უდაბნოში? სანამ ერმა არ შეიგრძნო, რომ უფალია მათი ღმერთი, მათი პატრონი და სხვა მხსნელი არ არსებობს! მხოლოდ იგია სასიცოცხლო წყაროს, ღვთაებრივი მანანას, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების, ეროვნული სიმშვიდის მომცემი! **უფალმა საქართველოს სახით სამოთხის მსგავსი ქვეყანა მოგვცა და ვერ ვივარგეთ, ვერ ვუფრთხილდებით! რწმენა არ გვაქვს და ხსნას საღლაც სხვაგან, რაღაც მიწიერში ვეძებთ, ბოლომდე არ ვენდობით უფალს, მას არ ვსასოებთ, მისკენ არ ვიხედებით. ჩვენ ყველგან ვეძებთ ხსნას, ყველგან, სადაც ის არ არის. უფლისკენ მივიხედოთ, ვისშიც ხსნაა! ახლა დუღს მთელი ერი და, როდესაც ამ დუღილის პერიოდს გავდივართ, ამას ბევრი სისხლი, ბევრი ტანჯვა მოჰყვება, თუ ერი და ბერი ერთად არაა — არაა ქრისტეში!** არავინ იფიქროს, რომ მე ცალკე ვარო, რაც უნდა დაიბრმავო თვალი და გული დაიმშვიდო, ამ დუღილში შენც იხარშები და, ადრე თუ გვიან, ეს სიმწვავე შენზეც გადმოვა — ვინც უნდა იყო, ეკლესიაში იქნები თუ ეკლესიის გარეთ, ყველანი ერთად გავიჭყლიტებით, თუკი თითოეული ქართველი არ იგრძნობს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და უერთმანეთოდ გამოსავლის პოვნა წარმოუდგენელია!

იმის ფიქრი, რომ რომელიღაც ჯგუფი იხსნის ქვეყნას და მეც მოვყვები ამ კეთილდღეობაში, ან ვილაცის მხრებზე გადავა ეს სისხლი და მე გადავრჩებიო, თავის მოტყუებაა მხოლოდ. ერთმანეთის ტკივილი არ გვესმის, აღარც ერთმანეთის სიხარულის გაზიარების ნიჭი შემოგვრჩა! ამიტომაც, რადგან უფალია ჩვენი მამა, რახან ღმრთისმშობელი დედაა ჩვენი, მოდით, მივიდეთ იქ, მათთან — ჩვენს მარადიულ მხსნელთან და პატრონთან. შევურიგდეთ, ხალხო, უფალს! სხვა დანარჩენზე სასოება, დაყრდნობა — ესაა ბაბილონის გოდოლის შენება. ერთ დღეს ყველაფერი, რაც ულმერთოდ შენდება და კეთდება, ყველაფერი დაიმსხვრევა! ღმერთმა მოგვცა ეს ქვეყანა და გვითხრა — აღორძინდით, გამრავლდით, აშენდითო. რატომ ჰგონიათ, რომ უფალი წინააღმდეგია მშენებლობისა, წინსვლისა, აღორძინებისა, კეთილდღეობისა? ოღონდ ეს ყველაფერი ულმერთოდ ნუ მოგინდებათო! მოდით, ღვთისნიერად ვაშენოთ ეს ქვეყანა! ღვთისნიერად ვმართოთ! არ მოვკლათ ეროვნულობა და მართლმადიდებლობა, სარწმუნოება, სიყვარული და ისე ვაშენოთ! სახელმწიფო სიყვარულით აშენეთ და ამ წყობას მერე, რაც გინდათ, ის დაარქვით! **ოღონდ საქართველოში მაგრძნობინე თავი ქართველად, ქრისტიანად, მართლმადიდებლად! მაგრძნობინე, რომ ეს ჩემი ქვეყანაა და აქ არ ვარ მეათეხარისხოვანი. ამ შემთხვევაში, დამერწმუნეთ, არავის გაუჩნდება სურვილი, მოიკითხოს, ვინაა ქვეყნის მმართველი, აღარავინ გამოვა ქუჩაში შელახული ღირსების დასაცავად!**

ასეთ საქართველოს ვისურვებდი საკუთარი თავისთვისაც და თქვენთვისაც! უფალს ვევედრები, ყველა ქართველს აეხილოს თვალი და დაინახოს, რაშია ჩვენი ხსნა. ყველა ქართველმა გააცნობიეროს, რომ უფალში, ეკლესიაში, სიყვარულში, პატიებაში, მიტევებაში, ერთმანეთის გვერდით დგომაში, სიმართლის თქმასა და ამ სიმართლისთვის თავგანწირვაშია ჩვენი ხსნა! და არა — ამბიციაში, მტრობასა და ერთმანეთის სისხლის დაღვრაში! სიყვარული შეუცვლელი იარაღია ნებისმიერ, თუნდაც გაუგონარ სიბოროტესთან ბრძოლაში! სიყვარული ყველაზე დიდი ჯილდოა, ყველაზე დიდი საჩუქარია ღვთისა, ყველაზე დიდი ნიჭია და ამ ნიჭით უხვად დაგვაჯილდოვა უფალმა! ქართველი ერი სიყვარულის ერია, მაგრამ დავკარგეთ ერთმანეთის სიყვარული — დავშორდით უფალს, გავხდით მოჩვენებითები და დაიწყო ჩვენი გადაგვარებაც! როდესაც შენ დაიბრუნებ შენს თავს, დაკარგულ თავს, ანუ სიყვარულს, მაშინ მოვა ხსნა, მაშინ დადგება ჩვენი ბედნიერების დღეც!

**— დაგვლოცეთ, მეუფე ეფრემ!**

— ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ იმედით გაბრწყინებულ, ქრისტეში გაერთიანებულ საქართველოში. იხარეთ, იბედნიერეთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

უკან მტრობა და სიძულვილია. ამიტომ წინ — სიყვარულისკენ!!!

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოსტსაბჭოთა დროში ისტორიულმა თემატიკამ პოლიტიკის კონტექსტში უკვე თავი იჩინა ჯავახეთის საკითხის გარშემო. როგორც ცნობილია, 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში ქაოსი მეფობდა, რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრ ახალქალაქში, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაზე სომხური დროშა ფრიალებდა. სომეხი მოსახლეობის უმრავლესობას როგორც ჯავახეთში, ისე სომხეთში, მტკიცედ სწამს, რომ ეს რეგიონი ისტორიულად სომხურია.**



# რობერტ სტურუა და ქართულ-სომხური ურთიერთობების ზოგიერთი თავისებურება

**რობერტ სტურუას ერთმა ფრაზამ — სააკაშვილს იმიტომ არ უყვარს ქართველი ხალხი, რომ ქართველი სულაც არ არის, სომეხიაო, — ქართულ მასმედიაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. „ლიბერასტი“ გარეწრები მაშინვე თავს დაესხნენ მაესტროს და შეეცადნენ, ჩაექოლათ ის თავიანთი ღორისებრი ჩლიქებით. სტურუას ეს განცხადება „მრავალეროვნული საქართველოს“ წევრმა კეთილმა ადამიანებმაც გააპროტესტეს, რომლებიც თავიანთ წარმოსახვაში ისევ „ხალხთა ძმურ ოჯახში“ — სსრკ-ში ცხოვრობენ. რეჟისორის გამონათქვამებმა მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა სომხეთის ინტელექტუალურ წრეებშიც, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ ამ ისტორიამ, ნებით თუ უნებლიეთ, გააშიშვლა რეალურად არსებული, მაგრამ მიჩუმათებული (კეთილი განზრახვების გამო) პრობლემა — კერძოდ, ქართველებისა და სომხების მიერ ერთმანეთის აღქმის პრობლემა.**





საქართველოსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილება, რასაც ადგილი ჰქონდა მე-7 საუკუნეში, როცა ქართული ეკლესია ქალკედონის საეკლესიო კრების დადგენილებების შესრულების გზას დაადგა, ხოლო სომხებმა არ მიიღეს მონაწილეობა ამ კრებაში და მონოფიზიტებად დარჩნენ, დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა ამ ორი ხალხის ცხოვრებაში. თუმცა მეზობელი და მოძმე ხალხები საეკლესიო განხეთქილებამ დაპირისპირებამდე როდი მიიყვანა. ამის შემდეგაც ბევრი მაგალითი არსებობს ქართველებსა და სომხებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარებისა, რაც ეფუძნებოდა ინტერესთა თანხვედრას. მაგრამ ამ მოვლენამ მაინც გამოიწვია ორ ხალხს შორის გარკვეული გაუცხოება. **კონფესიური განსხვავება ზემოქმედებას ახდენდა ორი სხვადასხვა ტიპის კოლექტიური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზე, განსხვავებული მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. მაგრამ ქართველებისა და სომხების ზოგიერთი თავისებურების ახსნა, განსაკუთრებით მათ მიერ ერთმანეთის აღქმის კონტექსტში, ძნელია მხოლოდ კონფესიური განსხვავებებით.**

ძალზე დაკვირვებულ ადამიანს — ანდრეი ამალრიკს, რომელმაც ბრეჟნევის ეპოქაში საქართველოსა და სომხეთში იმოგზაურა, შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქართველები და სომხები იმ ძმებივით არიან, რომლებიც გამუდმებით ჩხუბობენ. მსგავსი რამ მე შემხვედრია სხვა არაკავკასიელ ავტორებთანაც, ვისაც ჩვენი ქვეყნები მოუნახულებია. **ძმობა ძმობად, მაგრამ რა არის მაინც ამ მუდმივი დავის არსი, რომელსაც უცხოელები ამჩნევენ და რომელსაც ჩვენ — სომხები და ქართველები ვაჩუმათებთ, პოლიტკორექტულობიდან გამომდინარე?**

საქმე ისაა, რომ ამ ორი ეთნოსის ურთიერთობები დიდწილად განპირობებულია მათ მიერ საკუთარი ისტორიის მძაფრი განცდით. ქართველები და სომხები არა მხოლოდ სათუთად ეპყრობიან თავიანთ მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ისევე, როგორც ბევრი სხვა ხალხი მსოფლიოში, არამედ, შეიძლება ითქვას, ცხოვრობენ ამ ისტორიით. საბჭოთა ეპოქაში ისტორია წარმოადგენდა ეროვნული სიამაყის მთავარ საგანს ქართველებისთვის და სომხებისთვის; და ეს მაშინ, როცა მათ ჰქონდათ საკმაოდ განვითარებული ეკონომიკა და ცხოვრების მაღალი დონე. მსგავსი ვითარებაა ამ მხრივ დღესაც, როცა აღარც განვითარებული ეკონომიკაა და აღარც ცხოვრების დონე. ეს შეიძლება არც ყოფილიყო პრობლემა, მაგრამ ორი ერის „ისტორიული ინტერესები“ ხშირად გადაიკვეთება ხოლმე, თანაც საკვანძო საკითხებში — ქართველებისა და სომხების ისტორია ხომ მეტად მჭიდროდ არის გადახლართული. ამიტომ, ბუნებრივია, ისტორიული ფაქტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ორივე მხრიდან არ რჩება სპეციალისტების განსჯის საგანი, ის ილექება ორი ხალხის ცნობიერებაში.

ამ მოცემულობას პირდაპირი კავშირი აქვს თანამედროვე პოლიტიკასთან, ორმხრივ ურთიერთობებთან. **გამღიზიანებლის როლში შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ჯავახეთის რეგიონის ან ცალკეული ტაძრების „ისტორიული“ კუთვნილება; არანაკლებ საზოგადო-პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ტრადიციული კამათი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბაგრატიდების წარმომავლობა, ქართული ანბანის წარმოშობა და სხვა მრავალი.** უფრო ხშირად სომეხი ისტორიკოსების პრეტენზიები კომიკურ ხასიათს ატარებს, მათი დაუსაბუთებლობის გამო, თუმცა ზედმეტად ემოციური რეაგირება ქართული ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად არანაკლებ კომიკური ხდება.

**ორი ეთნოსის ურთიერთობები დიდწილად განპირობებულია მათ მიერ საკუთარი ისტორიის მძაფრი განცდით**

ნათელია, რომ ერთიც და მეორეც ეთნიკური კატეგორიებით აზროვნებს. **სომხებისთვის მნიშვნელოვანია მინიშნება მათ „უძველესობაზე“ და „კულტურტრეგერულ“ როლზე კავკასიაში („ანბანი ჩვენ შეგიქმენით, ქრისტიანობაც მოგეცით, თბილისი ჩვენ ავაშენეთ და, საერთოდ, ყავის სმაც ჩვენ გასწავლეთ“). ქართული ინტელიგენცია, როდესაც უარყოფს სომხური ისტორიული მეცნიერების არგუმენტებს, რომლის ცალკეული წარმომადგენლები იქამდე მიდიან, რომ ლეონარდო და ვინჩისაც სომეხად აცხადებენ, საპასუხოდ შეახსენებს სომეხ კოლეგებს იმას, რომ მათ საერთოდ არ ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა მე-11 საუკუნიდან 1918 წლამდე, და რომ სომხეთი არაერთხელ ყოფილა ქართული სამეფოს შემადგენლობაში, და რომ სომხები სტუმართმოყვარე ქართულ მიწაზე სახლდებოდნენ.**

ზემოთ აღწერილი სიტუაცია სულაც არ არის „საბჭოთა პროდუქტი“. პოლიტიზირებული პოლემიკა ისტორიულ თემებზე ხშირად წარმოშობილა ქართულ-სომხური მეზობლობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, თუმცა ის განსაკუთრებით გამძაფრდა მე-19 საუკუნის ბოლოს, ნაციონალიზმის ეპოქაში, რაც მაშინ მთელს ევროპას მოედო. საბჭოთა პერიოდში კი ეს „პაექრობა“ ლატენტურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ არ გამქრალა.

**პოსტსაბჭოთა დროში ისტორიულმა თემატიკამ პოლიტიკის კონტექსტში უკვე თავი იჩინა ჯავახეთის საკითხის გარშემო. როგორც ცნობილია, 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში ქაოსი მეფობდა, რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრ ახალქალაქში, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაზე სომხური დროშა ფრიალებდა. სომეხი მოსახლეობის უმრავლესობას როგორც ჯავახეთში, ისე სომხეთში, მტკიცედ სწამს, რომ ეს რეგიონი ისტორიულად სომხურია.**

ასეა თუ არა სინამდვილეში, ახლა არ გვაინტერესებს. მთავარია ის, რომ ისტორიულმა ასპექტმა თავი იჩინა კონკრეტულ მომენტში და სრულიად თვალსაჩინო პოლიტიკური შედეგებით. საქართველომ მხოლოდ თანდათანობით აღადგინა კონტროლი ჯავახეთზე და აღკვეთა გარკვეული ძალების პრეტენზია მხარის პოლიტიკურ-კულტურული ავტონომიის შესახებ. როგორც უკვე ვწერდი სააგენტო რეგნუმისადმი მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში (http://www.regnum.ru/news/1298845.html), საქართველო სეპარატიზმის გაღვივებისგან ჯავახეთში იხსნა სომხურ-აზერბაიჯანულმა შუღლმა (თუმცა, შესაძლოა, იგივე ითქვას ქვემო ქართლის რეგიონზეც, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ).

**ისტორიული ასპექტის მეორე მხარე, რომელიც ზეგავლენას ახდენს თბილისსა და ერევანს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებზე, არის ცალკეული ტაძრების კუთვნილების საკითხი** (ქართული თუ სომხური ეკლესიების მიერ) **და სომხური ეკლესიის იურიდიული სტატუსი საქართველოში. ამ საკითხებს არანაკლები ფეთქებადსაშიში პო-** ▶

## ვენედიქტოვი „ფოტოგრაფების საქმეს“ გამოეხმაურა



**თბილისში, ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრისას რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსეი ვენედიქტოვმა განაცხადა, რომ გარე დამკვირვებლისთვის „ფოტოგრაფების საქმეში“ ძალიან ბევრი შეუთავსებლობაა.** „ჩვენ ვჯაშუშობდით და გავაგრძელებთ ამას საქართველოში, თქვენც ჯაშუშობდით და გააგრძელებთ ამას რუსეთში და ეს სრულიად ნორმალურია. აქ ამერიკელი, ბრიტანელი და სხვა ქვეყნების ჯაშუშებიც არიან. ეს სახელმწიფო აპარატია,“ — განაცხადა მან და ქართველ ჟურნალისტებს შეახსენა, რომ მათი მოვალეობა კითხვების დასმაა.

## ჩაძირულ თბომავალზე 110 ცხედარი აღმოაჩინეს

**კუიბიშევის წყალსაცავში ჩაძირულ თბომავალ „ბულგარიაზე“ მყვინთავებმა 110 ცხედარი აღმოაჩინეს.** რუსული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, დაღუპულთა შორის 30 ბავშვია. კუიბიშევის წყალსაცავში ჩაძირულ თბომავალზე სულ 200 ადამიანი იმყოფებოდა. მათ შორის 60 ბავშვი იყო. მაშველებმა მხოლოდ 80 მგზავრის გადარჩენა მოახერხეს.

**სომხური პოლიტიკური აზრი ნაციონალისტებად და არმენოფობებად აღიქვამს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებლებს და საზოგადო მოღვაწეებს, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ ეს მომენტი უნდა გვახსოვდეს. ქართველებისთვის სათაყვანო ავტორები ჩვენი მეზობლებისთვის „პერსონა ნონ გრატაა“.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული საზოგადოება მზად არის, წავიდეს გაცილებით მეტ დათმობაზე, ვთქვათ, აფხაზების მიმართ, რომლებთანაც ომი გვქონდა, ვიდრე სომხების მიმართ

ტენციალი აქვს, ვიდრე ტერიტორიულ დავებს. **ამაზე მეტყველებს ქართული საზოგადოების არაერთგვაროვანი** (რბილად რომ ვთქვათ) **რეაქცია საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის მიღებაზე, რასაც ეწინააღმდეგებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.**

საკმაოდ მძაფრი რეაქცია გამოიწვია სომხური საეკლესიო დელეგაციის, ცოტა არ იყოს, „მიმწოლმა“ ქცევამ. ეს ვიზიტი არ დასრულებულა წარმატებულად და საქართველოში ნეგატიურად აღიქვეს. **ქართული სამღვდელოების გარკვეული ნაწილი, მაგალითად, მეუფე ზენონის სახით, თვლის, რომ პარლამენტის მიერ კანონის მიღება წარმოადგენს „სომხური ეკლესიის გამარჯვებას“ ქართულზე. ასე მიიჩნევს ქართული საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილიც.** ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ საეკლესიო ქონების ფლობის საკითხმა შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ვნებათაღელვა, რადგან სწორედ მხარეების მიერ ერთობლივი ისტორიის „კონკურენტული“ აღქმა არ აძლევს მათ საშუალებას, წავიდნენ გონივრულ კომპრომისებზე.

რაც შეეხება საქართველოს, შემიძლია ვამტკიცო მხოლოდ ჩემი დაკვირვების საფუძველზე, მაგრამ დაბეჯითებით: **ქართული საზოგადოება მზად არის, წავიდეს გაცილებით მეტ დათმობაზე, ვთქვათ, აფხაზების მიმართ, რომლებთანაც ომი გვქონდა, ვიდრე სომხების მიმართ** (კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: აფხაზეთის ომის გახსენებისას საქართველოში განსაკუთრებული სიძულვილით მოიხსენიებენ არა იმდენად აფხაზ მებრძოლებს და ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებს, არამედ ბაგრამიანის სახელობის სომხურ ბატალიონს. შესაძლოა, ეს შენაერთი გამოირჩეოდა კიდეც სისასტიკით, მაგრამ პრობლემა აქ უფრო მეტად ისაა, რომ ის დაკომპლექტებული იყო ეთნიკური სომხებით). **ამის ახსნა თითქმის შეუძლებელია იმით, რომ მხარეები ერთმანეთს უყურებენ ისტორიის პრიზმაში და არა თანამედროვე და რაციონალური ინტერესების გათვალისწინებით.**

ასე რომ, რობერტ სტურუასთან დაკავშირებული შემთხვევა არც კერძოა და არც ექსკლუზიური, ის ასახავს რეალურად არსებულ პრობლემას, რითაც უნდა დაკავდნენ პოლიტიკის ექსპერტები. რეაქცია სომხურ პრესაში სტურუას გამონათქვამების თაობაზე (მაგალითისთვის ვიღებთ გრიგორ აგანიანის სტატიას ჟურნალიდან „ეროვნული იდეა“) ქართველი ექსპერტებისთვის საყურადღებოა არა მხოლოდ იმით, რომ დავაკვირდეთ, როგორ რეაგირებენ სომეხი ექსპერტები ამა თუ იმ განცხადებაზე საქართველოდან, არამედ იმ მიზეზითაც, რომ ვიცოდეთ, რა წარმოდგენები აქვთ მათ საქართველოზე. აგანიანის ზემოაღნიშნული სტატია ამ კუთხით საინტერესო მომენტებს შეიცავს.

გ. აგანიანის სტატიაში „რატომ უყვარს რობერტ სტურუას შუშანიკი და რატომ სრულებით არ უყვარს მიხეილ ნიკოლოზის ძე“

(http://nationalidea.am/publications.php?id=9309)

თავმოყრილია მრავალი ის სტერეოტიპი, რომლებიც არსებობს სომხურ საზოგადოებაში საქართველოს მიმართ. ამავე დროს, სტატია არ არის გაჟღენთილი აპრიორი ანტიქართული სულით და, ბევრი ქართველი ავტორის ნაშრომისგან განსხვავებით, რომლებიც მძაფრად გამოეხმაურნენ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის გამართულ მოლაპარაკებებს, სომეხი ავტორი ადეკვატური და აკადემიური კი რჩება.

**პირველი,** რაც ამ სტატიიდან ჩანს, ისაა, რომ **ქართულ ეთნიკურ მრავალფეროვნებას, ანუ ქართული სუბეთნოსების არსებობას** (ქართლელების, რომლებსაც ავტორი შეცდომით უწოდებს ქართველებს, კახელების, იმერლების და ა.შ.) **სომხეთში ნეგატიურად აღიქვამენ, მიიჩნევენ რაღაც პრობლემად, რომელიც ქართველების გაღიზიანებას იწვევს და თითქოს ამაში ისინი სომხებს ადანაშაულებენ.** ჩემთვის და, ვფიქრობ, ძალიან ბევრი ქართველისთვის, ამგვარი (სუბ-)ეთნიკური მრავალფეროვნება მისასალმებელია, რადგან ის ამდიდრებს ქართველ ხალხს და ისტორიულადაც სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო. როცა გარეშე აგრესორების ზეწოლა მოდიოდა ქართლის სამეფოზე, კახეთი მშვიდობას ინარჩუნებდა და პირიქით, როცა ქართლში მდგომარეობა წყნარდებოდა, კახეთი ილებდა თავის თავზე ძირითად დარტყმას და ა.შ. ეს ჩემი პირადი ჰიპოთეზაა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ქართული ეთნოსის არაერთგვაროვნება გამონაკლისი არაა; ვთქვათ, **ბავარიელებსა და ბრანდენბურგელებს, შვაბებსა და ქვემო საქსონელებს შორის თვალში საცემი განსხვავებებია, მაგრამ ისინი ერთიან გერმანელ ერს შეადგენენ და ეს ამ ერის პლიუსად ითვლება. სომხურ პოლიტიკურ აზროვნებაში კი დადებით** მოვლენად მიიჩნევა ეთნიკური ერთგვაროვნება.

**მეორე. სომხური პოლიტიკური აზრი ნაციონალისტებად და არმენოფობებად აღიქვამს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებლებს და საზოგადო მოღვაწეებს, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ ეს მომენტი უნდა გვახსოვდეს. ქართველებისთვის სათაყვანო ავტორები ჩვენი მეზობლებისთვის „პერსონა ნონ გრატაა“.** თუ რატომ არის ასე, ცალკე განსახილველი თემაა, მაგრამ ფაქტია. აგანიანი მათ გვარებს რუსულად პატარა ასოთი წერს, ხოლო სიტყვა განმანათლებელს ბრჭყალებში სვამს, რაც მიანიშნებს მის დამოკიდებულებაზე ამ ადამიანების მიმართ.

**მესამე.** სომხეთში გავრცელებულია აზრი (აგანიანი ამ შემთხვევაში მარტო ნამდვილად არ არის), რომ ქართულ ინტელიგენციას ერთგვარი შური აქვს სომხების მიმართ: **„დაწყებული მე-19 საუკუნიდან, როცა დაიწყო ქართული ინტელიგენციის ფორმირება, შურისა და არმენოფობიის ჭია დასახლდა, პირველ რიგში, ჭავჭავაძეებისა და წერეთლების გულებში, რომლებიც თავის თავს „განმანათლებლებად“ აცხადებდნენ, და მათ მიმდევრებში“.** ცოტა გაუგებარია, რით არის გამოწვეული ქართული შური სომხების მიმართ, ალბათ, მხედველობაში აქვთ სომხების მდიდარი სავაჭრო კლასის არსებობა ტფილისში. მაგრამ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათი უახლოესი თანამებრძოლები არ იყვნენ მაინცდამაინც ღარიბი ადამიანები; მაშ, რატომ უნდა ჰქონოდათ მათ შური სომხების მიმართ? ალბათ, იგულისხმება არა ქართული ინტელიგენცია, არამედ ქართველი ხალხი მთლიანობაში.

ჩვენ არ შევუდგებით აქ სომეხ ავტორთან დისკუსიას, მივიღოთ ეს აზრი როგორც მოცემულობა, როგორც სტერეოტიპი, რომელიც არსებობს სომხეთში. თუმცა შევნიშნავთ, რომ ანალოგიური შეხედულება არსებობს საქართველოში — რომ სომხებს შურთ ქართველების. ბ-ნი აგანიანი ოდნავ გაერთო და სხვა სომხური სტერეოტიპებიც ჩამოთვალა, რომლებიც ქართველების მიმართ არსებობს: **„რატომ არის, რომ ქართველი გლეხების 70-80% ყმაა, ხოლო სომხები არა? რატომაა თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი სომეხი? რატომ არ ჰყავდა ორი საუკუნის განმავლობაში ქართლის დედაქალაქს ქართველი ქალაქის თავი?“...** ალბათ, ეს ფაქტებიც იწვევს ქართველთა შურს, მაგრამ **სომხებს შურთ ის** (ქართული ვერსიით), **რომ მათ თითქმის არ ჰყავდათ საგვარეულო არისტოკრატია, არ ჰქონდათ სახელმწიფოებრიობა, მთლიანად დაკავებული იყვნენ ვაჭრობით, ანუ „ვაჭრუკანებს“ წარმოადგენდნენ, მაშინ, როცა ქართველებს „მებრძოლებად“ სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი კავკასიაში.** სომხური სამხედრო არისტოკრატია (მაგალითად, არღუთინსკი, ბებუთოვები) ჩამოყალიბდა სწორედ მეფე ერეკლეს კარზე. აგანიანს პოლემიკური აღელვების გამო დაავიწყდა ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სულაც არ მართავდნენ გამუსლიმებული „მეფუკები“ 1801 წლამდე, ანუ რუსეთთან შეერთებამდე. ერეკლე მეორე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და მეფედ ეკურთხა როგორც ქრისტიანი მეფე. ის აქტიურად ერეოდა ირანის შინაურ საქმეებში (შაჰად გახდომაში სწორედ ქრისტიანულმა რწმენამ შეუშალა ხელი. ამაზე წერს იმ ეპოქის ერთ-ერთი ინგლისელი მოგზაური) და არავის მონა არ იყო.

სომხების მუსლიმი მბრძანებლები ერევნისა და ყარაბაღის სახანოებში ერეკლეს ვასალები იყვნენ. გამოდის, რომ, თუ ერეკლეს ჩავთვლით ირანელთა მონად, სომხები გამოდიან ერეკლეს მონების მონებად. აი, ეს შურთ სომხებს ქართველების. ვიმეორებ, ქართული ვერსიით (და კაცმა რომ თქვას, ლოგიკითაც), ვაღიარებ, თუნდაც ეჭვმიტანილი ვიქნე არაობიექტურობაში და „პროქართველობაში“.

აი ძირითადი მომენტები ერთმანეთის მიმართ სტერეოტიპული აზროვნებისა, რაც შეიძლება დავინახოთ აგანიანის სტატიაზე დაყრდნობით. **როგორც ჩანს, ურთიერთაღქმა განპირობებულია ისტორიით და, თუკი არაპოლიტკორექტული ვიქნებით და ი. სტალინს დავესესხებით, სომხებს ახასიათებთ „ავადმყოფური ისტორიზმი“** (ციტატა აღებულია აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერებიდან ქართველი ისტორიკოსების არაფორმალური შეხვედრის დროს სტალინთან 1945 წლის შემოდგომაზე. ქართული ტექსტი იხ.

http://club.geurasia.org/index.php?showtopic=2077 ), **თუმცა არც ქართველები აკლებენ ხელს.**

მაგრამ სტატიის მთავარი აზრი მდგომარეობს შემდეგში — საქართველოში არსებობს „ანტისომხური მარაზმი“, „ქრონიკული და განუკურნებელი არმენოფობია“. მე, ჩემი მხრიდან, მთლიანად ვეთანხმები ამას! სომხურ მარაზმზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გამოაცხადონ ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად ცნობილი, პიროვნება „სომხად“, თუკი ეჭვი არსებობს, რომ ამ პიროვნებას წვეთი სისხლი მაინც ურევია სომხური, ქართველები პასუხობენ მსგავსი მარაზმით — ყოველ ასეთ ადამიანს „სომხად“ აცხადებენ, შემდეგ კი სწყინთ, რომ ქართული ისტორიის გამოჩენილ მოღვაწეთა ნახევარს ჩვენი მეზობლები თავიანთ მარაზმში „სომხად“ მოიხსენიებენ, ხოლო ქართულ ეკლესიებზე წერენ, რომ ისინი „სომხურია“, თუკი მათ კედლებზე ერთი სომხური ასო მაინც აღმოჩნდება.

**პარადოქსია — შერეული, ქართულ-სომხური ქორწინებები საკმაოდ ხშირია,** მტკივნეული წასაკითხია ამგვარი რამ: „ჩვენი ქართველი „მეგობრების“ აზრით, სომხად ყოფნა ან სომხური ფესვების ქონა ძალიან წააგავს კეთროვნად ყოფნას“... ვაღიაროთ, ძვირფასო თანამემამულეებო, ქართველებო, რომ ხშირად მართლაც ასე ხდება! **მაგრამ ასევე გავრცელებულია სომხების მიუღებლობა. ამ ფაქტს კომენტარის გარეშე დავტოვებ, მაგრამ განსაკუთრებით რუსულენოვანი მკითხველებისთვის კი დავამატებ, რომ მიხეილ სააკაშვილის ბაბუა მართლაც იყო ჩაწერილი სომხად და ატარებდა გვარს სააკოვი. ჩემთვის ეს ფაქტი არაფერს ცვლის — მიმაჩნია, რომ სააკაშვილს სომხებიც ისევე ფეხზე ჰკიდია, როგორც ქართველები, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა საკითხია.**

რაც შეეხება კონკრეტულად რობერტ სტურუას, მისი გამონათქვამები სააკაშვილის შესახებ, ალბათ, უფრო შავი იუმორია, რომელიც ვერ გაიგო ვერც აგანიანმა, ვერც „მრავალეროვანმა საქართველომ“ და მითუმეტეს, ვერც ქართველმა სვავ-ლიბერასტებმა. ამათ ოღონდ საბაბი მიეცი და სიამოვნებით დაძიძგნიან ნებისმიერ „ანტისააკაშვილურ ელემენტს“, განსაკუთრებით თუ ეს პიროვნება ისეთი მასშტაბისაა, როგორიც რობერტ სტურუაა. რა თქმა უნდა, რთულია იუმორის, ხუმრობის ახსნა, მისი „დაღეჭვა“ ყველასთვის. მე პირადად გულიანად გამეცინა, როცა წარმოვიდგინე კონკრეტული სიტუაცია: **კორესპონდენტი სტურუას უსვამს კოსმიური მასშტაბის შეკითხვას: რატომ სძულს პრეზიდენტ სააკაშვილს საკუთარი, ქართველი ხალხი? ბატონმა რობიკომ, რა თქმა უნდა, სახის სერიოზული გამომეტყველების შენარჩუნებით, ამ კოსმიურ კითხვაზე მარტივ და მომაკვდინებელ პასუხს მიაგნო: ის ხომ სომეხია, რატომ უნდა უყვარდეს ქართველები?**

არ გეცინებათ? მაშინ ჩათვალეთ, რომ ამ ადგილას „სმაილიკი“ დავამატე.

ხოლო ქართველ და სომეხ ექსპერტ-პოლიტოლოგებს, ალბათ, დროა, მოვუწოდოთ, რომ მიხედონ „უხერხულ“ საკითხებს და მშვიდად, ადამიანურად დაიწყონ მსჯელობა ტაბუდადებულ თემებზე, რადგან, თუკი გარკვეულ თემას ტაბუ ედება აკადემიურ წრეებში, ის მაინც გამოდის გარეთ, მაგრამ უკვე სხვაგვარი, გადაგვარებული და ამიტომაც საშიში ფორმით.

**გულბაათ რცხილაძე**

**სომხებს შურთ ის, რომ მათ თითქმის არ ჰყავდათ საგვარეულო არისტოკრატია, არ ჰქონდათ სახელმწიფოებრიობა, მთლიანად დაკავებული იყვნენ ვაჭრობით**

მოკლედ

## საფრანგეთმა ლიბიის ოპერაციის უპერსპექტივობა აღიარა

**საფრანგეთმა აღიარა, რომ ლიბიაში ნატოს ოპერაციას პერსპექტივა არ აქვს და რომ აუცილებელია, მოწინააღმდეგე მხარეებმა პირდაპირი მოლაპარაკებები დაიწყოს საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტისთვის.** ამგვარი განცხადება ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ჟერარ ლონგერმა გააკეთა. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი ლიბიის კონფლიქტში დასავლეთის ჩარევის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და პირველმა სწორედ მან მიაყენა საჰაერო დარტყმები მოამარ კადაფის რეჟიმის სამხედრო ობიექტებს.



## აშშ-ის საელჩოს თავს დაესხნენ

**სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ასადის მომხრეთა ბრბო დამასკოში აშშ-ისა და საფრანგეთის საელჩოების შენობებში შეიჭრნენ. ამერიკის საელჩოში თავდამსხმელებმა ფანჯრები ჩალეწეს, შენობის სახურავზე აძვრნენ და სირიის დროშა ააფრიალეს.** კედლები მოხატეს ფიგურებით, რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ აშშ-ის ელჩი „ძაღლია“. საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მდგომარეობა უფრო მეტად დაიძაბა, დაცვამ თავდამსხმელების წინააღმდეგ საბრძოლო იარაღი გამოიყენა. ამერიკელებმა კი განაცხადეს, რომ მათი საელჩოს დაცვამ „არასრულად“ შეასრულა საკუთარი ფუნქციები.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაერივნენ მეცნიერებას და სულ მოაოხრეს, ზედ მიაყოლეს განათლება და მის გაბანძებას წარმატებული რეფორმების გატარება შეარქვეს. კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა სულთმობრძავ მდგომარეობაში არიან და მალე რეამინაციის გარეშე პროზექტურაში გადაასვენებენ. ენას, მამულსა და სარწმუნოებას მისივე დამცველის ნიღბით ისე კორტნიან, რომ ამ გაწამაწიაში ნიღაბი სულ შემოეხიათ და აღარავის უკვირს მათზე ჩვენ მიერ ნაკურთხი სიფათის დანახვა.**

# არაპოლიტკორექტული ფანტასმაგორია დემონებსა და დემონოკრატიაზე

**საზარელია განცდა იმისა, რომ შენი სამშობლო ოკუპირებულია სატანისტთა მიერ, რომელთაც იმავე ქვეყნის ძუძუ აქვთ ნაწოვი, რომელმაც გამოგზარდა. არადა, ეს მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე დამპყრობლის თარეში. ამ დროს, ის რომ მტერია, უნდა ებრძოლო და სიცოცხლის ფასად განდევნო, რათა შენმა ჯიშ-ჯილაგმა შვებით, ერთმანეთის სიყვარულითა და ერთგულებით იცხოვროს მშობლიურ მიწაზე. ახლა კი ხელის ფათურით დადიხარ ღალატით მოწამლულ მამულში და მზის ამოსვლის იმედიც არ გაქვს, რადგან ისიც დატყვევებულია. მაშ, ვილოცოთ, შველა ვთხოვოთ უფალს, რომელიც გვეტყვის, ხელები გაატოკეთ და გეშველებათო! მანამდე კი მოგვიწევს ქაჯთა განუკითხაობაში ფართხალი, რომელიც მორჩილთა ზურგზე ამხედრებული შეუპოვარ, უდრეკ და მებრძოლ მამულიშვილთა სისხლის სმით იკლავს ბოროტების წყურვილს.**

გივი სომხიშვილი



ახლა კი რაღაც მორიგი მუხთლობის საზეიმო როკვა გაუმართავთ წვრილფეხა ეშმაკებს ქაჯთა გამოქვაბულის ბელზებელის მისაღებ ჯურღმულში. ყველაზე ძალიან გახარებულია შავტუხა, ბალანგაბურძგნული, კუზიანი, თვალებდაფანტული და პირვიწრო ეშმაკი. ისეთ საზარელ ხმაზე ჭყივიან, რომ იმასთან მყრალ გუბეში ბაყაყების ყიყინი ბულბულის გალობად მოგეჩვენება. ზევიდან სისხლი წვეთავს.

— პირი შეუშვირეთ, გაიჭყიპეთ, დათვერით და იკოტრიალეთ! — ჭყივის შავტუხა, პირვიწრო ჩმახი და ხელგაშლით სთავაზობს ყველას სისხლით თრობას, — ეს ჩემი დამსახურებაა! — იძახის და ვიწრო, ბანჯგვლიან მკერდზე გაცვეთილ ჩლიქს ირტყამს, — დიდება ჩვენს უწმინდურეს, უბოროტეს, უვერაგეს გარყვნილებას! ახლა ხომ წარმატებით ვასრულებ მის დავალებას. ქართველი ერის დაბეჩავება-მოსპობაში უკვე ვეღარაფერი შემიშლის ხელს! — ხტის და გიჟური როკვით დასდევს სხვადასხვა ყალიბის უწმინდურთა ხროვა.

— გაიხარეთ, ბნელეთის მოციქულებო! ადამიანთა მოდგმაში უფლისმიერ სპეტაკ ჩვევებს დიდი ჭირი გავუჩინეთ და მალე ისე გადავაჯიშებთ, რომ ჩვენგან ვეღარ გავარჩევთ. ვისი გადაჯიშებაც არ მოხერხდება, მოვსპობთ, ეს უმეტესად უფროს თაობას ეხება, ახალგაზრდობას კი მორჩილ მანქურთებად ვაქცევთ, რათა საუკუნეთა განმავლობაში მთელი ერის მონაპოვარი გააქარბუქონ, — ღრიალებს პირვიწრო ჩმახი და ასდევს მატლებივით აფუთფუთებული ეშმაკის ნაშიერთა „შპანა“.

— რა ჭყვლიპინი და აურზაური ატეხეთ, ისე ზეიმობთ, თითქოს უკვე მოსპეთ უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი ადამიანების მოდგმა! — ახმაურებულებს ბელზებელის კარის მცველი გაუწყრა.

— ჯერ სულ არ მოგვისპია, მაგრამ ჩვენი უწმინდურესი გარყვნილების დავალების წარმატებით შესრულებას ვზეიმობთ! დღეს ყველას მე ვმასპინძლობ, რადგან სისხლი, რომლითაც ასე ვთვრებით, მე ვადინე ქართველ მამულიშვილებს, — ამაყად უპასუხა პირვიწრო ჩმახმა.

მცველი უფროსთან შევიდა და მალე გამობრუნდა.

— ძალიან კარგ ხასიათზეა, ყველას თავისთან მიპატიჟება მიბრძანა, — თქვა და გამოქვაბულის კარების ფართოდ გაღებით გოგირდის სუნით გაავსო მიწისქვეშეთი.

გახარებული წვრილ-მსხვილი ეშმაკები ჭყვლიპინ-ყიყინით შეცვივდნენ ბელზებელის მიწისქვეშეთში.

— რა გიხარიათ, რა ხმაური ატეხეთ, თითქოს დედამიწაზე ბოროტებას საბოლოოდ გაემარჯვოს! — საყვედურით თქვა ბელზებელმა.

— საზეიმოდ გვაქვს საქმე, უწმინდურესო გარყვნილებავ! — პირვიწრო ჩმახი კედლიდან გამოშვერილ ლოდზე შეხტა და სისხლიანი ლაშები კუდის ბალნით შეიწმინდა, — ეს ახალი სისხლია, რაც შენგან მოძულებულ ქართველებს ჩემგან ჭკუადაფანტულმა ქართველებმა ადინეს; მორჩა, ახლა ვეღარაფერი შეგვაჩერებს!

— აბა, ჩამოკაკლე, როგორ მოახერხე ჭკუათა დაფანტვა, მატყუარა და ტრაბახა, ჩმახო! — უბრძანა გაღიმების სურვილით დაღრეჯილმა ბელზებელმა.

— რაც ამდენი ხნის განმავლობაში გაწბილება ვიგემე და ქართველიდან სიკეთემ კინაღამ არ გამომაბუნძულა, ამისათვის ახლა ასმაგად ვიმკი ჩემგან დათესილ ეკლის ნაყოფს.

— გისმენთ, — ისე უთხრა ბელზებელმა, თითქოს მასზე უკეთ არ იცოდა ბოროტების, ღალატის, თვალთმაქცობის, სიცრუისა და ცოდვის რა კალო ბრუნავდა.

— იქიდან დავიწყებ, ჩვენი ერთგული დაბერებული თეთრი მელა მეორედ რომ წამოვასვით ქართველებს, — პირვიწრო ჩმახი ამბის გრძლად მოსაყოლად მოემზადა.

— ეგ ყველამ იცის. შენ იმაზე თქვი, პირი სისხლით რატომ გაქვთ მოსვრილი, რა ბოროტების უსირცხვილობით უნდა გაგვახარო? — ბელზებელმა გრძლად მოყოლის სურვილი გაუნელა.

— კარგი, მაშინ მეც აქედან დავიწყებ, მომიტინგეები სისხლში როგორ ვაბანავეთ, — ჩმახს სიცილი აუტყდა.

— აბა, სასაცილო რა თქვი, შე პატიოსანო წმინდანო! — ბელზებელი გაუბრაზდა.

— წინასწარ რატო მლანძღავ, უბოროტესო გარყვნილებავ, — ჩმახი გაწყრა, — იმაზე მეცინება, რომ მომიტინგეებს ეგონათ, ამერიკელთა და დასავლეთ ევროპელთა დემოკრატიისადმი ერთგულების შიშით ხელისუფლებად წოდებული ჩვენი ლეკვები ცოდვას ვერ ჩაიდენდნენ: ნახეთ, როგორი დემოკრატები ვართო.

— მერე რა მოხდა? — იკითხა ბელზებელმა.

— ამერიკელებს დემოკრატია ისე აფარიათ ნიღბად, როგორც მე ბატკნის ტყავი ეშმაკის რქების დასაფარად, — სიცილით თქვა ახალგაზრდა, აყლაყუდა, გრძელბალნიანმა ეშმაკმა და თავისი სიძლიერის დასადასტურებლად რქებით კლდე მოკაწრა, — მე დემოკრატიის ნიღბით მთელ მსოფლიოში ძალადობასა და გარყვნილობას ვქადაგებ. მაშ, როგორ უნდა ვაქციოთ კაცობრიობა სიცრუის, სისაძაგლისა და ძალადობის ბუდედ? — ამ გამოხდომით ბელზებელს სიამოვნების ღრეჭა მოჰგვარა.

— დააცადე, ბოლომდე თქვას, — უთხრა აყლაყუდას.

— რა უნდა თქვას, სანამ ამერიკის ელჩის ნებართვა არ მიიღეს, ხალხის დარბევას ვერ ბედავდნენ ამ ჩმახის მიერ ხელისუფლებად წოდებული ნამუსგაყიდულები.

— ევროპელებმაც ხომ შეუქეს საქციელი. თუ გვინდა კადაფის მსგავსებს დემოკრატებად და დიდ რეფორმატორებად მოვნათლავთ, თვითონ კადაფს კი ბომბებს დავუშენთ და პატიმრობას მივუსჯით; ეგრეა, ვინც ჩვენი საქმის ერთგულია, ყველაფერს ვპატიობთ, — აყლაყუდას თავისი დამსახურება შეახსენა მოპრანჭულმა, ბალანდაწნულმა, ჩლიქმოცვეთილმა ეშმაკმა.

— მე დიდად ვაფასებ ქართველი ხალხის განუკითხაობის, გარყვნილებისა და საბოლოო გადაგვარების ჭაობში ჩაძირვისათვის თქვენს დაუღალავ დახმარებას; მარტო მე რას გავხდებოდი, თქვენ გვერდით რომ არ მყავდეთ, — კუზიანმა ჩმახმა ამერიკელ და ევროპელ ეშმაკს ბელზებელთან პირმოთნის ქონი მოსცხო.

— მაინც რას იკვეხნი, შე პატიოსანო წმინდანო? — დამცინავად ჰკითხა ბელზებელმა.

— ადრინდელზე ხომ არ შეგდავებივარ, მაგრამ ახლა მაგ შეურაცხყოფას ნამდვილად არ ვიმსახურებ, — წყენით თქვა ჩმახმა და გააგრძელა, — როგორ წარმატებასაც მივაღწიე საქართველოში, ამდაგვარით ვერც ერთი ქაჯთა ნაშიერი ვერ დაიკვეხნის მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ჯერ ჯვაროსნების მიერ დაუნდობლობით, სისასტიკითა და სიძულვილით კაცმოძულებაში ამოსვრილი დროშა მე საქართველოს სახელმწიფო დროშად შევაჩეჩე ჩემგანვე თავგზააბნეულ ქვეყანას; „ვარდების რევოლუციად“ მონათლული თვალთმაქცობით, სიცრუით ნაკურთხი „ნაციონალური მოძრაობა“ ჭირად თავს მოვახვიე ქართველებს ტრაბახითა და ყოველგვარი უწესობით რომ სპობენ ყველაწმინდას. ისე ნელ-ნელა და წინდახედულად იძირება საქართველო ეშმაკეული ბოდვების განუკითხაობაში, რომ დღეს უკვე ვერავითარი ძალა ვეღარ დაგვიდგება წინ, რამეთუ ქართველთა გულგატეხილობა, გათითოკაცება, გაუსაძლის გაჭირვებასთან ბრძოლა იმ დონეზე მივიყვანეთ, რომ მათ ერისა და ქვეყნის ეშმაკეული გზიდან აცდენის თავი აღარ აქვთ.

— შეიძლება დაგეთანხმო. ამ ბოლო დროს ქაჯური ბოდვებით ქართველთა შეგნებაში ისეთი არეულობა შევიტანე, რომ ერთმანეთს ვეღარ უგებენ და ყოველგვარი სიკეთის მიმართ ნდობადაკარგულები უნებლიეთ ღრმავდებიან ჩვენ მიერ მომზადებულ განუკითხაობის, ბოროტების, გარყვნილების, უწმინდურებისა და საბოლოო მოსპობის ჭაობში, — კმაყოფილებით დაასკვნა ბელზებელმა, — მაინც მოგვიყევი, ასე თანმიმდევრულად როგორ გადაამისამართე ქართველები სიკეთის, აყვავებისა და განვითარების გზიდან ბოროტების, უბედურებისა და დაღუპვის გზაზე.

— პირველად ნაციონალებად მონათლულ ახალგაზრდებს სიცრუის უსირცხვილოთ თქმის ხელოვნება შევასწავლე ამერიკისა და დასავლეთ ევროპის საამისოდ შექმნილ სასწავლებლებში. ერთ და ორ წელიწადში ზოგმა ხუთზე მეტი ამგვარი დამოძღვრის დიპლომი მიიღო; ცულით გაჩორკნილი ინგლისურის და სიცრუესიყალბის დახვეწილი ლაქლაქის ცოდნა შეიძინეს. ამგვარად განათლებული გაუმაძღრობა და გარყვნილება მინისტრებად, სახელმწიფო მოხელეებად, „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და უცხოელების მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების მოხელეებად დავასიე, რომლებიც ისე ღრღნიან ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას, მის უმდიდრეს ისტორიულ მემკვიდრეობას, სპეტაკ, შეუპოვარ და საამაყო ტრადიციებს; უფროსი თაობის უნიკალურ ნაგებობას.

— კონკრეტულად გვესაუბრე, — შეაწყვეტინა ბელზებელმა.

— პირველ რიგში, კადრების სწორი შერჩევაა საჭირო. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ქვეყნის თავკაცად შეირჩეს ლაჩარი, ცრუპენტელა, ტრაბახა, ყოველგვარი სიბინძურის მკადრებელი ჩვენი ლაქია, საკუთარი ერის მოძულე არაკაცი, რაც წარმატებით შევძელი სწორედ ამდაგვარი ბებერი, ბრჭყალებმოცვეთილი და კუდგაყვლეფილი თეთრი მელას დიდი მონდომებით. ასეთმა თავკაცმა მთელ საქართველოში ისეთი ბოროტების, გარყვნილების და უამრავი ეშმაკეული სიბინძურის მატარებელი შეაგროვა, რომ მეც კი მიკვირს, ნუთუ საქართველოში ამდენი უწმინდური გარყვნილება ბოგინობდა?! ჰოდა, დაიწყო ყველა სასიკეთოს მოთხრა-მოსპობა, რაც თეთრ მელას გადაურჩა. მან კი ▶

**„ვარდების რევოლუციად“ მონათლული თვალთმაქცობით, სიცრუით ნაკურთხი „ნაციონალური მოძრაობა“ ჭირად თავს მოვახვიე ქართველებს, ტრაბახითა და ყოველგვარი უწესობით რომ სპობენ ყველაწმინდას**

მოკლედ

## სარკოზის კადაფისთან მოლაპარაკებები აქვს



**კადაფის ადმინისტრაცია საფრანგეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამის შესახებ ლიბიის ლიდერის — მუამარ კადაფის ვაჟმა, საიფ ალ-ისლამმა განაცხადა.** „ჩვენ მოლაპარაკებებს არა ამბოხებულებთან, არამედ საფრანგეთის ხელისუფლებასთან ვაწარმოებთ,“ — აღნიშნა საიფ ალ-ისლამმა. მისი თქმით, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ლიბიის ნაციონალურ საბჭოსთან კავშირს არ მალავს, მასთან მოსალაპარაკებლად ჩასულ კადაფის ადმინისტრაციის წარმომადგენელს კი განუცხადა: „ჩვენ შევქმენით საბჭო ბენღაზში და ის საფრანგეთის ფინანსური მხარდაჭერისა და შეიარაღების გარეშე ვერ იარსებებდა“.

## ბულგარეთში ქიმიური ნივთიერება დაიღვარა

**უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიიდან 230 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ დებელეცში მავნე ქიმიური ნივთიერებების გადამზიდავი თურქეთის სანომრენიშნიანი 20-ტონიანი ავტოცისტერნა გადაბრუნდა, რის შედეგადაც 4 ტონა ქიმიური ნივთიერება — სტიროლი დაიღვარა.** მავნე ნივთიერება მდინარე ბელიცასში ჩაიღვარა. ჰაერში სტიროლის აორთქლებამ და ტოქსიკური ღრუბლის წარმოქმნამ კი მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობა განაპირობა.

**ქართველი ხალხი ის აღარ არის, რაც ადრე იყო. გაჭირვებისგან შეწუხებული ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაფრთხა; ვინც აქ დარჩა და გაქცევა ვერ მოახერხა, ლუკმაპურის ძებნაში ბევრი გათითოკაცდა; ვისაც ერის და ქვეყნის სიყვარული ვერ დაუდუნეს ზოგს კლავენ, ზოგს ციხეში სვამენ, ზოგს კი, ხელისუფლების ლაქია პარტიების დახმარებით, ცილისწამების საბურველში ახვევენ; ხალხს კი ცრუპენტელა ტელევიზიების მიერ უამრავ გარყვნილებაზე ბოდვით და უნამუსო ტრაბახის სმენით მზერის ორგანოებს ისე უბინძურებენ, რომ თეთრის შავისგან და ბულბულის გალობის ბაყაყის ყიყინისგან გარჩევა უჭირს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყოველივე ეროვნულს, ქვეყნის სასიკეთოსა და საამაყოს თავისივე სულგაყიდული, გადაგვარებული, უცხოელთა დოლარებზე დახარბებული, ჩვენი, სატანური მუხთლობის ბოდვის მონა ქართველი მანქურთები უღებენ ბოლოს



ჯოჯოხეთის იერარქია

◀ მასზე უარეს ქართველთ მოძულეთა მთელ ხროვას მიართვა საქართველოს ბედ-იღბალი აქ, ბელზებელთან მოსაყუჩებლად.

— მოკლედ! — კვლავ მიიღო შენიშვნა.

— კარგი რა, ყველაზე უწმინდურო გარყვნილებავ, ისეთი რა უნდა ვთქვა, რაც შენ არ იცი. მოკლედ, დაერივნენ მეცნიერებას და სულ მოაოხრეს, ზედ მიაყოლეს განათლება და მის გაბანძებას წარმატებული რეფორმების გატარება შეარქვეს. კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა სულთმობრძავ მდგომარეობაში არიან და მალე რეამინაციის გარეშე პროზექტურაში გადაასვენებენ. ენას, მამულსა და სარწმუნოებას მისივე დამცველის ნიღბით ისე კორტნიან, რომ ამ განწამაწიაში ნიღაბი სულ შემოეხიათ და აღარავის უკვირს მათზე ჩვენ მიერ ნაკურთხი სიფათის დანახვა.

— ეგ კორტნა რაში გამოიხატება, აუხსენი მსმენელებს, — დაავალეს.

— ქართული ენა და დამწერლობა კაცობრიობის აკვნის დარწევიდან რომ მოდის, დღემდე ამიტომ ვერ შევძელი მისი მოსპობა. ამათ კიდევ ერთი ხელის მოსმით უნდათ ყველაფერი გადააინგლისურონ. არადა ინგლისელებს საკუთარი დამწერლობაც კი არა აქვთ, ჩვენგან მოსპობილ ლათინებისა მიითვისეს. ახლა ინგლისური ენის შესასწავლად რაღაც გაურკვეველი სპეციალობის და ზნეობის მასწავლებლები შემოყარეს; რომელ ქართველ მასწავლებელსაც ინგლისური ეცოდინება, სხვაზე მეტ ხელფასს მიიღებს. რაც ოცდაექვს მაისს თემურ ლენგის შესაშური დაუნდობლობით დაარბიეს მომიტინგეები და იმათი სისხლით ჩვენც გვარიანად მოვისვარეთ პირი, ისე აგულავდნენ, რომ მეტროს სადგურების დასახელებას ინგლისურად ამცნობენ მგზავრებს, რომელთაც ეს ბჟუტური ისე ესმით, როგორც ბულბულს ყვავის ყრანტალი და, მიუხედავად ამისა, იმდენად არიან ჩემს მიერ გათითოკაცებულები, რომ პროტესტის გამოხატვის თავიც აღარ აქვთ. კიდევ გეტყვით, ქვეყანაში ფაბრიკა-ქარხნების განადგურებასთან ერთად მოსპეს კვალიფიციური მუშები და ყველა დარგის სპეციალისტი. რაც უფროს თაობას შეუქმნია ყიდიან, ითვისებენ და მაინც არ ყოფნით, რადგან ძირგავარდნილი კასრის გაუმაძღრობა შევყარე.

კუზიან ჩმახს უცებ სიცილი აუტყდა.

— ეს კი თვითონ ააშენეს რაღაც ხიდის მსგავსი, არავის არაფერში რომ არ სჭირდება და ხალხმა მიშას პამპერსი შეარქვა, — ეშმაკთა საკრებულო სიცილით გადაფიჩინდა, — გმირთა მოედანზე ისეთი რამ დააყუდეს, ჰელიოგაზალმა ძეგლი რომ დაუდგა მამაკაცთა სხეულის იმ ნაწილს რომში. ასე ნელ-ნელა გადააჯიშებენ ამ უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხ ერს სექსუალური გაუკუღმართების თავაშვებულობით და მოუდუნებენ სპეტაკი ეროვნული ტრადიციების, ენის, მამულისა და სარწმუნოების, სიყვარულისა და სიკეთის ძარღვის ფეთქვას.

— დიდება ბოროტებას, ვერაგობას, გარყვნილებას, და ყველაფერ სატანურს! — აღავლავდა ქაჯთა საკრებულო.

— მე ადრე უცხოელი დამპყრობლის ხელით ვცდილობდი ქართველთა მოსპობას, საზარელი დღეებიც ვაჩვენე, მაგრამ იბრძოდნენ და სამშობლოს სიყვარული უფრო უძლიერდებოდათ. ახლა კი ყოველივე ეროვნულს, ქვეყნის სასიკეთოსა და საამაყოს თავისივე სულგაყიდული, გადაგვარებული, უცხოელთა დოლარებზე დახარბებული, ჩვენი, სატანური მუხთლობის ბოდვის მონა ქართველი მანქურთები უღებენ ბოლოს. ესენი ყოველივე ეროვნულს სპობენ ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლის ნიღბით. შედეგად გაანიავეს საქართველოს ტერიტორიები, გაყიდეს მიწები და ახლა გადარჩენილი საქართველოს დაქუცმაცებას უყრიან საფუძველს. განუკითხავად სპობენ, ვინც არ მოსწონთ. ავღანეთის სამარცხვინო ომიდან ამერიკელებიც კი ცდილობენ თავის დაღწევას, ესენი იქ ღვრიან ქართველი ახალგაზრდების სისხლს, რითაც მე, დროდადრო, ეშმაკთა მოდგმას ვუმასპინძლდები. ერთ დროს ამაყი და შეუპოვარი ქართველები ისე დააშინეს და დაამშიეს, რომ მალე თავისი თოკით მიადგებიან „ნაციონალებს“, რომელ ხეზე ისურვებთ რომ თავი ჩამოვიხრჩოთ. ჰოდა, ამხელა დამსახურების ბოროტებას არ მეკუთვნის შენგან შექება, ყველაზე უწმინდურო და უვერაგესო გარყვნილებავ?! — კუზიანი ჩმახი ბელზებელს მიაჩერდა.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რატო არაფერს ასწავლი და არ მიეხმარები ამ რიჟა, რქამოტეხილ ბედოვლათს რუსეთის დანგრევა-გაპარტახების დავალების შესრულებაში? — უსაყვედურა ბელზებელმა.

— რაც კი ირგვლივ უბედურება ხდება, ჩემი მსახური საქართველოს თავკაცები სულ რუსეთს აბრალებენ. რამდენიმე წლის წინ რუსეთში ჩვენკენ მომავალი გაზის მილი რომ აფეთქდა, მე ძალიან ეშმაკური ბრალდება ვათქმევინე: საქართველოში ისე ფხიზლად ვიცავთ ამ მილებს, რომ რუსები იძულებული გახდნენ, თავის ტერიტორიაზე აეფეთქებინათ. ხან შპიონობის ბრალდებით ისეთ ხალხს ვაჭერინებ, რომ ყველას ყბა ღია რჩება — ესენი რანაირი შპიონები იქნებიანო. ხან ისეთი ტერაქტის მოწყობას და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას გამოვაცხობ ხოლმე, მეც კი არ მჯერა. მაგრამ, ზოგიერთი ისე გამოვათაყვანე, უკვირთ, რა მაგარი ტერაქტი ალკვეთესო. ასეთი გარყვნილი და ბინძური ქოსატყუილა ვარ მე, — თქვა და ბალანგაქუცულ ვიწრო მკერდზე ჩლიქი დაირტყა.

— ჰოდა, რუსეთში მაგ ტერაქტებზე რომ ვთქვი, კინაღამ მეორე რქაც მომტეხეს: შე მართლა ქაჯო, ტყუილის მოგონებაშიც ქაჯები როგორ ხართო. არადა, ადრე სტალინმა რომ მომტეხა რქა და მაგარი ჭიტლაყით გადამადასავლეთევროპა, ახლაც იმ შიშის ბარტყების ფანტვაზე ვარ. იმ თავტყირპიანი ბედოვლათის მიერ რუსეთზე მიყენებული მძიმე მუხთლობის შემდეგ მეგონა, ისე დაიშლებოდა, როგორც ჰიტლერი გეგმავდა. მაგრამ რუსეთთან ძმობის და მეგობრობის მძლავრი ძარღვის ფეთქვა ვერ დავაცხრე ყოფილ საბჭოთა კავშირის ხალხებში. რუსეთში უამრავი სატანის თესლის გაშლის მიუხედავად ამ ძარღვის ფეთქვა უფრო ძლიერდება და მეშინია, რომ ადრინდელის მსგავსი ჭიტლაყი არ მომხვდეს და ეს კენტი რქაც არ მიმამტვრიონ, — საცოდავად დაიღრიჯა რიჟა ეშმაკი.

ბელზებელს ხასიათი მოეწამლა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— ვაი თუ საქართველოშიც იმძლავროს ხალხის ნებამ, რომელსაც ასე გულმოდგინებით თელავს პირვიწრო ჩმახის ნაქები ხელისუფლება, — შეწუხებულმა ჩაილაპარაკა.

— ეგ არ მოხდება, უწმინდურო გარყვნილებავ, — გაამხნევა ჩმახმა.

— რა იცი, რომ არ მოხდება? — ბელზებელი წყალში ჩავარდნილის მაშველი რგოლის მოლოდინის მზერით მიაჩერდა.

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ის აღარ არის, რაც ადრე იყო. გაჭირვებისგან შეწუხებული ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაფრთხა; ვინც აქ დარჩა და გაქცევა ვერ მოახერხა, ლუკმაპურის ძებნაში ბევრი გათითოკაცდა; ვისაც ერის და ქვეყნის სიყვარული ვერ დაუდუნეს ზოგს კლავენ, ზოგს ციხეში სვამენ, ზოგს კი, ხელისუფლების ლაქია პარტიების დახმარებით, ცილისწამების საბურველში ახვევენ; ხალხს კი ცრუპენტელა ტელევიზიების მიერ უამრავ გარყვნილებაზე ბოდვით და უნამუსო ტრაბახის სმენით მზერის ორგანოებს ისე უბინძურებენ, რომ თეთრის შავისგან და ბულბულის გალობის ბაყაყის ყიყინისგან გარჩევა უჭირს. მოკლედ, უწმინდურესო გარყვნილებავ, „ნაციონალები“ ხომ ჩვენა ვართ და მრავალი ოპოზიციური პარტიაც, მარტო სახელიღა რომ შემორჩენია ხუთკაციან „შპანას“; მასვი-მაჭამეს სიმღერას მღერიან დალებულ პირში დროდადრო ვჩრით ცხიმიან დოლარებს; ისე რომ აღარ არსებობს საქართველოს სიკეთისკენ მომბრუნებელი ძალა. თუ კიდევ ერთეული ვინმე თავდადებული, ნიჭიერი ერისკაცი გამოჩნდა, საქართველოში მისიკვდილების შიშით ცხვირს ვერ შემოყოფს. როგორ არა, არიან აქაც ასეთები, მაგრამ მათ იმის საშუალებას არ ვაძლევთ, რომ ხალხი გამოაფხიზლონ.

— აბა, ეგ ნონა გაფრინდაშვილი ვინ არის, რატომ ვერ მოგიქრთამიათ ზოგიერთი ფანჯრის მტრედივით? — ჰკითხა ბელზებელმა.

— რა ვქნა, უწმინდურესო ბოროტებავ და უამრავო გარყვნილებავ, ქართველ ერს, უკიდურესი გაჭირვების ჟამს ყოველთვის უჩნდებიან ხოლმე ასეთი თავდადებული მამულიშვილები. ახლა მაგ შეუპოვარმა მანდილოსანმა აღმართა ქართველთა ხსნისა და ბრძოლის ალამი.

— მოიშორეთ თავიდან, რა გაგიჭირდათ მაგისი მოკვლა, როდემდის უნდა აწმინდაოს თქვენს მიერ ამღვრეული და დამახინჯებული სინამდვილე?! — ბელზებელი გაბრაზდა.

— მაგაზე ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ერთის მაგიერ ათასი ნონა გაფრინდაშვილი აიღებს შურისძიების მახვილს და მაშინ ქართველი ერის გამოფხიზლებას წინ ველარაფერი დაუდგება. შენ დაგვიფარე ამგვარი უბედურებისაგან, ჯოჯოხეთის ყველა მოლანდებავ, ძალადობისა და განუკითხაობის მფარველო უწმინდურესო გარყვნილებავ! — ყბავიწრო ჩმახმა ჩლიქები მიწას დაარტყა და ცხვირიც ზედ დაახალა. ასე გაიტრუნა კარგა ხანს; უცებ, ღრიალით წამოხტა. — ყური დაადეთ მიწას, რაღაც საშინელი, იდუმალი გუგუნის ისმის!!! ვაიმე!!! — თქვა და ჩლიქები წაიშინა თავში.

ყველა მიწაზე დაემხო. ბელზებელმაც დაადო თავისი თხის ყური მიწას. იქიდან კი ყრუდ ისმოდა იდუმალი გუნდის მოწოდების მსგავსი მრისხანე ბუბუნი. ბელზებელი უცებ წამოხტა და აღრიალდა: — ქართველი ხალხის ყველა დროის წინაპართა გაერთიანებული ხმაა. ვაი ჩვენ, თუ მიწას ვულკანივით ამოსცდა და ქართველთა სულს დაეუფლა! სასწრაფოდ გავარდით გარეთ, ამერიკის, ევროპის, ნატოს, კატოს, ახრასიას — ყველა ბოროტ სულებს მიეხმარეთ ქართველთა გაბითურებაში, თორემ დავილუპებით, ისევ აღდგება და გაიმართება, ისე, როგორც ადრე ხდებოდა!

**გივი სომხიშვილი**
**27 მაისი, 2011 წელი**

## გაფრიზებულნი

**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**



▼ ამერიკის შეერთებულ შტატებს კიდევ გრძელი გზის გავლა მოუწევს, ვიდრე ეკონომიკა სრულად აღდგება და საშუალო ფენა თავისუფლად ამოსუნთქვას შეძლებს. ჩვენ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, რომ ადამიანებს მივცეთ შესაძლებლობა, თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, როგორც იმსახურებენ.

*prime-tass.ru*

**სერგეი ლავროვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



▼ მოსკოვს არ სურს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტი კონფრონტაციული გახდეს. ვთვლით, რომ ის წინადადებები, რომლებითაც რუსეთმა არაერთხელ ახსნა, თუ როგორ ხედავს ერთობლივ თანამშრომლობას ამ სფეროში, სავსებით იმსახურებს განხილვას. ისინი აბსოლუტურად გამოსადეგია კომპრომისის საძებნელად.

*Интерфакс*

**ვლადისლავ სურკოვი,**
**რფ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე:**



▼ მიმაჩნია, რომ ვლადიმერ პუტინი არის ის ადამიანი, რომელიც რუსეთს მისი ძნელბედობის ჟამს ღმერთმა გამოუგზავნა ჩვენი ერის შენარჩუნებისათვის.

*inosmi.ru*

**ალექსანდრე ლუკაშენკო,**
**ბელარუსის პრეზიდენტი:**



▼ 19 დეკემბრის მოვლენების გამო გასამართლებულთა ადგილი, ციხეში კი არა, ევროკავშირშია. თუ იქ, ევროკავშირში, სურთ, რომ ისინი თავისთან წაიყვანონ, ხვალვე გამოვუწერთ ბილეთს და გავუგზავნით, პრობლემა არ არის. თუ ისინი ასეთი მეურვეები არიან პოლიტპატიმრებისთვის, მივიღებ გადაწყვეტილებას და ხვალვე ჩავსხამ მათ ერთ ვაგონში... თუ უფრო სწრაფად უნდათ, თვითმფრინავს გამოვყოფ.

*nr2.ru*

**მოამარ კადაფი,**
**ლიბიის ლიდერი:**



▼ ლიბიაში ნატოს ოპერაციის გამო შურისსაძიებლად ევროპაში ასობით თვითმკვლელს გავგზავნი. ასობით ლიბიელი ევროპაში წამებულის სიკვდილით მოკვდება. ეს იქნება შურისძიება პრინციპით: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. ჩვენ დავუბრუნებთ ევროპას მგრძნობელობას.

*km.ru*

მოკლედ

## ფილიპინელებმა პრეზიდენტს Porsche გააყიდინეს

**ფილიპინელებმა პრეზიდენტ ბენინო აკვინოს ძვირადღირებული ავტომანქანა Porsche გააყიდვინეს. ფილიპინების პრეზიდენტმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ავტომობილი 104 ათას დოლარად გაყიდა.** ავტომობილი რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყნის მოქალაქეებს მოსვენებას არ აძლევდა. პრეზიდენტს იმანაც არ უშველა, რომ ავტომობილი მან ბანკიდან გამოტანილი კრედიტით შეიძინა. სახელმწიფოს მეთაურის რეიტინგი თანდათან იკლებდა, საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად კი, მოქალაქეთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პრეზიდენტს ასეთი ძვირადღირებული ავტომობილის ყიდვის უფლება არ აქვს.





დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები და ნორმები დაარღვია. შესაბამისად, ამ უკანონოდ შექმნილი ორგანოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება იურიდიულად სავალდებულო ძალას არ ფლობს.**

# ჰააგელ ბრძენთა ოქმები

**4 ივლისს ყოფილი იუგოსლავიის საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო ტრიბუნალმა რატკო მლადიჩის საქმის მოსმენა დაიწყო. გენერალმა წინასწარ განაცხადა, რომ ამ მოსმენას ბოიკოტს გამოუცხადებდა, ვინაიდან მისი ადვოკატების ჯგუფი ჯერ არ იყო შემდგარი, რაზეც ჰააგის მოსამართლე უკვე მზად იყო, განეცხადებინა, რომ ამგვარი მიდგომით მლადიჩი თავის ბრალეულობას მიანიშნებდა.**
**ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის თემას პირველ გვერდებს მხოლოდ იმის გამო არ უთმობენ, რომ სერბეთმა ჰააგას გენერალი რატკო მლადიჩი გადასცა.**
**არსებობს სხვა მიზეზებიც. ეს მიზეზია სერბეთის ევროკავშირში გაწევრების დამოკიდებულება ჰააგასთან მისი თანამშრომლობის ხარისხზე.**
**ამას ემატება ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის მოღვაწეობის დასასრული — უახლოეს წლებში მან სამუშაო უნდა დაამთავროს. და ბოლოს, კიდევ ერთი მიზეზი ამ ტრიბუნალის მოღვაწეობის შეფასებაა, მისი შემქმნელების ინტერესებიდან გამომდინარე.**





## ტრიბუნალი საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით შეიქმნა და მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატი აქვს

გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო რაღაც სტრუქტურა, რომელიც იუგოსლავიის დაშლისა და გაყოფის პროცესში სამხედრო დანაშაულებებს გამოიძიებდა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად მიიღეს. თავად ეს ჯგუფი გაეროს უშიშროების საბჭომ 1992 წლის ოქტომბერში ჩამოაყალიბა. მის მიზანს წარმოადგენდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების დროს ჟენევის კონვენციისა და ჰუმანიტარულ უფლებათა სხვა ნორმების დარღვევის შესახებ ინფორმაციის გაანალიზება. ამ მომენტისთვის, ხორვატიაში სერბების საცხოვრებელ ტერიტორიებზე საერთაშორისო კონფლიქტი დროებით დარეგულირებული იყო, ბოსნიის ომის შესახებ მონაცემები კი მწირი იყო, რადგან ის მხოლოდ 1992 წლის 6 აპრილს დაიწყო.

**იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ტრიბუნალის შექმნის ინიციატორებმა იმთავითვე ზუსტად იცოდნენ, რომ კონფლიქტი ხანგრძლივი და დაუნდობელი იქნებოდა და, შესაბამისად, გასასამართლებელთა პოვნაც არ გაჭირდებოდა.**

ამას ადასტურებს გაეროს უშიშროების საბჭოს №808 და №827 რეზოლუციებიც, რომელთა საფუძველზეც, 1993 წლის მაისს შეიქმნა კიდევაც ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი. ამ ტრიბუნალს უნდა გამოეძია ის დანაშაულებანი, რომელიც ჩადენილია 1991 წლის 1 იანვრიდან უშიშროების საბჭოს მიერ „მშვიდობის აღდგენის შემდეგ" გამოცხადებულ თარიღამდე.

ამ ფართო ფორმულირების საფუძველზე ტრიბუნალი „მშვიდობის აღდგენის შემდეგ", უკვე მრავალი წელია, მუშაობს, მისი მოღვაწეობის დასრულების ვადები კი მუდმივად ჭიანურდება. **უშიშროების საბჭოს მიერ 2010 წლის დეკემბერში მიღებული რეზოლუციის თანახმად, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლო საქმეების დასრულებისთვის სამუშაოები 2013 წლის 1 ივლისს უნდა დაიწყოს და 2014 წლის 31 დეკემბერს უნდა დამთავრდეს. რუსეთმა, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის მუშაობის სწრაფად შეწყვეტის მომხრეა, ამ რეზოლუციაზე კენჭისყრისას თავი შეიკავა. მიუხედავად მითითებული ვადებისა, იმის იმედი, რომ თუნდაც 2015 წლის დასაწყისისთვის ტრიბუნალის მოღვაწეობა სრულად შეჩერდება, როგორც ჩანს, არ გამართლდება და აი რატომ:**

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის თამჯდომარემ პატრიკ რობინსონმა არაერთხელ განაცხადა, რომ ბოსნიელი სერბების ყოფილი ლიდერის — რადოვან კარაჯიჩის საქმე, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში დაიწყო, 2012 წლის ბოლომდე მაინც გაგრძელდება, სავარაუდო აპელაციის განხილვას კი 2014 წლის თებერვლამდე დრო დასჭირდება. იმის გათვალისწინებით, რომ პროცესები რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობს, რადოვან კარაჯიჩის საქმის წარმოებამ შესაძლოა გადაიწიოს, ბუნებრივია, — არა ვადების შემცირების მიზნით. გარდა ამისა, ჰააგის ტრიბუნალის პრესმდივანი ნერმა ელაჩიჩი მუდმივად იმეორებს, რომ ტრიბუნალის მუშაობის დასრულების ვადები მხოლოდ კარაჯიჩის საქმეს ეხება და არ ვრცელდება რატკო მლადიჩისა და გოგან ხაჯიჩის საქმეებზე.

მეორეს მხრივ, **რატკო მლადიჩის პროცესი რადოვან კარაჯიჩისაზე ნაკლებად არ გაიწელება, თუმცა, შესაძლოა, ეს ორი საქმე გააერთიანონ კიდეც, მაგრამ არა პროცესის დაჩქარების, არამედ იმ მიზნით, რომ ის კოლექტიურად, ანუ „საჩვენებლად" აქციონ.** მოვლენათა ამგვარად განვითარების შესაძლებლობაზე ჰააგაში არაერთხელ განუცხადებიათ, ჟურნალისტებს ამის თაობაზე მუდმივად აწვდის ინფორმაციას გენერალური პროკურორის მრჩეველი ფრედერიკ სვინენი.

კიდევ ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ჰააგაში გორან ხაჯიჩის დაკავებას ელიან. რატკო მლადიჩის დაკავებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ სერბეთის პრეზიდენტმა ბორის თადიჩმა განაცხადა: **„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გადავწყვეტთ ხაჯიჩის შემთხვევას, გავთავისუფლდებით ბალასტისა და წარსულის დემონისგან".** თავის მხრივ, ბელგრადში აშშ-ის ელჩმა მერი უორლიკმა 7 ივნისის პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ **ევროკავშირში სერბეთის შესვლისთვის, „რასაც აქტიურად უჭერს მხარს აშშ", საჭიროა კიდევ ორი პირობის შესრულება — პრიშტინასთან წარმატებული დიალოგის დაწყება და გორან ხაჯიჩის დაკავება.**

ასე რომ, ჰააგელი ბრძენები უახლოესი წლების განმავლობაში საქმის გარეშე არ დარჩებიან, მით უფრო, რომ უკვე დაკავდნენ საკუთარი მოღვაწეობის გახანგრძლივების საშუალებათა ძიებით. როგორც რამდენიმე დღის წინ ნერმა ელაჩიჩმა განაცხადა, **თუ 2012 წლის 30 ივნისამდე ხაჯიჩი დაკავებული არ იქნება, მას საერთაშორისო ნარჩენი მექანიზმი გაასამართლებს. ანალოგიური მექანიზმია გათვალისწინებული ტრიბუნალისთვისაც რუანდაში, სადაც სინამდვილეში, გენოციდის პოლიტიკის გატარების შემდეგ, დაახლოებით 800 ათასი ადამიანი გაჟლიტეს და ტუსტის მთელი თემი გაანადგურეს.**

**ჰააგის ტრიბუნალის სიცოცხლის ხანგრძლივობას უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განგრძობადი პაროდია: სერბეთის რადიკალური პარტიის ლიდერის — ვოისლავ შეშელის საქმის სასამართლო განხილვა.**

**„შეშელის საქმე" ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის უპრინციპობისა და პოლიტიკური ანგაჟირებულობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.**

ვოისლავ შეშელი ჰააგაში, სადაც ტრიბუნალის მიერ მის წინააღმდეგ ბრალის წარდგენის შემდეგ საკუთარი ნებით მივიდა, 2003 წლის 24 თებერვლიდან იმყოფება. მივიდა იმისთვის, რომ სახალხოდ უარეყო არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ, რაც მთავარია, სერბი ხალხის წინააღმდეგ შეთხზული ყველა ბრალდება. დღემდე სამხედრო დანაშაულებების ჩადენის გამო მის წინააღმდეგ არც ერთი გადაწყვეტილება არაა მიღებული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამგვარ დანაშაულებებს უბრალოდ არ ჰქონია ადგილი. სამაგიეროდ, ბრალდებულის მსგავსად, ციხეში ჯდომის თითქმის რვა წლის განმავლობაში, მან ორჯერ დაიმსახურა 15-თვიანი პატიმრობის შეფარდება სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო. რა არის ეს? — ავანსი, 30 თვე იმ სამომავლო განაჩენზე დამატებით, რომელსაც ძირითად დანაშაულთან დაკავშირებით გამოუტანენ. ტრიბუნალზე არ წვრილმანდებიან.

სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო სასჯელი პირველად მაშინ დაიმსახურა, როდესაც პატიმრობაში დაწერილი თავისი ერთ-ერთი წიგნის დასკვნაში ვოისლავ შეშელმა მოიხსენია „საქმის" 11 მოწმე, ოღონდ მათივე თანხმობით, მაგრამ ტრიბუნალისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ მომხდარისთვის სასამართლო პროცედურის დარღვევის კვალიფიკაცია მიეცა. მეორედ ეს მიმდინარე წლის ივნისში მოხდა, ამჯერად მოწმეთა სახელების ინტერნეტში მოხსენიებისთვის. აღსანიშნავია, რომ ბრალმდებელი ბრიუს მაკფარლანი დაჟინებით მოითხოვდა თავისუფლების აღკვეთას სამი წლით. სავარაუდოდ, ამ ყველაფრით ტრიბუნალი ცდილობს, რამენაირად მაინც გაამართლოს უზომოდ გაწელილი პროცესი, რომლის დროსაც წამოყენებულ ბრალდებებზე გაცემული პასუხებით ვოისლავ შეშელმა უკვე არაერთხელ დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა. მიუხედავად ამისა, 2007 წლის 7 ნოემბერს დაწყებული სასამართლო პროცესი მუდმივად ჭიანურდება. მაგალითად, მთელი 2009 წლის განმავლობაში სასამართლოს სულ 22 სხდომა გაიმართა, 2010 წელს — მხოლოდ 20.

**აბსოლუტურად სწორია დანიური ანდაზა, რომ იურისტებსა და მღებავებს ძალზე სწრაფად შეუძლიათ თეთრის შავად გადაღებვა. სასამართლოსთვის გაცილებით ადვილი იქნება რადოვან კარაჯიჩის, რატკო მლადიჩისა და გორან ხაჯიჩისთვის სამხედრო დანაშაულებების ინკრიმინირება სცადოს — ისინი ხომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ. მაგრამ ვოისლავ შეშელის წინააღმდეგ მთავარი ბრალდებებია „სიძულვილის ენის" გამოყენება, დიდი სერბეთის შექმნისკენ მისეული მოწოდებები, ასევე „ერთობლივი დანაშაულებრივი მოქმედებების შემუშავებაში, მომზადებასა და განხორციელებაში" მონაწილეობა. რა დანაშაულებრივ ქმედებებზეა საუბარი, სასამართლოში არ აკონკრეტებენ. არ შეუძლიათ დაკონკრეტება.**

**შეშელის საქმე დასავლეთისთვის აუცილებელია იმიტომ, რომ „ჰააგელმა ბრძენებმა" თავიანთი პოლიტიკური სასამართლოს ფარდის მიღმა საერთაშორისო პრაქტიკაში დააფუძნონ „ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედებების" მათ მიერვე დადგენილი სამართლებრივი კონსტრუქცია. ეს კონცეფცია წარმოშობს იმ დამნაშავეობრივი ორგანიზაციის კოლექტიურ პასუხისმგებლობას, რომელშიც რეგულარულად შედის მთელი სერბული სახელმწიფო. ამრიგად, თავისუფლად შესაძლებელი გახდება სერბეთის ნებისმიერი მოქალაქის დაკავება, თუ ის მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში.**

**მუშაობის 18 წლის განმავლობაში ტრიბუნალმა სულ 144 სასამართლო პროცესი გამართა, მათგან უმეტესობა — 94 საქმე, ანუ ყველა საქმის 66% სერბების წინა- ▶**

## აშშ-ში პლასტიკურმა ბარათებმა ნაღდი ფული ჩაანაცვლა

**აშშ-ში გამოშვებული ფულადი ბანკნოტების რაოდენობა პლასტიკური ბარათების გავრცელების გამო სულ უფრო მცირდება.** აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2001 წელს ხუთდოლარიანი ბანკნოტების წარმოება ბოლო 30 წლის განმავლობაში მინიმუმამდე დაეცა, ათდოლარიანი კი საერთოდ არ გამოშვებულა. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სტატისტიკისა, ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას ამერიკელთა უმრავლესობა იმდენად მიჩვეულია, რომ ის მიმოქცევაში კიდევ ორი ასწლეულის განმავლობაში მაინც დარჩება.



## ბერლუსკონი პოლიტიკიდან მიდის

**იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკის დატოვებას აპირებს და არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს.** როგორც აღინიშნა, იგი პოლიტიკიდან 2013 წელს წავა, როდესაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურება. „მე მზად ვარ ახლავე დავტოვო თანამდებობა, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. მომდევნო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებ. 77 წლის ასაკში კაბინეტის ხელმძღვანელობას ველარ შევძლებ", — განუცხადა ჟურნალისტს ბერლუსკონიმ.

**რუსეთის ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის ფედერალურმა სამსახურმა არაერთხელ განაცხადა, რომ ღორის აფრიკული ცხელების ვირუსი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სამხრეთ რეგიონების გავლით 2007-2008 წლებში შეიჭრა საქართველოს ტერიტორიიდან, სადაც ის ჯერ კიდევ 2006 წელს აღმოაჩინეს.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ აღმდეგ იყო მიმართული.**

ხორვატების წინააღმდეგ ჩატარდა 33 პროცესი, კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ — 8, ბოსნიელი მუსლიმანების წინააღმდეგ — 7 და მხოლოდ ორი პროცესი მაკედონიელების წინააღმდეგ. ძიების პროცესში გარდაცვლილი 19 ადამიანიდან 16 სერბი იყო, მათგან რამდენიმე უცნაურ გარემოებებში დაიღუპა და მათ შორის იყო იუგოსლავიის ექს-პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, რომლის ბრალეულობა მაინც ვერ დადგინდა. **27 დაკავებული სახელმწიფო მეთაურიდან, სარდლიდან, პრემიერ-მინისტრიდან, ვიცე-პრემიერიდან, თავდაცვის მინისტრიდან და პარლამენტის სპიკერიდან სერბები კვლავ უმრავლესობაში არიან — ამ საპატიო სიაში 19 ადგილი მათ ეკუთვნით.**

**განსაკუთრებით შთამბეჭდავია პატიმრობის საერთო ვადა: სასჯელთა წლების შეკრებით, სერბები ციხეში 904 წელს გაატარებენ, ხორვატები — 171 წელს, მუსლიმანები — 39 წელს, კოსოვოელი ალბანელები — 19 წელს, მაკედონელები — 12 წელს. იმ ბრალდებულთა შორის, რომელთაც სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ, მხოლოდ სერბები არიან — ლიუბიშა ბეარა, სტანისლავ გალიჩი, მილან ლუკიჩი და ვიუადინ პოპოვიჩი.** ყველა მათგანი მონაწილეობდა ომში ბოსნიელი სერბების მხარეს.

**ყველაზე ოდიოზური ალბანელი ბოევიკები, რომელთა ანგარიშზე ასობით ადამიანის სიცოცხლეა — ფატმირ ლიმაი, ისაკ მუსლიუ, იდრიზ ბალაი და რამუშ ხარადინაი სასამართლომ საერთოდ გაამართლა.** ერთადერთი გამონაკლისი რამუშ ხარადინაია — მას შემდეგ, რაც მოწმეების შესაძლო დაშინების შესახებ დამატებითი ცნობები მიიღო, 2010 წლის 21 ივნისს სასამართლომ მას გამამართლებელი განაჩენი გააუქმა და ახალი მოსმენა ამ საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა ერთ წელიწადში დაიწყოს.

ტრიბუნალის მომავალი უშუალო კავშირშია მისი შექმნის ისტორიასთან. ფრანგი მეცნიერი და ფილოსოფოსი ბლეზ პასკალი ამბობდა: „ადამიანებს არ შეუძლიათ უფლებას მიანიჭონ ძალა, ამიტომ ძალას მიანიჭეს უფლება“.

**ტრიბუნალი საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით შეიქმნა და მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატი აქვს. ეს მაშინ, როდესაც კლასიკური საერთაშორისო სასამართლოები საერთაშორისო შეთანხმების ბაზაზე იქმნება. უფრო მეტიც, გაეროს წესდების არც ერთი მუხლი არ შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს საერთაშორისო ტრიბუნალების ან რაიმე სახის სასამართლოების შექმნის უფლება აქვს.**

**ამრიგად, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები და ნორმები დაარღვია. შესაბამისად, ამ უკანონოდ შექმნილი ორგანოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება იურიდიულად სავალდებულო ძალას არ ფლობს.**

საიდუმლოს არ წარმოადგენს ამოცანა, რომლის გადასაჭრელადაც შეიქმნა ტრიბუნალი: ბალკანეთში ომების გამო დამნაშავედ გამოცხადდეს ერთადერთი ხალხი — სერბები. სწორედ ამიტომ ცდილობენ, სერბებისთვის „ერთობლივი დამნაშავეობრივი ქმედებების“ თავსმოხვევას. მაგრამ დასახული იყო კიდევ ერთი მიზანი: **მსოფლიო საზოგადოების მთელი ყურადღების „სერბების დანაშაულებებზე“ აქცენტირებით ტრიბუნალმა დარტყმა აარიდა აგრესიის წამომწყებ დასავლეთს.**

როგორც ყველაფრიდან ჩანს, კიდევ არაერთხელ ვიქნებით იმ „სასამართლოების“ მუშაობის მომსწრენი, რომლებიც ჰააგის ტრიბუნალის მსგავსად შეიქმნება: ამჯერად დასავლეთი მისთვის არახელსაყრელი ახლოაღმოსავლელი პოლიტიკოსების გასამართლებას მოინდომებს. სერბეთის ახლანდელ ხელმძღვანელობას კი, რომელმაც ევროკავშირში „ურიგოდ“ შეძრომისთვის რადოვან კარაჯიჩი, რატკო მლადიჩი და გორენ ხაჯიჩი გაწირა, მოუწევს, აუხსნას თავის ხალხს, რატომ არავინ ფიქრობს ბრიუსელში სერბეთის ევროკავშირში მიღებაზე. ბელგრადს ამისთვის რვა წელი მაინც დასჭირდება — სწორედ ამდენი დასჭირდა ხორვატიას. გარდა ამისა, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები, ჯერ ნატოს წევრები ხდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ „ეწერებიან“ ევროკავშირში. ასე რომ, **სერბეთს რიგითი მთხოვნელის სტატუსით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, ანუ იმ ორგანიზაციის ზღურბლზე მოუწევს დგომა, რომელმაც მის ხალხს სიკვდილი და ნგრევა მოუტანა.**

**ელენა პონომარიოვა,**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტი.

**Столетие**

**გენადი ონიშენკო:**

# ღორის ჭირი რუსეთში საქართველომ შემოაგდო

**2009 წლის ივლისში გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ წერდა, რომ ალექსეევკის ლაბორატორიას, შესაძლოა, გარკვეული კავშირი ჰქონოდა წინა წლებში გავრცელებულ ღორის ჭირის ეპიდემიასთან. 2002 წელს აშშ-ისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და პათოგენების სფეროში თანამშრომლობისა და ამ სფეროს ინფორმაციების გაუვრცელებლობის შესახებ“. 2004 წლის სექტემბერში კი თბილისში სენატორ რიჩარდ ლუგარის ვიზიტის დროს თბილისის ახლოს, ალექსეევკის დასახლებაში „ცენტრალური რეფერენტ-ლაბორატორიის“ შექმნა გადაწყდა და მალე განხორციელდა კიდეც. მაშინ მეცნიერები აცხადებდნენ, რომ ალექსეევკის ლაბორატორია ამერიკელებმა ადგილზე სწრაფად და უახლესი მეთოდებით მუშაობის შესაძლებლობისთვის აგვიშენეს. რამდენიმე დღის წინათ კი რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, მართალია, დაკონკრეტების გარეშე, მაგრამ მიანიშნა ერთ დროს ქართულ, ამჟამად კი ეთნიკური ქართველებითა და ამერიკელი სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ლაბორატორიაზე, რომელმაც რუსეთში ღორის ჭირი გაავრცელა.**



**მთავარმა სანიტარმა უარყო ვარაუდი რუსეთის წინააღმდეგ მასშტაბური ბაქტერიოლოგიური ომის დაწყების თაობაზე და მაყურებელი დაარწმუნა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ «პატარა უხამსობაა»**

რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ადამიანის კეთილდღეობის სფეროს კონტროლის ფედერალური სამსახურის უფროსი გენადი ონიშენკო მიიჩნევს, რომ ღორის აფრიკული ცხელების ახლანდელი ეპიდემია, რომელიც რუსეთის სამხრეთს მოედო და ტვერის ოლქში როკ-ფესტივალის ჩატარების საკითხიც კი ეჭვქვეშ დააყენა, საქართველოდან შევიდა. რუსეთის მთავარი სანიტარი, რუსეთისა და ყირგიზეთის დამსახურებული ექიმი, პროფესორი გენადი ონიშენკო ტელეარხ Дождь-ის ეთერით გამოვიდა და ისაუბრა ლაბორატორიაზე, რომლიდანაც დაავადება რუსეთის სამხრეთს მოედო.

ონიშენკომ მაყურებელს შეახსენა, რომ ღორის ცხელება ადამიანისთვის სახიფათო არაა, მაგრამ დაავადებული პირუტყვის განადგურება აუცილებელია. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ჭირის გავრცელების რეგიონიდან ხორბლის ექსპორტი არ შეიძლება. **„ეს ეკონომიკური დივერსიაა,“** — დაასკვნა ონიშენკომ.

**„აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ღორების ცხელება ჩვენთან საქართველოდან შემოვიდა“,** — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ღია ბრალდებები ონიშენკოს არავისთვის წაუყენებია.

**„ ერთ-ერთ ლაბორატორიაში, რომელიც თავის დროზე საქართველოს ეკუთვნოდა და სადაც ჭირის ლაბორატორიული კვლევები ტარდებოდა, იმ ხელმძღვანელების გარდა, რომლებიც ეთნიკური ქართველები არიან, ყველა სხვა თანამშრომელი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო უწყების სპეციალისტია. ოღონდ, ცხადია, ისინი მეზღვაურები კი არა, ბაქტერიოლოგები არიან,“** — აღნიშნა ონიშენკომ, მაგრამ არ განუმარტავს, თუ კონკრეტულად რომელ სადგურზეა საუბარი და რომელ ქვეყანას ეკუთვნის ის ამჟამად.

მთავარმა სანიტარმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთში ღორის ცხელების შეტანა ძალზე იოლი საქმეა, თუმცა, იქვე უარყო ვარაუდი რუსეთის წინააღმდეგ მასშტაბური ბაქტერიოლოგიური ომის დაწყების თაობაზე და მაყურებელი დაარწმუნა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ „პატარა უხამსობაა“.

**ის, რომ ღორის ჭირი რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ტერიტორიიდან შეიტანეს, უკვე რამდენიმე წელია საიდუმლოს არ წარმოადგენს და ამას რუსეთის ვეტერინარული სპეციალისტები არასდროს მალავდნენ. ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის ფედერალურმა სამსახურმა არაერთხელ განაცხადა, რომ ღორის აფრიკული ცხელების ვირუსი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სამხრეთ რეგიონების (ჩრდილო ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი) გავლით 2007-2008 წლებში შეიჭრა საქართველოს ტერიტორიიდან, სადაც ის ჯერ კიდევ 2006 წელს აღმოაჩინეს.**

2009-2010 წლებში დაავადებამ სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-კავკასიის ფედერალური ოლქების მრავალი მეურნეობა მოიცვა. 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისში ღორის აფრიკული ცხელებით ცხოველთა დაავადების შემთხვევები უკვე ფიქსირდებოდა ლენინგრადის, ნიჟეგოროდსკის, მურმანსკისა და ტვერის ოლქებში.

ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის ფედერალური სამსახური იტყობინებოდა მოსკოვის რეგიონის ტერიტორიაზე დაავადების გავრცელების რისკების შესახებაც. 2011 წელს რუსეთში ამ დაავადების 10 აფეთქება დაფიქსირდა, მათგან ხუთი — არაენდემურ ზონაში.

რუსეთის ხელისუფლება შეშფოთებულია იმით, რომ ღორის აფრიკულ ცხელებასთან დაკავშირებით რუსეთში მდგომარეობა არ უმჯობესდება. დაავადება რუსეთის სამხრეთის საზღვრებს გასცდა და ახლა ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ ფედერალურ ოლქებს ითვისებს. 2011 წელს დაავადების კერების რაოდენობით კრასნოდარის მხარე (5 კერა) და ტვერის ოლქი (4 კერა) ლიდერობს. დახოცილი ღორების რაოდენობა 20 ათასს აღწევს.

**ღორის აფრიკული ცხელება მაღალპათოგენური დაავადებაა, რომელიც ადამიანს არ გადაედება, მაგრამ ცხოველისთვის გაწუკურნელია. მის წინააღმდეგ საბრძოლველად ვაქცინა მსოფლიოში არ არსებობს, რაც ამ დაავადების გავრცელების დიდ საფრთხეს განაპირობებს.**

ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის ფედერალურმა სამსახურმა და რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ღორის აფრიკულ ცხელებასთან ბრძოლის პროგრამა შეიმუშავა. პროგრამა დაავადების კერების იზოლაციისთვის მკაცრ ზომებსა და სარისკო ზონებში მეცხოველეობის მეურნეობების ალტერნატიულ სახეობებზე ეტაპობრივ გადასვლას ითვალისწინებს.

**top.rbc.ru**

## ბარაკ ობამას გაშვილებას უპირებდნენ



**აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მამა — ბარაკ ჰუსეინ ობამა ჯერ კიდევ დაბადებამდე ვაჟის „ხსნის არმიისთვის“ მიცემას აპირებდა. ამის შესახებ აშშ-ში სენსაციური დოკუმენტები გამოაქვეყნეს.** ჰარვარდის 24 წლის სტუდენტს, რომელიც თავაშვებული ცხოვრებით ცხოვრობდა, ამ ნაბიჯის გადადგმა შეერთებული შტატების იმიგრაციულმა სამსახურმა აიძულა, რომელიც მას ორცოლიანობაში ადანაშაულებდა. 1961 წლის გაზაფხულზე სამსახურის თანამშრომლებთან საუბრის დროს უფროსმა ობამამ განაცხადა, რომ კენიელ პირველ მეუღლესთან დაშორებული იყო, როცა ამერიკელ ენ დანჰემზე ოფიციალურად იქორწინა.

## კანადამ ავღანეთიდან სამხედროების გაყვანა დაიწყო

**კანადამ ავღანეთიდან თავისი სამხედროების გაყვანა დაიწყო, ვინაიდან ამ რეგიონში მისი მისია დასრულდა. კანადელი სამხედროების პირველი ვერტმფრენები ავღანეთიდან უკვე გამოფრინდა.** ასე რომ, კანადა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ავღანეთიდან თავისი ჯარის გაყვანა დაიწყო. კანადელი სამხედროები ავღანეთში 2001 წლიდან იმყოფებიან. მთელი ამ დროის განმავლობაში ავღანეთში 150 კანადელი სამხედრო დაიღუპა.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ ტოლობის ნიშანს დასვამენ ჰიტლერსა და სტალინს შორის, ჩაიხედონ დოკუმენტებში და გაიგონ — სად, როგორ და რამდენი ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ეწვიონ ერთ-ერთ ნებისმიერ საკონცენტრაციო ბანაკს იმ 22 ათასიდან, რომლებიც ჰიტლერმა და მისმა ხელის ბიჭებმა მთელს ევროპაში მოჰფინეს. ეგებ იმან, რასაც იქ ნახავენ, თვალები აუხილოს იმ საშინელ ტრაგედიაზე, რომელიც 70 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო და თითქმის 5 კოშმარულ წელიწადს გაგრძელდა.**

# სიცრუის ფასი და ევროპული ორპირობა

„არავინ ისე არ არის დაბრმავებული, როგორც ის, ვისაც არ სურს, დაინახოს“
*ინგლისური ანდაზა*

დასასრული. დასაწყისი იხ. №23-24

## ნაწილი IV. „ადამიანური“ მტრები

სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1941 წლის 1 ივლისს დამტკიცებული „დებულებით სამხედრო ტყვების შესახებ“ აკრძალული იყო ტყვეების შეურაცხყოფა, სასტიკი მოპყრობა, იძულება, დაშინება მათი ქვეყნის სამხედრო თუ სხვა ხასიათის ცნობების მოპოვების მიზნით. მერვე მუხლით, სამხედრო ტყვეები უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ საცხოვრებელი შენობებით, ტანსაცმლით, თეთრეულით, ფეხსაცმლით, საკვებითა და პირველადი აუცილებლობის ნივთებით...

ომის პირობებში ხდებოდა ისიც, რომ საბჭოთა მეომრებს სენტიმენტებისთვის არ ეცალათ, რაც ვერმახტის სამხედრო ტყვეების მიმართ დამოკიდებულებაზეც აისახებოდა. ამას საბჭოთა დოკუმენტებიც ადასტურებს. კერძოდ, სევასტოპოლში ზღვისპირეთის არმიის შტაბის №0086 1941 წლის 2 დეკემბრის ბრძანებაში ნათქვამია: **„ტყვეები შეიძლება დაიხვრიტოს მხოლოდ მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევისა და გაქცევის მცდელობის შემთხვევაში.**

**ამჟამად პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ტყვეების ადგილზე ან მოწინავე ხაზის რაიონში დახვრეტა მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს უკარგავს ჩვენ მხარეზე გადმოსვლის სურვილს და ჩვენს ტყვეობაში მოხვედრის პერსპექტივა თავზარსა სცემს“.**

მაგრამ საბჭოთა კავშირში არ გამოუციათ ჰიტლერის დირექტივებისა და მითითებების მსგავსი დოკუმენტები: **„შეიარაღებული ძალები პირველსავე შემთხვევაში უნდა გათავისუფლდნენ სამხედრო ტყვეებს შორის მყოფი ყველა ელემენტისგან, ვისშიც შეიძლება გამჟღავნდეს ბოლშევიკური მამოძრავებელი ძალები“.**

**საბჭოთა კავშირში სამხედრო ტყვეების შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა 1939 წელს შექმნილი სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებულთა სამმართველოს, რომელიც 1945 წლის იანვრიდან, ტყვეთა რაოდენობის დიდად გაზრდის გამო, მთავარ სამმართველოდ გადაკეთდა. 1945 წლის ბოლოსთვის ამ მთავარი სამმართველოს გამგებლობაში ოფიციალური მონაცემებით იყო 267 ბანაკი და 3200 სტაციონარული განყოფილება.**

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 2 იანვრის ბრძანებით, ფრონტიდან სამხედრო ტყვეები გადმოჰყავდათ ეშელონებით, „რომლებიც გამოთავისუფლდებოდა საბრძოლო შემადგენლობის გადაყვანის შემდეგ და რომლებშიც მოწყობილი იყო საწოლები, ღუმელები, უნიტაზები“ და არა საქონლისთვის გათვალისწინებული ვაგონები ან ღია პლატფორმები, როგორც ეს წესად ჰქონდათ გერმანელებს.

**კვების ნორმებიც მკაცრად იყო განსაზღვრული. იმავე ბრძანებით სამხედრო ნაწილების მეთაურებს ევალებოდათ, სტაციონარში გადაყვანამდე ტყვეები უზრუნველეყოთ საკვებით, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა საბჭოთა მეომრის საკვებისგან. გერმანელ სამხედრო ტყვეებს შიმშილით სპეციალურად არავინ ხოცავდა.**

შინსახკომის ბანაკებში ტყვეთა ყოფნის ინსტრუქცია, რომელიც 1941 წლის 13 აგვისტოს გამოიცა, ითვალისწინებდა სამხედრო ტყვეების განთავსებას სპეციალურ ბანაკებში, რომელთა ტერიტორიაზე მოწყობილი იყო შენობები ორიარუსიანი ვაგონის ტიპის საწოლებით, ღუმელების საკმაო რაოდენობით, რომლებიც უზრუნველყოფდა შენობის შიგნით ნორმალურ ტემპერატურას, ასევე, აუცილებელი საყოფაცხოვრებო ინვენტარით. ბანაკის ტერიტორიაზე ნებადართული იყო ტყვეთა თავისუფალი გადაადგილება დილიდან დაწოლის სიგნალამდე. საჭირო სამუშაოები უნდა შეესრულებინათ რიგით ჯარისკაცებს და უმცროს მეთაურთა შემადგენლობას. ამასთან, მომუშავე სამხედრო ტყვეებზე ვრცელდებოდა შრომის დაცვისა და სამუშაო დროის შესახებ დადგენილებები, რომლებიც შრომის ამ დარგში დასაქმებული საბჭოთა მოქალაქეების მიმართ იყო გათვალისწინებული. დასჯის ზომები კი წითელი არმიის დისციპლინარული წესდების ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

რა შედეგი მოჰყვა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებს?

**ოფიციალური საბჭოთა მონაცემებით, 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 9 მაისამდე გერმანიის შეიარაღებული ძალების ტყვედ ჩავარდნილ 3 მილიონ 576 ათასი სამხედრო მოსამსახურიდან ტყვეობაში დაიღუპა 442 ათას 100 კაცი (12,4 პროცენტი), ხოლო გერმანიის მოკავშირე ქვეყნების 800 ათასი სამხედრო მოსამსახურიდან — 137 ათას 800 კაცი (17,2 პროცენტი).** ამ ფონზე ცოტა, მეტი რომ არ ვთქვათ, არაობიექტური ჩანს ყოფილი სამხედრო ტყვის — გენრიხ შიპმანის განცხადება, რომელიც თავის წიგნში „ჩემი გზა რიაზანის ტყვეობისკენ“ აღნიშნავს: **„უნდა გქონოდა ბედი, ყოფილიყო ხელსაყრელი პირობები და გყოლოდა „ადამიანური“ მტრები, სამხედრო ტყვეს საბჭოთა კავშირიდან შინ, გერმანიაში, მშვიდობით რომ გამოეღწია“.** უთუოდ პირიქით იყო: ბედი უნდა ჰქონოდა საბჭოთა ტყვეს, ცოცხალი რომ გადარჩენილიყო: **გერმანელთა ტყვეობაში მყოფი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებიდან სიკვდილს მხოლოდ ნახევარი გადაურჩა.**


საბჭოთა ტყვეები სტარაია რუსასთან

აი, ასეთი არითმეტიკაა.

ფეხმოკიდებულია მითი იმის შესახებ, რომ გერმანელების ტყვეთა ბანაკებიდან საბჭოთა სამხედრო ტყვეები შინსახკომის სპეცბანაკებში მოხვდნენ.

სტატისტიკა ასეთია: **ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნდა 1 მილიონ 836 ათას 562 კაცი. შემოწმების შემდეგ, მათგან 1 მილიონი კვლავ გააგზავნეს წითელი არმიის ნაწილებში სამსახურის გასაგრძელებლად, 600 ათასი მრეწველობაში სამუშაოდ და მხოლოდ 339 ათასი, რომლებიც კომპრომენტირებული აღმოჩნდა ტყვედ ყოფნის პერიოდში ფაშისტებთან თანამშრომლობის გამო, შინსახკომის სპეცბანაკებში გაიგზავნა.**

**საბოლოო ჯამში, გათავისუფლებულ სამხედრო ტყვეთაგან 90 პროცენტზე მეტი შინსახკომის საფილტრაციო ბანაკებში შემოწმების შემდეგ, ან სამხედრო ნაწილებში ბრუნდებოდა, ან იგზავნებოდა მრეწველობაში სამუშაოდ. და მხოლოდ 4 პროცენტი იყო დაპატიმრებული და დაახლოებით ამდენივე გაიგზავნა საჯარიმო ნაწილებში.**

**გერმანული მონაცემებით, 1944 წლის 1 მაისისთვის „დახვრიტეს და გაქცევის მცდელობისას მოკლეს 1 მილიონ 30 ათას 157 საბჭოთა სამხედრო ტყვე. უცნობია, ვერმახტის რამდენმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა შეძლო საბჭოთა ბანაკებიდან გაქცევა. შინსახკომის მონაცემებით, 1945 წლის 27 ივნისისთვის გაქცევის მცდელობისას მოკლეს, დაიღუპა საწარმოებში, დაიხრჩო, მოიწამლა, თავი მოიკლა და სხვა ამგვარი მიზეზით დაიღუპა 753 ადამიანი. თუ შევადარებთ ერთმანეთს — გერმანული მონაცემებით, 5,7 მილიონი საბჭოთა ტყვე და შინსახკომის მონაცემებით 2 მილიონ 388 ათას 443 გერმანელი ტყვე — ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ ტყვეობიდან გაქცევა სცადა ყოველმა მეხუთე საბჭოთა ჯარისკაცმა და მხოლოდ 3170-ე გერმანელმა სამხედრო მოსამსახურემ!** აი, ასეთია სამშობლოს სიყვარულის ძალიან უხეში კოეფიციენტი დაპირისპირებული მხარეების ჯარისკაცებს შორის. ნიშანდობლივია, რომ წითელარმიელები დასავლეთში კი არ გარბოდნენ, არამედ თავიანთ ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში.

## ნაწილი V. „დირე“ ევროპის თვალში

**ევროპარლამენტის წევრებს, განსაკუთრებით, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმომადგენლებს ვურჩევდი, სანამ სტალინსა და ჰიტლერს გაუთანაბრებენ ერთმანეთს, თავიანთი სესიები დაიწყონ ოსვენციმის, ბუჰენვალდის, სალასპისის, კლაიპედის, კლოოგუს, სოსიბორის, ბაბი იარის და ათობით სხვა, ჰიტლერის მითითებით შექმნილი ადგილების მონახულებით. შებრძანდით „ბერგენბელზენის“ მემორიალის „სიჩუმის ოთახში“, დაბრძანდით და დაფიქრდით იმაზე, რა და რისთვის ხდებოდა ევროპაში 1939-1945 წლებში, და, ეგებ, აორთქლდეს თქვენი თავებიდან სტალინისა და ჰიტლერის გათანაბრების მკრეხელური აზრი.**

გერმანელი ტყვეები კურსკთან. 1943 წელი


პატივება სთხოვეთ ჰიტლერიზმთან ბრძოლაში დაღუპული ევროპის გამათავისუფლებელთა სულებს. არ იქნება ურიგო, თუ ლიტვის სეიმის ევროპულად განათლებული დეპუტატი, ქალბატონი ვილია ალეკნაიტე-აბრამიკენე გაემგზავრება სადღაც შორს კი არა, იქვე — ლიტვის ქალაქ ვილნიუსის მახლობლად, ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკის ადგილას, სადაც ნაცისტებმა დახოცეს არა რამდენიმე ათასი სამხედრო ტყვე, როგორც მიჩნეული იყო, არამედ 100 ათასი ადამიანი, მოიყაროს მუხლი და შენდობა სთხოვოს გარდაცვლილებს.

ასეთი მოქალაქეობრივი ნაბიჯი მისგან, სამწუხაროდ, მოსალოდნელი არ არის **(არც საქართველოდან ევროპარლამენტში წარგზავნილი დეპუტატების მხრიდან. — რედ.).**

სტალინი და ჰიტლერი ერთმანეთს რომ გავუთანაბროთ, ტოლობის ნიშანი უნდა დავსვათ ორ სიდიდეს შორის: 58 პროცენტსა (ტყვეობაში დაღუპული წითელი არმიის ჯარისკაცებს) და 13,3 პროცენტს (გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო მოსამსახურეების ტყვეობაში დაღუპულებს) შორის. მაგრამ ამ, ასე განსხვავებული სიდიდეების ურთიერთგათანაბრების ნებას კლასიკური მათემატიკა არ გვაძლევს. ევროპული არითმეტიკა კი, როგორც ირკვევა, ამ ამოცანას იოლად წყვეტს XXI საუკუნის დასაწყისში! **მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 26,6 მილიონი საბჭოთა მოქალაქე, კლასიკური მათემატიკის მიხედვით, არ უდრის გერმანიისა და მისი სატელიტების 11,9 მილიონ დაღუპულ მოქალაქეს.**

მაგრამ ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრის ლოგიკით, ეს ორი სიდიდე აბსოლუტურად ტოლი და ურთიერთშემცვლელია...

ამიტომ, სანამ ტოლობის ნიშანს დასვამენ ჰიტლერსა და სტალინს შორის, ჩაიხედონ დოკუმენტებში და გაიგონ — სად, როგორ და რამდენი ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ეწვიონ ერთ-ერთ ნებისმიერ საკონცენტრაციო ბანაკს იმ 22 ათასიდან, რომლებიც ჰიტლერმა და მისმა ხელის ბიჭებმა მთელს ევროპაში მოჰფინეს. ეგებ იმან, რასაც იქ ნახავენ, თვალები აუხილოს იმ საშინელ ტრაგედიაზე, რომელიც 70 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო და თითქმის 5 კოშმარულ წელიწადს გაგრძელდა.

**იური მატვიენკო,**
**თადარიგის პოლკოვნიკი**

**1970-იან წლებში გამჟღავნდა ჯერ კიდევ 1945 წლის 3 ნოემბერს აშშ გაერთიანებული შტაბებთან არსებული გაერთიანებული სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი გეგმა, რომლის მიხედვით 20 საბჭოთა ქალაქზე ატომური თავდასხმა იგეგმებოდა არა მხოლოდ მოსალოდნელი საბჭოთა თავდასხმის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, „როცა მოწინააღმდეგე ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო განვითარების დონე შესაძლებელს გახდიდა აშშ-ზე თავდასხმას და ჩვენი თავდასხმისგან თავდაცვას“.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ინტერვენციის ანატომია

## ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო დანაშაულის სრული სია

**სხვა ხალხების ექსპლუატაციის უფლების შესანარჩუნებლად ამერიკა რეგულარულად მიმართავს ძალადობის უკიდურეს ფორმებს, უწინარეს ყოვლისა კი, — ომებს.
დღეს ვაგრძელებთ ცნობილი შეიარაღებული ინტერვენციებისა და სხვა დანაშაულობათა სიის პუბლიკაციას. ამ ჩამონათვალს აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ უფრო სრული არ არსებობს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №23-24

**1945 წელი** — ორი ატომური ბომბი, რომლებიც ჩამოყარეს უკვე დამარცხებულ იაპონიაში, რის შედეგადაც დაიღუპა 200 ათასამდე (სხვა მონაცემებით, ნახევარი მილიონი) ადამიანი, ძირითადად, — ქალები და ბავშვები.

ბომბები ჩამოყარეს იმიტომ, რომ დაეშინებინათ ახალი მტერი — სტალინი. წამყვანმა ამერიკელმა სარდლებმა დუაიტ ეიზენჰაუერმა, ჩესტერ ნიმიცმა და კერტის ლიმეიმ — არც ერთმა არ მოიწონა ეს ბარბაროსული აქცია. ბომბები აafეთქეს 1807 წლის ჰააგის კონვენციის მოთხოვნის დარღვევით, რომლის მიხედვით **„არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს ზღვარდაუდებელ ნგრევას ან თავდასხმას სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობიექტებზე, როგორც ასეთებზე“.** თუმცა ნაგასაკი სამხედრო-საზღვაო ბაზა მაინც იყო...

**ამერიკის ჯარების მიერ იაპონიის ოკუპაციის შემდეგ შიმშილისგან 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა.**

1945-1991 წლები — წარმოუდგენელია ანტისაბჭოთა ყველა პროვოკაციის ჩამოთვლა. მაგრამ **აუცილებლად უნდა ვახსენოთ ინგლის-ამერიკის ერთობლივი გეგმა „წარმოუდგენელი“, რომელიც რამდენიმე წლის წინათ განსაიდუმლოვდა და რომელიც ითვალისწინებდა ფაშისტური, ინგლისისა და ამერიკის ჯარების თავდასხმას სსრ კავშირზე ჯერ კიდევ 1945 წლის ზაფხულში.** ტყვედ ჩავარდნილ ფაშისტებს ჩვენი მოკავშირეები არ განაიარაღებდნენ, მათი ჯარების ნაწილებს ხელს არავინ ახლებდა. ფაშისტებისგან ჩამოაყალიბეს 100-ათასიანი არმია, რომელიც მზად იყო თავიანთი ბლიცკრიგის გასამეორებლად. საბედნიეროდ, სტალინმა შეძლო ჩვენი ჯარების ისე დისლოცირება, რომ ამერიკელთა და ფაშისტთა ნეიტრალიზება მოახდინა და მათ ვერ გარისკეს ჩანაფიქრის განხორციელება. **ბევრმა სამხედრო დამნაშავემ გა-**

**ნაგრძო მოღვაწეობა ნატოში, გერმანიის მთავრობაში.**

იმავე პერიოდში აშშ-მა, რომელიც ატომური იარაღის მონოპოლისტი მფლობელი იყო, დაიწყო მზადება პრევენციული ომისთვის, რომლის დაწყება 1948 წლამდე იყო ნავარაუდევი. პირველი 30 დღის განმავლობაში განზრახული ჰქონდათ 133 ატომური ბომბის ჩამოგდება 70 საბჭოთა ქალაქზე, მათგან 8 — მოსკოვსა და 7 — ლენინგრადზე, შემდეგ კიდევ 200 ატომური ბომბის აფეთქებას გეგმავდნენ, თუმცა საკონტროლო გაანგარიშებამ გვაჩვენა, რომ 1949-1950 წლებშიც კი ამერიკელების სტრატეგიულ ავიაციას არ შეეძლო საბჭოთა კავშირისთვის მიეყენებინა ისეთი გამოუსწორებელი დარტყმა, რომ იგი ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას. ამ გეგმის კოდური სახელწოდება იყო „დროპშოტი“. **აშშ ყველა ხერხით ცდილობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას სსკრ-ში, მოეყიდა ჩვენთვის წუნდებული მოწყობილობა** (რასაც 1982 წელს მოჰყვა საბჭოთა კავშირში უდიდესი აფეთქება ციმბირის გაზსადენზე). **შეძლებისდაგვარად იყენებდნენ ბიოლოგიურ იარაღსაც, მაგალითად, კოლორადოს ხოჭოების თვითმფრინავიდან გადმოყრის სახით, რაც უზომოდ აზიანებდა კარტოფილის ნარგავებს.**

დაპირისპირების 50 წლის განმავლობაში სსრკ ტერიტორიაზე ოცდაათზე მეტი საბრძოლო და მზვერავი თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული. ჩვენი ტერიტორიის თავზე საჰაერო ბრძოლებში დავკარგეთ 5 თვითმფრინავი, ამერიკელებმა ჩამოაგდეს ჩვენი რამდენიმე სატრანსპორტო-სამგზავრო ბორტი. **სულ დაფიქსირდა ამერიკის თვითმფრინავების მიერ საბჭოთა კავშირის საზღვრების ხუთ ათასზე მეტი დარღვევის ფაქტი.**

ამავე პერიოდში სსრკ ტერიტორიაზე გამოავლინეს და დააკავეს ას ორმოცზე მეტი პარაშუტისტი-დივერსანტი, რომელთაც კონკრეტული დივერსიული აქტები უნდა განეხორციელებინათ.



აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად ბეჭდავდა საბჭოთა ფულს და სხვადასხვა საშუალებით ახერხებდა ჩვენს ქვეყანაში შემოტანას, რათა ამით გამოეწვია ინფლაცია.

დღეს გამჟღავნებულია სსრ კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ ბირთვული ომის დაწყების გეგმები: **„ჩარიოტირი“, „ტროიანი“, „ბრაეო“, „ოფტეკლი“.** ამერიკელები მზად იყვნენ, თავიანთ ევროპელ მოკავშირე ქვეყნებზეც ჩამოეგდოთ ატომური ბომბები, რათა უკანასკნელ რუსებს ბირთვული იარაღით განადგურებული საბჭოთა კავშირიდან გასაქცევი არსად ჰქონოდათ.

**1970-იან წლებში გამჟღავნდა ჯერ კიდევ 1945 წლის 3 ნოემბერს აშშ გაერთიანებული შტაბებთან არსებული გაერთიანებული სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი გეგმა, რომლის მიხედვით 20 საბჭოთა ქალაქზე ატომური თავდასხმა იგეგმებოდა არა მხოლოდ მოსალოდნელი საბჭოთა თავდასხმის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, „როცა მოწინააღმდეგე ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო განვითარების დონე შესაძლებელს გახდიდა აშშ-ზე თავდასხმას და ჩვენი თავდასხმისგან თავდაცვას“.**

მაგრამ ამ დროისთვის საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ბირთვული იარაღი, თანაც ამერიკელებისთვის სრულიად მოულოდნელად, და აშშ-მა ვერ გაბედა თავდასხმის გეგმის განხორციელება. **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცნობით, ამერიკამ სსრკ-ის დასაშლელად საერთო ჯამში 13 ტრილიონი დოლარი დახარჯა.**

1946 წელი — იუგოსლავია. ამერიკის ჯარები შურს იძიებენ ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო.

**1946-1949 წლები** — აშშ ბომბავს ჩინეთს და ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევს კომუნისტებს.

**1947 წელი** — იტალია. კომუნიზმთან საბრძოლველად აფინანსებს პროამერიკულ ძალებს არჩევნების დროს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მასობრივად კლავს კომუნისტებს, წარმართავს ანტისაბჭოთა კამპანიებს მასმედიაში. დოლარით ნაყიდ და გაყალბებულ არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ.

**1947-1949 წლები** — საფრანგეთი. კომუნიზმთან ბრძოლის მიზნით და ვიეტნამის რეკოლონიზაციისთვის ამერიკელები აფინანსებენ პროამერიკულ ძალებს არჩევნებზე, უზრუნველყოფენ სამხედრო მხარდაჭერას, იღუპება ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე.

**1947-1949 წლები** — საბერძნეთი. ამერიკის ჯარები მონაწილეობენ სამოქალაქო ომში და მხარს უჭერენ ფაშისტებს.

**ამავე წლებში** აშშ პირდაპირ ერევა იტალიაში პირველ საერთო საპარლამენტო არჩევნებში და შემდეგი წლების განმავლობაში აკონტროლებს ამ პროცესს.

**1948-1953 წლები** — საომარი მოქმედება ფილიპინებზე. იღუპება ათობით ათასი ფილიპინელი. ამერიკელების ხელდასმით ქვეყნის სათავეში დგება პრეზიდენტი-დიქტატორი მარკოსი.

**1948 წელი** — პერუ. ამერიკის მოწყობილი სამხედრო გადატრიალება, ხელისუფლების სათავეში მოდის მანუელ ოდრია. მომდევნო არჩევნები მხოლოდ 1980 წელს გაიმართა.

**1948 წელი** — ნიკარაგუა. ამერიკა მხარს უჭერს დიქტატორ ანასტასიო სომოსას, რომელზეც აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა თქვა: „შეიძლება იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“. დიქტატორი მოკლეს 1956 წელს, მაგრამ მისი დინასტია ხელისუფლების სათავეში დარჩა.

**1948 წელი** — კოსტა-რიკა. ამერიკა მხარს უჭერს სამხედრო გადატრიალებას ჟოზე ფიგუერეს ფერერის მეთაურობით.

**1949-1953 წლები** — ალბანეთი. აშშ და დიდი ბრიტანეთი რამდენიმეჯერ შეეცადნენ, დაემხოთ „კომუნისტური რეჟიმი“ და შეეცვალათ იგი პროდასავლური მთავრობით მონარქისტებისა და ფაშისტური კოლაბორაციონისტებისგან.

**1950 წელი** — აჯანყება პუეტრო-რიკოში ჩაახშეს ამერიკის ჯარებმა. ამ დროს იქ მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

**1950-1953 წლები** — მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში. ასობით ათასი კორეელის დაღუპვა. მხოლოდ 2000 წელს გახდა ცნობილი სეულის რეჟიმის არმიისა და პოლიციის მიერ ათობით ათასი პოლიტპატიმრის მკვლელობის ფაქტი, რაც კორეის ომის დროს მოხდა. ამერიკელები აქტიურად იყენებდნენ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს.

**1950 წელი** — ვიეტნამის ომში ამერიკის სამხედრო დახმარების გაწევა საფრანგეთისთვის, რომლის დროსაც საფრანგეთის სამხედრო ხარჯების ნახევარს აშშ იხდიდა.

**1951 წელი** — ამერიკის სამხედრო დახმარება ჩინელი აჯანყებულებისთვის.

**1953-1964 წლები** — ბრიტანული გაიანა. 11 წლის განმავლობაში აშშ და დიდი ბრიტანეთი სამჯერ შეეცადა, ხელისუფლების სათავეში დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ჯეგენი არ მოსულიყო. 1964 წელს ამერიკამ საწადელს მიაღწია. შედეგად რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული ქვეყანა 1980 წლის დასაწყისისთვის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად იქცა.

**1953 წელი** — ირანი. პოპულარული პოლიტიკოსის მოსადიკის მიერ ქვეყანაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა დააფრთხო ამერიკელები და ინგლისელები, რომელთა სპეცსამსახურებმა განახორციელეს ოპერაცია მოსადიკის დასამხობად. ქვეყანაში დაიწყო მღელვარება, რასაც სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა. **შაჰი ფეხლევი დაბრუნდა ირანში და ოფიციალურ მიღებაზე ასე მიმართა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების უფროსს: „ამ ტახტს ვფლობ ალაჰის, ხალხის, არმიისა და შენი წყალობით“.** მოსადიკი დიდი ხნით ციხეში გაამწესეს.

**1953 წელი** — ინუიტების ძალადობრივი დეპორტაცია გრენდოანდიიდან, რაც ამ ხალხის დეგრადაციით დამთავრდა.

**1954 წელი** — გვატემალა. პრეზიდენტ ჯაკომო გუსმანის რეფორმას, რომლის ძალით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა სახელმწიფო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა, ამერიკული ფირმა „იუნაიტედ ფრუტის“ ინტერესებს უარყოფითად შეეხებოდა. კომპანიის თხოვნას გამოეხმაურა აშშ-ის ადმინისტრაცია. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მცდელობით, გუსმანი, რომელსაც არმიამ უარი განუცხადა მხარდაჭერაზე, მექსიკაში გაიქცა. ქვეყანაში სათავე დაედო სამოქალაქო ომს, რომელიც მხოლოდ 1996 წელს დამთავრდა. **აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა აღიარა, რომ ვაშინგტონი კონფლიქტის დროს არაერთხელ ერეოდა გვატემალის შიდა საქვეყნო საქმეებში. სამოქალაქო ომში 200 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.**

**ამერიკის ჯარების მიერ იაპონიის ოკუპაციის შემდეგ შიმშილისგან 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა**

**საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის OKO-PLANET.SU-ს მიხედვით**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ქრონოგრაფი
მსოფლიო და მეცნიერება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მსოფლიოში ყველაზე გრძელი საზღვაო ხიდი

**ჩინეთში, შანძუნის პროვინციაში, ჯიაზოუს ყურეში, მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდი გაიხსნა. ხიდის სიგრძე 36,48 კმ-ს შეადგენს და ის 8 საავტომობილო ზოლზეა გათვლილი.** ხიდი ჩინეთის საპორტო ქალაქ ცინდაოს კონტინენტურ ნაწილს ხუანდაოს კუნძულოვან რაიონთან აკავშირებს. მისი მშენებლობა 2007 წელს დაიწყო და საბოლოოდ 2,3 მილიარდი დოლარი დაჯდა. მისი წყალობით ქალაქის ორ რაიონს შორის მანძილი 30 კმ-ით, მგზავრობის დრო კი 20 წუთით შემცირდა.

# მაიას საიდუმლო



**მეცნიერებმა მინიატურული კამერის საშუალებით გაარკვიეს, თუ რას მალავს მაიას ცივილიზაციის ძველი სამარხი.** ასანთის კოლოფის ზომის ვიდეოკამერა პატარა ხვრელიდან სამარხში 5 მეტრის სიღრმეზე ჩაუშვეს. ვიდეოჩანაწერზე ჩანს წითლად შეღებილი კედლები, რომლებზეც 10 შავი ფიგურაა გამოსახული. სხვა სამარხებისგან განსხვავებით, რომლებიც პალენკეს დასახლებაში მდებარეობს, სამარხში ვერ აღმოაჩინეს სარკოფაგი. სავარაუდოა, რომ ნეშტი პირდაპირ ქვის იატაკზეა დასვენებული, — ამბობენ მეცნიერები. სამარხს 1999 წელს ძველ ქალაქ პალენკესთან ახლოს ნანგრევებს შორის მიაგნეს. დღემდე არქეოლოგები ამ ადგილზე გათხრებს არ ატარებდნენ იმის შიშით, რომ იქვე მდებარე პირამიდა არ ჩამონგრეულიყო. სამარხი 431-550 წლებში აიგო. სავარაუდოდ, ამ სამარხში ქალაქ პალენკეს პირველი მმართველია დამარხული.



# ტაძრის განძი

**ინდოეთის შტატ კარალაში ინდუისტური ტაძარი პოლიციის გაძლიერებული დაცვის ქვეშაა. ტაძრის სარდაფებში 20 მილიარდი დოლარის ღირებულების განძი აღმოაჩინეს. მე-16 საუკუნის ტაძრის სარდაფებში ერთი ტონა ოქრო და ამდენივე ოქროს მონეტა ინახებოდა. ბრილიანტების, ზურმუხტების, ფირუზებისა და სხვა ძვირფასი ქვების ოდენობას ტომრებით საზღვრავენ. საიდუმლო სარდაფებში ასევე მიაგნეს საიუველირო ნაკეთობებს, რომელთა შორის ყველაზე ძვირფასი ღმერთ ვიშნას 1,2-მეტრიანი ოქროს ქანდაკებაა.**

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ძვირფასეულობა, სავარაუდოდ, მორწმუნეების შენაწირი და იმ დროის მმართველი ტრავანკორების საკუთრებაა. განძის ნაწილი თავისი ისტორიული და მხატვრული ღირებულებით შეუფასებელია.

აღმოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ინდური ტაძრები მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. მათი უმრავლესობა ქვეყნის ხელისუფლების კონტროლქვეშაა, რომელიც ტაძრის ბიუჯეტს ამტკიცებს. კარალის ხელისუფლებამ უკვე მიმართა სასამართლოს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიხმარონ და შეინახონ აღმოჩენილი განძი. ამასთან, უცნობია, დათანხმდება თუ არა ტაძრის ადმინისტრაცია განძის გადაცემას.

# ოქროს გასაყიდი ავტომატები




**დიდ ბრიტანეთში დადგეს ავტომატი „Gold To Go“, რომლითაც კომპანია Ex Oriente Lux-ის ოქრო იყიდება. ავტომატით მსურველებს ოქროს ზოდებისა და სხვადასხვა წონისა და ფორმის მონეტების შეძენა შეუძლიათ. ავტომატით იყიდება ასევე 2,5-გრამიანი ოქროს ზოდი, რომელზეც ლონდონის ხედია ამოტვიფრული.**

ერთგრამიანი ზოდის ღირებულება 41 გირვანქა სტერლინგს (65,6 დოლარი) შეადგენს. მსოფლიო ბაზარზე ტროას უნცია (დაახლოებით 31 გრ) ოქროს ღირებულება 1 ივლისის მდგომარეობით 1493 დოლარს შეადგენდა. ოქროს ფასი ავტომატებში ყოველ 10 წუთში ერთხელ იცვლება. დიდი ბრიტანეთი მეექვსე ქვეყანაა, სადაც ოქრო ავტომატებით იყიდება. პირველი ასეთი აპარატი 2009 წელს ფრანკფურტში დადგეს, მოგვიანებით კი იტალიაში, ესპანეთში, აშშ-სა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებშიც გამოჩნდა.

# ამერიკელმა 35 წლის წინათ გამოწერილი ჯარიმა გადაიხადა



**მიჩიგანის შტატის მკვიდრმა სტენლი ბეიკერმა 35 წლის წინათ გამოწერილი ჯარიმა გადაიხადა. ერთდოლარიანი ჯარიმა მას 1975 წლის 7 ნოემბერს მანქანის არასწორად გაჩერების გამო დაეკისრა.**

ახლახან გადახდილი ჯარიმის ქვითარს თან ახლდა წარწერა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. სამართალდამცავ ორგანოებში 89 წლის სტენლი ბეიკერის საქციელზე ძალიან გამხიარულდნენ. საქმე ის არის, რომ ჯარიმა ბეიკერის სახელზე არ იყო გამოწერილი. მამაკაცმა ქვითარი შემთხვევით აღმოაჩინა. ის იდო წიგნში, რომელიც მან 1995 წელს ბაზრობაზე შეიძინა.

# ავტომანქანა — შვილის სანაცვლოდ

**ინდოეთში რაჯასტხანის რაიონის ჯანდაცვის სამინისტრო ავტომობილს ჩუქნის ყველა იმ წყვილს, რომლებიც შვილის ყოლაზე უარს იტყვიან. სიტყვიერი უარი ამ საქმისთვის საკმარისი არაა, არც წერილობითი — წყვილს სტერილიზაცია უკეთდება.**

ეს კამპანია ამ რაიონში მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირდებით წამოიწყეს.

ნებაყოფლობითი სტერილიზაციის სანაცვლოდ, მოხალისეები ავტომობილებთან ერთად სხვა საჩუქრებსაც მიიღებენ, მათ შორის — მოტოციკლებს, ტელევიზორებს, ბლენდერებსა და ა.შ. ინდოელი მაღალჩინოსნები შეშფოთებული არიან ქვეყანაში მოსახლეობის ზრდის ტემპით.

პროგნოზის მიხედვით, ინდოეთის მოსახლეობა 2030 წლისთვის ჩინეთის მოსახლეობას გადააჭარბებს.



# შოკოლადის ფირფიტაზე ჩაწერილი სიმღერა



**შოტლანდიურმა მუსიკალურმა ჯგუფმა „FOUND“-მა შოკოლადისგან დამზადებულ ფირფიტაზე კომპოზიცია ჩაწერა.** იდეა შოკოლადის ოსტატ ბენ მაილნს ეკუთვნის. მისი მეგობარი მუსიკოსები — ზიგი და ტომი ტკბილ ფირფიტაზე სიმღერის ჩაწერის იდეამ აღაფრთოვანა, მაგრამ ყველას ესმოდა, რომ ეს რთული საქმე იქნებოდა. ბენმა მაღაზიაში ჩვეულებრივი ვინილის ფირფიტა შეიძინა და ზედ გადამდნარი შოკოლადი მოასხა, მაგრამ ამ მეთოდმა არ გაამართლა — ჩანაწერი უხარისხო იყო. შოკოლადის ოსტატს ჯგუფის ხმის ჩამწერი კომპანიის მესვეურები დაეხმარნენ. მათ ბენს სპეციალური ხმის გამფილტრავი მოწყობილობა მიაწოდეს, რომლის მეშვეობით ფირფიტა და შოკოლადის საფარი ერთმანეთისგან გაიმიჯნა.

# სამკაულები თმისგან



**კემბრიჯის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი კერი ჰოული ადამიანის თმისგან ყელსაბამებს ქმნის. კერი აღიარებს, რომ თმისგან გაკეთებული სამკაული ადამიანებში ზიზღის გრძნობას იწვევს, თუმცა მნახველებს მაინც იზიდავს.** ნამუშევრებისთვის სტუდენტმა დედამისის იაპონელი მეგობრის თმა გამოიყენა. ეს ქალბატონი თმას 5 წელიწადში ერთხელ იჭრის. თმის ბოლო შეჭრისას მან 30 სმ სიგრძის თმა ჰოულის უსახსოვრა. სამკაულის შესაქმნელად გოგონამ 60 საათი დახარჯა. კერი ჰოულის კოლექციამ ჯილდო უკვე მოიპოვა, ხოლო ნამუშევრები ლონდონის ბიზნეს-დიზაინის ცენტრში გამოიფინა.

# ესტონელმა ბანკში 400 კგ ფული მიიტანა



**ესტონეთის მკვიდრმა ტალინში მდებარე ბანკში 400 კილოგრამი მონეტა ყუთებში დახარისხებული და ავტომანქანის საბარგულში ჩაწყობილი მიიტანა. ავტოსადგომიდან ბანკამდე მამაკაცმა ყუთები ურიკით მიაგორა.**

აღმოჩნდა, რომ ყუთებში 200 ათასამდე ესტონური 5-კრონიანი იყო (დაახლოებით 13 ათასი ევრო). ესტონელს მონეტების ევროზე გადახურდავება სთხოვა გერმანელმა ბიზნეს-პარტნიორმა, რომელსაც ეგონა, რომ კანონით ეროვნული ვალუტის ევროპულზე გადაცვლა კომისიის გარეშე მხოლოდ 2011 წლის 1 ივლისამდე შეიძლებოდა. სინამდვილეში კრონის ევროზე გადაცვლა 2011 წლის ბოლომდე შეიძლება. როდესაც ფულის მფლობელს ეს ამბავი შეატყობინეს, კრონებით გავსებული ყუთები უკვე ესტონეთის გზას ადგა.



## გაუმარჯოს განშორებას

**ჩინელმა წყვილმა სიუ მინიუიმმა და სიაო ინმა დაშორება ორიგინალურად აღნიშნეს. მამაკაცმა თავის მეგობარს ქუჩაში სანთლების ფონზე სიყვარული აუხსნა, შემდეგ კი განშორების ნებართვა სთხოვა.** ცერემონიის დროს მამაკაცმა შეყვარებულს 99 ვარდისგან შექმნილი თაიგული მიართვა, მუხლებზე დადგა და სთხოვა, დაშორების უფლება მომეციო. წყვილის მეგობრები, რომლებიც დაშორების ცერემონიას ესწრებოდნენ, სკანდირებდნენ: „დათანხმდი“. ორწუთიანი დუმილის შემდეგ ბიჭმა ურთიერთობის გაწყვეტაზე თანხმობა მიიღო. წყვილმა დაშორება დიდი ხნის წინათ გადაწყვიტა. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე მათთვის კარიერული წინსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომანტიკული ურთიერთობები.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მორჩილი ცოლების კლუბი

**აზიის მუსლიმანურ ქვეყნებში შექმნილია „მორჩილი ცოლების კლუბები“, სადაც სულ უფრო მეტი ქალი ერთიანდება. ეს ყოველივე ქალების სანიმუშო ცოლებად ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. კლუბში ქორწინების პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტურ გზად სექსი მიაჩნიათ. „ქალები მამაკაცებს ყველაფერში უნდა დაემორჩილონ: მათ არა მხოლოდ საჭმელ-სასმელით უნდა უზრუნველყონ მეუღლეები, არამედ დაამშვიდონ და გაამხნეონ ისინი, ასევე დააკმაყოფილონ სექსუალური თვალსაზრისითაც,“ — ამბობენ კლუბის წევრები.**



„მორჩილი ცოლების კლუბი“ ყველა სარწმუნოების ქალისთვის ღიაა, მაგრამ მისი სწავლება ისლამის ნორმებს ეფუძნება და ქალისგან ქმრის სრულ მორჩილებას მოითხოვს. „მორჩილი ცოლების კლუბის“ დაფუძნებამდე გაიხსნა „პოლიგამიის კლუბი“, რომელიც მუსლიმანთა შორის მრავალცოლიანობის პოპულარიზაციას ეწეოდა.

# 99 წლის საქმრო

**მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა და ყოფილმა საფოსტო კლერკმა ჰილბერტ ჰერიკმა 99 წლის ასაკში იგრძნო, რომ მზადაა ოჯახის შესაქმნელად და დაქორწინება გადაწყვიტა. მან ცოლად 5 შვილის დედა, 86 წლის ვირჯინია ჰარტმენი შეირთო.**



მამაკაცი ამტკიცებს, რომ დღემდე ცოლის მოსაყვანად არ მომწიფებულა და არც შესაფერისი კანდიდატურა შეხვედრია ცხოვრებაში. პირველად ის მომავალ მეუღლეს მოხუცთა თავშესაფარში შეხვდა, სწორედ იქ ცხოვრობდა ვირჯინია. გაცნობის შემდეგ ჰილბერტი ვირჯინიას ყოველდღე ნახულობდა და მასთან ერთად ცხოვრების სურვილიც გამოთქვა, მაგრამ სამკურნალო დაწესებულებაში ამის უფლება არ მისცეს.

ჰილბერტმა უკან არ დაიხია და ვირჯინიას გული და ხელი შესთავაზა. დანიშნულებმა ქორწილი ახლობლების ვიწრო წრეში გადაიხადეს.

# ურთულესი რესტავრაცია



**XI საუკუნის ანგკორის ტაძრის კომპლექსი, ხანგრძლივი სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, კამბოჯის მეფე ნოროდომ სიანუკმა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიონმა საზეიმოდ გახსნეს.**

ანგკორის რესტავრაცია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე რთული და ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. ის გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა. ამას პოლიტიკური მიზეზი ქონდა. 1975 წელს, როდესაც კამბოჯის ხელისუფლებაში წითელი კხმერები მოვიდნენ, რესტავრაცია შეჩერდა და მხოლოდ 1995 წელს განახლდა.

ყველაზე რთული ეტაპი პაბუტის სამიარუსიანი კოშკის რესტავრაცია იყო. ფრანგი არქეოლოგები კოშკის დეტალურად შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პაბუტის შენარჩუნების ერთადერთი გზა მისი ქვებად დაშლა და თავიდან აგება იყო. რესტავრატორებმა კოშკის 300 ათასამდე ქვა დანომრეს და ნუმერაციის შესაბამისად შენობა თავიდან ააგეს. რესტავრაციის დროს სირთულეს ის ქმნიდა, რომ ქვები ერთმანეთზე მშრალად იდებოდა, რაც ძალიან დიდ სიზუსტეს მოითხოვდა.

როგორც ცნობილია, კამბოჯა დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის კოლონია იყო. კომპლექსის რესტავრაციისთვის საჭირო თანხა — 10 მილიონი ევრო საფრანგეთმა გამოყო, ძირითად სამუშაოებს ფრანგი არქეოლოგები და რესტავრატორები ასრულებდნენ.

# და ვინჩის დაკარგული ნახატი იპოვეს

**და ვინჩის ნახატი „სამყაროს მხსნელი“, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, იპოვეს, ხოლო დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, მათ შორის — მეტროპოლიტენ მუზეუმისა და ლონდონის ნაციონალური გალერეის თანამშრომლებმა, სურათის ნამდვილობა დაადასტურეს.**



არტ-დილერების ჯგუფმა სურათი 2000-იან წლებში შეიძინა. ტილოს ერთ-ერთმა მფლობელმა რობერტ საიმონმა განაცხადა, რომ ლეონარდოს ორიგინალური ტილო ზევიდან ბევრჯერ გადახატეს.

გარდა ამისა, ტილოს მრავალჯერ ჩაუტარდა რესტავრაცია, ამიტომ ერთ-ერთ აუქციონზე შეძენილი ლეონარდოს ეს ნახატი უფრო მეტად ასლს ჰგავდა, ვიდრე ორიგინალს. მაგრამ რამდენიმეწლიანი რესტავრაციის შემდეგ, როდესაც ნახატს საღებავების ყველა ზედმეტი ფენა მოაცილეს, მხატვრის ორიგინალური ნამუშევარიც გამოჩნდა.

ლეონარდომ „სამყაროს მხსნელი“ 1506-1513 წლებში საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XII-სთვის დახატა.

XVII საუკუნეში ტილოს ფლობდნენ ინგლისის მეფეები კარლ პირველი და კარლ მეორე, თუმცა ამის შემდეგ ნახატი XIX საუკუნის ნახევრამდე სადღაც გაქრა.

ტილო ბრიტანელმა კოლექციონერმა სერ ფრენსის კუკმა შეიძინა. 1958 წელს კუკის შთამომავლებმა ტილო სოტბის აუქციონზე 45 ფუნტად გაყიდეს. მაშინ ნახატი შეცდომით ლეონარდოს მოსწავლეს ჯოვანი ბოლტრაფიოს მიაკუთვნეს.

2011 წლის ნოემბერში ტილოს ლონდონის ნაციონალურ გალერეაში გამოფენენ. გამოფენა 9 ნოემბერს გაიხსნება და 2012 წლის 5 თებერვლამდე გასტანს.

# მძინარე თეატრი

**ლონდონში გაიხსნა თეატრი, სადაც მაყურებელს საწოლში სძინავს, ხოლო მსახიობებისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ტაშის ნაცვლად, დაძინებული მაყურებლის ხვრინვაა.**



თეატრ „ბარბიკანის“ სამსახიობო დასისთვის მთავარი მიზანი მაყურებლის დაძინებაა. სპექტაკლების უმეტესობა ადამიანების გასართობად და შემდეგ მისაძინებლად იქმნება. მაყურებელი სპექტაკლზე საღამოს 10 საათზე საკუთარი კბილის ჯაგრისითა და საღამურით მიდის. მათ თეატრის სავარძლების ნაცვლად ხვდებათ საწოლები (ორკაციანი და სამკაციანი), ისინი საღამურს იცვამენ, წვებიან და სპექტაკლიც იწყება.



დარბაზში სინათლეს დილის 7:30 საათზე ანთებენ, სტუმრებს ბრიტანული საუზმით უმასპინძლდებიან, რის შემდეგაც დარბაზი ცარიელდება. თეატრის შექმნის იდეა ეკუთვნის საიმონ კასონს, რომელსაც ფილმ „ბეჭდების მბრძანებლის“ ყურებისას ჩასძინებია.

# მოდის ახალი თაობა

**ერთმა ქართველმა პოეტმა, რომელსაც დაეჯერება, მითხრა: ლექსის მწერალ კაცს ერთი ლექსიც თუ შერჩება, ჩათვალე, რომ პოეტია. ლექსი, რომელსაც ხალხი მიიღებს და დაიხსომებს. მოკლედ, ლექსის არდავიწყებაზე ვლაპარაკობდით.**

ეტყობა, ამას გულისხმობდა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი, როცა საქართველოს წარჩინებულ მგოსნად მოიხსენიებდა თავად გიორგი ქოჩაკიძეს (ჭალადიდელს), რომლის ერთადერთი ლექსი თაობიდან თაობას გადაეცემა:

**„მახსოვს პირველად სასწავლებელში**
**წასაყვანად რომ მე მომამზადეს,**
**მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში**
**და შორსა გზასა მე გამაგზავნეს“.**

თუმცა, სხვაც დაუწერია, არაერთი.

ამ ყველაფერს ვამბობ იმიტომ, რომ ვფურცლავ და ვკითხულობ ბიჭი ივანიშვილის ახლახან გამოცემული ლექსების პირველ კრებულს, ახალგაზრდა კაცისას, რომელიც მან უდროოდ გარდაცვლილ უნიჭიერეს ნიკო გომელაურს მიუძღვნა.

ესაა უკვე საყურადღებო და ნიშანდობლივი, რადგან ბუნება ჩანს ავტორის.

მთავარი მაინც ლექსებია, რომლებშიც უკვე იგრძნობა ის ფესვი, საიდანაც აღმოცენდება პოეტური ნიმუშები, ღირსი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის.

ახალგაზრდულად გაბედულია და მოულოდნელი:

**„იქნება ცვარი ვიხმარო მელნად,**
**ფურცლად ავიღო ტრიალი მოლი**
**და გავაგონო სუყველას ქვეყნად,**
**რომ გავიტანე ცხოვრების გოლი“.**

და, მოულოდნელად, — თვითკრიტიკული, რაც მის სულიერ სიჯანსაღეს მოწმობს:

**„რაღაც აღარ მაქვს რითმები,**
**აღარც მუზების მესმის.**
**თითქოს პერიფრაზს ვაკეთებ**
**ვიღაც უნიჭოს ლექსის“.**

წიგნს წამძღვარებული აქვს რატი ამაღლობელის წინათქმა. იგი წერს: **„...ჩვენს ეპოქაში პოეტის დაბადება დღესასწაულია, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე დღესასწაული, რომელსაც მცირედნი აღნიშნავენ მოკრძალებულად და ფარულად, აღნიშნავენ ხელში წიგნით, წიგნით, რომელიც თქვენ წინაშეა“.**

გიწვევთ დღესასწაულზე! და რახან ერთ ლექსზე დავიწყეთ ლაპარაკი, ერთ ლექსს შემოგთავაზებთ ბიჭი ივანიშვილის წიგნიდან, რომელშიც მისი მოქალაქეობრივი პოზიცია და ახალგაზრდული გულისტკივილია გადმოცემული.

**არმაზ სანებლიძე**

## საქართველოში

მხოლოდ საქართველოში
კლავენ უცხოს გულისთვის.
მხოლოდ საქართველოში
ძმები მტრობენ ფულისთვის.
მხოლოდ საქართველოში
განძს ეძებენ ნაგავში.
მხოლოდ საქართველოში
ცუდს ვინ ხედავს ამაში?
მხოლოდ საქართველოში
ცრემლი მარტო მოდაა.
მხოლოდ საქართველოში
ხალხი შეუძლოდაა.
მხოლოდ საქართველოში
კარგს არჩევენ ფასით.
მხოლოდ საქართველოში
ნარდს აგებენ მარსით.
მხოლოდ საქართველოში
მაშინ იხდი ბოდიშს,
როცა შენს მანქანასთან
მათხოვარი მოდის.
მხოლოდ საქართველოში
ნახავ აბრას, სადაც
ჩვენს ენაზე აწერია,
მაგრამ ქართულს არ ჰგავს...

ყველგან, მთელ ამ მსოფლიოში,
რასაც გინდა, იმას ნახავ...
მხოლოდ საქართველოშია:
„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.





# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net